N42 (541) 21/X-27/X-2010 ფასი 1 ლარი

# გზა

## ქართული პროზის საგანძური

**ტომი №34**

**იაკობ გოგებაშვილი**

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

**კოტე ჯანდიერი**



ვის გამო მიატოვა ქეთი ყიფშიძემ სამოდელო კარიერა

მხიარული „დეტექტივების“ ბავშვური გასართობი

„ბიზნესში გამიმართლა“

„ხან მიჯნურები ვიყავით, ხან მოსისხლე მტრები“...

**თემა** რატომ ტოვებენ მამაკაცები ორსულ შეყვარებულებს



„მამობის უფლება მოვისპე“



რა წვლილი მიუძღვის ლენინს რეჯებ ჟორდანიას დაბადებაში

„ორთაჭალის ტურფები“



რატომ უნდა ვიკითხოთ წიგნები



რას ედავებიან ქართველ მწვრთნელს

შოთა არველაძე: „ჩემი შვილი ჰოლანდიის ჩემპიონატში მონაწილეობს“

ISSN 1987 - 5029

## ყველაზე გახმაურებული სასიყვარულო სამკუთხედები

50 წიგნი რომელიც უნდა წაიკითხო

# წიგნი

## რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ!

მალე!




და სხვა დიდი წიგნები...

ნოემბრიდან

„კვირის პალიტრასთან“ ერთად

www.britishcentre.ge

# BRITISH CENTRE

102

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭიროიყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვევამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები.



ნიკო კეჟერაშვილი:

"ბრიტანულ ცენტრში" მეგობრების რჩევით მოვედი და მან ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიამოვნო ატმოსფერომ და ჯგუფურმა გაკვეთილებმა გამიადვილა ენის შესწავლა და ახლა დაბრკოლებების გარეშე შემიძლია ინგლისურად საუბარი. პროგრამის ბოლო საფეხურზე გულიც კი მწყდება, დარგან დასასრულს მივუახლოვდი. ჩემი მიზანია TOEFL-ის ან Cambridge-ის სერტიფიკატი ავიღო და ახლა უკვე მზად ვარ გავიდე ტესტირებაზე.



მაია ტატიშვილი: მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი.

"ბრიტანულ ცენტრში ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ნებისმიერი ასაკისა და პროფესიის ადამიანმა შესანიშნავად შეისწავლოს ინგლისური ენა: სწავლების უნიკალური მეთოდი, მაღალკვალიფიციური მასწავლებლები, გულისხმიერი და თავაზიანი მენეჯერები, მყუდრო გარემო, უაღრესად ხელმისაწვდომი ფასი... ნუ დააყოვნებთ, მობრძანდით ბრიტანულ ცენტრში! Welcome! "



დარო ხარშილაძე: მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი.

დიდი მადლობა ბრიტანულ ცენტრს და მას, ვინც ქალანის მეთოდით სწავლება შემოიღო საქართველოში. ვისაც სურს ინგლისური ენის სწრაფად და საფუძვლიანად შესწავლა, იცოდეს რომ ეს მხოლოდ ბრიტანულ ცენტრშია შესაძლებელი!



რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
პეკინის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

# სასწავლო ცენტრი
# "British Connection"

გთავაზობთ სხვადასხვა სასერტიფიკატო
გამოცდებისათვის მოსამზადებელ კურსებს:

**·FCE (B1-B2) ·CAE ·TOEFL ·IELTS**

დიდი ფასდაკლება 31 ოქტომბრამდე

~~150~~ - 120ლარი

**20%**

308 135 / 855 301 390
www.britishconnection.ge
მისამართი: ბუდაპეშტის №1

წარადგინე ეს ფასდაკლების კუპონი

## როდენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!
მისი დროული მიღება თავიდან აგაცილებთ წონაში მატებასაც

**როდენი**

- ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი პროდუქტი
- ხელს უშლის ნახშირწყლების ცხიმებში გადასვლას
- ხელს უწყობს ცხიმების ბოლომდე დაწვას
- აქვეითებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- ნორმამდე დაჰყავს სიმსუქნის ჰორმონი ლეპტინი
- და ქოლესტერინი
- ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და შლაკები
- არეგულირებს საჭმლის მომნელებელ სისტემას






მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ „ნეოფარმის" და
„ჯი პი სის" სააფთიაქო ქსელს,
როგორც თბილისში, ასევე
ქუთაისსა და ბათუმში.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
99 00 14; 895308405;
893 668318; 899 21 02 32
e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების
შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

№42 (541)
21 - 27 ოქტომბერი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი


**მინიატიურები** 5
ვერა, აბა თქვი: „მდგრადი"...

**ჭრელი მსოფლიო** 6

**ერიპა!** 7

**პოლიტიკა** 8

**რეგიონი** 10

**საგანძური** 14

**საზრდო** 16

**ამპლუა** 18
საქმიანი ქალის მოუსვენარი ცხოვრება

**ტანდემი** 21
„...ხან მიჯნურები ვიყავით, ხან მოსისხლე მტრებად ვიქცეოდით"...

**ვარსკვლავები** 24

**ბედისწერა** 26
ქართველების აფხაზი რძლის თავდადება

**თემა** 28
პასუხისმგებლობის შიში და ტაბუდადებული თემა

**სულის სიმტკიცე** 31
უსინათლო ბიჭი მყინვარწვერის დასალაშქრად გაემგზავრა

**ტკივილი** 32
შეურაცხყოფილი ემიგრანტის აღსარება

**ემიგრანტი** 33
რა წვლილი მიუძღვის ლენინს რეჯებ ჟორდანიას დაბადებაში

**აღმოჩენა**
დადიანების საბანაო ადგილზე დინოზავრების ნაკვალევი აღმოაჩინეს

**ავტო** 36

**ოსტატი** 37
საქმე, რომელიც ცხოვრებას უდრის

**ტაძარი** 39

**ანტიდეპრესანტი** 40


## ქვეყანა





### „ცისფერი ტრიოს" დისკი ჟურნალ „ბომონდთან" ერთად

„ეს ფოტო 1976 წელს, საფრანგეთში გასტროლების დროსაა გადაღებული, სადაც მოცეკვავეებთან ერთად ვიყავით. იქაურ ფოტოგრაფს გადაული ჩვენთვის; ქუჩაში სეირნობისას, მისი ატელიეს ფანჯარაზე გაკრული დავინახე, შევედი და ვთხოვე, — იქნებ ჩემთვისაც დაგებეჭდათ-მეთქი?.."

7

## სახე





### „...ხან მიჯნურები ვიყავით, ხან მოსისხლე მტრებად ვიქცეოდით..."

„ლელას ვიდრე გავიცნობდი, მანამდე ქალბატონი ციცინო კობიაშვილის რამდენიმე სპექტაკლში მყავდა ნანახი და, რასაკვირველია, ძალიან მომეწონა".

18



## ცხოვრება

### რა წვლილი მიუძღვის ლენინს რეჯებ ჟორდანიას დაბადებაში



„მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი დაზუსტებით: მამა მთელი ცხოვრება საქართველოს კეთილდღეობაზე ოცნებობდა, მხოლოდ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით ცოცხლობდა და სულდგმულობდა. ის მიყვებოდა ქართველებზე, მათ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე, ხატოვნად აღმიწერდა საქართველოს ბუნებას"...

26

## გზავნილები

### „ის სიყვარულს კი არა, ზიზღსაც არ იმსახურებდა"



„ინტერნეტში მეც გავიცანი ბიჭი და ნუთუ, ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდება? ამის დაჯერება მიჭირს... გამხნევდი და მიუხედავად დიდი გრძნობისა, არ დაანახვო, რომ მის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლია. როცა საკუთარ ადგილს იპოვი, მერე უფრო დაგაფასებს და მეტიც, ბოდიშსაც მოგიხდის".

76

■ ეს სამყაროა 40
■ სავანე 42

„და დარიალა ტიალიო აღარ იქნება!..“
■ საკითხავი ქალებისათვის 45
■ ისტორიის ლაბირინთები 46

გიორგი XI და მისი ბედისწერა
■ ქართული სპორტის ლეგენდები 49

ვიქტორ სანეევი — ოთხი ოლიმპიადის გამარჯვებული...
■ ჯანმრთელობა 52

ჯანსაღ და ლამაზ კბილებს დიდხანს შეინარჩუნებთ, თუ...
■ ჩემი ცხოვრების გზა 54

ქართული თეატრის ილია და კრიტიკოსის საინტერესო ცხოვრება
■ კულისები 57

„ჯეოსტარის“ შესარჩევი ტურის შეურაცხყოფილი მონაწილეები
■ თინეიჯერული პონტები 59

ქართველი პანკები თუ მოდას აყოლილი მოზარდების მიუღებელი წესები
■ წვეთი პოეზია 62
■ სახსოვარი 63
■ პროზა 64

ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად
■ ფანტასტიკური დეტექტივი 66

რუსუდან ზერიძე. ინტერვიუ მიცვალებულთან (გაგრძელება)
■ რომანი 70

სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა თუ დანაშაული?! (გაგრძელება)
■ მინირომანი 74

ბედნიერების აღარ მჯერა
■ გზავნილები 76

საკუთარი თვალით ნანახი სასწაული
■ ყველა ერთისათვის 80
■ მობილი-ზაცია 82
■ მოზაიკა 88
■ სპორტული მოზაიკა 89
■ ერუდიტი 92
■ გასართობი 94
■ ასტროლოგია 96
■ სკანვორდი 97
■ საფირმო კროსვორდი 98



საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## სამყარო



# საქმე, რომელიც ცხოვრებას უდრის

„როცა ძველი თბილისის რეაბილიტაცია მოხდა, საკმაოდ ბევრი სკვერი გაიხსნა... გადავწყვიტე, ძველი თბილისის ისეთი კოლორიტული ადამიანი შემექმნა, რომელიც ყველას ეყვარებოდა და გავაკეთე „მაგდანა“, თავის „ლურჯასთან“ ერთად. ეს ქანდაკება თბილისის მერიას შევთავაზე...“.

34

## ადამიანი



# ქართული თეატრის ილია

„სოფელ ახალშენში ვცხოვრობდი, რომელიც ხონიდან 6 კილომეტრის დაშორებითაა და ამ მანძილს ყოველ დილას, ფეხით გავდიოდი, რათა სკოლაში მივსულიყავი, გაკვეთილების შემდეგ კი ბიბლიოთეკაში მივდიოდი, სადაც დისკუსიებს ვაწყობდით“.

54

## ბიბლუსი






— მეხუმრებით, ხომ? — კუზმინს სახეზე უნდო ღიმილმა გადაურბინა.
— დამიჯერეთ, ნამდვილად არ მეხუმრება.
— და მერე?.. უკვე ჩაიდინა რამე?
— სამწუხაროდ, კი.
— მაინც რა?
— უკვე ხუთი თუ ექვსი ადამიანი გაუყენა საიქიოს გზას

62

## ტაიმ-აუტი



# რას გადაურჩა ცნობილი მედიაექსპერტი

„გამიმართლა, კარგი ლიტერატურის მასწავლებელი მყავდა. ნამდვილად არაფერს მაძალებდა — არასდროს უთქვამს, გინდა თუ არა, „ავთანდილის ანდერძი“ დაიზეპირეო“.

88



# ვერა, აბა თქვი: „მდგრადი“...

**შესავლის ნაცვლად** ჩვენი ვანოს ბიჭებმა ებრაელი ბიზნესმენები დააკავეს ბათუმის რესტორანში. ისხდნენ, შეკვეთას ელოდნენ — მწვადი ხბოსი იყოს (ღორის აჯობებდა, მაგრამ გაყინული ხორცი იქნებაო), მწვანილი, ყველი და თითო ბოთლი ღვინოო და... სახე თუ გახსოვთ იმ ერთის, მარცხენასი — აშკარად ფიქრობდა, ამდენ შემოსწრებულს ჩვენი ორი ბოთლი ღვინო რას ეყოფაო?! — და უხერხულად იღიმებოდა... ჰოდა, დარჩა ასე, გაღიმებული...

ისე, პრესამ კარგად ვერ გაიგო: ეგენი ხომ პრემიერ-მინისტრს მოუწვევია, ვანოს კი, ქართული ტრადიციისამებრ, „გადაუპატიჟებია“ და ახლა, როგორც გავიგეთ, ჩვენი პრეზიდენტისთვის თავის ებრაელ კოლეგა შიმონ პერესს დაურეკავს და უთქვამს, — ერთ-ერთი მათგანი ჩემი ძმაკაცია და მიმიხედეო, — ამიტომ, ვანოსთან რომ მორჩებიან, მერე მიშა ელოდება; დილიდან ხაშით დაიწყებენ რომელიმე „ორდენოსან“ სალობიეში და მერე შეუბერავენ...

ახლა, სიმართლე რომ გითხრათ, რისთვის დამჭირდა ეს შესავალი და არცთუ კეთილი ხუმრობა, იცით?.. რისთვის და, ჩვენს „მდგრადად განვითარებულ“ მინისტრთან რომ „მივსულიყავი“. არა, კი არაფერს ვერჩი, მაგრამ მართლა მაინტერესებდა, რა უთხრა პერესმა სააკაშვილს (საინფორმაციო სააგენტოებმა რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჭორები გაავრცელეს მხოლოდ); არავინ არაფერს ამბობდა და აგერ, ერთ-ერთ ებრაულ გაზეთს უკითხავს ქობალიასთვის — თქვენთვის ხომ არაფერი უთქვამს ამის შესახებ თქვენს პრეზიდენტსო? ვიფიქრე, აი, პირველწყაროსგან გავიგებ სიმართლეს-მეთქი (მართლა მაინტერესებს, როდის გამოუშვებენ, მერე მე უნდა გადავიპატიჟო), მაგრამ „ნურას უკაცრავად“ (როგორც „ის“ ამბობს ხოლმე), ვერა-ვერონიკამ „მდგრადი“ პასუხი გასცა: — არაფერი ვიცი, მე პრეზიდენტს მხოლოდ ეკონომიკაზე ვესაუბრები ხოლმეო!



კარგი, რა, ვერა-ვერონიკა, რა... ხომ იცი, როგორ პატივს გცემ, მაგრამ რატომ ცრუობ? პრეზიდენტთან მეტი სალაპარაკო არაფერი გაქვს? აბა, რა ეკონომიკაზე ესაუბრები, მდგრადზე? მაშინ, აბა, თქვი: „მდგრადი“!

რაო, გაგიჭირდა? ასეა, გენაცვალე, ძნელია ქართველობა!..

ერთსაც ვიტყვი და დღეს ვერა-ვერონიკას აღარ ვახსენებ: ერთ-ერთ იუმორისტულ შოუში თქვა, პურის გამოცხობა ცხოვრებაში არ მიცდია და არც ვიცი, უგულავას უკეთ გამოსდისო! აჰა, ხომ გითხარით, ეს გოგო გაუგებრობაშია მოხვედრილი-მეთქი...

ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ უგულავა ხაბაზი კი არა, „სვარშიკია“...

ჰმ, არადა, ყველას რომ ვუმტკიცებ, ნეიტრალური ვარ, ოპოზიციასა და ხელისუფლებას თანაბრად ვაკრიტიკებ-მეთქი, ახლა ჩაიხედა ჩემმა რედაქტორმა ნაწერში და — „კარგი, რა გაუწყალე მაგ ხალხს გული, მეტი სახუმარო და საქილიკო ვერავინ ნახეო?!.“

მართალია! არა მხოლოდ იმიტომ, რომ შეფი ყოველთვის მართალია, არამედ იმიტომაც, რომ მართლა მართალია — ოპოზიცია გვყავს, თვით ამ ხელისუფლებასთან შედარებითაც კი, უჩათლახესი („ჩათლახი — უხეირო, უვარგისი; სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“), ჰოდა, ეს ჩემი „პროვოკაცია“ ხომ, ბოლო-ბოლო, სახუმარო და სალაღობო გვერდია და ოპოზიციაზე რომ დავწერო, ვიხუმრო თუ ვილაღო?!

თბილისი-მინსკი-მოსკოვის და თბილისი-ერევანი-მოსკოვის რეისზე ბილეთები კი არა, წლიური აბონემენტები რომ აქვთ ზოგიერთებს, იმაზე ვიხუმრო და ვილაღო?! თუ იმაზე ვილაღო, ახალი „ქართული(?) პარტიის“ ერთ-ერთმა შეფმა რომ „გვახარა“ პირველივე პრესკონფერენციაზე, — რა ნატო, რის ნატო, რა გარგარი, რის ჭერამიო?! იქნებ იმაზე ვიხითხითო, იმავე პრესკონფერენციაზე მეორე დიდმა ქართველმა რომ თქვა, — გაიგეთ, ხალხო, ჩვენი ყველა პრობლემის გასაღები მოსკოვშია და არა ოკეანის გაღმა ან ბრიუსელშიო?!

არა, ძმებო და ბატონებო! ეგეთ რამეებზე ვერ ვხუმრობ, ეგეთებზე სხვადასხვა „უცენზურო გამონათქვამი“ და „არანორმატიული ლექსიკა“ მომდის თავში, თან ისეთი, რომ არავინ დამიბეჭდავს...

ამიტომ — მაცალეთ, რა!.. აგერ არის ეს ჩვენი პარლამენტი, მთავრობა და პრეზიდენტი — ხან სალობიეს გადასცემს ორდენს; ხან „ტრაქტორით ხნავს მინდორ-ველებს“; ხან ქუთაისში პარლამენტის შუშის შენობას შეუკვეთს ესპანელ არქიტექტორს და ქვეყნის ნახევარი წლის ბიუჯეტის ტოლ ფულს გადაუხდის; ხან უდანაშაულო ხალხს დაიჭერს; ხან ვინმე სულელს დანიშნავს პასუხსაგებ თანამდებობაზე; ხან „სტაიანკის გადასახადს“ გაზრდიან; ხან პერევიდან ძლივს გასულ რუსებს თავიანთი იდიოტური კომენტარებით ისევ უკან მოაბრუნებენ და ასე...

....

აუჰ, გადავხედე ამ ბოლო ჩამონათვალს და, — ესენიც კაი ჩათლახები ყოფილან (კიდევ ერთხელ: „ჩათლახი — უხეირო, უვარგისი; სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“).

**P.S.** **„გემრიელი ლუკმა“ ბოლოსთვის მოვიტოვე: არა, არც ახალი ხუმრობა მომიფიქრებია და არც რაიმე ინფორმაცია მომიპოვებია დამოუკიდებლად. ეგ კი არა, ალბათ ჰონორარიც კი არ მეკუთვნის ამ ბოლო აბზაცისთვის, რადგან უბრალოდ გაწვდით ინფორმაციას, რომელიც, ambebi.ge-ზე გავრცელდა (სრულად იხილეთ მომდევნო გვერდზე, „ნიუსებში“): სომხეთის პრეზიდენტმა, სერჟ სარგსიანმა ოფიციალურად გამოაცხადა, — ჩატარებული კვლევების (ეს ინჩ კვლევები, სერჟიკ-ჯან?) შედეგად დადგინდა, ჩვენი ენა და ერი მინიმუმ 8000 (რვა ათასი, 80 (ოთხმოცი) საუკუნე!!!!!!) წლისააო!**

P.P.S. **კარგი რა, სერჟიკ, გეყოფა რა, „ი ტაკ ნა ტრისტა ლეტ სტარშე რიმა“...**

***პროვოკატორი***

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

# სერჟ სარგსიანი: „8 ათასი წელია, ვარსებობთ“...



სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა სომხურ დიასპორასთან საუბრისას განაცხადა, რომ გამოკვლევის თანახმად, რომელიც ახლახან უცხოელმა სწავლულებმა ჩაატარეს, გაირკვა, რომ სომხები, როგორც ერი, 8 ათასი წელია, არსებობენ. „გენეტიკოსების დიდმა სამეცნიერო ჯგუფმა, რომელშიც არც ერთი სომეხი არ იყო, რთული გამოკვლევა ჩაატარა. შედეგების მიხედვით, სომხურ ენას 8 ათასი წლის ისტორია აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, როგორც ერი, 8 ათასი წელია ვარსებობთ, — განაცხადა სომხეთის პრეზიდენტმა. — ამ დროის მანძილზე ბევრი მტერი მოვიგერიეთ, დიდი ტერიტორიების და სიმდიდრის მქონე, მრავალრიცხოვანი მტერი. მათ ჩვენი დასუსტება შეძლეს, მაგრამ მათი უმრავლესობა აღიგავა, გაქრა, დატოვა ისტორიული არენა, მაგრამ ჩვენ საკუთარ გზას ვაგრძელებთ, კიდევ გვაქვს საქმეები, თუნდაც მომავალი 8 ათასი წლის მანძილზე“, — დასძინა სარგსიანმა. ■

# ქართველებისთვის სასურველი სასიძოები

ქართველებს იტალიელი და ბერძენი სასიძოები მოსწონთ, მეორე ადგილზე კი რუსები და ამერიკელები არიან. ქართველთა 39% თანახმაა, ქართველი ქალი ოკეანის გაღმა ან რუსეთში გათხოვდეს; მესამე ადგილზე, 37%-ით, გერმანელი სასიძოები არიან. ასეთია კავკასიის სოციოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ კავკასიის სამივე ქვეყანაში ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანი იყო, გაცემულიყო პასუხი შეკითხვაზე — „რომელი ეროვნების მამაკაცზე გირჩევნიათ გათხოვდეს თქვენი ეროვნების ქალი?“ ქართველების 36%-ს აფხაზ ან ოს მამაკაცთან ქორწინების საწინააღმდეგო არაფერი აქვს. აზერბაიჯანელთა 49% მხარს უჭერს თურქზე ქორწინებას, გერმანელზე — 9%, ქართველზე, შვედსა და რუსზე ქორწინებას კი — მხოლოდ 8%. არც ერთ გამოკითხულ აზერბაიჯანელს არ გაუმართლებია ქორწინება სომეხი ეროვნების მამაკაცთან.

სომხებისთვის კი სასურველი სასიძო — რუსია: გამოკითხულთა 51% მიესალმება იმას, რომ სომეხი ქალი რუს მამაკაცს გაჰყვეს ცოლად. 39%-ს ამერიკელი სასიძო უნდა, ბერძენი და იტალიელი კი — 38%-ს. სომეხთა 92% აზერბაიჯანელთან ქორწინების წინააღმდეგია, 91% კი — თურქთან. ■

# ევროპის საუკეთესო ქალაქი



ევროპის საუკეთესო ქალაქად ფლორენცია დაასახელეს. რეიტინგში მეორე ადგილი იტალიის დედაქალაქმა დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე — ბარსელონამ. ხმის მიცემაში 25 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. ამერიკის ქალაქებს შორის, სან-ფრანცისკო, ჩარლსტონი და სანტა-ფე დაასახელეს, ხოლო აზიის საუკეთესო ქალაქად — ბანგკოკი. კანადის ორმა ქალაქმა — ვანკუვერმა და კვებეკმა — პირველი ორი ადგილი დაიკავა ნომინაციაში — „ახალი სამყაროს საუკეთესო ქალაქი“. ■

# შეჯიბრება სწრაფად დაძინებაში...

მადრიდში ძილის კონკურსი გამოცხადდა. ტურნირი, რომლის მონაწილენი ერთმანეთს სწრაფად და ღრმად დაძინებაში ეჯიბრებიან, ესპანეთის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში ჩატარდა. ჩემპიონატის წესები მარტივია: თავდაპირველად მონაწილეები ვალდებული არიან, დივანზე დაწვნენ; შემდგომ მათ დასაძინებლად 20 წუთი ეძლევათ. ქულები გროვდება სწრაფად დაძინების, ღრმა ძილის, უჩვეულო საძილე კოსტიუმის, ორიგინალური აქსესუარების, უცნაური პოზებისა და სხვა კომპონენტების მიხედვით. შეჯიბრება რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს, თითო ტურში 5 ადამიანი მონაწილეობს. მსაჯები ყველაფერს აკვირდებიან. ექიმი კი „სპორტსმენის“ გულის ფეთქვის სიხშირეს ამოწმებს. ძილის ჩემპიონატი 23 ოქტომბერს დასრულდება. 1.000 ევროს ის მონაწილე მიიღებს, ვინც ყველაზე უკეთ დაიძინებს. ■



# კეტი პერი ინდოეთის პრინცესის ყაიდაზე თხოვდება

კეტი პერი და მისი საქმრო, რასელ ბრენდი ინდოეთში ჩაფრინდნენ. წყვილი რაჯასტანის შტატში იქორწინებს. ქორწილიდან რამდენიმე დღეში ინდოეთში კეტი საკუთარ დაბადების დღესაც აღნიშნავს. ჯერჯერობით კი შეყვარებული წყვილი ინდოეთის ქუჩებში ხელიხელჩაკიდებული დასეირნობს და ეგზოტიკით ტკბება. კეტი და რასელი მდიდრულ სასტუმროში — Taj Rambagh Palace — დაქორწინდებიან. ეს ელიტური კურორტი, შადრევნებითა და აუზებით, მაჰარაჯას სასახლეს ჰგავს. ვარსკვლავურ წყვილს ქორწილში 85 მეგობარი და ნათესავი ჰყავს მიწვეული. დედოფლის მეჯვარე მისი საუკეთესო მეგობარი, მომღერალი რიანა იქნება.



ქორწილის ცერემონია ტრადიციული ინდური ქორწილის სტილში გაიმართება. საზეიმო სვლა სასტუმროს შესასვლელთან დაიწყება; ამ დროს საქმრო მდიდრულად შეკაზმულ ცხენზე იქნება ამხედრებული. ახალდაქორწინებულებს სპილოებისა და აქლემების ესკორტი გააცილებს. ცერემონიაში მონაწილეობას მიიღებენ ინდოელი მოცეკვავეებიც, ბოლოს კი შეყვარებულებს გრანდიოზული ფეიერვერკი ელის. ■

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ

# ქვეყანა

*ერიჰა!*

# ბოდიში, თქვენი სახელი?..

**ამ ცოტა ხნის წინ თბილისის მერი კიდევ ერთ „საჩვენებელ ღონისძიებას“ დაესწრო — საცხოვრებელმა კომპლექსმა „ორთაჭალის ტურფამ“ მერიის პროექტით, „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“, გათვალისწინებული პირველი ახალმოსახლეობა იზეიმა — ძველი, ამორტიზებული სახლების ოცდაათამდე ბინადარს ახალი, გარემონტებული ბინების გასაღებები გადასცეს.**

**ცხადია, ჩვენც ვულოცავთ მათ და სულაც არ ვართ ჩასაფრებულ პოზიციაში — თუკი რამე სასიკეთოს გააკეთებს ხელისუფლება, პირველები ვიქნებით მილოცვაშიც და ქებაშიც, მაგრამ ისიც უნდა ვუთხრათ, რომ კრიტიკა სულაც არ ნიშნავს ლანძღვას და თუკი ნაკლზე ან შეცდომაზე მივუთითებთ, ეს მტრობის კი არა, ამ შეცდომის გამოსწორების სურვილით კეთდება და, ილიასი არ იყოს, ჭკვიანი ადვილად მიხვდება „ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“!**



*ზვიად გურული*

კარგი, მოვრჩეთ „სიყვარულის ახსნას“ და საქმეზე გადავიდეთ: როდესაც კომპანია „არსის“ ეს პროექტი („ორთაჭალის ტურფას“ ვგულისხმობთ) აქტუალური გახდა, მაშინვე ვწერდით ჟურნალ „გზის“ ფურცლებიდან ქალაქის ხელმძღვანელობასაც და სამშენებლო კომპანიის მესვეურებსაც, მაგრამ ყურიც არ შეიბერტყეს, ახლა მათ გარდა, კონკრეტულად იმ სამსახურს მივმართავთ, რომელიც ქალაქის საკრებულოსა და მერიაში სახელების დარქმევა-გადარქმევას განაგებს და საკრებულოს თავმჯდომარეს, მწერალ კაცს, რომელსაც, რაც უნდა ოპოზიციურად იყო განწყობილი, უწიგნურობას ვერ დასწამებ — გადაარქვით სახელი ამ უბანს, სირცხვილია!

ფიროსმანის შემოქმედებას, საბედნიეროდ, მხოლოდ ქართველები არ ვიცნობთ, რომ გკითხოთ ვინმე გათვითცნობიერებულმა უცხოელმა — ამ ლამაზ უბანს რა ჰქვიაო, რას უპასუხებთ? არა, თქვენ კი უპასუხებთ, მაგრამ თქვენგან განსხვავებით, იმ პატიოსანმა კაცმა რომ იცოდეს ამ სიტყვის ძველთბილისური მნიშვნელობა და ისიც, რომ ფიროსმა-




ნის სამივე ცნობილი სურათი (ორი ერთნაირი „ორთაჭალის ტურფა" — სხვადასხვა მხარეს წამოწოლილი და ერთი — „ორთაჭალის ტურფა მარა-ოთი") კია შედევრი, მაგრამ თავის დროზე სხვა არაფერი იყო, თუ არა ერთი კონკრეტული „ტიპის" დაწესებულების აბრა, გენიოსის მიერ ჭიქა ღვინისა და მისაყოლებლის ფასად დახატული, მაშინაც არ შეგრცხვებათ?!

არადა, ამ ახალი უბნის სახელწოდებაში რომ სწორედ ფიროსმანისეული „ტურფები" იგულისხმებიან და არა რაიმე სხვა, რამდენიმე წლის წინანდელმა პროექტის პრეზენტაციამაც დაადასტურა, სადაც ყველგან ამ სურათების რეპროდუქციები იყო გამოფენილი, ინტერიერიც მაშინდელი თბილისის შესაბამისად მოეხატათ და მიმტანებიც კინტოებისა და ყარაჩოხელების ტანსაცმელში გამოწყობილნი ემსახურებოდნენ დამსწრე საზოგადოებას (მართლა, ყარაჩოხელი მაინც დაგერქმიათ, თქვე დალოცვილებო, მაგრამ შეიძლება ეგეც კინტოში აგრეოდათ და კიდევ ერთი სირცხვილი იქნებოდა)...

ერთი სიტყვით, ბატონებო — ქალაქის უფროსობავ, კომპანია „არსის" ხელმძღვანელებო და ამ ახალი უბნის (სახელს შეგნებულად არ ვამბობ, რომ შეურაცხყოფა არ მოგაყენოთ) მცხოვრებლებო, ცხადია, იცით, მაგრამ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: ორთაჭალა თბილისში განთქმული იყო არა მხოლოდ დუქან-რესტორნებით, არამედ ბორდელ-საროსკიპოებითაც, ხოლო „ორთაჭალის ტურფა" სხვა არაფერს ნიშნავდა, თუ არა ორთაჭალის ბორდელში მომუშავე ბოზს! რა ვქნა, რომც გეწყინოთ, მაინც ასეა — ისტორიას ვერ გადააკეთებ... ხოლო ცხონებული ნიკალა ფიროსმანაშვილი, „ტფილისელი მღებავი", რომლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის დიდ ნაწილს სხვადასხვა დაწესებულების აბრები შეადგენს, არც ასეთ „ზავედენიებს" ეუბნებოდა უარს შეკვეთაზე. ასე რომ, საცხოვრებელი კომპლექსისთვის „ორთაჭალის ტურფის" დარქმევა იგივეა, ასი წლის შემდეგ ვინმემ დღევანდელი ცირკის ადგილზე სახლები რომ ააშენოს და „ჩელუსკინელების ხიდის ბოზები" დაარქვას!

ბატონო საკრებულოს თავმჯდომარევ, გთხოვთ, გაარკვიოთ, რაში იღებს ხელფასს ზემოთ ნახსენები, „სახელების დამრქმევი კომისიის" უფროსობა და იქნებ თქვენს ზოგიერთ კოლეგას ორიოდე წიგნის წაკითხვაც ურჩიოთ, კარგია, უხდება ჯანმრთელობას... ■



# პერევიდან გასვლით, რუსეთმა რამდენიმე კურდღელი დაიჭირა

**რუსეთი გმობს საქართველოს მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებთათვის სავიზო რეჟიმის გამარტივებას, ამ ფაქტს პროვოკაციად აფასებს და ოფიციალურ თბილისს კიდევ ერთხელ ემუქრება. ამ ყველაფრის პარალელურად კი „კეთილ ნებას" იჩენს და პერევიდან ჯარი გაჰყავს. რუსული „კეთილი ნებით" არც ისე აღფრთოვანებული არიან საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები: მათი აზრით, პერევიდან საოკუპაციო ჯარის გასვლა ვერაფერი შეღავათია, რადგან ასობით ქართული სოფელი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ისევ ოკუპირებულია.**

*ხათუნა ბახტურიძე*

*რუსული ჯარის პერევიდან წასვლის ფაქტს დეოკუპაციის პროცესის დასაწყისად კი აცხადებენ, მაგრამ ქართველი და უცხოელი პოლიტოლოგებიდან ვერც ერთი ვერ იწინასწარმეტყველებს — გაგრძელდება თუ არა ეს პროცესი ახალგორის, კოდორის ხეობისა და სხვა ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლებით. რით არის განპირობებული რუსეთის „კეთილი ნება" და გამოიყენებს თუ არა პროვოკაციისთვის მოსკოვი ქართული მხარის მიერ ჩრდილოკავკასიელებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების ფაქტს? — ამ კითხვებით ექსპერტს უსაფრთხოების საკითხებში,* ***ირაკლი სესიაშვილს*** *მივმართეთ.*

**— ბატონო ირაკლი, თქვენი აზრით, პერევიდან რუსული ჯარის გასვლა დასავლეთის დიპლომატიური ზეწოლითაა გამოწვეული თუ უბრალოდ, საჩხერის რაიონის ეს სოფელი მისთვის სტრატეგიულად მომგებიანი აღარ არის და ამ ნაბიჯით, ზედმეტი ხარჯისგან გათავისუფლდა?**

— თქვენ მიერ წამოყენებულ ორივე ვერსიას აქვს საფუძველი. რუსებს უკვე დიდი ხანია უნდოდათ პერევიდან გასვლა და პოლიტიკურად მომგებიან მომენტს ელოდნენ. პერევმა ნამდვილად დაკარგა სტრატეგიული მნიშვნელობა. რუსებს აღარ სჭირდებათ ამ სოფლისკენ მიმავალი გზა, რომლის საშუალებითაც, ოსურ სოფლებს უკავშირდებოდნენ, იმიტომ, რომ სხვა გზა გაიყვანეს; იქ დგომით ველარანაირ სარგებელს ნახულობდნენ, პირიქით — სოფელში გახსნილი ბლოკ-პოსტის შესანახად, დამატებითი ხარჯების გაღება უწევდათ. გარდა ამისა, პერევი არასდროს შედიოდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში. ამიტომ, როდესაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაციას ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ოლქის მხარდაჭერით ამართლებდა, დასავლეთი მოსკოვს ყოველთვის ეკითხებოდა, — რა შუაში იყო პერევი?.. ამ მიმართულებით, დასავლეთი, განსაკუთრებით კი საფრანგეთი ყოველთვის ახორციელებდა ზეწოლას.

**— შესაძლებელია თუ არა პერევის შემდეგ, ახალგორისა და კოდორის ჯერი დადგეს?**

— არა, ეს გამორიცხულია. რუსეთს პერევიდან ჯარი დეოკუპაციის მიზნით კი არ გაუყვანია. როგორც უკვე მოგახსენეთ, კრემლი ამ სოფელს საკუთარი მიზნებისთვის იყენებდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შემდეგ კი საქართველოს ის ტერიტორია დაუბრუნა, რომელიც ცხინვალის რეგიონში კომუნისტების დროსაც კი არ შედიოდა. რაც შეეხება ახალგორს, კოდორსა და სხვა ტერიტორიებს: ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთი უკან დახევას არ აპირებს, პირიქით — ოკუპირებულ ტერიტორიებზე პოზიციების გამყარებით არის დაკავებული: სამხედრო ბაზებს აშენებს და მავთულხლართებს აგებს. ამაში საკმაოდ დიდ ინვესტიციებს დებს... ერთი სიტყვით, დღევანდელი რუსეთის ხელისუფლება არც კი ფიქრობს დეოკუპაციის საკითხის განხილვაზე. მაგრამ ჩვენ მაინც, იმედი არ უნდა გადავიწუროთ, პირიქით — კიდევ უფრო აქტიურად უნდა ვიმოქმედოთ და ძალიან ბევრი ვიმუშაოთ მიზნის მისაღწევად.

**— როგორ ფიქრობთ — დასავლეთი გააგძელებს რუსეთზე ზეწოლას, საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის მოთხოვნით თუ პერევის „გადმოგდებით" დაკმაყოფილდება?**

— ვფიქრობ, რომ დასავლეთი რუსეთზე ზეწოლას გააგრძელებს, რუსეთი კი ყველანაირად ეცდება, პერევის „გადმოგდებით", სარფიანად ივაჭროს. სხვათა შორის, ამ ნაბიჯით კრემლმა

უკვე ერთობ უხერხულ მომენტს დაალწია თავი: როგორც მოგეხსენებათ, ჟენევაში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გამო მოლაპარაკების 13 რაუნდი გაიმართა, მაგრამ ამან დღემდე შედეგი ვერ გამოიღო. ეს პროცესი ასევე რომ გაგრძელებულიყო, დასავლეთი რუსეთს მოლაპარაკების ფორმატის შეცვლას აუცილებლად შესთავაზებდა. პერევიდან ჯარის გაყვანით, კრემლმა დასავლეთს დაანახვა, რომ ჟენევის ფორმატი შედეგიანია და შესაძლოა, დროთა განმავლობაში, მომდევნო 13 რაუნდის შემდეგ რაღაც შედეგი კიდევ გამოიღოს... ასე რომ, რუსეთმა დრო მოიგო.



— **რამდენად შესაძლებელია, რუსეთმა პერევის საკითხით, საფრანგეთში ევროპული უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ სამიტზეც ივაჭროს?.. როგორც ცნობილია, ამ სამიტზე საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის პირველი პირები ევროპის უსაფრთხოების თემებზე ისაუბრებენ და ამ საკითხთან დაკავშირებით, პრეზიდენტ მედვედევის შეხედულებასაც განიხილავენ.**

— პერევიდან გასვლით, რუსეთმა რამდენიმე კურდღელი დაიჭირა. როდესაც უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ სამიტზე მიდიხარ, თავადაც უნდა იყო უსაფრთხოების გარანტი. რუსეთმა ეს ფაქტი გაითვალისწინა, წინასწარ განსაზღვრა, რომ საფრანგეთი აგვისტოს ხელშეკრულებას უეჭველად შეახსენებდა... ახლა შესაძლოა, მოსკოვმა სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულება შესრულებულად გამოაცხადოს და ამაზე წლების განმავლობაში იდაოს.

— **უნდა ველოდეთ თუ არა იმას, რომ მერკელმა და სარკოზიმ, პერევის „გადმოგდების“ სანაცვლოდ, ევროპის უსაფრთხოების ის კონცეფცია გაიზიარონ, რომელიც მედვედევს აქვს შემუშავებული? როგორც უკვე ვიცით, მედვედევის კონცეფციის თანახმად, ნატოსა და ამერიკის როლი მინიმუმამდეა დაყვანილი, რუსეთი კი გავლენას იბრუნებს არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ ევროპის ნაწილშიც.**

— არა, ეს შეუძლებელია. ევროპა საკუთარ ინტერესებს პერევის კი არა, საქართველოს სრული დეოკუპაციის შემთხვევაშიც კი არ დათმობს. თანაც, ევროპა მხოლოდ საფრანგეთი და გერმანია ხომ არ არის?! გარდა ამისა, ევროპის უსაფრთხოების ახალ კონცეფციასთან დაკავშირებით, ამერიკის ინტერესებიც გასათვალისწინებელია. ეს რუსეთმაც კარგად იცის, უბრალოდ, საკუთარ კონცეფციას დასავლეთთან სავაჭროდ იყენებს. ყველამ მშვენივრად იცის, რომ დღეს რუსეთი არ დგას ისეთ ძლიერ პოზიციაზე, როგორზეც საბჭოთა კავშირის დროს იდგა და ვერც ევროპის უსაფრთხოების ძირითადი კომპონენტების შემუშავებაში მიიღებს მონაწილეობას.

— **შეუძლია თუ არა რუსეთს, ვაჭრობის საგნად აქციოს და პროვოკაციული მიზნებისთვის გამოიყენოს საქართველოს მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ადამიანებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივება?**

— ეს ნამდვილად, ადვილი შესაძლებელია. ამ კუთხით, რუსეთის მხრიდან რეალური საფრთხეები არსებობს.

— **კონკრეტულად რა საფრთხეებს გულისხმობთ?**

— უკვე საფრთხეა ის, რომ რუსეთ-საქართველოს შორის კიდევ უფრო დაიძაბება ურთიერთობა, რუსეთს კიდევ უფრო გავაბოროტებთ და გაცილებით მეტი რისკის წინაშე აღმოვჩნდებით. თუ წარმოგიდგენიათ, რა შეიძლება მოხდეს, რამდენიმე ბოევიკი ჩვენს ტერიტორიაზე რომ გადმოვიდეს, რუსეთმა მათი გადაცემა მოინდომოს და ჩვენ რომ არ გადავცეთ?..

— **რუსეთი არც ისე გვაკლებს ხელს... მაგრამ საინტერესოა — მოსალოდნელი საფრთხეები ჩვენმა ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა?**

— ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თქვა, — ჩვენ ჩრდილოეთ კავკასიიდან აგენტების შემოსვლის არ გვეშინია, იმიტომ, რომ მათზე დაკვირვებას განვახორციელებთო. მესმის, რომ ხელისუფლებას გაცნობიერებული აქვს მოსალოდნელი რისკები, საფრთხეები და მათ აღსაკვეთად, გარკვეული ზომებიც აქვს შემუშავებული, მაგრამ ამას ხომ დამატებითი რესურსი სჭირდება?! საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, გაცილებით მეტი ადამიანისა და ტექნიკის მობილიზება მოგვიწევს და გაცილებით მეტი თანხა დაიხარჯება ჩვენი ბიუჯეტიდან. რისთვის ვაკეთებთ ამას?! მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენი მტრის მტერი დავიმეგობროთ?.. ეს არ არის სწორი პოლიტიკა. ბოროტებას ბოროტებით არ უნდა დავუპირისპირდეთ. ერთ ამბავს შეგახსენებთ: როდესაც რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გაამკაცრა, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოქალაქეებისთვის ეს ყველაფერი უფასო გახადა. ახლა ჩვენც იმავეს ვაკეთებთ. მთელი რუსეთის მოსახლეობას ვიზა სჭირდება საქართველოში შემოსასვლელად, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობას კი უპრობლემოდ შეუძლია ჩვენი ქვეყნის საზღვრის გადმოკვეთა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი დიდი ნაწილი რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის...

„სანიტური“ გთავაზობთ სამკურნალო და დასვენების ტურებს ევროპის ქვეყნებში, ეგვიპტეში, ჩინეთში, ტაილანდში და სხვ.
ფასები საოცრად ხელმისაწვდომია
ნუ გადადებთ, დაგვირეკეთ:
892 44-09-18; 851 31-55-50; 36-37-64; 36-48-26
ს. ჩიქოვანის №27

— რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი ჩვენი მტრის მტერთან დამეგობრების მიზნით გააკეთა და არა კავკასიაში ჩვენი ქვეყნის როლის გასაზრდელად? როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, ჩრდილოეთ კავკასიაში ბევრ ადამიანს აქვს საქართველოში სწავლის სურვილი.

— თუ ვინმეს აქ სწავლა უნდა, ისედაც გადმოვა. მერწმუნეთ — ეს საბაბი უფროა, ვიდრე რეალური საფუძველი... იცით, ყველაზე დიდი პრობლემა რა არის? რუსეთს საბაბი მივეცით, თავი იმართლოს, როდესაც ევროპა პრეტენზიებს წაუყენებს.

— **რას გულისხმობთ?**

— მართალია, რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები გაუქმებულია, მაგრამ ჩვენ შეგვეძლო, ჩრდილოეთ კავკასიასთან სავიზო რეჟიმის გაუქმების ინიციატივა მოსკოვისთვის, ჩვენი შუამავალი ქვეყნის — შვეიცარიის საშუალებით შეგვეტყობინებინა. ეს გაცილებით კონსტრუქციული იქნებოდა და როდესაც ევროპა რუსეთს საქართველოსთან დიალოგისკენ მოუწოდებდა, კრემლი ვეღარ იტყოდა, — როგორ ვისაუბრო ქვეყანასთან, რომელიც პროვოკაციული მოქმედებებით არის დაკავებულიო?!. სამწუხარო რეალობაა, რომ საქართველო პატარა სახელმწიფოა და დიდ რუსეთთან ჭიშპობით, მიზანს ვერ მიაღწევს. ■



# მორიგი არეულობა ჩრდილოეთ კავკასიაში

## თუ საბედისწერო გაბრძოლება ფედერაციული რუსეთის წინააღმდეგ?!

**ჩეჩნეთის პარლამენტში სროლას მსხვერპლი მოჰყვა; ადიღეში უკვე მერამდენე დღეა, აფეთქებების ხმა ისმის; დაღესტანში რუსულ მილიციასა და ადგილობრივ ბოევიკებს შორის შეტაკებები ჩვეულ მოვლენად იქცა; ინგუშეთში მილიციას ცეცხლი გაუხსნეს; ყაბარდო-ბალყარეთში რუსული სპეცსამსახურების მორიგი ჯგუფი გადასხეს — ასეთია ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი ვითარების არასრული სურათი. მსგავსი დაძაბულობა არაერთხელ ყოფილა, თუმცა რუსეთი კავკასიის გასაკონტროლებლად ძალისხმევას არ იშურებდა... ადგილობრივი ანალიტიკოსებისა და პოლიტოლოგების აზრით, „კავკასია არ უნდა დანებდეს, რადგან თუ „გააჩუმებენ", ამჯერად დუმილი მისთვის საბედისწერო იქნება..."**

*ლალი პაპასკირი*

*იქ არსებული მოვლენების გადმოსაცემად, ჩრდილოეთ კავკასიის რამდენიმე კოლეგასა და პოლიტოლოგს დავუკავშირდი. საქართველოს ხელისუფლების მიერ სავიზო რეჟიმის გამარტივების შეფასებაც ვთხოვე.*

**ქემელ დალიევი,** *დამოუკიდებელი ჩეჩენი ჟურნალისტი:*

— გროზნოში რუსეთის ფედერაციის შს მინისტრი, რაშიდ ნურგალიევი იმყოფება და ყველა ცენტრალურ ქუჩაზე სპეცრაზმის ნაწილებია მობილიზებული... ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი ძალაუფლების შესანარჩუნებლად გააფთრებით იბრძვის, ოღონდ ამ ყველაფერს საკუთარი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ აკეთებს, ამიტომ მუდმივად უწევს პირადი დაცვის თანამშრომელთა შეცვლა და ესკორტის გაზრდა... ვერ გეტყვით, თავდაცვის ეს მექანიზმი რამდენად შედეგიანი იქნება, იმიტომ, რომ ჩეჩნეთში მის მიმართ გაღიზიანება ყოველდღიურად მატულობს. ჩეჩენი ხალხი მას რუსეთის მმართველთა პოლიტიკის გამტარებლად აღიქვამს. მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ოპოზიციონერი დურგალიევის ოჯახზე სასტიკად იძია შური... გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, ჩეჩნეთში მოძალადე რუსეთის მიმართ ისეთი მასობრივი არეულობა და ძლიერი წინააღმდეგობა არ ყოფილა, როგორიც დღეს არის: ყოველდღიურად ხდება მკვლელობა, აფეთქება, სროლა და ადამიანთა გატაცება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი იქ არსებულ ყველა სამხედრო ბაზასა და ნაწილს სპეცრაზმის ძალებით იცავს, შეიარაღებული დაჯგუფებები, როგორც მათ რუსული სპეცსამსახურები უწოდებენ — ე.წ. ბოევიკები მაინც ესხმიან მათ თავს... გასულ დღეებში მსგავსი ინციდენტი გროზნოს რამდენიმე მილიციის განყოფილებასა და საჯარისო ნაწილში მოხდა...

— **რუსულ პრესაში წერენ, რომ სამართალდამცველები ჩეჩნეთში კრიმინალს ებრძვიან...**

— რუსულ პრესაში იმასაც წერენ, რომ ჩეჩნეთსა და დანარჩენ ჩრდი-




ლოეთ კავკასიას საქართველო ამარაგებს ამერიკული იარაღით, და ბოევიკები, სააკაშვილის ხელისუფლების დაკვეთით, რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში ტერაქტებს აწყობენ... გჯერათ თქვენ ამისი?!.

**იანიდ ილოევი,** *პოლიტოლოგი, ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ეთნიკური გაერთიანების ორგანიზაციის წევრი:*

— რუსოფობია კავკასიაში კარგა ხანია, იგრძნობა და ეს ყველა სფეროზე აისახება. ოქტომბრის პირველ რიცხვებში დაღესტნის დედაქალაქის სტადიონზე, მოსკოვის „სპარტაკსა“ და მახაჩყალის „ანჟის“ შორის საფეხბურთო მატჩის დროს, რომელსაც რუსეთის ხელისუფლების რამდენიმე მაღალჩინოსანიც ესწრებოდა, გულშემატკივრებს შორის ჩხუბი ატყდა; ის თანდათან, მასობრივ შეტაკებაში გადაიზარდა, რომელსაც მოჰყვა ის, რომ ადგილობრივებმა სტადიონზე გამოიტანეს ბანერი წარწერით: „ჰიტლერი მოკვდა! თქვენ მისი შთამომავლები ხართ და თქვენც მოკვდებით!“ დაღესტნელმა სამართალდამცველებმა „ანჟის“ გულშემატკივრები ნაციზმში დაადანაშაულეს და იმავე დღეს, ასობით ადამიანი დააპატიმრეს. ბუნებრივია, საფეხბურთო მატჩი ჩაიშალა... ცოტა ხანში, მატჩის გამართვის მცდელობა ისევ სავალალო შედეგით დასრულდა: „სპარტაკის“ გულშემატკივრები ამჯერად მახაჩყალის „ომონის“ თანამშრომლებმა დაარბიეს და ცეცხლი გაუხსნეს ავტობუსს, რომლითაც ისინი მოსკოვიდან დაღესტანში ჩამოვიდნენ; ორი ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე ათეულმა სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო. მაშინ რუსულმა სპეცრაზმმა მახაჩყალაში ყველაზე ხანგრძლივი და სასტიკი ოპერაცია ჩაატარა, რომელსაც „დიკაია დივიზია“ დაარქვეს. მომდევნო ორი დღის განმავლობაში, გროზნოს ორ რაიონში სისხლისმღვრელი სპეცოპერაციები მიმდინარეობდა. „ომონის“ რამდენიმე თანამშრომელი დააკავეს და მათ წინააღმდეგ, განზრახ მკვლელობის მუხლით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა... 12 ოქტომბერს პეტერბურგში, რუს კოლეგებთან სასაუბროდ მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ექსპერტები იყვნენ მიწვეული. ექსპერტ ხალიდოვის თქმით, თუ რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიაში დაძაბულობის მოხსნა ნამდვილად სურს, მაღალჩინოსნებმა ამ პრობლემის შესახებ არა ერთმანეთთან დუმის კაბინეტებში, არამედ რესპუბლიკის წარმომადგენლებთან უნდა ილაპარაკონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვითარება ბევრად უფრო გაუარესდება.



— **ვიცი, რომ იმ შეხვედრისას ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის გაერთიანებაზეც იყო საუბარი; თქვენ რამდენად რეალურად მიგაჩნიათ, თუნდაც საქართველოსთან უფრო ახლო ურთიერთობის ჩამოყალიბება?**

— არსებობს უამრავი ფაქტორი, რომლის გამოც ამ ორი რეგიონის — ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის გაერთიანებაზე საუბარი ნაადრევია. ამ შემთხვევაში, ჩვენ კონკრეტულად საქართველოზე ვლაპარაკობთ და გეტყვით, რომ ეს ქვეყანა — თავისი გავლენით, საგარეო ურთიერთობებით, საშინაო პოლიტიკითა და სამოქალაქო საზოგადოებით — ბევრად უფრო წინ არის, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიის ნებისმიერი რესპუბლიკა. მაგალითად, საქართველოს ხელისუფლება ებრძვის რუსეთის გავლენას ევროპასა და კავკასიაში და ნატოში გაწევრებისთვის იღვწის, დაღესტანი კი ჯერ კიდევ საბჭოთა რუსეთის მანკიერ სისტემას ებრძვის და მას სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისგან ძალიან ბევრი რამ აშორებს... როცა საქართველომ საბჭოთა რუსეთის კლანჭებს თავი დააღწია, ის სისტემა მაშინ მორყეული იყო, ახლა კი, თავისი ენერგორესურსების მეშვეობით, მისი გავლენის სფეროები ძლიერდება. რაც უფრო მეტი სახელმწიფო გაუწევს რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას ანგარიშს, მით უარესი იქნება ჩვენთვის... სამწუხაროდ, არაერთხელ მოგვისმენია ევროპელი დიპლომატებისგან, — ჩრდილოეთ კავკასიას ისინი რუსეთის შემადგენლობაში შემავალ, ერთიან რეგიონად აღიქვამენ, რომლის პრობლემების მოგვარება რუსეთის საშინაო პოლიტიკასთან არის გაიგივებული... ასეთ ვითარებაში, საქარ-



თველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივება და თქვენი ხელისუფლების ინიციატივა (ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან პირდაპირ ურთიერთობას ვგულისხმობ), უდავოდ, გაბედული ნაბიჯია. თუმცა რეალურად რა შედეგს მოგვცემს ეს გადაწყვეტილება და შესრულებს თუ არა რუსეთისთვის პოლიტიკური აღვირის ამოდების ფუნქციას, ამას დრო და კავკასიელ ხალხთა ლიდერების მოქმედება გვიჩვენებს. გარდა ამისა, ამ პროექტის წარმატებულობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ეფექტიანად იმუშავებს საქართველოს დიპლომატიური კორპუსი დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში.

**— რას გულისხმობთ? რახან საქართველოს ხელისუფლება ამ ინიციატივით გამოვიდა, „გზების გახსნაზეც“ თავად უნდა იზრუნოს?**

— დიახ, სწორად მიმიხვდით... ამ შემთხვევაში საქართველო კავკასიაში ლიდერის სტატუსს ისევ დაიბრუნებს.

**ჰეიდარ ნადალი,** *ჟურნალისტი, ინგუშეთის სახალხო მოძრაობა „კავკასიელ მთიელ ხალხთა გაერთიანების“ წევრი:*

— საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო, რუსეთის თავდასხმის, უფრო — ომის შემდგომ სწორად დაგეგმილი პიარის შედეგად ევროპისგან სიტყვიერი, ხოლო ამერიკისგან უფრო ქმედითი მხარდაჭერა მიეღო. ამ სახიფათო თამაშში ზოგჯერ რუსეთი რჩებოდა მოგებული, მაგრამ მეტწილად, მაინც საქართველო იმარჯვებდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენმა ქვეყანამ დიდ ბეწვის ხიდზე გაიარა და რუსეთს დაუმტკიცა, რომ ხელწამოსაკრავი სახელმწიფო როდია. საერთაშორისო საზოგადოება მას ელაპარაკება და უსმენს... ჩვენ ამ ბეწვის ხიდის გავლა ახლა გვიწევს... ერთი სიტყვით, პარალელებზე საუბარი გამიჭირდება. ევროპას სამხრეთ კავკასია და კასპიის ზღვის რეგიონი სჭირდება, ჩრდილოეთ კავკასიას კი — რუსეთის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს და ჩვენ შესახებ იმ „გაფილტრული“ ინფორმაციით კმაყოფილდება, რომელსაც რუსული სპეცსამსახურები აწვდიან. ასე და ამგვარად, დასავლეთის თვალში, ჩრდილოკავკასიელი ხალხები კი არ იბრძვიან დამოუკიდებლობისთვის, არამედ ამ რეგიონში კრიმინალი მძვინვარებს; სიტყვა „კრიმინალს“ კი მშვიდობისმოყვარე ევროპელები ძალიან უფრთხიან.

**— ასეთ ვითარებაში, რა პერსპექტივა აქვს თქვენს ბრძოლას?..**

— ჩვენ უკან დასახევი გზა არ გვაქვს და არც დასაკარგავი გვაქვს რამე. დუმილი ჩვენთვის უკვე საბედისწერო იქნება... ამდენი წლის განმავლობაში ვიბრძოლეთ და მსოფლიოშიც ჩვენზე არსებობს სწორი შეხედულება, — ეს ხალხები იბრძოდნენ და ახლაც იბრძვიანო, — მაგრამ ბევრმა არ იცის, თუ სახელდობრ რა მიზნისთვის ვიბრძვით. ამიტომ, უნდა გავაგებინოთ მსოფლიოს ჩვენი ბრძოლის მიზანი და მიზეზი...



**— თუ არსებობს გეგმა, რომელიც ყარაჩაეთ-ჩერქეზეთს, ყაბარდო-ბალყარეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის დანარჩენ რეგიონებს აერთიანებს?**

— არა, ჯერჯერობით მსგავსი თანამშრომლობის პროექტი არ არსებობს, თუმცა ვიცი, რომ ამის სურვილი თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს... გავერთიანდებით, თუ რუსეთი იარაღით გააგრძელებს ჩვენი ბრძოლის ჩახშობას. შესაძლოა, ეს ჩრდილოკავკასიელი ხალხების გადასარჩენად გადადგმული უკანასკნელი ნაბიჯი გახდეს... რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების ინიციატივას უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით, — თქვენი ახალგაზრდა პრეზიდენტის მხრიდან ეს გაბედული და რისკიანი შემოთავაზება და კავკასიელი ხალხების თუნდაც კულტურულ საფუძველზე გაერთიანებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება. მსგავსი ინიციატივა გვახსოვს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან — მისი ავტორი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია იყო, მაგრამ მაშინ, რუსეთის სპეცსამსახურებმა ეს ჩანაფიქრი ჩანასახშივე მოსპეს... ერთი სიტყვით, ყველამ კარგად დაინახა, რომ ჩეჩნეთის გაჩუმებით, მთელი ჩრდილოეთ კავკასია დაზარალდა. წარსულის მწარე გამოცდილებამ ჩრდილოკავკასიელ ხალხებს უკეთესი მომავლისთვის ბრძოლის სტიმული უნდა მოგვცეს... მაშინ საქართველო არ შეეგუა რუსეთის რეჟიმს და შედეგსაც მიაღწია. ისლა დაგვრჩენია, საქართველოს ისტორიის მაგალითით ვიხელმძღვანელოთ...

**თემურ ქორიძე,** *1991 წლის მოწვევის, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი:*

— 90-იან წლებში ზვიად გამსახურდიამ დააარსა კიდეც იბერიულ-კავკასიური მოძრაობა. თუმცა ეს, არა პოლიტიკური, არამედ კულტურული ხასიათის მოძრაობა იყო. მას არც იმის ილუზია ჰქონდა, რომ საერთო-კავკასიურ სახელმწიფოს შექმნიდა; ასეთი შემთხვევა კავკასიის ისტორიაში არ ყოფილა და, რელიგიური და კულტურული განსხვავებულობის გამო, ალბათ ვერც იქნება... ისე კი თავად ზვიად გამსახურდია იმ წლებში ჩრდილოკავკასიელ ხალხებში ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა — მისი ფოტოები ყველა ავტონომიის ქალაქის ცენტრში ჰქონდათ გაკრული და ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა კავკასიაში „დაიბადა“ საერთო-კავკასიური ლიდერი... ვერ გეტყვით, რამდენად პერსპექტიული იყო ეს მოძრაობა და არსებობდა თუ არა მისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების საფუძველი, ვინაიდან ამ ხალხებს ახსოვთ ჩვენი მოღალატური საქციელი XIX საუკუნეში, როცა რუსეთი გააფთრებული ებრძოდა შამილს... ჩრდილოკავკასიელები კი იშვიათად ივიწყებენ წყენას... ასეა თუ ისე, 1990-იან წლებში ეს მცდელობა სამწუხაროდ, ჩანასახშივე მოკვდა, ვინაიდან ჩეჩნეთის არაერთგზის აოხრების შედეგად, რუსეთმა მთელი ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილება შეძლო...

**— ახლა მთელ რეგიონში უკიდურესად დაძაბული ვითარებაა; ამ გარემოების გათვალისწინებით, რამდენად მისასალმებელია საქართველოს ხელისუფლების ინიციატივა?**

— ეს არის ძალიან იაფფასიანი და პრიმიტიული ავანტიურა. შესაძლოა, ამ „გაბედულ ნაბიჯს“ ჩვენთვის სასიკეთო შედეგი არ მოჰყვეს... რუსეთთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება არა გვაქვს და შეიძლება, მან ეს „ჩქმეტა“ ჩვენს დასასჯელად გამოიყენოს...

■


რატომ გადაშენდნენ დინოზავრები?
გაიგეთ უფრო მეტი !
25 ოქტომბრიდან — 1 ნოემბრამდე
დინოზავრები

## ქვეყანა

**„მედია პალიტრა“ ჟურნალ „ბომონდთან“ ერთად, კიდევ ერთ საუცხოო პროექტს — „ჩვენი ხმების საგანძური“ — განაგრძობს. ჟურნალის თითოეულ ნომერს ერთ-ერთი ქართული ანსამბლის დისკი მოჰყვება. „ბომონდის“ ოქტომბრის ნომრის შეძენისას მკითხველს შესაძლებლობა ექნება, საკუთარი ფონოთეკა „ცისფერი ტრიოს“ სიმღერებით გაამდიდროს. ანსამბლის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტების გახსენება „ცისფერი ტრიოს“ ერთ-ერთ წევრს, ბატონ დავით აბესაძეს ვთხოვეთ.**

*ელენე ბასილიძე*

*საგანძური*

# აქცია გრძელდება — „ცისფერი ტრიოს“ დისკი ჟურნალ „ბომონდთან“ ერთად




ფრანგმა ფოტოგრაფმა ჩემი მისამართი ჩაიწერა და დამპირდა, აუცილებლად გამოგიგზავნითო

**— მათ, ვისაც „ბომონდთან“ ერთად, თქვენი ახალი დისკი ჯერ არ შეუძენია, პირველ რიგში, ის ვაცნობოთ — რამდენ სიმღერას მოუყარეთ თავი?**

— ამ ალბომში 10 სიმღერაა შესული... ადრე, სანამ კომპაქტდისკები გამოვიდოდა, ჩვენი სიმღერები გრამფირფიტებზე იწერებოდა. ერთხელ გამოვუშვით ფირფიტა, რომელზეც 12 სიმღერა იყო ჩაწერილი. სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენს ტრიოს ბევრი სიმღერა არ უმღერია. მუდამ ძიებაში ვიყავით — ჯერ ლექსს ვარჩევდით გულმოდგინედ, მერე მუსიკალურ კომპოზიციას ვუხამებდით... ჩვენს რეპერტუარს თუ გადავხედავთ, ძირითადად, ლირიკულ სიმღერებს ვასრულებდით (*ილიმის*).

**— „ცისფერი ტრიო“ 15 წლის განმავლობაში აღარ ამღერებულა...**

— კი, მართალია... 15-წლიანი პაუზა გვქონდა. ხანდახან კი ვიკრიბებოდით და ვმღეროდით, მაგრამ სისტემატურად სცენაზე არ გამოვდიოდით. ყველას ახსოვს, საქართველოსთვის ავადსახსენებელი პერიოდი, როცა ყველაფერი აირია, გამუდმებით სროლის ხმა ისმოდა და ყველას ძალიან უჭირდა... სიმღერისთვის აღარავის ეცალა, მათ შორის — ჩვენც... ამ იძულებითი შესვენების განმავლობაში სიმღერის გარეშე მაინც ვერ გავძელი და „ქართულ ხმებში“ მივედი. რამდენჯერმე გასტროლზე ანსამბლ „სიმთან“ ერთადაც წავედი და ალბომიც ჩავწერე... 1 წელია, რაც „ცისფერი ტრიო“ კვლავ ამოქმედდა. ჯერჯერობით, ისევ ძველი რეპერტუარით გვიწევს მსმენელის წინაშე წარდგომა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, როგორც ახალბედები, ისე ვმღერით...

**— ტრიოს შექმნის ამბავი გავიხსენოთ...**




— ტრიოს წევრები მოყვარული მომღერლები გახლდით. მე და მალხაზ თავართქილაძე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი), არქიტექტურის ფაკულტეტზე ვსწავლობდით, თამაზ სეფერთელაძე კი მშენებელ-ინჟინერი გახლდათ. „გეპეის“ კაპელაში ვმღეროდით, ხშირად ვუსმენდით „გეპეის ტრიოს“, ძალიან მოგვწონდა. ჩვენს ინსტიტუტში ფაკულტეტებს შორის, ოლიმპიადები ტარდებოდა. ერთ დღეს მე, თამაზი და მალხაზი ერთად გამოვედით სცენაზე... მერე „გეპეის“ საესტრადო ორკესტრში მიგვიწვიეს, რაც ჩვენთვის დიდი პატივი იყო. 1972 წლიდან დავიწყეთ ერთად სიმღერა. მერე ფილარმონიაში მიგვიწვიეს და 1974 წლიდან უკვე პროფესიონალურ სცენაზე ვიდექით. ხშირად დავდიოდით გასტროლებზე, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის ორკესტრთან, ასევე „სუხიშვილებთან“ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ქორეოგრაფიულ ანსამბლთან ერთად. ეს ფოტო, რომელიც ახლა გიჩვენეთ, 1976 წელს, საფრანგეთში გასტროლების დროსაა გადაღებული, სადაც მოცეკვავეებთან ერთად ვიყავით. იქაურ ფოტოგრაფს გადაუღია ჩვენთვის; ქუჩაში სეირნობისას, მისი ატელიეს ფანჯარაზე გაკრული დავინახე, შევედი და ვთხოვე, — იქნებ ჩემთვისაც დაგებეჭდათ-მეთქი?.. 2 დღის შემდეგ საქართველოში ვბრუნდებოდით. ფრანგმა ფოტოგრაფმა ჩემი მისამართი ჩაიწერა და დამპირდა, აუცილებლად გამოგიგზავნითო. რამდენიმე კვირის შემდეგ, მართლაც ჩამომივიდა ფოტო.

**— გასტროლებზე ბევრ ქვეყანაში ხართ ნამყოფი, არა?**

— პირველად 1973 წელს წავედით გასტროლზე. არაჩვეულებრივი მოგ-

ზაურობა იყო, რომლის დროს განცდილი შთაბეჭდილებებიც დღემდე შემომრჩა. დასავლეთ ბერლინში ვიყავით და თავი სიზმარში გვეგონა. წასვლამდე ბევრმა გვითხრა, — გერმანელები თქვენს შემოქმედებას ვერ გაიგებენ, იქ არც ქართული ცეკვა უნახავთ და არც სიმღერა მოუსმენიათო... 15-კაციანი გუნდი გავემგზავრეთ. ვმღეროდით როგორც ხალხურ, ასევე ლირიკულ, „ტრიოს" სიმღერებსაც. როცა მოცეკვავეების გუნდმა „ფარიკაობა" შეასრულა, ტაშით ლამის დაინგრა დარბაზი, ხოლო იმერული „იავნანას" აჟღერებისას, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა... მერე, როგორც კი მაყურებელს თავი დავუკარით, თითქოს ბომბი გასკდაო — ტაშმა იჭექა!.. მერე კიდევ რამდენიმე სიმღერა შევასრულეთ და ვინღა გიშვებდა იქიდან?!. გერმანიაში ძალიან კარგი მსმენელი დაგვხვდა — იქაურები მრავალხმიან სიმღერებს შეჩვეულები იყვნენ. აი, არაბეთში კი, ერთხმიან სიმღერას მიჩვეულ მსმენელს ქართული სიმღერების „გაგება" ძალიან გაუჭირდა. საფრანგეთში ყოფნისას მალულად შევხვდით ქართველ ემიგრანტებს. ჩვენი სიმღერის მოსმენისას ცრემლებს ვერ იკავებდნენ, წახდა ხალხი... იქვე ერთი მოხუცებული ქართველი ემიგრანტი კაციც ვნახეთ და რომ ვკითხეთ, — ბატონო თათარხან, რამდენი წლის ბრძანდებით-თქო? — 22 წლის გახლავართო, — გვიპასუხა... ჩვენი გაკვირვებული სახეების დანახვისას გაეცინა და გვითხრა: — რაც აქ ვცხოვრობ, იმას არ ვთვლი, მხოლოდ 22 წელი ვიცხოვრე საქართველოში და ამდენი წლის დავრჩიო...

**— ქართული სიმღერის შესწავლის სურვილს თუ გამოთქვამდნენ უცხოელები?**

— შვედეთში იქაურებმა კლუბში დაგვპატიჟეს. ანსამბლის ბიჭებმა ჩემთან ერთად წამოსვლა ვერ მოახერხეს და, მერე მოვალთო, მითხრეს. აღმოჩნდა, რომ ეს შვედები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ სიმღერებს სწავლობდნენ. ქართული სიმღერებიც იცოდნენ და ისე მღეროდნენ, მათ ქართველობაში ეჭვიც არ შეგეპარებოდათ. ანსამბლის ბიჭებმა ეს არ იცოდნენ; ბარს რომ მოუახლოვდნენ, ამ დროს შვედები „ასლანურ მრავალჟამიერს" მღეროდნენ და ჩვენებს ერთმანეთისთვის გადაუხედავთ, — ბიჭო, დათოს მარტო რა ამღერებს ამდენ ხმაშიო (*იცინის*)?!. ბარში შემოსულებმა ქართულად მომღერალი შვედები რომ დაინახეს, გაკვირვებისგან კინაღამ გადაირივნენ (*იღიმის*). ქართულად მომღერალი უცხოელები ამერიკაშიც ვნახე და საფრანგეთშიც...

**— ბატონო დავით, რაიმე სიახლეს ხომ არ გეგმავთ? კიდევ ჩაწერს „ცისფერი ტრიო" სიმღერებს?**

— თუ ჩვენი ჟანრისა და სტილის სიმღერა მოვძებნეთ, აუცილებლად ჩავწერთ... რამდენჯერმე გვითხრეს კომპოზიტორებმა, — თქვენთვის სიმღერა დავწერეთო, მაგრამ ეს არ იყო ჩვენი სტილის სიმღერა... სტილსა და ჟანრს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ... ცოტას ვზარმაცობთ, მაგრამ იმედია, მოვა დრო, როცა ისევ მოვიცლით სიმღერისთვის. მიხარია, რომ ხალხურ სიმღერებს არაჩვეულებრივი ახალგაზრდები მღერიან. ისინი აუცილებლად გააგრძელებენ ჩვენს საქმეს...

**— თქვენი ვაჟიც მღერის, არა?**

— კი, გიგა „ქართული ხმების" მეორე თაობაში მღერის. მამის კვალს გაჰყვა. თავის მეგობრებთან ერთად მღერის მალხაზ თავართქილაძის ვაჟიც. ჩვენი შვილები მამების გზას აგრძელებენ. არაჩვეულებრივი ახალგაზრდები მოდიან. მათ რომ ვუყურებ, გული სიამაყით მევსება. ვიცი, ქართულ სიმღერას დავიწყება არ ემუქრება. ■



# იაკობ გოგებაშვილი — მშობლიური ენისა და ქართული სკოლის მოდარაჯე

**„ბათა ქექიასა“ და კიდევ ბევრი ნაწარმოების ავტორს, რომლის შემოქმედების გაცნობაც ალბათ უკვე მოასწარით „ქართული პროზის საგანძურის“ 33-ე ტომში, მწერალ დემნა შენგელაიას უთქვამს: „ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ ხელში პირველად აიღებს. აიღებს, გაშლის და, თითქოს ისევ დაიბადაო“.**



*ირმა ხარშილაძე*

ვინც ჯერ კიდევ არ ზიარებია საკუთარ სულში ამ სამყაროს დაბადებას ან ვისთვისაც უკვე ძალიან ძვირფასია „იის“ ნამით განედლებული ქართული“, „საგანძურის“ 34-ე ტომად ქართველი პედაგოგის, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, საბავშვო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების ნაწილს — „საღმრთო ისტორიასა“ და მოთხრობებს ვთავაზობთ.

XIX საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეებს, იმჟამინდელი ყოფიდან გამომდინარე, თურმე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში უხდებოდათ მუშაობა: მწერლობდნენ კიდეც, პუბლიცისტობდნენ, ისტორიკოსობდნენ, ბუნებისმეტყველებდნენ და საერთოდაც, არავითარ შავ სამუშაოს არ ერიდებოდნენ. მაგრამ თითოეულს მაინც ჰქონდა განსაკუთრებული მოწოდება — გზა, რომელსაც გამორჩეულად მიჰყვებოდა და ამ სამსახურით მიიჩნევდა პასუხისმგებლად თავს საზოგადოებისა და ისტორიის წინაშე. იაკობ გოგებაშვილმა ასეთ მოწოდებად პედაგოგიური ასპარეზი აირჩია და მთელი ცხოვრება თითქოს დარაჯობდა მშობლიურ ენასა და ქართულ სკოლას თავისი „დედაენითა“ და „ბუნების კარით“. ვისაც ქართული ენის, ქართული მწიგნობრობის ღალატს შეატყობდა, მეხივით დაატყდებოდა ხოლმე თავს. თვითონ ხომ პასუხს გასცემდა, მაგრამ ილიასაც მიეჭრებოდა ხოლმე: „გაგვიძეხ, ბერო მინდიავ, კარს საფრთხე მოგვდგომიაო!“ თუმცა რუსული ბიუროკრატიისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლებს — ილიას, აკაკისა და იაკობს სიტყვა არ დასცდენიათ რუსული კულტურისა და ენის სწავლების საწინააღმდეგოდ. პირიქით, 1887 წელს იაკობ გოგებაშვილმა შეადგინა „რუსკოე სლოვო“, რომელიც დიდხანს ემსახურებოდა ქართველ ახალგაზრდებს. ყმაწვილებისთვის შედგენილი ბიბლიით — „საღმრთო ისტორიით“, ისტორიული მოთხრობებითა თუ სხვა ნაწარმოებებით მწერალი სიყვარულით ესაუბრებოდა ყველა ასაკის ადამიანებს და ასწავლიდა იმას, რაც ჩვენს ეროვნულ არსებობას განამტკიცებდა, რაც ერს მის შესაფერის სახეს შესძენდა.

იაკობ გოგებაშვილი სწორედ საყმაწვილო ლიტერატურას მიიჩნევდა „საუკეთესო საძირკვლად, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა“. ხშირად იმიტომაც „აადამიანებდა“ ცხოველებსა და ფრინველებს, ადამიანურ ჩვევებსა და განწყობილებას სძენდა, რომ ბავშვი მეტად დაახლოებოდა ბუნებას და მასთან შემაერთებელი ხიდიც კი გაედო. ხანდახან მოთხრობებში ისე გადმოსცემდა ნადირ-ფრინველთა და ადამიანთა ცხოვრების ეპიზოდებს, თითქოს ამთლიანებდაო. მაგალითად, უდიდესი ემოცია, განცდა მოჰყვება მოთხრობას — „საშინელი სასჯელი მოღალატისა“, რომელსაც „ქართული პროზის საგანძურის“ სერიით გამოცემულ იაკობ გოგებაშვილის კრებულშიც წაიკითხავთ. აქ მოთხრობილია XVI საუკუნის დასასრულის საქართველოში მომხდარი ამბავი. ძალიან მოკლედ გეტყვით, დანარჩენს კი იმედია, თვითონ წაიკითხავთ „საგანძურის“ 34-ე ტომში, რომელიც „გზის“ დღევანდელ ნომერს დაერთვის. მიუხედავად მედგარი ბრძოლისა, ქართველთა ჯარი სვიმონ მეფის მეთაურობით, დამარცხდა. ქვეყანა სპარსელებმა ააოხრეს, ააწიოკეს, ამ უბედურების მიზეზი კი მოღალატე ქართ-



წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა


ივანანამ რა ჰქმნა

1890

ველი, გვარად ყორღანაშვილი იყო. მოღალატე დარწმუნებული იყო — სპარსელთა შიშით, ქართველები თითსაც ვერ დააკარებდნენ, მაგრამ მამაცი შურისმაძიებელი მაინც გამოჩნდა: საჩინო ბარათაშვილმა სიტყვებით, — ღმერთმა ყველა ქართველს გაუმარჯოს იუდა მოღალატეზედაო! — ხრამში გადაჩეხა მოღალატე. მთელი საქართველო ადიდებდა თურმე საჩინო ბარათაშვილს, იაკობ გოგებაშვილი კი მოღალატის დასჯის ეპიზოდს ასე ასრულებს: „ეგდო უპატრონოდ ყორღანაშვილის მძორი რამდენიმე დღეს და გახრწნილებას მიეცა. მძორის სუნმა მოიზიდა ამ ადგილისაკენ მთელი ხროვა დამშეულის მგლებისა. მაგრამ ხალხის თქმულებით, როცა ამ მშიერმა ნადირებმა დასუნეს და შეიტყვეს, რომ ეს იყო ლეში მოღალატე ყორღანაშვილისა, ზიზღით აივსნენ, პირი ვერ დააკარეს, უკანვე გაბრუნდნენ და ისევ შიმშილი ირჩიეს, ვიდრე პირის წაბილწვა ამ იუდას ლეშის ჭამითა“. მწერლის დასკვნიდან ჩანს, რომ ღალატის საშინელებას არა მარტო ადამიანები, არამედ მგლებიც კი განიცდიან, ასეთი ფინალი კი ბავშვზე უეჭველად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ისედაც, ისტორიულ მოთხრობებს, ასევე მოთხრობებს საქართველოს გაქრისტიანების თემაზე, იაკობ გოგებაშვილი ბავშვის აღზრდისთვის უმნიშვნელოვანესად მიიჩნევდა. ამიტომაც ვბეჭდავთ ჩვენს „საგანძურში“ მის მოთხრობას წმინდა ნინოს ცხოვრებაზე, „სამას თავდადებულ გლეხს“, „გლეხ ბოსტაშვილს“, „ცხრა ძმან ხერხეულიძენს“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალს“, „ივანნამ რა ჰქმნას?“ და კიდევ რამდენიმეს. ერთი მათგანის — „ქართველი მეფე გლეხის ქოხში“ — წაკითხვა ჟურნალ „გზის“ დღევანდელ ნომერშიც შეგიძლიათ. დიდსა თუ პატარას აქვს წაკითხული „ივანნამ რა ჰქმნა?“ და ძნელად იპოვით ადამიანს, ვისაც ცრემლი არ გადმოვარდნია მისი კითხვისას...

იაკობ გოგებაშვილი აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშიც, რომელსაც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ედგნენ სათავეში. თბილისის სასულიერო სასწავლებელში მისმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ სინოდისა და მეფის ხელისუფალთა უკმაყოფილება გამოიწვია — „საზოგადოებრივი სამსახურისთვის არაკეთილსაიმედო პირად“ გამოაცხადეს და 1874 წელს სასწავლებლიდან ისე გააძევეს, თავის მართლების საშუალებაც კი არ მისცეს. სასოწარკვეთილი გოგებაშვილი თვითმკვლელობიდან ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა. მძიმე ავადმყოფი, და მთელი სიცოცხლე საზოგადო მოღვაწეობას მიუძღვნა. უსამსახუროს, უბინაოს, უსახსროს მრავალი განსაცდელი გაიარა, მაგრამ მიზნისათვის არასდროს უღალატია. იაკობ გოგებაშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაში. სიკვდილის წინ, 1912 წელს ანდერძი დაწერა და მთელი ქონება სწორედ ამ საზოგადოებას დაუტოვა. შავი დღისთვის გადანახული ფული გაანაწილა და ათ-ათი თუმანი გადასცა ქართველთა, სომეხთა და მაჰმადიანთა საზოგადოებებს, ვარიანის სახლი თანასოფლელებს უანდერძა, სადაც იქ მოგვიანებით სკოლა გაიხსნა.

**იაკობ გოგებაშვილი სწორედ საყმაწვილო ლიტერატურას მიიჩნევდა ,,საუკეთესო საძირკვლად, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა‘‘**

სახელმწიფო ბინიდან გამოგდებული, მეგობარს შეეფარა. მაშინ დაწვა ყველა ოფიციალური საბუთი, სემინარიის ატესტატი, აკადემიაში სწავლის მოწმობა და დადო ფიცი: „ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმარო“.

ამის შემდეგ, გოგებაშვილი სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა

იაკობ გოგებაშვილი დიდუბის ეკლესიასთან დაკრძალეს. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ვერცხლის გვირგვინი მიუძღვნა წარწერით: „ხალხის მასწავლებელს — იაკობ გოგებაშვილს“. 1940 წელს, დაბადებიდან 100 წლისთავზე, მისი ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს. ■





# სახე

## საქმიანი ქალის მოუსვენარი ცხოვრება და მიზეზი, რომელმაც მესამე შვილის გაჩენაზე ხელი აალებინა

**ტელეწამყვანი, მოდელი და უბრალოდ, ერთ-ერთი ლამაზი გოგონა თბილისში — ქეთი ყიფშიძე რამდენიმე წლის წინ საკმაო პოპულარობით სარგებლობდა და საზოგადოება მას კარგად იცნობდა. ბოლო დროს კი აღარც ჟურნალის გარეკანზე გამოჩენილა და არც რომელიმე გადაცემის წამყვანად გვიხილავს. ის გათხოვილა და ახლა წლინახევრის ქალიშვილიც ჰყავს. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ ქეთის პირველი ქორწინებიდანაც ჰყავს ქალიშვილი — 10 წლის თაკო.**



*ნათია ჟიჟიძე*

**— ქეთი, როგორც ვიცი, მეორედ შექმენი ოჯახი. გარდა ამისა, სად იყავი მთელი ეს პერიოდი და რას საქმიანობდი?**

— 2-3 წელია, მართლაც, არსად გამოვჩენილვარ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ გათხოვების შემდეგ მალევე დავორსულდი და მეორე შვილი შემეძინა. მთელი ეს პერიოდი, ძირითადად, ბავშვებთან ვიყავი. ერთი წლის წინ კი დავაფუძნე კომპანია, რომელიც უფრო მეტად, კორპორატიულ კლიენტებზე მუშაობს: დიდი კომპანიის თანამშრომლების იმიჯზე ვზრუნავთ და მათ უნიფორმებს ვუკერავთ. ასე ჩავები ბიზნესში და მგონი, ამ სფეროში საკუთარი თავი ვიპოვე. ყოველ შემთხვევაში, ჩემ გარშემო მყოფები აღნიშნავენ, რომ ბიზნესში გამოვდექი. გარდა ამისა, კავკასიის უნივერსიტეტში, ევროპისმცოდნეობის ფაკულტეტის მაგისტრატურაში ვსწავლობ. სულ ეს არის ჩემი საქმიანობა. დღის განმავლობაში ბიზნესით ვარ დაკავებული, საღამოობით ლექციები მაქვს, ღამით კი ვმეცადინეობ. იმის დროც არ მრჩება, რომ გასართობად წავიდე სადმე. სულ დაძაბულ რეჟიმში ვარ. ისე კი ტელევიზია ძალიან მენატრება და ვფიქრობ, რაიმე საინტერესო პროექტი რომ შემომთავაზონ, ალბათ ამისთვის დროს გამოვნახავ, რადგან განტვირთვა ნამდვილად მჭირდება.

**— ამჟამად რაიმე შემოთავაზება ხომ არ გაქვს?**

— ორჯერ შემომთავაზეს რაღაც პროექტის გაკეთება, მაგრამ არც ერთმა არ დამაინტერესა, რადგან დაახლოებით ასეთივე გადაცემების წამყვანი ვიყავი ტელეკომპანიებში — „202“-სა და „პირველ სტერეოში“. ამჟამად, უფრო სერიოზული პროექტი დამაინტერესებს, რადგან ჩემს სწავლაში იმდენ ინვესტიციას ვდებ, რომ მიმაჩნია, შეძენილი ცოდნის უფრო სერიოზულ გადაცემაში გამოყენება შემიძლია.

**— როგორც მახსოვს, იმდენად პოპულარული ფოტომოდელი იყავი, რომ ლონდონშიც კი მიგიწვიეს სამუშაოდ...**

— მართალი ხარ. ასეთი წინადადებით მართლაც მომართეს და იქ მუშაობაც დავიწყე, მაგრამ ჩემი შვილის წაყვანის საშუალება არ მომეცა. ამის გამო, 2 თვეში ერთხელ საქართველოში ვბრუნდებოდი, ბავშვი მენატრებოდა და მის გარეშე დიდხანს ვერ ვძლებდი. რა თქმა უნდა, იქაურებს ეს არ მოსწონდათ. ცნობილ მოდელებს არ ჰქონდათ ასეთი თავისუფალი რეჟიმი. მე კი მათთვის დამწყები ვიყავი. კონტრაქტის პირობების მიხედვით, სულ იქ უნდა ვყოფილიყავი. რა მექნა?.. ბავშვი ვერ დავტოვე, ამიტომ საბოლოოდ, ისევ საქართველოში დავბრუნდი.

**— შემდეგ, რომელიმე სხვა ქვეყნიდანაც ხომ არ გქონდა მსგავსი შემოთავაზება?**

— არა, რადგან ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ, მალევე გავთხოვდი. თან, ისეთ ფორმაშიც აღარ ვიყავი, რომ ჟურნალის გარეკანზე ჩემი ფოტო დაებეჭდათ... სიმართლე რომ გითხრათ, აღარც ასაკი მიწყობდა ხელს იმაში, რომ საზღვარგარეთ წარმატებისთვის მიმეღწია: როგორც ვიცი, გოგონები 14-15 წლიდან იწყებენ სამოდელო კარიერის აწყობას. ამიტომ ვარჩიე, ჩემი ცხოვრებისთვის სულ სხვა მიმართულება მიმეცა. ლონდონშიც ვსწავლობდი, მაგრამ მაგისტრატურაში ჩაბარება ძალიან მინდოდა და ეს სურვილი ახლა ავისრულე...

**— ბოლო პერიოდში, საქართველოში უამრავი „ფეშენ ვიკი“ იმართება. ხომ არ გაგჩენია სურვილი, თუ მოდელად არა, სხვა ამპლუაში მაინც ჩაბმულიყავი ამ პროექტებში?**

— როგორ არა?! ჩემი კომპანია



ჯერჯერობით მხოლოდ სხვა კომპანიების თანამშრომელთა ჩაცმულობასა და იმიჯზე ზრუნავს. ჩემს ფირმაში დიზაინერი არა ვარ, დაქირავებული მყავს; თავად, მხოლოდ მარკეტინგსა და მენეჯმენტს ვკურირებ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ — მომავალში ჩემს დიზაინერს უნდა მივცე იმის საშუალება, რომ „ფეშენ ვიკისთვის“ კოლექციები შექმნას.

— **ამჟამად ინდივიდუალურ კლიენტებზე არ ზრუნავთ?**

— როგორ არა?! ძალიან ბევრი მეგობარი მყავს, რომელიც ჩემს ფირმაში იმოსება და კმაყოფილებიც არიან, მაგრამ ბიზნესის თვალსაზრისით, გაცილებით მომგებიანია კომპანიებთან მუშაობა, ამიტომ მაქვს აღებული ორიენტაცია მათზე...

— **როდის და როგორ მიხვდი, რომ ბიზნესისთვის საჭირო ნიჭი გქონდა?**

— საერთოდ, ბავშვობიდან ვქსოვ და ეს საქმე კარგად ვიცი. ერთი წლის წინ, ჩემი შვილისთვის ნაქსოვი ტანსაცმელი შევიძინე, რომელიც საკმაოდ ძვირი დაჯდა. ვუყურებდი ამ სამოსს და მივხვდი, რომ მისი თვითღირებულება საკმაოდ დაბალი იქნებოდა. სწორედ მაშინ გამიჩნდა იდეა, დამეარსებინა ფირმა, რომელიც ბავშვის ხაზის ნაქსოვ ტანსაცმელს შემქნიდა. ასეც მოვიქეცი, თუმცა დასაწყისშივე მივხვდი, რომ მეტი მოთხოვნა შეკერილ ტანსაცმელზე იქნებოდა და თანაც — არა ბავშვისაზე. სიტუაციამ და ბაზარმა თავად მიჩვენა, რა მიმართულება უნდა ამერჩია... მანამდე, სხვა სამსახურში, მარკეტინგის ხელმძღვანელი გახლდით, ამიტომ ეს საქმე კარგად მესმოდა. გარდა ამისა, უკან დახევა არ მჩვევია, ეს კი ბიზნესისთვის უმთავრესია. ფინანსებთან და ბუღალტერიასთან ცოტა მწყრალად ვიყავი, მაგრამ როცა საქმემ მოითხოვა, ამ სფეროშიც გავერკვიე, თუმცა ბუღალტერი მაინც დავიქირავე.

— **მგონი, ყველანაირ ბიზნესში ხდება ჩავარდნები. შენ თუ გიგემია წაგება?**

— როგორ არა?! ფინანსური ზარალი მქონდა, მაგრამ ისედაც არ გამირისკავს, რომ ამ ზარალის გამო გავკოტრებულიყავი და ფირმა დამეხურა. მოგეხსენებათ, ებრაელი ერი რა ნიჭიერია ბიზნესში. ებრაელის შვილი ბიზნესს რომ წამოიწყებს, მამა ოცნებობს, რომ პირველი საქმე წარუმატებელი აღმოჩნდეს, რადგან ადამიანი წარუმატებელ საქმეში უფრო მეტს სწავლობს და მეტ გამოცდილებას იძენს... ასეთი გამოცდილება მეც მივიღე და ზუსტად ვიცი, რომ ისე აღარ გავრისკავ, როგორც მაშინ.

— **იმის გამო, რომ მოდის სფეროში კარგად ერკვევი, შენი დიზაინერების საქმიანობაში ზედმეტად ხომ ერევი?**

— ბავშვობაში კერვაც მეხერხებოდა, თუმცა თავს ვერ დავდებ, რომ პროფესიონალი ვარ. მოდის ტენდენციებს ყოველთვის თვალს ვადევნებ და ეს სფერო მართლაც კარგად მესმის. ჩემი დიზაინერის მიერ გაკეთებულ ესკიზებში საკუთარი კორექტივები შემაქვს, თუმცა ძალიან კარგი თანამშრომლები მყავს. მათ ყოველთვის ზუსტად იციან, თუ რა მინდა.

— **როგორი უფროსი ხარ?**

— საკმაოდ მომთხოვნი. განსაკუთრებულ აქცენტს ხარისხზე ვაკეთებ.




თუ ნამუშევარი არ მომეწონება, იმას აუცილებლად თავიდან გავაკეთებინებ. ჩემმა თანამშრომლებმა ეს კარგად იციან და ამიტომ, ყველაფერს ხარისხიანად აკეთებენ. მიუხედავად ამისა, მეგობრულიც ვარ. ძირითადად, ჩემზე უფროსი თანამშრომლები მყავს და ყველა მათგანთან ვმეგობრობ.

**— მაგისტრატურის დასრულების შემდეგ კარიერას სად განაგრძობ?**

— ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია, რადგან თავიდან, კავკასიის ბიზნესსკოლაში ჩავაბარე, სადაც სწავლა ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. ინგლისური ნამდვილად, არ მიჭირს, მაგრამ ფინანსებისა და ბუღალტერიის სწავლა გამიჭირდებოდა. ამიტომ, საბუთები ევროპისმცოდნეობის ფაკულტეტზე გადავიტანე. იქ პოლიტიკურ პიარსა და კომუნიკაციებსაც ვსწავლობ. ისეთი საგნების შესწავლაც მიხდება, რომელსაც ბიზნესში ვიყენებ. ზოგიერთი საგანი ბიზნესსაქმიანობაში არ გამომადგება, მაგრამ იმდენად საინტერესოა, რომ გულმოდგინედ ვსწავლობ. თანაც, მიყვარს განათლებული ადამიანები და ამ საგნების სწავლა ზოგადი განათლების გამდიდრებაში მეხმარება. ჩემი აზრით, ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებაში უნდა იმუშაოს.

**— ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ პოლიტიკაში წახვიდე?**

— ახლა ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ. საკუთარი თავის უფროსი ვარ და ეს ძალიან მომწონს. ისე კი ძალიან მინდა, რომ მომავალში ლექციები წავიკითხო. ასევე, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი პოლიტიკურ „პიარშიკად". პოლიტიკოსობა კი ნამდვილად არ მინდა.

**— მეორე შვილი შეგეძინა და მაინც საუცხოოდ გამოიყურები. ასე მალე როგორ მოახერხე ფორმაში ჩადგომა?**

— არა მგონია, კარგ ფორმაში ვიყო, რადგან კიდევ 4-5 ზედმეტი კილოგრამი მაწუხებს... ფორმაში ჩასადგომად კი აქამდე აბსოლუტურად არაფერი გამიკეთებია. საერთოდ, ორსულობის დროს ბევრს ვიმატებ წონაში. მშობიარობიდან 3 თვეში კი თავისით ვუბრუნდები საწყის ფორმას. ახლა ძალიან მინდა, აუზზე ვიარო, მაგრამ სამწუხაროდ, ამის დრო ვერ გამოვნახე. ამიტომ ტრენაჟორი — „სარბენი ბილიკი" შევიძინე და მისი დახმარებით, იმედია, საბოლოოდ ჩავდგები ფორმაში.

**— თავს როგორ უვლი?**

— სიბერის მეშინია ძალიან, ამიტომ სულ ვცდილობ, ჯანსაღად ვიკვებო და ბევრი სითხე მივიღო. ლოსიონსა და კრემებსაც ვიყენებ, რომ კანი არ დაბერდეს. რომ გითხრა, შინიდან ყოველთვის მაკიაჟიანი გავდივარ და სულ ფორმაში ვარ-მეთქი, მოგატყუებ. სულ სადღაც მეჩქარება, დღის განმავლობაში სულ სარბენი მაქვს და ამიტომ, ვერც მაკიაჟს ვიკეთებ ნორმალურად და ვერც მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმას ვახერხებ. რამდენჯერმე, დაუგეგმავი საქმიანი შეხვედრა მომიხდა და ამის გამო, ძალზე უხერხულად ვიგრძენი თავი, რადგან კედები და ჯინსი მეცვა. მშურს იმ ქალების, რომლებიც ოჯახსაც უვლიან, სამსახურშიც წარმატებულები არიან, თავსაც უვლიან და ყოველთვის კარგად გამოიყურებიან.

**— როგორც ვიცი, ჯერ არც ერთი პლასტიკური ოპერაცია არ გაგიკეთებია. ზოგადად, რა შეხედულება გაქვს ამ საკითხზე?**

— თუ დამჭირდება, აუცილებლად გავიკეთებ. როცა ადამიანს ულამაზო ცხვირი ან ტუჩი აქვს და საშუალება აქვს, ოპერაცია გაიკეთოს, რატომ არ უნდა მოიქცეს ასე?! პირადად მე, ბუნებრივსა და შეუხედავს, გაკეთებული და ლამაზი მირჩევნია. საბედნიეროდ, მსგავსი ოპერაცია ჯერ არ დამჭირვებია, ტუჩიც ბუნებრივი მაქვს და ცხვირიც. მომავალში, ასაკთან ერთად, ნაოჭებიც თუ გამიჩნდება, ოპერაციას აუცილებლად გავიკეთებ.

**— სხვათა შორის, ორივე ქალიშვილი გარეგნულად ძალიან გგავს...**

— თაკო უფრო მეტად მგავს. ელენეს ჩემი იერი კი აქვს, მაგრამ მაინც მამას ჰგავს.

**— თაკო უკვე დიდი გოგო იყო, როცა მეორედ შექმენი ოჯახი. როგორ მიიღო შენი ეს გადაწყვეტილება?**

— თაკო ჩემს გადაწყვეტილებას აბსოლუტურად გაგებით მოეკიდა. საერთოდ, ჩვენს ოჯახში ყველას გვიყვარს ერთმანეთი და ძალიან კარგი დამოკიდებულებაც გვაქვს. ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარულია, როცა ვხედავ, ჩემს შვილებს როგორ უყვართ ერთმანეთი. თაკო რომ სკოლიდან მოდის, ელენე სიხარულისგან ოთახებში დარბის. თავიდან მეშინოდა, თაკოს მასზე არ ეეჭვიანა, მაგრამ მალევე დავინახე — ეჭვიანობს კი არა, ელენე ის ადამიანია, რომელიც მას ყველაზე მეტად უყვარს.

**— თაკო საკმაოდ ლამაზი ბავშვია. მის გამო თუ იღებ კომპლიმენტებს და უკვე თაყვანისმცემლებიც ხომ არ გაუჩნდა?**

— თავმდაბალი ვერ ვიქნები და ვიტყვი, რომ თაკოსთან დაკავშირებით, მართლაც, უამრავ კომპლიმენტს ვიღებ, რაც ძალიან მახარებს. მას აქვს მონაცემები და მინდა, რომ მოდელი გახდეს, თუმცა თავად ამის სურვილი არა აქვს. კარგად სწავლობს და ცოტა სხვა გეგმები აქვს. დიდი სიამოვნებით გავუშვებდი სასწავლებლად საზღვარგარეთ, თან ისწავლიდა და თან მოდელი იქნებოდა. რაც შეეხება მის თაყვანისმცემლებს, — ეს ჩემთვის საკმაოდ მძიმე თემაა. შინ არავინ მაწუხებს, რადგან ახლა სახლის ტელეფონზე აღარავის ურეკავენ... სკოლის მასწავლებლები მეუბნებიან ხოლმე, რომ თურმე უფროსკლასელ ბიჭებს მოსწონთ თაკო... ძალიან ვნერვიულობ, თუმცა თაკო საკმაოდ სერიოზული და ჭკვიანი ბავშვია, სწავლაზეა ორიენტირებული და დიდი იმედი მაქვს, რომ ბიჭებისკენ ჯერ არ გაიხედავს.

**— მესამე შვილის გაჩენასაც ხომ არ აპირებ?**

— ფეხმძიმობის დროს ისეთი ცუდი ხასიათი მიყალიბდება და იმდენს ვიმატებ წონაში, რომ მესამე შვილზე ნამდვილად აღარ ვფიქრობ. საშინელი ხასიათი მიხდება და რთულად ასატანი ვხდები. ახლა რომ მახსენდება, რა მჭირდა, მიკვირს, როგორ ამიტანეს?!. საშინლად ეჭვიანი ვხდები და სულ გაღიზიანებული ვარ. ამიტომ არ მინდა მეტი შვილი... ■

**თაკოსთან დაკავშირებით, მართლაც, უამრავ კომპლიმენტს ვიღებ**



# „...ხან მიჯნურები ვიყავით, ხან მოსისხლე მტრებად ვიქცეოდით...“

**ორიოდე კვირაა, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში ახალი დეტექტიური სერიალი დაიწყო. მართალია, ეთერში ჯერ მხოლოდ რამდენიმე სერია გავიდა, მაგრამ საზოგადოების ინტერესი უკვე გამოიწვია. როგორც ცნობილია, სერიალში მთავარ როლებს მსახიობები — ლელა მებურიშვილი და ზაზა იაქაშვილი ასრულებენ. თურმე ზაზასა და ლელას დიდი მეგობრობა აკავშირებთ. არის თუ არა მათ შორის მეგობრობაზე უფრო ღრმა და „საინტერესო“ გრძნობა, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

*ნათია ჟივიძე*



**— საუბარი თქვენი საქმიანობით დავიწყოთ. „დეტექტივების“ გადაღება დასრულდა. ამჯერად რით ხართ დაკავებულები?**

**ზაზა:**

— ლევან წულაძე დგამს „დეკამერონს“, რომლის რეპეტიციებიც ახლა მიმდინარეობს. საერთოდ, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ლევანს, რომელიც ძალიან მიწყობს ხელს, რომ გადაღებებზე ვიარო. ხანდახან კი აბუზღუნდება ხოლმე, — რა გააწყალე გული ამ შენი გადაღებებითო?! — მაგრამ მაინც მეხმარება... საქმიანობას დავუბრუნდეთ და გეტყვით, რომ ორ მხატვრულ ფილმში მონაწილეობა შემომთავაზეს და ორივეს დავთანხმდი, რადგან მგონია, რომ ძალზე საინტერესო როლებია, თუმცა გადაღებები ჯერ არ დაწყებულა და ამიტომ ამ საკითხზე წინასწარ არ ვისაუბრებ. გარდა ამისა, კიდევ ერთ სერიალზეა ლაპარაკი, მაგრამ ჯერჯერობით სპონსორებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს პროექტიც გამოვა. ღვთის მადლით, მართლა ძალიან დაკავებული ვარ...

**ლელა:**

— რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, გოგა თავაძის სპექტაკლი — „გიულიჰ“ მარჯანიშვილის თეატრში გადმოგვაქვს და ახლა რეპეტიციები მიმდინარეობს. ერთ ფილმში მონაწილეობა მეც შემომთავაზეს, მაგრამ ზაზას მსგავსად, ამ საკითხზე წინასწარ ვერ ვისაუბრებ...

**— მაშინ თემა შევცვალოთ და მითხარით, როდის და სად გაიცანით ერთმანეთი?**

— ამ შეკითხვას ნამდვილად არ ველოდი... ერთმანეთი დაახლოებით 5 წლის წინ გავიცანით.

**ზაზა:**

— ლელასთან შეხვედრა ჩემთვის იმდენად დიდი განცდა იყო, რომ რაღაცნაირად, შემაფიქრიანა და მას შემდეგ ასე ვარ...

**ლელა:**

— მარჯანიშვილის თეატრში 5 წლის წინ მოვედი. ზაზა ამ დროს უკვე პროფესიონალი მსახიობი იყო და აქ მუშაობდა. სწორედ მაშინ შევხვდით ერთმანეთს.

**— მანამდე სპექტაკლებიდან თუ იცნობდით ერთმანეთს?**

— რა თქმა უნდა. მანამდე ზაზა უამრავ სპექტაკლში მინახავს და მომწონდა კიდეც, როგორც მსახიობი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ სხვა მსახიობებისგან გამოვარჩევდი, უბრალოდ მიმაჩნდა, რომ ერთ-ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა და გამოჩენილი არტისტი იყო. საერთოდ, მე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი ბავშვობიდან მიყვარდა, სპექტაკლებზეც ხშირად დავდიოდი და გამიმართლა, რომ სწორედ ამ თეატრში მოვხვდი.

**ზაზა:**

— სიტყვა „ახალგაზრდა“ ხაზგასმით რომ თქვი, ძალიან მესიამოვნა... ლელას ვიდრე გავიცნობდი, მანამდე ქალბატონი ციცინო კობიაშვილის რამდენიმე სპექტაკლში მყავდა ნანახი და, რასაკვირველია, ძალიან მომეწონა. ასევე არაჩვეულებრივია ზემოთ ხსენებულ — გოგა თავაძის სპექტაკლში — „გიულიჰ“. ეს სპექტაკლი პირველად როცა ვნახე, მაშინ ლელას ჯერ კიდევ არ ვიცნობდი. გამაოცა მისმა ნიჭმა და გარეგნობამ. გარდა იმისა, რომ ძალიან ლამაზია, შინაარსით სავსე გამომეტყველება აქვს. საერთოდ, ლელა — როგორც ადამიანი, არტისტი, პიროვნება — საზოგადოებას ძალიან ხიბლავს და თავიდანვე იქცევს ყურადღებას. გულწრფელად მიხარია, რომ თავიდანვე არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, მალევე დავმეგობრდით და დღემდე ვმეგობრობთ.

**— ლელა, ხომ არ მატყუებს? ისეთი ახლო მეგობრები ხართ, რომ ერთმანეთის საიდუმლოებებსაც ანდობთ?**

— არ იტყუება. უცნაურია, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა თავიდანვე მართლაც ასე აეწყო. მერე გახმოვანებაზეც ერთად ვმუშაობდით და იქიდან თეატრში ერთად გვიხდებოდა მოსვლა. ამ ყველაფერმა დაგვაახლოვა. ხომ ხდება ყველას ცხოვრებაში — რაიმე საკითხზე ბიჭს გოგოს აზრი აინტერესებს და პირიქით, გოგოს — ბიჭის. მე და ზაზას ყოველთვის გვაინტერესებდა ერთმანეთის მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე. შესაბამისად, ხშირად ვუამბობ ზაზას ჩემს თავს გადახდენილ ამბებს და ისიც ყოველთვის მხარში მიდგას.

**— ნაცნობობის 5 წლის მანძილზე სცენაზე თუ შეხვედრიხართ ერთმანეთს?**

— როგორ არა?! ორ სპექტაკლში ვთამაშობთ ერთად. ესენია: „ზაფხულის ღამის სიზმარი“ და „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“. სხვათა შორის, ამ უკანასკნელ სპექტაკლში ზაზა ჩემი მამის როლს ასრულებს...

**ზაზა:**

— მანამდე ამ როლს აქ გარდაცვლილი ჯემალ მონიავა თამაშობდა, რომელიც მართლაც, საოცარი პიროვნება იყო... სპექტაკლების დროს მე და ლელა მაგრად ვხალისობთ ხოლმე: ან საოცარ კომპლიმენტებს ვეუბნები, ან ერთმანეთს ვლანძღავთ...

**ლელა:**

— ასეთი ტრადიცია გვაქვს — სცენაზე გასვლის წინ, კულისებში ვხვდებით, ერთმანეთს ვესალმებით და მერე ჩვენ შორის დაახლოებით ასეთი დიალოგი იმართება: „შენთან ერთად

რა მინდა, სცენაზე რომ გავდივარ?!.“

**ზაზა:**

— „...შენ რომ გამოხვალ სცენაზე, მაყურებელი ადგება და წავა...“ მაგრამ ხანდახან პირიქით ვსაუბრობთ: ვეუბნები ხოლმე, — შენს ნიჭსა და სილამაზეს რომელი მაყურებელი გაუძლებს-მეთქი?!

**ლელა:**

— ვერთობით, როგორც შეგვიძლია. წარმოიდგინეთ, რა ხშირად ვთამაშობთ ამ სპექტაკლს და აღარ ვიცით ხოლმე, რითი გავერთოთ.

**ზაზა:**

— რასაც უნდა ვამბობდეთ, ერთმანეთის მაინც კარგად გვესმის და არაფერი გვწყინს.

**ლელა:**

— ხშირად მიფიქრია, ჩვენს საუბარს ვინმე უცხო რომ შეესწროს, ხომ დაიჯერებს, რომ ასეთი საშინელი ურთიერთობა გვაქვს, ან პირიქით, იფიქრებს — ზედმეტად ახლოს ვართ ერთმანეთთან...

**— გადასაღებ მოედანზე ერთმანეთს პირველად „დეტექტივებში“ შეხვდით?**

**ზაზა:**

— ნამდვილად ასეა. გულახდილად უნდა გითხრათ, — გადაღებაზე მისულმა ლელა რომ დავინახე, ძალიან გამიხარდა.

**ლელა:**

— ვერ ვიტყვი, რომ გადასაღებ მოედანზე ზაზას დანახვა მეც ასევე გამიხარდა...

**ზაზა:**

— სახეზე გეტყობა, როგორც გაგიხარდა... მეც ზრდილობის გამო ვთქვი, თორემ შენ რომ გადაგიღეს, იმიტომ ჩავარდა სერიალი (*იცინიან*).

**ლელა:**

— გადაღებები მთელი დღისა და ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. გვერდით რომ არ მყოლოდნენ ისეთი ახლობელი ადამიანები, როგორებიც ზაზა და დიმიტრი ტატიშვილი არიან, გამიჭირდებოდა იქ ყოფნა, რადგან მართლა ძალიან ვიღლებოდი. ესენი კი ყველაფერში მეხმარებოდნენ.

**ზაზა:**

— ვიდრე განათებას დააყენებდნენ (ამას კი საკმაოდ ბევრი დრო სჭირდება), ვისხედით და ვთამაშობდით: ხან მიჯნურები ვიყავით, რომელთაც რთული პერიოდი ჰქონდათ და ჩხუბობდნენ, ხან ერთმანეთის მოსისხლე მტრებად ვიქცეოდით ხოლმე...

**— გამოდის, ცხოვრებაშიც, კამერის მიღმაც კი თამაშობთ...**

— კი, მართლა პატარა ბავშვებივით ვთამაშობთ. კიდევ კარგი, გადამღები ჯგუფი თავისი საქმიანობით იყო დაკავებული და ეს ყველაფერი არ გადაიღეს...

**— ჯერ მხოლოდ 4 სერია გავიდა ეთერში და როგორც ვიცი, ბევრი ადამიანი უყურებს. თავად რას ფიქრობთ — გაამართლა ამ სერიალმა?**

**ლელა:**

— ძალიან მიჭირს რაიმეს თქმა, რადგან ჯერ ერთი, ეს პროექტი ახალი დაწყებულია და წინასწარ პროგნოზებს ვერ გავაკეთებ; თან, მიჭირს იმ პროექტზე საუბარი, სადაც თავად ვარ დაკავებული. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ სერიალით საზოგადოება ნამდვილად დაინტერესდა, რადგან დღის განმავლობაში აბსოლუტურად უცნობი ადამიანებისგან ბევრ კომპლიმენტს ვიღებ. ეს ფაქტი ძალზე მახარებს.

**— მახსოვს, როცა ამ სერიალის გადაღებები მიმდინარეობდა, ნერვიულობდი, — ხალხი „შუა ქალაქის“ თიკათი მიცნობს და არ ვიცი, გამომძიებელ ეკას როგორ მიიღებსო.**

— ჯერ კიდევ არ ვიცი, როგორ მოსწონთ ჩემ მიერ განსახიერებული დეტექტივი ქალი.

**ზაზა:**

— მგონია, რომ ლელას სანერვიულო ნამდვილად არაფერი აქვს. როგორც თიკას თამაშობდა აბსოლუტურად დამაჯერებლად, ასეთივე დონეზე განასახიერა ეკაც. ლელას კარგად ვიცნობ და ზუსტად ვიცი, რომ მას თიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა, გარდა მომხიბლავი ღიმილისა. ლელა სულ სხვანაირი ადამიანია — მხიარული, სიცოცხლის მოყვარული. ლელას ცხოვრებაში საკმაოდ მძიმე პერიოდებს შევესწრებივარ და მაშინაც კი სახიდან ღიმილი არ მოშორებია. მიხარია, რომ ასეთი მეგობარი მყავს.

**ლელა:**

— გავწითლდი, ზაზა. ამ ყველაფერს იმიტომ ამბობ, რომ მეც იგივე ვთქვა შენზე, არა?..

**ზაზა:**

— როგორ მიხვდი?.. ეს მიხვედრილობაც მომწონს შენში...

**— ზაზა, შენ სერიალზე არაფერი გითქვამს, არადა, ვიცი, რომ შენი ნამუშევრის მიმართ ცოტა კრიტიკულად ხარ განწყობილი.**

— ეს სერიალი აქამდე არც ერთ ჩვენგანს არ გვინახავს. ახლა ჩვენც, სხვებთან ერთად, ეკრანზე ვუყურებთ. შესაბამისად, ამაზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი. საერთოდ კი თვითკრიტიკული ვარ...

**ლელა:**

— ზაზა როგორ თამაშობს, ეს მე მკითხეთ: მიმაჩნია, რომ მისი გმირი — ზურა, მისგან აბსოლუტურად განსხვავებული ტიპია, გარეგნულადაც კი არ ჰგავანან ერთმანეთს. მგონია, რომ ზაზას ასეთი როლი აქამდე არ შეუსრულებია. ძალიან საინტერესოდ თამაშობს და ვნახოთ, ხალხი როგორ შეაფასებს. როცა სერიალს თან იღებ და თან ეთერში გადის, საზოგადოების აზრს ისმენ, საკუთარ შეცდომებსაც ხედავ და ცდილობ, მომდევნო სერიაში ეს შეცდომები გამოასწორო; ეს სერიალი კი უკვე გადაღებულია და შესაბამისად, ვერაფერს გამოვასწორებთ, ამიტომ ახლა კრიტიკა ჩემთვის მტკივნეული იქნება, რადგან მაინც ვერაფერს შევცვლი... ყველაზე ცუდი ეს არის.

**— როგორც ვიცი, „დეტექტივების“ გაგრძელება იგეგმება.**

**ზაზა:**

— ამაზე ლაპარაკი ნამდვილად მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით. ღმერთმა ქნას, „დეტექტივები“ მართლაც გაგრძელდეს.



მართლა პატარა ბავშვებივით ვთამაშობთ

**ლელა:**

— არ მახსოვს, რაიმეში ისეთი შრომა ჩამედოს, როგორიც ამ სერიალში. დღე და ღამე გაუჩერებლად ვიღებდით. თუ ეს საქმე არ გიყვარს და არ გინდა, რომ ძალიან მაგარი გამოვიდეს, ვერაფერს გააკეთებ. მთელი გადამღები ჯგუფი ცხოვრებას ვიყავით მოწყვეტილი. ამიტომ მგონია, რომ ხალხს ეს სერიალი უნდა მოეწონოს...

**— რამდენად ადვილი იყო კრიმინალისტიკაში გარკვევა და**

**გამომძიებლის როლის მორგება?**

**ლელა:**

— დეტექტივობა საკმაოდ რთული პროფესიაა, რადგან ადამიანს ლამის ყოველდღე მკვლელებთან და მოკლულებთან შეხება უწევს. ის, რაზეც ჩვენ, სხვა პროფესიის ადამიანებს, ფიქრიც კი არ გვინდა, დეტექტივებისთვის ყოველდღიურობაა. ჩვენთვის ყველაზე რთული — მათი ლექსიკისა და ტერმინოლოგიის ათვისება იყო. ძალიან ვცდილობდი, რომ ჩემი მეტყველება ბუნებრივი გამოსულიყო.

**ზაზა:**

— კიდევ, განსაკუთრებით რთული, საინტერესო და მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ამ გმირებს „პოლიციური ხასიათი" არ უნდა დაეკარგათ. ერთთვიანი მოსამზადებელი კურსი გავიარეთ და დავრწმუნდით იმაში, თუ რაოდენ რთულია პოლიციელობა.

**— საზოგადოებას ქართველ პოლიციელებზე ცოტა სხვაგვარი წარმოდგენა აქვს. თქვენ კი აბსოლუტურად განსხვავებული ტიპები წარმოადგინეთ — მეტისმეტად კეთილი, გულისხმიერი...**

**ლელა:**

— როცა ვიღაცას პატრული გააჩერებს და დააჯარიმებს, ის მისი მისამართით დადებითად ვერ განეწყობა...

**ზაზა:**

— პროფესიას მნიშვნელობა არა აქვს. ნებისმიერ სფეროშია კარგი და ცუდი ადამიანი. მაგალითად, ჩემი გმირი ძველი პოლიციელია, რომელსაც ბევრი განსაცდელი გადაუტანია. პირადი ტრაგედიაც აქვს: 10 წლის წინ ავარია შეემთხვა, თვითონ გადარჩა, ცოლი კი — დაიღუპა. 15 წლის ვაჟი დარჩა, რომელიც ქვეცნობიერად, დედის სიკვდილში მამას ადანაშაულებს. ასეთი დანაშაულის გრძნობა ზურას თვითონაც ტანჯავს და ამის გამო შვილთან დაძაბული ურთიერთობა აქვს.

**ლელა:**

— მიუხედავად ამ ყველაფრისა, სერიალი მაქსიმალურად არის აგებული ამა თუ იმ საქმის გახსნაზე და არა რომელიმე გმირის პირად ცხოვრებაზე. დეტექტივებს ის აერთიანებს, რომ მაქსიმალურად გაწონასწორებული პიროვნებები არიან და საკუთარ ემოციებს არავის უჩვენებენ.

**— ამ სერიალში გადაღებამდე, თავად თუ გიზიდავდათ დეტექტიური ფილმები და წიგნები?**

— კარგი ფილმების ყურება ნამდვილად მიყვარს, თუმცა ვერ დავიტრაბახებ, რომ ეს სფერო განსაკუთრებით მიზიდავდა და ამ ჟანრის ლიტერატურას ვეცნობოდი.

**ზაზა:**

— თუკი რაიმე დეტექტიური ჟანრის სერიალი გამოსულა საქართველოში, აბსოლუტურად ყველა მინახავს. ეს ჩემთვის პროფესიული თვალსაზრისითაც საინტერესო იყო. არტურ კონან დოლი ბავშვობაში ჩემი სამაგიდო წიგნი რომ იყო, ალბათ არც ეს გაუკვირდება ვინმეს...

**— ისევ თქვენს ურთიერთობას დავუბრუნდეთ: ერთმანეთის პროფესიონალურ შენიშვნებსა და რჩევებს თუ აძლევთ?**

— სცენიდან გავდივარ თუ არა, არც ვაცდი ლელას, რაიმე მითხრას, — თავად ვეკითხები, რა მოეწონა და რა — არა.

**ლელა:**

— იმდენად ახლო მეგობრობა გვაკავშირებს, რაიმე ცუდად რომ გავაკეთო და ზაზამ არაფერი მითხრას, მეწყინება კიდეც.

**— რადგან ასეთი ახლო ურთიერთობა გაქვთ, ერთმანეთის დადებითი და უარყოფითი თვისებებიც კარგად გეცოდინებათ...**

**ზაზა:**

— ყოველგვარი პირფერობის გარეშე ვიტყვი — ლელა ძალიან ლამაზი და ნიჭიერი ადამიანია. რა მხიბლავს მასში?.. ათასი რამ, რომელი ერთი ჩამოვთვალო?! მას საოცარი აურა აქვს. თვითონ ცუდადაც რომ იყოს, მაინც იმდენ დადებით ენერგიას ასხივებს, რომ მის გვერდით ცუდად ვერასოდეს იგრძნობ თავს. ურთიერთობისას საკმაოდ გახსნილი და გულწრფელია, რასაც ყველაზე მეტად ვაფასებ მანდილოსანში. სულ უნდა, ადამიანს რაღაცით დაეხმაროს. ყოველთვის მხარს მიჭერს ყველაფერში... მოკლედ, გადასარევი ადამიანია...

**ლელა:**

— გაუმარჯოს ლელას (*იცინის*)!.. ამდენი ხნის განმავლობაში ვფიქრობ, ზაზაზე რა საშინელება ვთქვა და ვერაფერი მოვიფიქრე... საერთოდ, თეატრში ყველა თანამშრომელი მიყვარს, მაგრამ მაინც, იქ რომ მივდივარ, მხვდება რამდენიმე ადამიანი, რომლის იმედიც მაქვს; მათ შორის არის ზაზაც. ვიცი, შემიძლია მას ნებისმიერ სიტუაციაში დავეყრდნო. ხშირად ამომდგომია მხარში. როცა ადამიანი დაღლილია, შესაძლოა, ყურადღება გაეფანტოს და რაღაც გამოეპაროს. ზაზა იმდენად ყურადღებიანია, რომ არასოდეს არაფერი ავიწყდება...

**— ზაზა, ლელას თაყვანისმცემლები არ გაწუხებენ? ან — შენზე ხომ არ ეჭვიანობენ?**



თეატრიდან გამომყავს, მანქანამდე მიმყავს და მისი ოჯახის წევრს ვაბარებ

— როგორ არა, ლელამ რამდენჯერმე „ფარად" გამომიყენა...

**ლელა:**

— რამდენიმე შემთხვევა იყო — ვიცოდი, რომ სპექტაკლის შემდეგ, თეატრთან ვიღაცები უნდა დამხვედროდნენ; ზაზასთან ხელკავით გამოვსულვარ და ახლოს აღარავინ მომკარებია.

**— მერე, ამის გამო, ზაზასთვის საქმე არავის გაურჩევია?**

**ზაზა:**

— კი, ერთი-ორჯერ იყო ასეთი შემთხვევაც და კარგი პასუხიც მიიღეს. ის საქმის გარჩევა მათ სასარგებლოდ ნამდვილად არ დამთავრებულა. ყველაზე სასაცილო იცი, რა არის? სპექტაკლის შემდეგ, ლელას, შინ წასაყვანად, ან მამა აკითხავს, ან — ძმა. მე თეატრიდან გამომყავს, მანქანამდე მიმყავს და მისი ოჯახის წევრს ვაბარებ. იქ მდგომი თაყვანისმცემლებიის თვალის ასახვევად კი ხმამაღლა ვამბობ, — თქვენ წადით, მიიყვანე სახლში და მეც მალე მოვალ-მეთქი...

**— ეს ყველაფერი ასე გულახდილად რომ მიამბე, ახლა როგორ უნდა დააფრთხო ლელას თაყვანისმცემლები?**

**ლელა:**

— ვაიმე, ზაზა, ეს არ უნდა მოგვეყოლა!

**ზაზა:**

— არა უშავს, რამე სხვას მოვიფიქრებთ... ■

# XX საუკუნის ყველაზე გახმაურებული სასიყვარულო სამკუთხედები



ჟურნალმა Time XX საუკუნის ყველაზე საბედისწერო სასიყვარულო სამკუთხედების რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის სათავეში ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე, პრინცი ჩარლზი, დაიანა სპენსერი და პრინცის გვირგვინოსანი მშობლების მიერ თავის დროზე დაწუნებული, კამილა პარკერ-ბოულზი აღმოჩნდნენ.

დაიანაზე დაქორწინებიდან 4 წლის



შემდეგ, ჩარლზი პირველ სიყვარულს დაუბრუნდა; პრინცესა დაიანას დაღუპვიდან რამდენიმე წლის შემდეგ კი ჩარლზი და კამილა დაქორწინდნენ. მათი რომანი ბრიტანეთის მონარქიის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივ სასიყვარულო კავშირად არის დასახელებული.

რეიტინგის მეორე ადგილი ჰოლივუდის ვარსკვლავის — ინგრიდ ბერგმანის, მისი მეუღლის, პეტერ ლინდსტრისა და გამოჩენილი იტალიელი კინორეჟისორის, რობერტო როსელინის სასიყვარულო სამკუთხედმა დაიკავა. ინგრიდ ბერგმანისა და რეჟისორის კავშირი ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ ამერიკელ საზოგადოებას მრავალი წლის განმავლობაში ამის გამო უკმაყოფილება არ განელებია, რაც რობერტო როსელინის კარიერაზეც კი აისახა — კრიტიკოსებმა მის ფილმებს ბოიკოტი გამოუცხადეს...

მესამე ადგილი ელიზაბეტ ტეილორისა და რიჩარდ ბარტონის ქორწინებას მიაკუთვნეს. წყვილი ორჯერ დაქორწინდა და ორივე ქორწინება კრახით დასრულდა. ელიზაბეტის წინა მეუღლე დიდსულოვნად გვერდზე გადგა და ეს გახმაურებული რომანი „ქვეყნიერების შემაზანზარებელ" სასიყვარულო კავშირად აღიარა.

რეიტინგის მეოთხე ადგილი, სრულიად სამართლიანად, ვუდი ალენის, მია ფეროუსა და მათი 22 წლის გერის, სუნ პრევენის „სამკუთხა ურთიერთობებს" მიაკუთვნეს.

მეხუთე ადგილზე ჯორჯ ჰარისონის, ერიკ კლაპტონისა და მოდელ პეტი ბოიდის სამეული გავიდა. მეტოქეები მრავალი წლის განმავლობაში რიგრიგობით ახერხებდნენ მოდელის გულის დაპყრობას და ორივე მისი მეუღლე გახდა... ■







## ჯენიფერ ჰადსონი ლას-ვეგასის საქველმოქმედო კონცერტზე

ჯენიფერ ჰადსონმა ჯერ კიდევ American Idol-ის კონკურსზე მონაწილეობის დროს გაითქვა სახელი. მომღერალმა პუბლიკის ყურადღება არა მხოლოდ ძლიერი ხმით, არამედ სხეულის შთამბეჭდავი ფორმებითაც მიიპყრო... მას შემდეგ 6 წელი გავიდა, ჯენიფერი შეიცვალა და ახლა საკუთარი მოხდენილი აღნაგობით ძალზე კმაყოფილია.

იისფერ კაბაში გამოწყობილი, სადა სამკაულებით მორთული 29 წლის მომღერალი ამ დღეებში ლას-ვეგასში გამართულ საქველმოქმედო კონცერტზე შესანიშნავად გამოიყურებოდა. ■

## ჯორჯ მაიკლი ციხიდან გამოვიდა

სცენის ვარსკვლავი კვლავ თავისუფალია. მან აღმოსავლეთ ინგლისში, სუფოლკის საგრაფოში მდებარე ighpoint Prison-ის ციხე დატოვა, სადაც მისჯილი 8 კვირიდან 4 გაატარა. როგორც ცნობილია, მომღერალს პატიმრობა ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში ავტომობილის მართვის გამო მიუსაჯეს. ამის გამო ჯორჯ მაიკლის მანქანა ფოტომაღაზიის ვიტრინას შეასკდა. საბედნიეროდ, ავტოსაგზაო შემთხვევა უმსხვერპლოდ დასრულდა. სასამართლო პროცესზე მომღერალმა დანაშაული აღიარა და მოინანია.

სასამართლოს დასრულების შემდგომ, მაიკლი სარეაბილიტაციო კლინიკაში მოათავსეს...

ციხიდან გათავისუფლებულმა, ახლობლებსა და თაყვანისმცემლებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და შეჰპირდა, რომ მისი მადლიერება ახალ სიმღერებში აისახება. ■



# ბრედ პიტისა და ანჯელინა ჯოლის ახალი ვილა უნგრეთში

მას შემდეგ, რაც ანჯელინა ჯოლიმ ბუდაპეშტში ახალ ფილმზე მუშაობა დაიწყო (ეს სურათი მისი სარეჟისორო დებიუტია), ბრედთან ერთად, „განმარტოებულ" ვილაში დასახლდა. როგორც ამბობენ, ბინის ქირა თვეში 27.000 დოლარს შეადგენს. ვილაში 10 საძინებელი ოთახია, ხოლო მამულს ტერიტორიაზე საკუთარი ტბაც კი აქვს. ■

# მელ გიბსონი ქალიშვილს ყოველთვიურად 20 ათას დოლარს გადაუხდის

ლოს-ანჯელესის სასამართლომ მელ გიბსონს, 11 თვის ქალიშვილისთვის, რომელიც მსახიობს მის ყოფილ საყვარელთან, ოქსანა გრიგორიევასთან შეეძინა, ყოველთვიურად 20 ათასი დოლარის გადახდა დაავალა. სასამართლოს გადაწყვეტილებამდე გიბსონი გოგონას დედას მხოლოდ 5 ათასს უხდიდა. ალიმენტის გადახდის თაობაზე სასამართლოს სარჩელით გიბსონის ყოფილმა შეყვარებულმა მიმართა და მსახიობისგან ყოველთვიურად 50 ათასი დოლარის გადახდა მოითხოვა, მაგრამ სასამართლომ რუსი პიანისტის მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ სახელგანთქმული ამერიკელი მსახიობი და რეჟისორი გაზაფხულზე დაშორდა ოქსანა გრიგორიევას. წყვილი 3 წლის განმავლობაში ერთად ცხოვრობდა და 2009 წელს ქალიშვილი შეეძინა. მელ გიბსონისთვის ეს მერვე შვილია!.. წყვილის დაშორების შემდგომ, საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ჭორების თანახმად, მელი ახალგაზრდა საყვარელს ხშირად უხეშად ექცეოდა. 2010 წლის ივლისში ლოს-ანჯელესის პოლიციამ ოქსანა გრიგორიევას განცხადების საფუძველზე, გამოძიება დაიწყო; ახალგაზრდა ქალი აცხადებდა, რომ მელი მას სცემდა. აღსანიშნავია, რომ მელ გიბსონმა რუსი პიანისტის გამო მიატოვა მეუღლე, რომელთან ერთადაც, მრავალი წელი იცხოვრა და 7 შვილი ჰყავს. ■



# ემინემი კომპანია Apple-თან სასამართლო დავას აგრძელებს



ცნობილ მომღერალ ემინემსა და კომპანია Apple-ს შორის მიმდინარე სასამართლო დავა გრძელდება. სასამართლო პროცესზე მომღერლისა და მისი გუნდის საავტორო უფლების დარღვევის შემთხვევებს განიხილავენ. მომღერლის მუსიკალურმა გამომცემელმა — Eight Mile Style — დეტროიტში ამერიკის საოლქო სასამართლოს მიმართა და რეპერის ჰიტების iTunes-ზე განთავსების გამო მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოითხოვა. მუსიკოსმა ბრალდება კომპანიებს — Apple-სა და Aftermath Records-ს წაუყენა და მათგან 2,2 მილიონი დოლარი მოითხოვა. ჯერჯერობით უცნობია, ამ კომპანიებიდან რომელი აანაზღაურებს მიყენებულ ზარალს. ■

*რუბრიკა მომზადა*
***ნატო მანჯავიძემ***

# ქართველების აფხაზი რძლის თავდადება

## ანუ მიტოვებული შვილისა და „ნაჩუქარი გოგონას“ უცნაური ამბავი

**— სამი შვილი გყავთ? — ვკითხე ახალგაზრდა ქალბატონს, რომელიც ჯაფისგან დაკოჟრილ ხელებს წინსაფრის ქვეშ მალავდა... 35 წელზე მეტის არ იქნებოდა. ქართულად მკვეთრი აქცენტით საუბრობდა და თან, ცალი თვალი ოთახში მოჟრიამულე ბავშვებისკენ ეჭირა, — სტუმარი არ შეაწუხონო... თითქმის ტოლები იყვნენ. უფროსი გოგონა დანარჩენ ორს არ ჰგავდა, ცისფერი თვალები, ღია ფერის თმა ჰქონდა და რაღაც უცნაური, ოდნავ დაძაბული გამოხედვა. — ბავშვებო, მეორე ოთახში გადით, — ხმადაბლა მიმართა დიასახლისმა შვილებს და არც მათ გაუპროტესტებიათ... — რუსი ხართ? — თავს უხერხულად ვგრძნობდი, მაგრამ მაინც არ ვჩერდებოდი. — არა, სოხუმელი ვარ, აფხაზი, — გაოცება შემატყო და კიდევ უფრო დაიბნა. — მერე აქ როგორ მოხვდით? — დაბნეულობის დასაფარავად გავიღიმე. — სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო, ხომ გაგიგონიათ? — გამიღიმა მანაც და ცხელი ყავა ჭიქებში ჩამოასხა...**



*ლალი პაპასკირი*

— ელენე მქვია, მოდით, გვარი საიდუმლოდ დავტოვოთ... ჩემი ძმა სასაზღვრო ჯარში მსახურობდა და ენგურის ხიდის სასაზღვრო ზოლზე ხშირად უწევდა პატრულირება. მას შეძენილი ასთმა აქვს, ამიტომაც მუდმივად ჟანგბადის ბალონი დაჰქონდა. აფხაზეთში ნესტიანი ჰავაა და როცა ამინდი ფუჭდება, მას სუნთქვა უფრო უჭირს ანუ წვიმიან დღეებში აეროზოლის გარეშე ვერც სუნთქავდა. შემოდგომის მიწურულს, როგორც კი ამინდები ფუჭდებოდა, თვეში სამ-ოთხჯერ მივდიოდით მის სამხედრო ნაწილში და ეს პრეპარატი მიგვქონდა... მამა აფხაზეთის ომის დროს დამეღუპა. ძმის სანახავად ძირითადად, დედაჩემი მიდიოდა, ხანდახან მეც მივყავდი, მაგრამ ერთხელაც, დედა ისე გაცივდა, რომ ორივე ფილტვის ანთება დაემართა და დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ, ენგურის საზღვარზე მე გამიშვა... სანამ ჩემი ძმა ნაწილიდან მოვიდოდა, ქართველებმა ჩამოიარეს, რომლებიც გალში რამდენიმედღიანი სტუმრის სტატუსით იყვნენ ჩამოსული. ამასობაში ჩემი ძმაც მოვიდა და იმ ქართველ ბიჭებში ნაცნობიც იპოვა, მერე კი სთხოვა, — თუ იქით მიდიხართ, ჩემი დაც გაიყოლეთო. გზაში ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი. ჩვენ ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და რამდენიმეთვიანი სატელეფონო საუბრის შემდეგ, დედას გამოვეპარე — შეყვარებულს ენგურის ხიდზე შევხვდი... ლაშამ უკან აღარ გამიშვა, იმ დღესვე თბილისში წამომიყვანა და შევუღლდით.

**— ოჯახში როგორ შეხვდნენ თქვენს ნაბიჯს?**

— საღამოს, როცა დედას დავურეკე და ვუთხარი, — თბილისში ვარ და ქართველი ბიჭის მეუღლე გავხდი-მეთქი, — ისტერიკა დაემართა... მეზობლებმა მითხრეს: ენა ჩაუვარდა, „სასწრაფო“ გამოვიძახეთო, მაგრამ როცა გვერდით საყვარელი ადამიანი გყავს, ასეთ რაღაცებს მაინც ადვილად იტან. მერე ჩემმა მამამთილმა დაურეკა და რუსულად უთხრა, — თქვენი შვილი მტრის ხელში კი არა, მოსიყვარულე ადამიანების ოჯახშია, სადაც მას ყველა პატივისცემით მოეპყრობაო... ერთი სიტყვით, ქართულ-აფხაზური მეორე „დიდი ომის“ მერე, ოჯახში მშვიდობამ დაისადგურა. ჩემი მიყვანის შემდეგ, დედამთილ-მამამთილი საცხოვრებლად რაიონში წავიდნენ, ვინაიდან ბინაში ჩვენთან ერთად ჩემი მაზლი და რძალიც ცხოვრობდნენ. მათ დაქორწინებამდე 3 წელი უყვარდათ ერთმანეთი, შემდეგ როგორღაც მოაბეს თავი და შეუღლდნენ, მაგრამ 7 წელი შვილი არ გაუჩნდათ... რამდენიმეწლიანი მკურნალობის შემდეგ, მათ ნანატრი გოგონა შეეძინათ, რომელსაც ახლა მე ვზრდი.

**— რატომ?**

— როცა ამ ოჯახში შემომიყვანეს, ბავშვი ახალდაბადებული იყო, სამი თუ ოთხი თვის. ვინაიდან ბინა ჩემი ქმრის სახელზე იყო გაფორმებული, მათ ცალკე უნდოდათ გადასვლა, თუნდაც გირაოთი, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ შეძლეს. რძალს საბერძნეთში მყოფი ნათესავები ხშირად ეხმარებოდნენ, თუმცა იქიდან მოწოდებული, ოჯახისთვის, რომელ-

საც პატარა ბავშვი ჰყავდა, არასაკმარისი იყო, მაინც ძალიან უჭირდათ... ვერ გეტყვით, ვინ ურჩია იმ გოგოს ნანატრი შვილის მიტოვება და სამუშაოდ უცხოეთში წასვლა, მაგრამ ამის სურვილი რამდენჯერმე გამოთქვა. ვიფიქრე, ალბათ ქმარშვილთან ერთად მიდის-მეთქი, თუმცა მალევე ამიხსნა, — არა, ბავშვისთვის ძიძას ავიყვან, რომელსაც ფულს გადავუხდიო... გამიკვირდა, — შვილის დატოვება არ გიმძიმს-მეთქი?! — რა ვქნა, აბა, ვიჯდე და ვუყურო, როდის დამიავადდება შვილი შიმშილისგანო?!. ვერაფერი ვუთხარი.

**— მისი მეუღლე არ მუშაობდა?**

— კი, როგორ არა! მას ყოველდღიური ფული მოჰქონდა, შემდეგ ბათუმის პორტში დაიწყო მუშაობა და როგორც ვიცი, ბინის დასაგირავებლად ფულსაც აგროვებდა... მაგრამ ალბათ, არც ეს იყო საკმარისი. რადგან უცხო ვიყავი, ვცდილობდი, მათ ოჯახურ საქმეში არ ჩავრეულიყავი... დიდი ჩხუბის შემდეგ, ის მაინც წავიდა და ძიძაც აიყვანა, რომელიც ღამეც ბავშვთან რჩებოდა. ვიდრე წავიდოდა, ვალი აიღო და ერთი თვის ფული წინასწარ გადაუხადა, მომდევნო თვეში კი მხოლოდ თანხის ნაწილი გამოგზავნა, — სრულად შემდეგ თვეში მოგცემო...

**— ქმარი მის საბერძნეთში წასვლას როგორ შეეგუა?**

— ცუდად. მის წასვლამდე იჩხუბეს და ამის შემდეგ, ჩემი მაზლი ბათუმიდან ორ თვეზე მეტხანს არ ჩამოსულა. ამ ხნის განმავლობაში ბავშვი ძიძას ჰყავდა, მაგრამ რა გული მომითმენდა, ჩემი ოჯახის წევრისთვის შორიდან მეცქირა?! ზოგჯერ მე ვაძინებდი... მერე ჩვენი რძალი დაიკარგა, ძიძას შეპირებული ფულიც ველარ გამოუგზავნა და აღარც რეკავდა. ბავშვის მომვლელმა, რა თქმა უნდა, უფულოდ არ იმუშავა და წავიდა. არც ჩემი მაზლი გამოჩენილა კარგა ხანს.

**— ანუ ჩვილი თქვენ შეგატოვეს?**

— დიახ, ასე გამოვიდა; თან, იმ პერიოდში ფეხმძიმედ ვიყავი, არც ბავშვის გაზრდის გამოცდილება მქონდა და იმას ვაკეთებდი, რაც ძიძისგან მქონდა ნანახი... ტოქსიკური ფეხმძიმობა მქონდა, მაგრამ ჩემს თავს აღარ ვჩიოდი, ოღონდ ბავშვს არ ეტირა. მამამისი რამდენიმე თვეში ერთხელ მაინც ჩამოდიოდა, შვილისთვის საჭმელი და უამრავი ნივთი ჩამოჰქონდა. როცა მასთან მარტო რჩებოდა, ტიროდა, მაგრამ ცოლზე ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია.

**— არც თქვენ ეკითხებოდით?**

— იცით, მაინც უცხო ადამიანი იყო; ვიცოდი, რომ შინაგანად ძალიან ცუდად გახლდათ და ვცდილობდი, მის ჭრილობას არ შევხებოდი, ცეცხლზე ნავთის დასხმას ვერიდებოდი. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ერთი სული მქონდა მეკითხა, — როგორ უყვარდა ასეთი უგულო ქალი? ჰქონდა თუ არა მასთან თუნდაც სატელეფონო ურთიერთობა? მაგრამ სიტყვას ენის წვერზე ვიჩერებდი... წასვლის წინ ბავშვს თვალცრემლიანი ტოვებდა, მე კი ხელებს მიკოცნიდა, — მთელი ცხოვრება შენი მადლიერი ვიქნებიო... გოგონა ისეთი ლამაზი და მშვიდი იყო, მართლა საკუთარი შვილივით შემიყვარდა. ერთხელაც, ჩემი მაზლი ბათუმიდან გაცეცხლებული ჩამოვიდა და გვითხრა, — ჩემმა ყოფილმა ცოლმა რომ დარეკოს, ბავშვზე არაფერი უთხრათ, არც თქვენ დაელაპარაკოთო. ხომ იცით, თბილისში არაფერი იმალება და მალე გავიგეთ, რომ იქ საყვარლები ჰყოლია ანუ, როგორც იტყვიან, გზა აებნა.

**— როცა საბერძნეთში გაემგზავრა, რამდენი წლის იყო?**

— 29-ის იყო, აქედან რომ წავიდა... მალე ჩემმა მაზლმაც ბათუმელი გოგო მოიყვანა ცოლად და მის ოჯახს ჩაესიძა.

**— შვილის თან წაყვანაზე არაფერი უთქვამს?**

— არა, რას ამბობთ, ნია მაშინ 2 წლისა და 4 თვის იყო, ჰოდა, უკვე მე აღარ გავატანდი უცხო ქალთან...

**— ამ დროს უკვე თქვენც გეყოლებოდათ შვილი...**

— დიახ, ბიჭი შეგვეძინა... ორი ბავშვის მოვლაში ჩემი მეუღლე მეხმარებოდა, სხვანაირად შეუძლებელი იყო. ნია რამდენჯერმე წაიყვანა ჩემი ქმრის დედ-მამამ რაიონში, მაგრამ უჩემოდ არ დარჩა. წარამარა ვრეკავდი და მისი ტირილის ხმა რომ მესმოდა, ვგიჟდებოდი, — დამიბრუნეთ-მეთქი. მართლაც, მეორე დღესვე მოჰყავდათ. ჩემი მეუღლე ბოდიშებს მიხდიდა, — ეს რა დღეში ჩავარდიო და როგორც შეეძლო, მეხმარებოდა. სანამ ნია 3 წლის გახდებოდა, მართლა ძალიან მიჭირდა, საშინლად გავხდი, მუდმივად უძილო ვიყავი. რამდენჯერმე დედაჩემი ჩამოვიდა და დარჩა, მაგრამ მასაც თავისი ოჯახი ჰქონდა და მეტხანს დარჩენას ვერ ვაიძულებდი... ნია ყოველთვის რაღაცნაირი მშვიდი, უპრეტენზიო ბავშვი იყო, მაგრამ ყურადღება მაინც სჭირდებოდა. არ მინდოდა, დაჩაგრულიყო, ამიტომ საკუთარ შვილებზე მეტად ვათამამებდი და ასეა დღემდე, რასაც ჩემი მეუღლე მსაყვედურობს. ის როგორც კი დაუყვირებს, ჩემთან მორბის, ვეიმედები.

**— „დედას“ გეძახით?**

— დიახ... იცით, ადამიანებს შორის დედაშვილური დამოკიდებულება რომ ჩამოყალიბდეს, ამისთვის ბიოლოგიური კავშირი არ არის აუცილებელი... თან, გოგო არ მყავს, ორი ბიჭის დედა ვარ და ვინმემ რომ მკითხოს, მათ შორის განსხვავებას თუ ხედავო? — ძალიან გამიკვირდება.

**— მამას მაინც თუ აქვს შვილთან ურთიერთობა?**

— კი, საბედნიეროდ, აქვს. მას მეორე ცოლისგან ორი შვილი ჰყავს, მაგრამ ნიასთვის დროს ყოველთვის პოულობს. ამ ზაფხულს ბათუმშიც წაიყვანა, მაგრამ ბავშვი ჩვენ გარეშე დიდხანს ვერ დარჩა და მალევე ჩამოვიდნენ...

**— ნიამ იცის, რომ მისი ნამდვილი დედა არ ხართ?**

— დიახ, მაგრამ ჩემი აზრით, ის ჯერ პატარაა ასეთ რთულ თემებზე სასაუბროდ... როცა ამის დრო მოვა, ყველაფერს ავუხსნი, თუმცა ამაზე წინასწარ ვნერვიულობ. არ ვიცი, როგორ გადაიტანს სიმართლეს. რამდენჯერმე მკითხა, — შენ დედაჩემი არ ხარო? — არა, შენ ძალიან პატარა იყავი, როცა შენი დედიკო გარდაიცვალა-მეთქი. — მაშინ, ასე ძალიან რატომ გიყვარვარო? — იმიტომ, რომ ამქვეყნად ყველაზე კარგი გოგონა ხარ-მეთქი... იცით, რომ მეთქვა, უცხოეთში ცხოვრობს-მეთქი, აუცილებლად მკითხავდა, — მერე რატომ არ რეკავს ან არ ჩამოდისო? ჩვენი თაობის ბავშვებისთვის ასეთი ტყუილის თქმა შეიძლებოდა, ახლანდელ ბავშვებს კი იოლად ვერ მოატყუებ...



**— თუ ხართ იმისთვის მზად, რომ ერთ დღესაც შეიძლება, დედამისი გამოჩნდეს?**

— დიახ. ვაღიარებ, რომ მის მიმართ ეგოისტური დამოკიდებულება მაქვს, მაგრამ იმასაც ვხვდები, რომ არანაირი უფლე-

ბა არა მაქვს, დედას შვილი წავართვა. ნია გაიზრდება და როცა სიმართლეს გაიგებს, ყველას თავის ადგილს მიუჩენს... გულის სიღრმეში მისი დაკარგვის შიში მაქვს, მაგრამ ყველაზე უარესი, რაც თავში აზრად მომდის, ის არის, რომ დედამისი მასაც უცხოეთში წაიყვანს და ეს ჩემთვის შვილის დაკარგვის ტოლფასი იქნება, მაგრამ რა ვქნა, სიმართლეს ვერ დავემალები, ის მისი შვილია... მაპატიეთ ზედმეტი გულახდილობისთვის, მაგრამ რომ შემეძლოს, მართლა არ დავუთმობდი. სწორად გამიგეთ, მან შეძლო მიეტოვებინა ნანატრი შვილი, რომელიც უფალმა 7 წლის შემდეგ, საჩუქრის სახით გამოუგზავნა... ვიღაცამ შეიძლება გაამართლოს, — იქ თავის დამკვიდრება ძნელია, ემიგრანტები მონურად ცხოვრობენო... დიახ, მესმის ყველაფერი, მაგრამ ეს შვილის მიტოვებას ვერ ამართლებს... ვიცი, თქვენს ჟურნალს საზღვარგარეთშიც კითხულობენ და მაპატიოს, თუ მის მიმართ ასეთი მკაცრი ვარ, მაგრამ დარწმუნებული გახლავართ, წაიკითხავს და მიხვდება, რაც ჩაიდინა...

— **მას იქ ოჯახი ჰყავს?**

— დიახ. როგორც გავიგეთ, ლატვიელ ემიგრანტს გაჰყვა ცოლად და ერთი გოგონა შეეძინათ. მას ნიას მამამ შეუთვალა, — საქართველოსკენ არასდროს გამოიხედოო.... ყველაფრის მიუხედავად, მზად ვარ, მას ნიასთან ურთიერთობის აღდგენაში დავეხმარო. ზოგჯერ, როცა დავფიქრდები, ვცდილობ, გავუგო, ის ხომ თავისი შვილის უკეთესი მომავლისთვის წავიდა იქ და არავინ იცის, მსგავს სიტუაციაში სხვა როგორ მოიქცეოდა... თუმცა მეორე მხრივ, მის საქციელს გამართლება არა აქვს. რაც მეტი დრო გავა, მე და ნია უფრო დამოკიდებული გავხდებით ერთმანეთზე და როგორც დედას, ისედაც მაწუხებს, რომ რაღაც გარემოებების გამო, მას ღვიძლი შვილის სიყვარულში შევეზიარე... როგორც დედა და როგორც ქალი ვთხოვ, თავის საქციელზე იფიქროს და სანამ ძალიან გვიანი არ იქნება, შვილზე იზრუნოს.

— თქვენს შვილებზეც მიამბეთ...

— ჩემი ბიჭებიც სკოლაში დადიან: უფროსი 8 წლის არის, უმცროსი — 6-ის... ნია მათზე საკუთარი ძმებივით ზრუნავს, ბავშვებს იგი ღვიძლი და ჰგონიათ და იფიცებენ. საერთოდ, ჩვენს ოჯახს ერთი „უცნაურობა“ სჭირს — მეც და ჩემი მეუღლეც ნიას ვიფიცებთ ხოლმე... გოგონა ახლა 10 წლის ხდება, მაგრამ თავის ასაკისთვის, მეტად ჭკვიანი და დინჯია.

■

*თემა*

# პასუხისმგებლობის შიში და ტაბუდადებული თემა

## ანუ რატომ ტოვებენ მამაკაცები ორსულ შეყვარებულებს

**როგორც ჩემმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, მამაკაცს უჭირს იმის გაცნობიერება, რომ მამა უნდა გახდეს და სწორედ ამიტომაც, ბიჭები ორსულ შეყვარებულებს ზურგს ხშირად აქცევენ, ხოლო თავგზააბნეული, მიტოვებული გოგონები საბედისწერო შეცდომებს უშვებენ.**

*ელენე ბასილიძე*

**ნინაკა,** *21 წლის:*

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სიყვარულის მსხვერპლი ვარ... მაისში შეყვარებულს დავშორდი. 2 წლის განმავლობაში ვიყავით ერთად. კახა ძალიან მიყვარდა და მის ცოლობაზე ვოცნებობდი, მაგრამ მერე ყველაფერი აირია... ელემენტარულ რაღაცებზე ვჩხუბობდით, თითქოს ერთმანეთს ველარ ვუგებდით და ბოლოს, როცა ამ ურთიერთობით ორივე დავიღალეთ, დაშორება გადავწყვიტეთ, ეს კი არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც მე მეგონა: მთელი დღეები ვტიროდი, სახლიდან გამოსვლა აღარ მინდოდა, კომპიუტერთან ვიჯექი და ჩვენს ფოტოებს ვათვალიერებდი... ჩემი საქციელით მშობლებიც დავტანჯე, რომლებმაც ცოტა ხანი მითმინეს, მერე კი გამომიცხადეს: — შენი ატანა აღარ შეგვიძლია! სასწრაფოდ შეკარი ბარგი და ზღვაზე წადი, იქნებ იქ მაინც „გამოფხიზლდეო“... მართალია, არსად წასვლა არ მინდოდა, მაგრამ დედ-მამას ხათრი ველარ გავუტეხე და დაქალთან ერთად, 2 კვირით ბათუმში წავედი. ჩასვლიდან მეორე დღეს ახლობელმა ვიღაც ნიკა გაგვაცნო. მაშინ მისთვის ზედაც არ შემიხედავს, რადგან გარეგნობით მართლა ვერ დაიკვეხნიდა, ჩვეულებრივი ბიჭი იყო, მაგრამ იმ დღის მერე ნიკა გვერდიდან არ მოგვცილებია, მე და ჩემი დაქალი აქეთ-იქით დავყავდით, მთელი აჭარა შემოგვატარა, რამდენიმე დღეში კი გამომიტყდა, — ძალიან მომწონხარო და სიმართლე გითხრათ, მის მიმართ სიმპათია უკვე მეც მქონდა. ნიკა ჩემს გულში ნელ-ნელა შემოიპარა და მივხვდი, რომ სწორედ მას შეეძლო, ჩემთვის კახა დაევიწყებინა. ერთ საღამოს, ბარში ყოფნისას, მე და ნიკამ სპირტიანი სასმელი დავლიეთ. ეტყობა, ალკოჰოლის ზედმეტი დოზა მივიღე და აღარ მახსოვს, მასთან ერთად სასტუმროში როგორ აღმოვჩნდი. მეორე დღეს ნიკამ გამომიცხადა, — შენ ჩემი მომავალი მეუღლე ხარო; მპირდებოდა, რომ მალე ბინას იყიდიდა და ოჯახსაც შევქმნიდით. — არ მინდა, მშობლებთან ერთად ვიცხოვროთო, — მეუბნებოდა. არ ვიცი, ისე რამ ამირია გონება, რომ თბილისიდან წასვლას და ბათუმში გათხოვებას ვაპირებდი!.. ერთად ორი არაჩვეულებრივი კვირა გავატარეთ, მერე კი ჩემი თბილისში დაბრუნების დროც მოვიდა. ბათუმიდან თვალცრემლიანმა გამომაცილა და დამპირდა, რომ ხშირად მომინახულებდა. თბილისში ჩამოსულმა სისუსტე ვიგრძენი, ყველაფერი მეზარებოდა... მალე ნიკამ ჩამომაკითხა და როცა მასთან ერთად ვსეირნობდი, გული წამივიდა. ნიკა შეშფოთდა და მითხრა, — ორსულობის ტესტი იყიდე, მგონი, ორსულად ხარო. იმ დღეს ტესტი ნამდვილად არ მიყიდია, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ეჭვი მეც გამიჩნდა და აფთიაქში შევედი — ნიკა მართალი აღმოჩნდა!.. როცა ბათუმში მყოფს დავურეკე და ვუთხარი: — ორსულად ვარ-მეთქი, უცერემონიოდ მომახალა, — ეგ ბავშვი უნდა მოიშორო! ხვალ ფულს გამოგიგზავნი და



აბორტი გაიკეთეო. ლამის გადავირიე, შუა ქუჩაში შეურაცხადივით ვკიოდი: — შე არაკაცო, ჩემი სახელი აღარ ახსენო, ეს როგორ მითხარი, შვილი როგორ მოვკლა-მეთქი?!. თავგზა ამებნა, რა გამეკეთებინა, აღარ ვიცოდი. ჩემი გასაჭირის შესახებ დაქალებს ვუამბე. ისინი ჩემზე მეტად დაბნეულები, ჭირისუფლებივით მესხდნენ გვერდით... ნიკამ კიდევ რამდენჯერმე დამირეკა და ყოველ ჯერზე მეუბნებოდა: ოჯახის შესაქმნელად მზად არა ვარ. თუ გინდა, ისევ ერთად ვიყოთ, აბორტი გაიკეთე, თუ არა და, დაივიწყე, რომ ოდესმე მიცნობდიო. ჩემი საიდუმლო დეიდის მეუღლეს გავანდე, იმ იმედით, რომ ნიკას მორჯულებაში დამეხმარებოდა. ბიძაჩემს ბათუმში ბევრი მეგობარი ჰყავს და მათ ჩემი შეყვარებულის მოძებნა არ გასჭირვებიათ, მაგრამ ნიკამ თავი შორს დაიჭირა: — მე ეგ გოგო გასართობად მინდოდა, დაქორწინებას არასოდეს დავპირებივარ; ნაშა იყო და ასი წელი, ცოლად არ მოვიყვანო. მოკლედ, ყველანაირად ეცადა, პასუხისმგებლობა თავიდან აერიდებინა. მისი სიტყვები რომ გადმომცეს, შევძრწუნდი — ადამიანი, რომელიც მიყვარდა, ათასგვარ სისაძაგლეს მაბრალებდა... ვხვდებოდი, ცხოვრება თავზე მენგრეოდა. ჩემი ორსულობის შესახებ მშობლებს რომ გაეგოთ, გული გაუსკდებოდათ. ჰოდა, ვერ გავბედე, მათთვის თავზე ლაფი დამესხა და ერთ დღესაც სამშობიაროში წავედი, აბორტი გავიკეთე. ვიცი, ბევრი გამამტყუნებს, მაგრამ ისეთი არაკაცისაგან, როგორიც ნიკა იყო, შვილს ვერ გავაჩენდი! მისნაირ ადამიანებს შვილები არც უნდა ჰყავდეთ! არ ვიცი, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება, ნაყოფი რომ არ მომეცილებინა, მაგრამ ფაქტია, ზედმეტ პრობლემებს თავი ავარიდე, ბიძას კი ვუთხარი, — მუცელი მომეშლა-მეთქი. უკვე თვეზე მეტია, ღამით ჩემი დაუბადებელი შვილი მელანდება, რომელიც ტირის და ხელებს მიწვდის. ნეტავ, ამ „კოშმარისგან" ოდესმე თუ გავთავისუფლდები?! ერთმა საკურორტო რომანმა მთელი ცხოვრება დამინგრია.

**ლიზა,** *22 წლის:*

— მე და ზაზა ერთმანეთს სკოლიდან ვიცნობდით. ის ჩემზე 2 წლით უფროსი იყო და დაახლოებით, 10 წლის ვიყავი, როცა სიყვარული ამიხსნა. აღფრთოვანებული გახლდით იმ ფაქტით, რომ ჩემზე უფროს ბიჭს ვუყვარდი! ზაზა ცდილობდა, სულ ჩემ გვერდით ყოფილიყო, თავს მევლებოდა. როცა სკოლა დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად თბილისში ჩამოვიდა, მის გარეშე ყოფნა ძალიან გამიჭირდა; ის 2 წელი ჩემთვის კოშმარი იყო, გამუდმებით მენატრებოდა და ვცდილობდი, მის სანახავად თბილისში ჩამოვსულიყავი ხოლმე... როგორც იქნა, გავიდა 2 წელი, სკოლა მეც დავამთავრე და სტუდენტი გავხდი. თბილისში დეიდასთან ერთად ვცხოვრობდი, ზაზას კი ბინა დაქირავებული ჰქონდა და მარტო იყო. ჩვენ ოჯახის შექმნას ვაპირებდით. ზაზა მპირდებოდა, — უნივერსიტეტს როგორც კი დავამთავრებ, ჯვარს დავიწერთო. ერთ ღამეს მასთან გვიანობამდე შემოვრჩი, ტრანსპორტი აღარ მოძრაობდა და ზაზას სახლში დარჩენა მომიხდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, იმ დღეს მასთან ვიწექი... რადგან ეს ნაბიჯი ერთხელ გადავდგი, ზაზა მის ბინაში დარჩენას ხშირ-ხშირად მთხოვდა. დეიდას ვატყუებდი, — დაქალთან ვიქნები-მეთქი და ზაზასთან გავრბოდი. რამდენიმე ხანში საყვარელი ადამიანისგან დავორსულდი და ეს ამბავი ჩემს მომავალ მეუღლეს, გაბრწყინებული სახით ვახარე. დარწმუნებული ვიყავი, გაუხარდებოდა. — კარგი, ლიზიკო, როგორც ჩანს, ჩვენი ოჯახის შექმნის დროც მოვიდა. ხვალ სოფელში წავალ და მშობლებს ჩემი გადაწყვეტილების შესახებ მოვუყვებიო, — ღიმილით მითხრა. მეორე



დღეს მართლაც, სადღაც წავიდა. 3 დღე ისე გავიდა, არ დაურეკავს. ვიფიქრე, — ალბათ, ქორწილის საქმეებს აგვარებს და ჩამოსასვლელად ვერ მოიცალა-მეთქი. კიდევ 2 დღე მოვითმინე, მაგრამ რადგანაც არ გამოჩნდა, დედამისს დავურეკე. მითხრა, — ზაზა არ ჩამოსულა. უკვე 2 თვეა, არც გავხსენებივართო. თავზარი დამეცა. მეგონა, რაღაც დაემართა და შიშისგან ლამის, გული გამისკდა. რამდენიმე დღეში მისმა კურსელმა მითხრა: — ზაზა უკრაინაში წავიდა და ჩამოსვლას აღარ აპირებსო. ნერვიულობისგან ლოგინად ჩავვარდი... ჩემი ორსულობის ამბავსაც ვერავის ვუმხელდი. გული მისკდებოდა, როცა წარმოვიდგენდი, რომ მშობლები ამ ამბავს გაიგებდნენ. 3 თვე თითქოს, ძილბურანში ვიყავი. მალე მუცელიც წამომეზარდა და დეიდამ სახლში სკანდალი მომიწყო, სულ ბოზი, ნამუსგარეცხილი მეძახა, მერე ჩემი ტანსაცმელი, პირადი ნივთები სადარბაზოში გადაყარა და მიყვირა, — სადაც გინდა, იქ წაეთრიე. იცოდე, შენ და შენს ნაბუშარს სახლში არ გაგაჩერებთო!.. სად უნდა წავსულიყავი? — დროებით დაქალს შევეკედლე. ცოტა ხანში ჩემ შესახებ მშობლებმაც გაიგეს და მეზობლის პირით შემომითვალეს: — ჩვენ შვილი მოგვიკვდა. იცოდე, აღარასოდეს გაგვიხსენოო... ერთ დღეს მოხუცმა პაპიდამ — ნანულიმ მომაკითხა და თავის სახლში გადასვლა შემომთავაზა. მას ახალგაზრდობაში შეყვარებული გარდაეცვალა და მისი ხსოვნისთვის არასოდეს ულალატია, შინაბერად დარჩა. მოკლედ, საცხოვრებლად პაპიდასთან გადავედი. ორსულს ის მივლიდა, ცივ ნიავს არ მაკარებდა და ცდილობდა, ჩემთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინა, ხოლო როცა პატარა ნიკოლოზი დაიბადა, ყველაფერს აკეთებდა, რათა მე და ჩემს შვილს არაფერი მოგვკლებოდა. სამწუხაროდ, ნანული 1 წლის წინ გარდაიცვალა, ბინა კი ჩვენ გვიანდერძა. ნიკუშა უკვე 2 წლისაა, ბაგაბაღში დადის, მე კი ორ ადგილზე ვმუშაობ, რათა ჩემს პატარას არაფერი მოაკლდეს... მშობლები დღემდე არ მელაპარაკებიან და არც ჩემი შვილის ნახვა სურთ. რაც შეეხებათ ზაზას მშობლებს, ისინი რამდენჯერმე მოვიდნენ ბავშვის სანახავად. ამბობენ: — ჩვენი შვილი ცოცხალია თუ მკვდარი, არ ვიცითო, მაგრამ მათი არ მჯერა... ზაზას გახსენებისას გული მეკუმშება ხოლმე. ნეტავ, არ აინტერესებს, როგორ ვართ? მე ის დღემდე მიყვარს და ვერ ვხვდები, მე და ბავშვი ასე როგორ გაგვწირა...

**გუგა,** *26 წლის:*

— 3 წელია, ერთ საიდუმლოს ვინახავ და არ ვიცი, როგორ მოვინანიო დანაშაული... ნანუკა ძმაკაცის ქორწილში გავიცანი, ის პატარძლის დაქალი ყოფილა. მთელი საღამო ერთად გავატარეთ, რამდენჯერმე ვიცეკვეთ და ჩემი გულიც მოიგო. ძალიან საყვარელი გოგონა იყო: არაამქვეყნიური, თბილი, შეგნებული, განათლებული... ქორწილის მეორე დღესვე დავურეკე. შევატყვე, ჩემი ხმის გაგონება გაუხარდა და შეხვედრა დავუთქვი. როცა პაემანზე მოვიდა, ისეთი ლამაზი იყო, ლამის გული „საგულედან ამომივარდა“. ყველანაირად ვეცადე, მასზე კარგი შთაბეჭდილება მომეხდინა და როგორც ჩანს, ეს გამომივიდა კიდეც — 2 თვის შემდეგ მე და ნანუკა უკვე შეყვარებულები ვიყავით. გამუდმებით ვცდილობდი, მასთან ვყოფილიყავი. ერთ დღეს ის ჩემს სახლში დარჩენაზე დავიყოლიე. მახსოვს, მაშინ ყველაზე მაგარი მამაკაცი მეგონა თავი, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა მითხრა, — ორსულად ვარო, ლამის გული წამივიდა. არ ვიცი, მაშინ რა დამემართა, მაგრამ ფაქტია, მის მიმართ აგრესია გამიჩნდა და იმ დღეს პირველად ვიჩხუბეთ. საწყალი, აკანკალებული და აცრემლებული გავუშვი სახლში... შვილი არ მინდოდა და ნერვები ამიტომაც ამეშალა. მესამე დღეს აცრემლებული ნანუკა სამშობიაროში წავიყვანე და აბორტი გავაკეთებინე. ახლაც მახსოვს მისი მუდარით სავსე თვალები; მეხვეწებოდა: — არ მოვკლათ, რა, გავაჩენო, მაგრამ მისი მოსმენაც არ მინდოდა... მას მერე, რაც საწადელს მივაღწიე და პატარა თავიდან მოვიცილე, ნანუკა ჩემი ცხოვრებიდან გაქრა. სიმართლე გითხრათ, მისი ძებნით თავი არც მე მომიკლავს, უბრალოდ, ხანდახან მახსენდებოდა და ამ დროს გული ტკივილით მეკუმშებოდა... 2 წლის შემდეგ ნინო გავიცანი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ გადავწყვიტე, ცოლად მომეყვანა, 1 წლის შემდეგ კი ლუკა შეგვეძინა — ბავშვი ცერებრალური დამბლით დაიბადა... მე და ნინო ნერვიულობისაგან ადამიანებს აღარ ვგავდით და სწორედ მაშინ გამახსენდა ნანუკა, რომელსაც საკუთარი შვილის მოკვლა ვაიძულე. დარწმუნებული ვარ, იმ ცოდვამ მიწია და ლუკა ამიტომ დასაჯა უფალმა. მეუღლე მიჩიჩინებს, კიდევ ერთი ბავშვი ვიყოლიოთო, მე კი ამის გაგონებაც არ მინდა — მამობის უფლება მაშინ მოვისპე, როცა ნანუკას აბორტი გავაკეთებინე და არც კი ვიცი, დანაშაული როგორ გამოვისყიდო...



**ლევან შატბერაშვილი,** *ფსიქოლოგი:*

— ამ შემთხვევაში, მამაკაცს საყვარელ ადამიანზე უარის თქმას პასუხისმგებლობის შიში აიძულებს ანუ როცა მას ქალთან თავისუფალი ურთიერთობა, „კარგი“ ცხოვრება სურს და ამ დროს იგებს, რომ შესაძლოა, ბავშვი გაუჩნდეს, ფრთხება. მეტიც, არასასურველი ორსულობა წრფელი სიყვარულით დაკავშირებულ წყვილებსაც აშორებს ერთმანეთს. საქართველოში სექსუალური განათლების ძალიან დაბალი დონე გვაქვს. მშობლები შვილს დანა-ჩანგლის ხმარებასა და ქცევის წესებს ვასწავლით, მაგრამ სექსუალურ განათლებას არ ვაძლევთ; რატომღაც მივიჩნევთ, რომ ამას სწავლა არ უნდა და სწორედ ამაში ვცდებით... ქართველი მამაკაცები სხვა მამაკაცებზე არც არაფრით უკეთესები არიან და არც — უარესები. ისინი, ვინც ორსულ შეყვარებულებს ტოვებენ, ქართველი დედებისა და მამების შვილები არიან და რა ფასეულობებითაც აღიზარდნენ, ისეთები გახლავან. საერთოდ, ბავშვზე ჩვენი ქმედება უფრო დიდ გავლენას ახდენს, ვიდრე ის, რასაც ვეუბნებით. მოკლედ, თუ მინდა, ჩემი შვილი კარგი მამა იყოს, უპირველეს ყოვლისა, მისთვის მე უნდა ვიყო კარგი მაგალითი! თითოეული მამაკაცი, რომელიც ორსულ გოგონას მიატოვებს, ოჯახის „პროდუქტია“ და მისი უპასუხისმგებლობის მიზეზიც ოჯახში უნდა ვეძიოთ... ერთი სკოლის მოსწავლე პაციენტი მყავდა, რომელიც თანაკლასელი ბიჭისგან დაორსულდა. მშობლებმა აბორტი გააკეთებინეს და ბავშვს სერიოზული დეპრესია დაემართა — ამ პრობლემებს მანამდე ვერ ავარიდებთ თავს, ვიდრე მშობლები თვალებს დავხუჭავთ და თავს მოვიტყუებთ, თითქოს ჩვენს შვილებს სექსუალური მოთხოვნილება არა აქვთ. ■

# უსინათლო ბიჭი მყინვარწვერის დასალაშქრად გაემგზავრა

## „თუ ადამიანი მოინდომებს, ყველაფერს შეძლებს!“

**28 წლის დათო ყვირილიანმა, რომელმაც თვალის ჩინი ბავშვობაში დაკარგა, მყინვარწვერის დაპყრობა განიზრახა. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ის ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად მოემზადა და ალპინისტე-ბის ჯგუფთან ერთად მყინვარწვერის დასალაშქრად გაემგზავრა.**

**რამდენიმე თვის წინ კრეატიულმა სტუდიამ — iGEO უსინათლოები-სათვის პროექტი განახორციელა, რომლის ფარგლებშიც ქართველი მწერლების ნაწარმოებები ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა. სწორედ მაშინ გაიცნეს ერთმანეთი iGEO-ს დირექტორმა — გია ჯვარშეიშვილმა და დათო ყვირილიანმა, მერე კი ერთად გადაწყვიტეს, რომ დათოს ცხოვრების შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაეღოთ; გადაღებები მყინვარწვერზე დაიწყება.**



ეთო ყორღანაშვილი

**— ვიდრე თვალისჩინს დაკარ-გავდი, მთის ნახვა მოასწარი?**

— კი, ბავშვობაში ლეჩხუმში ვიყავი. ექიმი და ექიმბაში არ მყავს და-ტოვებული, ვისთანაც სამკურნალოდ არ ვყოფილვარ; ლეჩხუმშიც თვალებთ-ან დაკავშირებული პრობლემის გამო გახლდით...

*დათო აფხაზეთიდან დევნილია. მამამისი აფხაზეთის გაერთიანებუ-ლი ჩაის ფაბრიკის მთავარი ინჟინ-ერი იყო, შემდეგ სოფლის გამგე-ბლად დანიშნეს. დათომ მხედველობა აფხაზეთში ცხოვრების პერიოდში, 8 წლის ასაკში დაკარგა — ძლიერი ფორმის გლაუკომამ სიბრმავე გამ-ოიწვია. მცირე ასაკის გამო, ბიჭმა თვალისჩინის დაკარგვა იოლად გა-დაიტანა. ამბობს, რომ ბუნების ფერ-ები დღემდე ახსოვს...*

*დათო და მისი ოჯახის წევრები თბილისში საცხოვრებლად 1990 წელს ჩამოვიდნენ. მათ დღემდე არ იციან, სადაა ოჯახის უფროსის საფლავი... დათომ უსინათლოთა სკოლა-ინტერ-ნატი თბილისში დაამთავრა. 2003 წელს დედა გარდაეცვალა და ეს ამბავი მძიმედ გადაიტანა — მაშინ სოხუმის უნივერსიტეტის პოლიტო-ლოგიის ფაკულტეტის მესამე კურ-სის სტუდენტი გახლდათ. ახლა ცდი-ლობს, ისე იცხოვროს, როგორც მისი მშობლების სულებს გაუხარდებათ. ამჟამად ძმასთან, რძალთან და ძმისშ-ვილებთან ერთად თბილისის ზღ-ვაზე, კადეტთა კორპუსში ცხოვრობს. მყინვარწვერის დაპყრობასთან დაკავ-შირებულ გადაწყვეტილებას დათოს ახლობლები შუბლშეჭმუხვნით შეხ-ვდნენ, მაგრამ მის არჩევანს პატივს სცემენ.*

— ჩემი გადაწყვეტილება ბევრს გაუკვირდა. მათი პირველი შეკითხ-ვა ასეთი გახლდათ: — შეძლებ? მე ვცდი და ვნახოთ, რა გამომივა. დიდი სურვილი მაქვს, მყინვარწვერზე არ-სებულ პატარა სალოცავში სანთელი დავანთო.

**— მყინვარწვერის დასალაშქრად როგორ ემზადებოდი?**

— ყოველ დილით, სამსახურში წასვლამდე ვვარჯიშობდი, თბილი-სის ზღვაზე დავრბოდი, რაშიც მე-გობრები მეხმარებოდნენ...

*დათო უსინათლოთა კავშირში მუ-შაობს, რომლის შენობის მესამე სართულიდანაც შარშან გადმოვარ-და, შედეგად კი ფეხი დაიშავა. სა-ბედნიეროდ, ის უკვე საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და მყინვარწვერ-ის დასაპყრობადაც მზადაა — მთის დალაშქვრისას ხომ ყველაზე დიდი დატვირთვა ფეხებს აქვს! დათომ ალპინისტებთან კონსულტაციებიც გაიარა და როგორც ამბობს, — მათ რჩევებს აუცილებლად გაითვალ-ისწინებს, მისი გადაწყვეტილებით აღტაცებულ მეგობრებს იმედს არ გაუცრუებს.*



დათო (მარჯვნივ) მეგობარ გიასთან ერთად

— დარწმუნებული ვარ, ეს ლაშ-ქრობა სიამოვნებას მომანიჭებს, რად-გან მთა ძალიან მიყვარს! ზღვაც კარ-გია, მაგრამ მთა სულიერ სიამოვნებას მანიჭებს. საკმაოდ დიდხანს ვფიქრობ-დი — მყინვარწვერის დალაშქვრას შევძლებდი თუ არა? საბოლოო გადა-წყვეტილება სექტემბერში მივიღე.

**— სხვა უსინათლოები შენს გადაწყვეტილებას როგორ შეხვდ-ნენ?**

— ოპტიმისტურად! ისინი დარწმუ-ნებულები არიან, რომ ამ ბარიერს აუცილებლად გადავლახავ! ჩემს გადა-წყვეტილებას სოციალურ საიტებზეც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

**— შენი ამ ნაბიჯით რა გინდა, რომ თქვა?**

— მინდა, საზოგადოებას ვუთხრა, რომ თუ ადამიანი მოინდომებს, ყვე-ლაფერს შეძლებს. მიუხედავად იმ-ისა, რომ თვალისჩინი არა მაქვს, ბევრ რაღაცას სხვებზე უკეთ ვხე-დავ. მერწმუნეთ, უსინათლოებსაც ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია.

**— სხვა უსინათლოებიც აქ-ტიურად ცხოვრობენ?**

— ყოველ შემთხვევაში, აქტიურად ცხოვრებას ცდილობენ მაინც.

*გამგზავრებამდე დათო საქართვე-ლოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწ-მინდესსა და უნეტარეს ილია მე-ორეს შეხვდა. პატრიარქმა ის დალ-ოცა, შემდეგ კი უთხრა, რომ მყინ-ვარწვერის დალაშქვრა ძალზე რთუ-ლი და საშიშია. დათომ მისი სი-ტყვები გაფრთხილებად მიიღო და სულიერად დამშვიდებული, მიზნის მისაღწევად გაემგზავრა.*

■

# შეურაცხყოფილი ემიგრანტის აღსარება

## „ვალი ავიღეთ და გარდაცვლილის შვილები გავაჩუმეთ...“

**39 წლის ლელა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონულ ცენტრში ცხოვრობდა. პროფესიით მედიცინის და საავადმყოფოში მუშაობდა და სამ შვილს ზრდიდა. უჭირდათ, მაგრამ არა იმდენად, რომ შვილები მიეტოვებინა და უცხოეთში გადახვეწილიყო. ამაზე არც იფიქრებდა, ქმარს ავარია რომ არ მოეხდინა და კაცი არ მოეკლა. ლელა საბერძნეთიდან დაგვიკავშირდა.**

ინგა ჯაყელი

*ის კაცი ჩვენი დასაკრძალი გახდა. გარდა ამისა, ჩემი ქმარი რომ არ დაეჭირათ, ვალად დიდი თანხა ავიღე. არ მინდოდა, ციხეში ჩამჯდარიყო, არადა ნამდვილი უმადური აღმოჩნდა. მინდა, გული გადაგიშალოთ და შეულამაზებლად გიამბოთ ის, რაც თავს გადამხდა. ჩემი ქმარი ლოთია, იმ დღესაც მთვრალი მართავდა მანქანას და ამიტომაც ვერ დაიმორჩილა საჭე. იმ უბედურს კიდევ, უნამუსო შვილები აღმოაჩნდა — ფული აიღეს და თქვეს, რომ ყველაფერი გარდაცვლილის ბრალი იყო... 39 წლის ვარ და ბავშვობის შემდეგ, მერწმუნეთ, 39 დღეც არ გამიტარებია ცრემლის გარეშე...*



*ლელა ხუთ წელზე მეტია, საბერძნეთშია და უმძიმეს ავადმყოფებს უვლის, რათა ვალები გაისტუმროს და შვილებს ბინა უყიდოს, მისი სამი გოგონა კი დღემდე ბიძასთან (დედის ძმასთან) ცხოვრობს, ქუთაისში, რადგან რაიონში არსებული მათი სახლიც ვალებს შეეწირა. ლელას ქმარმა იოლი „გამოსავალი“ იპოვა: უქმრო ქალი მოძებნა, „ჩაესიძა“ და მას შემდეგ შვილები არც მოუკითხავს...*

— ქუთაისში დავიბადე და გავიზარდე. მე და ჩემს ძმას მშობლები არაფერს გვაკლებდნენ. მდიდრები არ ვიყავით, მაგრამ არც რაიმე გვაკლდა. ჩემი ძმა ბავშვობიდან ინვალიდია — სახსრები ჰქონდა დაავადებული და შესაბამისად, მოძრაობა შეზღუდული. ბევრს ეგონა, რომ ამის გამო სრულფასოვნად ვერ იცხოვრებდა. როგორც ჩანს, ჩემმა მომავალმა ქმარმა, ლევანმაც ასე იფიქრა და ხეირიანად არც კი ვიცნობდი, როცა მომიტაცა — მაშინ 20 წლისაც არ ვიყავი. მალე გაირკვა, რომ ლევანს ჩვენს ოჯახში ზედსიძედ შემოსვლა უნდოდა, ინვალიდი ცოლისძმა „მეტოქედ“ არც კი მიაჩნდა... მიუხედავად იმისა, რომ რაიონულ ცენტრში ვცხოვრობდით, ლევანი მაინც ვერ იტანდა „სოფლურ“ ყოფას და უხეშად მექცეოდა. მისი საქციელი უფრო აუტანელი გახდა მას შემდეგ, რაც ჩემი ძმა დაქორწინდა... ლევანმა სმა დაიწყო და მთვრალი მცემდა კიდეც... ორ წელზე მეტხანს შვილიც არ შეგვეძინა: ამის გამოც მამცირებდა — უშვილოს და ბერწს მეძახდა. ახლა ეჭვიც არ მეპარება, რომ არც შვილების გაჩენა გახარებია. გოგონები რომ უყვარდეს, ბიძის სახლში სამადლოდ შეფარებულებს როგორ არ მოიკითხავდა?!.

— **კი, მაგრამ თუ ასე უპასუხისმგებლოდ იქცევა, თქვენ რა ვალდებული ხართ, მისი ვალები გაისტუმროთ?!**

— უბედურებაც იმაშია, რომ ვალი მე და ჩემმა ძმამ ავიღეთ, როცა ციხიდან მის გამოყვანას ვცდილობდით. ჰოდა, ახლა ვალების გასტუმრებაზე რომ არ ვიზრუნო, შეიძლება, ჩემს ძმას სახლი გაუყიდონ... მადლობა ღმერთს, საბერძნეთამდე ჩამოვაღწიე. ახლა ენაც ვიცი, აქაური სიტუაციაც და უკვე სხვა ქალებსაც ვაკვალიანებ, ახალჩამოსულებს ვეხმარები; ჩემი მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მათ ჭკუასაც ვარიგებ და ვეუბნები, რომ საქართველოში დარჩენილ ქმრებს ფული კი არ გაუგზავნონ, არამედ თანხა დააგროვონ და ჭკვიანურად დააბანდონ. მერწმუნეთ, აქ გადმოხვეწილი ბევრი ქალია ჩემნაირ მდგომარეობაში ანუ მათმა ქმრებმა „უბიწოება“ მალევე დაკარგეს, საყვარლები გაიჩინეს და ისეთი თავხედებიც არიან, რომ ცოლების ნაშოვნ ფულს უნამუსო ქალებს ახარჯავენ, შვილებს პირიდან ლუკმას აცლიან... საქართველოში სამი შვილი დავტოვე. მაშინ უფროსი 11 წლის იყო, პატარა — 5-ის. ჩემმა დედამთილმა და მულმა გამომიცხადეს, — ამათ ჩვენ ვერ მოვუვლითო. ჰოდა, ისევ რძალმა გამიწია თანაგრძნობა — თავის ორ შვილთან ერთად, ჩემს სამ გოგონასაც უწევს დედობას. ღმერთო, ჩემი ძმა უნდა იყოს ინვალიდი და ჩემი ქმარი ჯანმრთელი?!. სანამ ციხეში იყო, ხელებს გვიკოცნიდა და გვევედრებოდა: — ოღონდ ახლა არ მიმატოვოთ და მე ვიცი თქვენი პატივისცემაო! ჩემი სისულელისა რა ვთქვა, თორემ თუ მანამდე ძალლად არ მაგდებდა, ციხეში შეეყრებოდა სიყვარულის ვირუსი?!. ჰოდა, მე და ჩემმა ძმამ ვალი ავიღეთ და გარდაცვლილის შვილები გავაჩუმეთ...

როცა საზღვარგარეთ წამოვედი, მარტო გოგონები კი არა, ლევანიც ჩემმა ძმამ შეიფარა; მას კი, იმის ნაცვლად, რომ სამუშაო ეძებნა, ისევ სმა დაუწყია, მერე იმ ქალს გადაყრია და გადაკარგულა... თურმე, მისი საყვარელი დილიდან საღამომდე ბაზრობაზე დგას და რაღაცას ჯახირობს. თავის დროზე ის საწყალიც ქმარს მიუტოვებია (მაშინ მათი ვაჟი 10 წლის ყოფილა) — ვითომ სამუშაოდ წასულა, რუსეთში და მას მერე ცოლშვილი არც მოუკითხავს. ასეთ კაცზე ახია, ცოლი თუ უღალატებს, მაგრამ იმ უტვინო ქალმა საყვარლის სახლში მიიყვანა შვილს როგორ აკადრა ან საკუთარ ნაშრომ-ნაწვალევს ლოთსა და უსაქმურს რატომ უნაწილებს?!. თანაც, ლევანი თურმე, მას არც გინებას აკლებს და სცემს კიდეც...

ზოგჯერ მგონია, რომ საქართველოში დაბრუნების სურვილი დავკარგე. ჰოდა, როცა ვალებს გავისტუმრებ და რაღაც თანხას მოვუყრი თავს, შეიძლება, ბინა აქ ვიყიდო, მერე კი ჩემს გოგონებს ჩამოვიყვან...

■

# რა წვლილი მიუძღვის ლენინს რეჯებ ჟორდანიას დაბადებაში

## „ჩემი სამშობლოა – ლევილი-ნიუ-იორკი-თბილისი“

**ნოე ჟორდანიას შვილი, რეჯებ ჟორდანია ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ბატონი რეჯები 89 წლისაა და მიუხედავად ასაკისა, ბევრს მოგზაურობს, ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას.**

**სამწუხაროდ, ბატონი რეჯები ქართულად კარგად ვერ საუბრობს და ინტერვიუს ჩაწერისას თარჯიმნის დახმარება დაგვჭირდა.**

*ელენე ხირსელი*



**— პირველად როდის იხილეთ საქართველო?**

— საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში ჩამოსვლა შეუძლებლად მიმაჩნდა. ბავშვობაში წინაპართა ქვეყანა რომანტიკულ, ზღაპრულ სამყაროდ წარმომედგინა, რომელიც გმირებითა და კეთილშობილი რაინდებით იყო დასახლებული, სადაც უმშვენიერესი ასულები ცხოვრობდნენ... პირველად ოთხმოციანი წლების მიწურულს ჩამოვედი. მაშინ საზოგადოება ძალიან ცუდად იყო ინფორმირებული პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და თავად ნოე ჟორდანიას მოღვაწეობის შესახებ. თუმცა ის მოქალაქეები, უფრო მეტად კი სახელმწიფო მოხელეები, ვინც ამის შესახებ რაღაც იცოდნენ, ჩემთან ურთიერთობას ერიდებოდნენ. მახსოვს, თბილისის ერთ-ერთ რესტორანში მეგობართან ერთად ვიჯექი. შემთხვევით, მეზობელი სუფრის წევრები მისი ნაცნობები აღმოჩნდნენ და გვთხოვეს, — ჩვენს სუფრას შემოუერთდით. როცა მათ ჩემი თავი წარუდგინეს, ხალხს სახეზე აღელვება და დაბნეულობა შევატყვე; მეტიც, ჩვენი მიპატიჟება გადაიფიქრეს და ძალიან მალე, იქაურობა დატოვეს. ახლა ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. მაოცებს და მახარებს ის ფაქტი, რომ ახალგაზრდებმაც კი ბევრი რამ იციან ნოე ჟორდანიასა და იმ კონკრეტული ისტორიული ეპოქის შესახებ...



მას სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა იმედი იმისა, რომ ოდესმე სამშობლოში დაბრუნდებოდა

საქართველოში ვიზიტისას მოვინახულე ის ადამიანები, რომლებიც საკუთარი მიწიდან გააძევეს და ახლა წეროვანში ცხოვრობენ. ჰოდა, გამახსენდა მამა, რომელიც თავის დროზე მათსავით აიძულეს, დაეტოვებინა ყველაფერი და უცხო მხარეში გადახვეწილიყო... თუმცა, ესენი მშობლიურ მიწა-წყალზე მაინც ცხოვრობენ...

**— რამდენად კარგად იცნობთ საქართველოს ისტორიას?**

— ხშირად მეკითხებიან — რა აზრის ვარ ნოე ჟორდანიას პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, მის ისტორიულ წვლილზე? ჩემი აზრით, ეს ისტორიკოსებმა უნდა შეაფასონ. მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი დაზუსტებით: მამა მთელი ცხოვრება საქართველოს კეთილდღეობაზე ოცნებობდა, მხოლოდ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით ცოცხლობდა და სულდგმულობდა. ის მიყვებოდა ქართველებზე, მათ ტრადიციებსა და წესჩვეულებებზე, ხატოვნად აღმიწერდა საქართველოს ბუნებას: ჩანჩქერებს, ტყეებს, მდელოებს... ჰოდა, როცა აქ ჩამოვედი, მეგონა, რომ ეს ყველაფერი უკვე ნანახი მქონდა. მამა ხშირად იხსენებდა ბავშვობას, კონკრეტულ ადამიანებს, მათ სახელებსა და მეტსახელებს, ყვებოდა თამაშობებზე, ბავშვურ ოხუნჯობაზე... მას სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა იმედი იმისა, რომ ოდესმე სამშობლოში დაბრუნდებოდა.

**— გვიამბეთ ლევილზე — ქართველების სოფელზე საფრანგეთში.**

— ეს მშვენიერი სოფელი პარიზის სიახლოვეს მდებარეობს. აქ 1921-1922 წლებში საქართველოდან წასული ნოე ჟორდანია და მისი მთავრობის წევრები დასახლდნენ. მათ ისეთი ადგილი შეარჩიეს, სადაც ბუნება ზუსტად ისეთივეა, როგორიც საქართველოში. სოფელს მაღალი „ცოცხალი ღობე“ (ნარგავების) შემოავლეს და ერთადერთი ჭიშკარი აქვს. იქ ხშირად იშლებოდა დიდი სუფრა, რომელსაც აუცილებლად, თამადა უძღვებოდა და ამბობდნენ ტრადიციულ ქართულ სადღეგრძელოებს...

**— დედაზე რას გვეტყვით?**

— დედა ეროვნებით რუსი იყო, ორიოლიდან. მშობლები ერთმანეთს ფრანგულად ელაპარაკებოდნენ. დედა მიყვებოდა გრიმების ზღაპრებს, მამა მიამბობდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებზე — ავთანდილზე და ტარიელზე... დღემდე მახსოვს ქართული ზღაპარი „ნაცარქექია“ და ლექსი — „ჩიტო, ჩიტო, ჩიორა“... ერთ კურიოზს მოგიყვებით, რომელიც ჩემს დაბადებასთან პირდაპირ კავშირშია: გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ჩემს ამქვეყნად მოვლინებას პროლეტარიატის ბელადს, ვლადიმირ ილიჩ ლენინს უნდა ვუმადლოდე და დიდ მადლობას ვუხდი ამისთვის (*იცინის*)!

მოკლედ, მამას და ლენინს ახალგაზრდობაში ჩვეულებრივი ნაცნობობა აკავშირებდათ. ერთხელ, 1903 წელს, მამას ქუჩაში შემთხვევით შეხვედრია ლენინი. ნოეს უთქვამს, რომ პარიზში აპირებდა წასვლას, ვლადიმირ ილიჩს კი მისამართი მიუცია: პარიზში ერთი ჩვენი სტუდენტი გოგონა ცხოვრობს, რომელიც ბინას აქირავებს და შეგიძლია, მასთან გაჩერდეო... ამ ბინის მეპატრონე ახალგაზრდა ქალბატონი ნოეს მეუღლე გახდა. სხვათა შორის, დედაჩემი პირველი რუსი იურისტი ქალი გახლდათ.

**— ბატონო რეჯებ, ახლა რას საქმიანობთ?**

— ვცხოვრობ ნიუ-იორკში. რაც შეეხება შვილებს: უფროსი ვაჟი საფრანგეთშია, ერთი ქალიშვილი — ვაშინგტონში, მეორე კი, რომელიც ცოლად ქართველს (სანდრო ქიტიაშვილს) გაჰყვა, თბილისში ცხოვრობს. მყავს შვილიშვილები... უკვე 89 წლის გახლავართ, მაგრამ არ ვდუნდები, გამუდმებით ვმოგზაურობ: გარკვეული პერიოდი ნიუ-იორკში ვარ, რაღაც დროით — პარიზში, ხან საქართველოს ვსტუმრობ, ხანაც — რომელიმე სხვა ქვეყანას. მოკლედ, აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობ, სულ რაღაცას ვაკეთებ. ახლახან თბილისში საზაფხულო სკოლა დავაარსე, სადაც მსურველები ინგლისურ ენას დაეუფლებიან. ჩემი სამშობლოა — ლევილი-ნიუ-იორკი-თბილისი და თითოეულ მათგანს ჩემს გულში თავისი ადგილი აქვს. საქართველოში ცხოვრობს 4 მილიონი ჩემი სისხლი და ხორცი, ამ ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ოჯახი — ჩემი ოჯახია! ■



# სამყარო

## დადიანების საბანაო ადგილზე დინოზავრების ნაკვალევი აღმოაჩინეს

**მარტვილის რაიონში დინოზავრების ნაკვალევის აღმოჩენამ ამ ლამაზი კუთხის ნახვის სურვილი ბევრ ადამიანს აღუძრა. რომ არაფერი ვთქვათ მარტვილის უძველეს ტაძარზე, ბუნების შექმნილ საოცრებებს — მღვიმეებს, ულამაზეს ჩანჩქერებს, ბუნებრივ სვეტებს, ადამიანი აღტაცებაში მოჰყავს.**

_თეა ხურცილავა_

*სოფლის სახელის (სადაც დინოზავრის ნაკვალევი იქნა აღმოჩენილი) — გაჭედილის (მეგრულად გოჭკადირი) გაგონება ბევრ ადამიანში ღიმილს იწვევს. როგორც ამბობენ, XVII საუკუნის დასასრულს, სამეგრელოს მთავარს ბერძენი ოსტატები მოუწვევია, რომლებმაც მდინარე აბაშის ყველაზე ვიწრო ხეობაში, სადაც ორი ხეობა, უნაგირა და ტაბაკონა კიდურებით ერთმანეთს ებჯინება, აგურის ლამაზი ხიდი აუშენებიათ, ისრის წვერის მოყვანილობის ერთი თაღით. ამით ხეობის ორივე ნაპირი გაერთიანდა, რომელიც მაშინ მეტად მნიშვნელოვანი, სტრატეგიული ადგილი ყოფილა. ე.ი. — ხეობა გაჭედეს. სწორედ აქედან შეერქვა სოფელს გოჭკადირი ანუ გაჭედილი.*

*1918 წლის 15 აპრილს სწორედ აქ მომხდარა შეტაკება წითელ პარტიზანულ ლაშქარსა და მენშევიკურ ჯარს შორის. მდინარე აბაშა ეგრისის მთაგრეხილის გულში იბადება. სათავის სიმაღლე ზღვის დონიდან 389 მეტრია და მთის მდინარედ იწოდება. რაჩხის მთებიდან, 60 მეტრის სიმაღლის, შიშველი კლდის გულიდან გადმოჩქეფს, ვიწროებში მიედინება და სოფლის ბოლომდე ულამაზეს ხეობას ქმნის. მდინარის სათავესთან, სოფელ ბალდაში არის მოთენას მღვიმეც. ადგილობრივთა გადმოცემით, შუა საუკუნეებში მღვიმეს სამხედრო-თავდაცვითი მიზნით იყენებდნენ.*



ოფუცხოლე

*მღვიმის შესასვლელში ქვითკირის კედელია ამოშენებული, კარიც აქვს, თავზე სარკმლით. მღვიმის ბოლოში 2 მეტრი სიღრმისა და 15-20 მეტრის სიგრძის ტბაა. მღვიმეში ადგილობრივ მოსახლეს ადამიანის თავის ქალა და უზარმაზარი ძვლები უპოვია. გარდა ამისა, იქ კიდევ უფრო ადრინდელი, ქვის ხანის ნასახლარებია — ორი კულტურული ფენა. ასევე ქვის ხანის ადამიანების ქვის იარაღები, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ძველად ადამიანები ამ ადგილებს საცხოვრებლად იყენებდნენ, შემდეგ კი ჩვენს წინაპრებს ციხესიმაგრედ და სამალავად გამოუყენებიათ.*

*მოთენას მღვიმე ორი დარბაზისგან შედგება. მღვიმიდან გამომავალი წყლის ნაკადი მდინარე აბაშას უერთდება. წყლის დინება ძალიან ჩქარია. სოფელ ბალდის მთიან ორწოხებში მომწყვდეული მდინარე ოფუცხოლეს ღრმულში მრავალ ჩანჩქერად ვარდება. აბაშისპირეთი, შესართავიდან დაწყებული, გაჭედილ-ბალდის მთიანი ვიწროებით, რაჩხის გულამდე, ისტორიულად ჭყონდიდელთა ერთიან სამწყსოს შეადგენდა და ამიტომ საჭყონდიდოს სახელსაც ატარებდა.*

*თავად ოფუცხოლეს სახელის წარმოშობაც საინტერესოა — ფუცხოლი მეგრული სიტყვაა და ქართულად ფაციფუცს ნიშნავს. ოფუცხოლეს სოფელ ინჩხურსა და გაჭედილს შორის არსებულ, აბაშის ხეობის ულამაზეს ადგილს უწოდებენ, სადაც ჩანჩქერები ჩამოდის. წინათ აქ გაუვალი ტყე და საშიში ადგილი ყოფილა. ყაჩაღები აქ მგზავრებს უსაფრდებოდნენ და თავს ესხმოდნენ. სწორედ ამიტომ, ადგილობრივებმა ამ ადგილს ოფუცხოლე ანუ სწრაფად გასარბენი ადგილი უწოდა. ეს სილამაზე, ბუნებრივია, სამეგრელოს მთავრებს — დადიანებს არ გამოჰპარვიათ; საბანაოდ და საქეიფოდ ისინი სწორედ იქ დადიოდნენ. ეკატერინე ჭავჭავაძეც თურმე იქ ბანაობდა და ამიტომ დადიანების საბანაო ადგილსაც უწოდებენ. სწორედ იქ აღმოჩნდა დინოზავრების ნაკვალევიც.*

*დეტალების გასარკვევად გივი ელიავას სახელობის, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სწავლულ მდივანს, ქალბატონ* ***ანა ჩიქვანაიას*** *ვესაუბრეთ:*

— სოფელ გაჭედილთან, მდინარე

აბაშის ხეობაში, დინოზავრების ნაკვალევი აღმოჩნდა. აქ ჩვეულებრივი საბანაო ადგილი იყო, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობიდან არავის შეუმჩნევია უძველესი ხანის, მილიონობით წლის წინანდელი ცხოველის ძვლების ნაშთები და ნაკვალევი. რამდენიმე თვის წინ, ცნობილი მკვლევარი, ილიას უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის საექსპედიციო ჯგუფის ხელმძღვანელი, ბატონი ვასილ გაბუნია, თავის სტუდენტთან ერთად, მარტვილში სტუმრად ჩამოვიდა. მას ხეობა დაათვალიერებინეს. დათვალიერებისას ბატონი ვასილი დინოზავრის ნაკვალევს წააწყდა. ამის შემდეგ ექსპედიციის ჯგუფი ჩამოიყვანა — ცნობილი პალეონტოლოგი, ვიაჩესლავ ჩხიკვაძე, სპელეოლოგი, ამირან ჯაბრიშვილი. ჯგუფმა მოკვლევა ჩაატარა. მათ კიდევ ბევრი საინტერესო რამ ნახეს — ქანებში, 70-80 მილიონი წლის წინანდელი ცხოველების ძვლების ჩანართები. ეს მარტო საბანაო ადგილზე არ არის ნაპოვნი, სადაც კანიონი მოშიშვლებულია — მთლიანად, აბაშის ხეობაშია. იქ შესვლა მხოლოდ ნავებით შეიძლება. კანიონის ორივე კედელი და ფსკერი (სადაც წყალი აღარ იდგა და ფსკერი მოჩანდა) ძვლოვანი ნამარხებით მთლიანადაა დაფარული. ეს ტერიტორია დაცულ ზონად უნდა გამოცხადდეს, როგორც საინტერესო ძეგლი. შესაძლოა, ეს ქვეწარმავლების ახალი სახეობა იყოს. ილიას უნივერსიტეტის რექტორი, გიგი თევზაძეც ჩამოვიდა და გადაწყდა, რომ კვლევები გაგრძელდება.

— **ქალბატონო ანა, წყაროებში თუ მოიპოვება მასალა, რომ ტერიტორია ზღვით იყო დაფარული?**

— გასული საუკუნის 50-იან წლებში აქ გეოლოგები მუშაობდნენ და მათ მიერ დადასტურებულია, რომ ტერიტორია ადრე ზღვით იყო დაფარული. ამაზე ქანების დანაშრევებიც მეტყველებს — მეცნიერებმა ეს უკვე გამოიკვლიეს. ტერიტორიაზე კირქვის ლამაზი ფენებია. ერთი თვის წინ იქ თავის ქალაც აღმოჩნდა, რომელიც სავარაუდოდ, ამ პერიოდის ცხოველს ეკუთვნის — შესაძლოა, ეს ოთხფეხა დინოზავრი იყოს. ჯერ დასკვნების გაკეთება ნაადრევია, სანამ მასალის შესწავლა არ მოხდება.

ამ ლამაზ ხეობაში, ტინის ნაპრალებში, დადიანებმა ორთვლიანი წყლის წისქვილი ჩადგეს. წისქვილი ამჟამად მოშლილია და ეპარქია ცდილობს, ძველი სახე დაუბრუნოს. ჩანჩქერთან არსებულ დადიანების საბანაო ადგილზე ანუ ხეობაში, ქვის კიბე ჩადის. აქვე იყო აუზი, სადაც კალმახებს უშვებდნენ, ქეიფის დროს კი შემწვარ კალმახს მიირთმევდნენ.

— **ქალბატონო ანა, მახსოვს, ადრე იქ ლიფტიც ფუნქციონირებდა და ხეობაში ჩასვლა ლიფტითაც იყო შესაძლებელი, ესეც დადიანების დროინდელია?**

— ეს უკვე კომუნისტების დროს გაკეთდა, მაგრამ ახლა აღარ ფუნქციონირებს.

— **ამ ადგილს სოფელი ინჩხური ესაზღვრება. იქნებ გვიამბოთ სოფლის ისტორია?**

— ინჩხური ისტორიული სოფელია. რაც ყველაზე აღსანიშნავია, წმინდანი, ჩვენი წამებული პატრიარქი, ამბროსი ხელაია ამ სოფლიდან გახლდათ. ამ სოფლიდან იყო ასევე X საუკუნეში მოღვაწე ჰიმნოგრაფი, იოანე მინჩხი (მინჩხელი). აქაა თამარის ნადარბაზევიც. ლეგენდაც არსებობს, რომ თამარ მეფე და შოთა რუსთაველი აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს. მდინარე ინჩხიას სანაპიროზე, თამარ მეფის ნადარბაზევთან ეპიგრაფიკული ძეგლია ნაპოვნი, წარწერით: „შოთასა“. ეს წარწერა პატარა ქვაზეა შესრულებული და ამჟამად ჩვენს მუზეუმში ინახება. ვფიქრობთ, რახან ასეთი ლეგენდა არსებობს, შოთა რუსთაველის სახელია ამოტვიფრული. მკვლევრების აზრით, ეპიგრაფიკა სწორედ იმ პერიოდს განეკუთვნება. ამ სოფელშია, სავარაუდოდ, ზედა პალეოლითის ხანის ინჩხურის მღვიმე. მღვიმეს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, საკარე ბუდე შემორჩენილია, კლდეშია და შიგნით წყალია. მღვიმეში ადრინდელი ქრისტიანული ეპოქისათვის დამახასიათებელი, პატარა ეკლესიაა. სწორედ აქ იქნა ნანახი კულტურული ცხოვრების კვალი. ჩვენს მუზეუმში ინახება მდინარე ინჩხიას სანაპიროზე, გასული საუკუნის 60-იან წლებში ნაპოვნი, 17 მილიონი წლის წინანდელი ცხოველის, მეგაფაუნის წარმომადგენლის, მარტორქის ძვალი. ეს არის გიგანტური ცხოველის ყბის, მენჯის ძვლები და სხვადასხვა ფრაგმენტი. აქედან ჩანს, რომ ამ ტერიტორიაზე უძველეს ხანაში, გიგანტური ცხოველები ცხოვრობდნენ.

— **ძალიან ბევრი თვალწარმტაცი ჩანჩქერია მარტვილში; ონიორეს ჩანჩქერზე რას იტყვით?**

— ეს ულამაზესი ჩანჩქერი სოფელ ბალდიდან 4 კილომეტრში, მდინარე აბაშის ხეობაში მდებარეობს. გადმოცემით, აქ ნივრის მოსაყვანი ადგილი ყოფილა. რამდენიმე მღვიმე სპელეოლოგებმა 60-იან წლებში შეისწავლეს. საყურადღებოა ჯორწყუს მღვიმეც. ზღვის დონიდან 670 მეტრზე, მღვიმე ვრცელი დარბაზით იწყება, სიგრძე 15 მეტრი, სიგანე — 4 მეტრი, ხოლო სიმაღლე — 5 მეტრია. ამ ადგილებში დაცულია ძველ ნაგებობათა ნაშთები. აქვეა წაჩხურას მღვიმეები. ერთ-ერთს გვირაბის ფორმა აქვს, სიგანე ერთ მეტრამდეა. ტობას მღვიმე კი ბალდის ტერიტორიაზეა, იქ სპელეოლოგი არსენ ოქროჯანაშვილი 60-იან წლებში, კვლევების დროს გარდაიცვალა. ერთ-ერთ დარბაზს მისი სახელი დაერქვა. იქვეა ტობას 80-85 მეტრი სიმაღლის ჩანჩქერიც. ტობას მღვიმის მხოლოდ რამდენიმე დარბაზია შესწავლილი. ერთ-ერთ დარბაზს ნონა გაფრინდაშვილის სახელი დაარქვეს — მაშინ ნონას გამარჯვებების პერიოდი იყო. მღვიმეში 4 ტბაა. ამ ტერიტორიაზე სულ 12 მღვიმეა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ასე რომ, მარტვილში ჩამოსულ სტუმრებს ულამაზესი სანახაობა ელის. ■



ადგილი, სადაც ეკატერინე ჭავჭავაძე ბანაობდა

# მსოფლიოში ყველაზე სწრაფი მანქანა

ბრიტანულმა „ტოპ კარმა“, კომპანია „შელბი სუპერკარსის“ (SSC) ჰიპერავტოს შესახებ, რომელიც მოდელს — Ultimate Aero, — შეცვლის, პირველი დეტალური ოფიციალური ინფორმაცია და ფოტოები გამოაქვეყნა. შემქმნელები ამტკიცებენ, რომ ეს მანქანა მსოფლიოში ყველაზე სწრაფი და მძლავრი, სერიული ავტომობილი იქნება. გარდა ამისა, იგი 1200 ცხ. ძალის სიმძლავრის მქონე Bugatti Veyron Super Sport-ის მიერ დამყარებულ რეკორდს (431 კმ/სთ) გააუმჯობესებს. სავარაუდოდ, 0-დან 96 კმ/სთ სიჩქარეს სიახლე 2,8 წამში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 440 კმ/სთ იქნება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ აგრეგატის ალუმინის ელემენტებს, კომპანია „შელბის“ ჰიპერკარი



პრაქტიკულად, მთლიანად კარბონისგან იქნება დამზადებული. „ერთიან ნაწილად“ ნახშიროპლასტიკითაა დამზადებული ბორბლების დისკები, რომლის შექმნაზეც ავსტრალიური ფირმა, „კარბონ რევოლუშენი“ მუშაობდა. ავტომობილის საერთო მასა 1200 კგ-ს არ გადააჭარბებს, ხოლო წინა ღერძზე 19-დუიმიანი დისკების მასა მხოლოდ 5,8 კგ-ია. სიმძლავრის მასასთან ფარდობა 1 ტონაზე 1000 ცხძ-ა. შედარებისთვის, Bugatti Veyron-ის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი ტონაზე 529 კგ-ია. სიახლე 6,8-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი, 2-ტურბინიანი ძრავათი აღიჭურვება, რომელიც კომპანია „შელბი სუპერკარსმა“ თავად შეიმუშავა. მოტორის სიმძლავრე 1350 ცხძ-ა. უნდა აღინიშნოს, რომ სიჩქარის გადაცემათა კოლოფი, „ბრემბოს“ კარბონ-კერამიკული სამუხრუჭე მექანიზმები და საჭის მექანიზმი ჰიპერკარს მისი წინამორბედისგან — Ultimate Aero, — ერგო. როგორც ადრე იუწყებოდნენ, სიახლის პირველი სამუშაო პროტოტიპები მომავალი წლის შუა პერიოდში აიგება. 2011 წლის ბოლოს კი, სავარაუდოდ, მანქანა ბაზარზეც გამოჩნდება. აშშ-ში ამ ავტომობილის ფასი 970 ათასი დოლარიდან დაიწყება. SSc Ultimate Aero-ს ამჟამინდელი თაობა 1183 ცხძ-ის სიმძლავრის, 6,2 ლიტრის მოცულობის ბიტურბო „რვიანითაა“ აღჭურვილი. ასეთი მანქანა 100 კმ/სთ სიჩქარეს 2,8 წამში ავითარებს. Bugatti Veyron Super Sport-ის გამოჩენამდე, სისწრაფის რეკორდი — 411 კმ/სთ სწორედ მას ეკუთვნოდა. ■



# „ტატა მოტორსის“ სიახლე

ინდური კომპანია „ტატა მოტორსმა“ თავისი ყველაზე ძვირფასი მოდელის გაყიდვა დაიწყო. ეს სრული აძვრის მქონე, კროსოვერი „არიაა“, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულზე ევროპულ ბაზარზეც გამოჩნდება. თავდაპირველად, ამ მანქანის ესპანეთში, იტალიასა და პოლონეთში გაყიდვა იგეგმება, თუმცა შემდგომში არც ისაა გამორიცხული, რომ ბაზარი გაიზრდება. ინდოეთში „არიაზე“ ფასები 1.290.000 რუპიიდან (დაახლოებით 20,9 ათასი ევრო) იწყება და 1.550.000 რუპიამდე (დაახლოებით 25,1 ათასი ევრო) აღწევს. 7-ადგილიანი კროსოვერი „ტატა არია“, რომელიც თავისი გაბარიტული ზომებით „კია სორენტოსთანაა“ ახლოს, 2,2-ლიტრიანი, 140 ცხძ-ის სიმძლავრის მოტორით აღიჭურვება. ძრავა იმუშავებს სიჩქარის გადაცემათა მექანიკური, 5-საფეხურიანი კოლოფით. ამ ეტაპზე ავტომობილის დინამიკური და ეკონომიურობის მაჩვენებლები უცნობია. კომპლექტაციის მიხედვით, „არიას“ აღჭურვილობაში უსაფრთხოების 6 ბალიში, სტაბილიზაციისა და ნავიგაციის მულტიმედიური სისტემები, კლიმატ-კონტროლი, აუდიოსისტემის მართვის ღილაკების მქონე საჭე, ასევე უკანა ხედვის კამერა იქნება. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2012 წელს, კომპანია „ტატა“ ევროპაში Nano-ს მცირელიტრაჟიანის სპეციალური მოდიფიკაციის გაყიდვასაც გეგმავს. ასეთი მანქანა უსაფრთხოების ევროპული სტანდარტების შესაბამისი იქნება და ინდურთან შედარებით, მდიდარ კომპლექტაციას მიიღებს. წინასწარი მონაცემებით, ამ ავტომობილის ღირებულება 5 ათასი ევროდან დაიწყება. გარდა ამისა, მომავალ წელს ევროპაში tata-ს ორი ელექტროავტო გამოჩნდება — ჰეჩბეკი indica და კომერციული ავტომობილი Ace. პირველი მათგანი სრულად დატენილი აკუმულატორებით დაახლოებით 175-200 კმ-ის გავლას შეძლებს, ხოლო 0-დან 60 კმ/სთ სიჩქარის განსავითარებლად 10 წამზე ნაკლები დრო დასჭირდება. „ეისის“ სვლის თადარიგი ელექტროგაწევით მოძრაობისას 75 კმ-ს შეადგენს. ■






# „ლექსუსის“ ჰიბრიდი




ორიოდე დღის წინ გახსნილ სიდნეის მოტორშოუზე კომპანია „ლექსუსმა“ ჰიბრიდული ავტომობილი, CT 200h წარადგინა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სპორტ-პაკეტი — F Sport. სპორტ-პაკეტი ითვალისწინებს ძარას შეღებვას სპეციალურ — მუქ-ცისფრად, რომელსაც მხოლოდ „განახლებული“ სედანის, — IS-F, — მყიდველებს შესთავაზებენ. ასევე გათვალისწინებულია რადიატორის ახალი ცხაურის, უფრო აგრესიული წინა ბამპერისა და ბორბლებზე განსხვავებული დისკების დაყენება. ავტომობილს მოდერნიზებული ინტერიერი ექნება ახალი საჭით, სატერფულებზე ლითონის დეტალებით და IS-F-ის სტილში შესრულებული ხელსაწყოთა პანელით. „ლექსუსის“ წარმომადგენელთა თქმით, ამ ავტომობილს მართვა გაუუმჯობესდა, ხმაური და ვიბრაცია შემცირდა. ცვლილება არ განუცდია CT 200h-ის აგრეგატს. მანქანა კვლავაც 1,8-ლიტრიანი, ატკინსონის ციკლში მომუშავე ბენზინის მოტორით, ელექტროძრავათი, ასევე ნიკელ-მეტალჰიდრიდული ბატარეებით დაკომპლექტდება, რომელთა საშუალებითაც იგი მხოლოდ ელექტროგაწევით, დაახლოებით 2 კმ-ს, 45 კმ/სთ სიჩქარით გაივლის. ახალი „ლექსუსის“ გაყიდვა ევროპულ ბაზარზე უახლოეს მომავალში დაიწყება, ხოლო პირველ მყიდველებს ავტომობილის მიღება მიმდინარე წლის ბოლოს შეეძლებათ. ■

# საქმე, რომელიც ცხოვრებას უდრის

**28 წლის ხელოვანი, ლევან ბუჯიაშვილი ერთი შეხედვით გამოუსადეგარი ნივთებისაგან ხელოვნების ნიმუშებს ქმნის. ამბობს, რომ მასალად არაგვის ნაპირზე გამორიყული ძვლების, ხეებისა და ჯართში ნაპოვნი ლითონის ნაჭრების გამოყენება ურჩევნია. თუმცა, როგორც მოქანდაკეს, „ჩვეულებრივ“ მასალაზეც უწევს მუშაობა და ქალაქის ქუჩებს მისი ბრინჯაოს ქანდაკებებიც ამშვენებს.**



*ელენე ბასილიძე*

**ლევან ბუჯიაშვილი:**

— 4 წლის ვიყავი, როცა პლასტილინით პატარ-პატარა ფიგურების ძერწვა დავიწყე, მაგიდასთან ვიჯექი და „ვითითხნებოდი“ (*იცინის*). ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს, პიონერთა სასახლეში, ძერწვის წრეზე მივეყვანე. იქ 2 წელი დავდიოდი, მერე თბილისში არეულობა დაიწყო და წრეზე სიარული შევწყვიტე. ბავშვობაში ძალიან უნებისყოფო გახლდით, ყველაფერი მალე მბეზრდებოდა. წრიდან გამოსვლის შემდეგ ძერწვას თავი დავანებე. სკოლაში ძალიან ცუდად ვსწავლობდი, სულ ორები მყავდა (*იღიმის*). გადავწყვიტე, მეცხრე კლასიდან გამოვსულიყავი და „გეპეის“ არქიტექტურის ფაკულტეტთან არსებულ ნატიფი ხელოვნების სკოლაში შევსულიყავი, სადაც ხატვას, ქანდაკებას, ფერწერას და გრაფიკას ასწავლიდნენ... ამ სკოლის დასრულების შემდეგ კი „გეპეიში“ არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩავირიცხებოდი. ჩემი ბავშვობის დროინდელი გატაცება გავიხსენე და ამ სკოლაში დავიწყე სწავლა... ერთ დღესაც, იმის მაგივრად, რომ ჩუქურთმა გამეკეთებინა, ხისგან ქანდაკება გამოვთალე... ჩემს ლექტორს ძალიან მოეწონა, მაგრამ არ დაიჯერა, რომ ჩემი შექმნილი იყო (*იცინის*). მას მერე მსგავსი ქანდაკებების შექმნის სტიმული გამიჩნდა... ხშირად გამოფენაში მონაწილეობაზე იმის გამო მეუბნებოდნენ უარს, რომ სამხატვრო აკადემია არ მქონდა დამთავრებული. რაც მთავარია, ამას არ დავუკომპლექსებივარ. სწორედ არქიტექტურის ფაკულტეტი დამეხმარა გემოვნების ჩამოყალიბებაში.



პირველად გალერეა „თავისუფალ დროში“ მოვაწყვე გამოფენა. მაშინ ჩემი ნამუშევრების უმრავლესობა გაიყიდა, მაგრამ რამდენიმე ჩემთვის დავიტოვე, მათ არასოდეს გავყიდი (*იღიმის*).

— **დღეს რუსთაველის გამზირზე შენი ქანდაკებების მთელი სერიაა წარმოდგენილი...**

— ეს ჩემთვის ძალიან საამაყოა. თუ ჩემს ასაკს გავითვალისწინებთ, საკმაოდ დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ჩემს კარიერაში. როცა ძველი თბილისის რეაბილიტაცია მოხდა, საკმაოდ ბევრი სკვერი



გაიხსნა... გადავწყვიტე, ძველი თბილისის ისეთი კოლორიტული ადამიანი შემექმნა, რომელიც ყველას ეყვარებოდა და გავაკეთე „მაგდანა“, თავის „ლურჯასთან“ ერთად. ეს ქანდაკება თბილისის მერიას შევთავაზე... ძალიან მოეწონათ. მაშინ იმ წყაროს რეაბილიტაცია ხდებოდა, რომელიც ფილმ „მაგდანას ლურჯაში“ ჩანს... ჩემი „მაგდანა“ და „ლურჯა“ წყაროსთან დადგეს. მერე „მენახშირე“ და „ბავშვები“ შევქმენი და მთელი კომპლექსი გამოვიდა (*იღიმის*). ეს ქანდაკებები ღამით ნათდებოდა და დამთვალიერებლებს თავი ზღაპარში ეგონათ.

— **ეს ქანდაკებები რკინის ფურცლებითაა აწყობილი, არა?**

— კი, ერთი შეხედვით გამოუსადეგარი რკინის ფურცლებისგანაა შექმნილი. საქართველოში, როგორც წესი, ბრინჯაოს ან ქვის ქანდაკებებს აკეთებენ. ჩემი ნამუშევარი კი ერთგვარი ექსპერიმენტი და სიახლე იყო ქალაქისათვის. თანაც, იმ ადგილას (ქანდაკება სოლოლაკში, კოჯრის გზის ასახვევთან დგას) ბრინჯაოს ქანდაკება რომ დამედგა, მაშინვე მოიპარავდნენ (*იღიმის*). მიუხედავად იმისა, რომ უბრალო რკინის ქანდაკებებია, ვილაცებმა მაინც მიანგრ-მოანგრიეს, ვირს ყურები „დააჭრეს“... შემდეგ შევქმენი რუსთაველზე წარმოდგენილი ბიუსტები. როცა გამზირის რეაბილიტაცია ხდებოდა, სარდაფში მილები გაიყვანეს და მათზე კი — ჩემი ქანდაკებები დადგეს. გარდა იმისა, რომ ვიზუალურად ლამაზი გამოვიდა, მილები აირგამწოვის ფუნქციასაც ასრულებდა. ბევრი ქანდაკება გავაკეთე, მათ შორის, „არლეკინების“ სერიაც... სულ 50 ცალი იყო, მაგრამ 3 უკვე მოიპარეს. ზოგ ქანდაკებას ჩემი მეგობრის სახელი დავარქვი (*იცინის*).

— **და რა პრინციპით შეურჩიე სახელები?**

— ერთი „პიანიცა“ ძმაკაცი მყავს, რომელიც მუდამ ლუდის ბოთლით დადის. ქანდაკებას, რომელიც ზის და ხელში ლუდის ბოთლი უჭირავს, მისი სახელი დავარქვი (*იღიმის*). მყავს ქურთი მეეზოვე მეგობარი და მეეზოვეს ქანდაკებას მისის სახელი ვუწოდე...

— **როგორც ჩანს, ბავშვებს შენი ქანდაკებები ძალიან მოსწონთ. ამას წინათ შევესწარი, ერთი პატარა, ქანდაკებას კოცნიდა...**

— (*იცინის*) უი, მართლა?! ხშირად დამინახავს, რომ ქანდაკებებთან ფოტოებს იღებენ, ეფერებიან, დასცინიან, ხელს ხვევენ...

— **მხატვრის ქანდაკება, რომელიც მშრალ ხიდზე დგას, როგორ შეიქმნა?**

— ეს არის უცნობი მხატვრის ქანდაკება, რომელიც სიმბოლურად იმ ადგილზე დგას, სადაც მთელი დღის განმავლობაში უამრავი მხატვარი იყრის თავს. სამწუხაროდ, ჩემს მხატვარს ფუნჯი უკვე მოჰპარეს. როცა ეს ქანდაკება დავდგი, ჩემს მეგობარ მხატვარს ვკითხე, — მოსწონთ მშრალ ხიდზე მყოფ ხელოვნებს-მეთქი? — შენ ხომ იცი, საქართველოში როგორ ხდება, — საცობში მანქანები რომ დგას, ყველა თავის წინ მდგომი მანქანის მძღოლს აგინებს და შენც მაგ სიტუაციაში ხარო, — მითხრა (*იცინის*). რამდენიმე ხნის წინ, სასულიერო აკადემიასთან, კონკის წინ ახალი, „მოგზაურის“ ქანდაკება დავდგი. ჩემს დასთან ერთად გავიარე და ქანდაკებაზე მივუთითე, — ეს ბოლო ნამუშევარია-მეთქი. იქვე, ბარში გოგონები სვამდნენ და ერთ-

ერთმა მკითხა, — ეს ქანდაკება ძალიან მოგწონსო? — კი, ძალიან მომწონს, ჩემი შექმნილია-მეთქი. ეჭვით შემომხედა და, — აბა, თუ მართლა ავტორი შენ ხარ, რა გვარი ხარ, მითხარიო, — შემომიბღვირა (*იცინის*)... გამოცდა წარმატებით ჩავაბარე და გოგონებმა ჩემი სადღეგრძელოც დალიეს.

**— შენს ქანდაკებებზე ხალხის აზრი თუ მოგისმენია?**

— კი, როცა რუსთაველზე ქანდაკებებს ვამონტაჟებდით, დეკემბერი იყო და 3 დღე, მუშებთან ერთად მეც გარეთ ვიყავი. თვალყურს ვადევნებდი, თუ რა სად და როგორ იდგმებოდა... ყველაზე დამთრგუნველი ის იყო, რომ მთავრობაზე გაბრაზებული ადამიანები მოდიოდნენ და ბუზღუნებდნენ, — ამის გაკეთებას არ სჯობდა, ხალხისთვის პენსიები მოემატებინათო?! მერე სხვები მოდიოდნენ და, — აი, ახლა მიშას „გადააგდებენ“ და ამ ქანდაკებებსაც მიაყოლებენო, — ამბობდნენ. ძალიან დავითრგუნე. შეიძლება, მთავრობა არ მოგწონდეს, მაგრამ ამას ხომ იმიტომ ვაკეთებთ, რომ მომავალ თაობას დარჩეს?! როცა რუსთაველზე გამოივლიან, დადებითი მუხტი ხომ უნდა მიიღონ?!

**— საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ქანდაკებები ბევრს მოსწონს...**

— მეც მაგის იმედი მაქვს. პროფესიონალი მოქანდაკეები ხშირად იწუნებენ ერთმანეთის ნამუშევრებს და მათ შორის, ჩემსასაც (*იღიმის*). არის ბევრი ძალიან ნიჭიერი მოქანდაკე, რომელმაც რატომღაც ვერ მოახერხა საკუთარი ნიჭის რეალიზება და უცებ, გაჩნდა პატარა ბიჭი, რომელმაც „წკაპ“ და რაღაც ქანდაკება დადგა. ეს კი ჭორების საფუძველი გახდა. თქვეს, რომ თურმე ვიღაცის ნათესავი ვარ და მფარველობენ... ნეტავ, მართლა ვიყო, უფრო მეტს გავაკეთებდი. თბილისის გასალამაზებლად ბევრი იდეა მაქვს (*იღიმის*)...





**— ლევან, წეღან აღნიშნე, მაქვს ისეთი ნამუშევრები, რომლებსაც ვერასოდეს შევეღლევიო... რომლებია ისინი?**

— ჰიტლერის ქანდაკება, რომელიც დიდი ხნის წინ გავაკეთე და ძალიან მიყვარს. 17-18 წლის ასაკში მისით გატაცებული ვიყავი, ბევრს ვკითხულობდი მასზე... მინდოდა, მსოფლიოს დიდი დამპყრობლების: ალექსანდრე მაკედონელის, ჰიტლერისა და ნაპოლეონის ქანდაკებები შემექმნა. ჰიტლერის გაკეთების შემდეგ, მუზამ გადამიარა და ჩემს კოლექციაში მხოლოდ ერთი დამპყრობელი დარჩა (*იცინის*). მაქვს ერთი გოგოს ქანდაკება, რომელსაც ჩემს „შეყვარებულს“ ვეძახი და მასაც არასოდეს მოუწევს გასხვისება. ასევე „დონ კიხოტისა და სანჩო პანსას“ ქანდაკებაც მუდამ ჩემთან დარჩება. ეს პირველი „დონ კიხოტია“, რომელიც შევქმენი. მას მერე ბევრი გავაკეთე და გავყიდე, მაგრამ ამას ვერ შეველიე (*იღიმის*).

**— წეღან მითხარი, ბრინჯაო ჩემი სტილი არ არისო, რა მასალაზე გირჩევნია მუშაობა?**

— არაგვის ნაპირზე გამორიყულ ხეებს, ძვლებს, ქვებსა და რკინის ნაჭრებს ვაგროვებდი და მათი კომბინაციით ვაკეთებდი ნამუშევრებს: საფერფლეებს, ორიგინალურ სანათებს, შანდლებს, სარკეებს... ჩემთვის, „სვარკით“ აწყობილი ქანდაკება უფრო ღირებული და საინტერესოა, ვიდრე ბრინჯაოთი და მარმარილოთი შექმნილი... არაგვზე სათევზაოდ ხშირად დავდივარ და ჩემთვის გამოსადეგ ნივთებს ვაგროვებ. ბოლოს ეს „ხარახურა“ ჩემს სახელოსნოში „ისხამს ხორცს“ (*იღიმის*).

**— შევიტყვე, რომ არა მარტო თბილისის, არამედ სხვა ქალაქების გალამაზებაზეც ზრუნავ...**

— აგვისტოს მოვლენების შემდეგ, გორში, იქ, სადაც პირველი ბომბი დაეცა, სიმბოლური მონუმენტი დავდგით. მე, ირაკლი წულაძემ და ვახო მამულაშვილმა გადავწყვიტეთ, სიცოცხლის ხის ქანდაკება გაგვეკეთებინა, რომელიც რუსული, დიდი მასრებისგან ავაწყვეთ. ზესტაფონში კი, 9 აპრილის მონუმენტი დავდგი. ალბათ ყველას ახსოვს გია აბესაძე, რომელმაც 1990-იან წლებში ძმათა შორის დაპირისპირებას თავი შესწირა და პარლამენტის წინ დაიწვა თავი. იგი ზესტაფონიდან გახლდათ და ეს მონუმენტი მას მიეძღვნა. დანაწევრებულ კედელს, რომელიც იმ პერიოდის საქართველოს გამოხატავს, სანთელი აერთიანებს, რომელიც გია აბესაძის სახეა. მონუმენტი ღამით ნათდება და ნამდვილი სანთლის ეფექტს ქმნის.

**— სამომავლო გეგმებს არ გამიმხელ?**

— ოო, იდეა ბევრია, მაგრამ რომ განვახორციელებ, მერე უფრო საინტერესიო იქნება საუბარი (*იცინის*). გამოფენების მოწყობასა და ქალაქის გალამაზებაში წვლილის შეტანას კვლავ ვაპირებ. ეს საქმე ჩემი ცხოვრებაა.

■

შორენა მერკვილაძე

**განვაგრძობთ თხრობას ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატებისა და მათ მიერ აღსრულებული სასწაულების შესახებ.**

## სამთავროს ივერიის ღვთისმშობლის ხატი

ივერიის — „კარიბჭისად“ წოდებული ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის არაერთი ასლი არსებობს. ერთ-ერთი სამთავროს დედათა მონასტერშია დაბრძანებული — სამთავროს ივერიის ღვთისმშობელი. ხატზე არსებული წარწერა გვამცნობს, რომ იგი მღვდელ-მონაზონ პავლე ჯაფარიძისა და სქიმმონაზონ მაკარის კურთხევით დაუწერია ათონის მთაზე, ივერონის მონასტერში მოღვაწე მღვდელმონაზონ ილიას. სიწმინდე 1912 წელს ჩამოაბრძანეს საქართველოში და მას შემდეგ სამთავროს დედათა მონასტერში იმყოფება. ხატი სასწაულმოქმედებით გამოირჩევა. დიდი განსაცდელის მოახლოების ჟამს ხატზე გამოსახულ ღვთისმშობელს თვალებიდან ცრემლები სდის. პირველად ასეთი შემთხვევა 1914 წელს მომხდარა — პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ.

ღვთისმშობლის ხატის წინ დაკიდებული კანდელის ზეთიც სასწაულმოქმედებით გამოირჩევა.

## ღვთისმშობლის ხატი – ცხოვრების მომნიჭებელი, წინამაუწყებელი

ხატი ათონის მთაზე, ვოტოპედის მონასტერშია დაცული, წმინდა დიმიტრი თესალონიკელის სახელზე აგებულ ტაძარში, რომელიც IV საუკუნის ბოლოსაა აგებული: 382 წელს, თეოდოსი დიდის ასული პლაკიდა, თავისი ძმის — არკადის მოსანახულებლად კონსტანტინოპოლში გაემგზავრა, რადგან იმ დროს იმპერიის სატახტო ქალაქი უკვე კონსტანტინოპოლი იყო და არკადიც იქ მეფობდა. გადაწყვიტა, გზად ათონის მთაზე გაევლო და მამამისის — თეოდოსი დიდის მიერ დაარსებული ვოტოპედის მონასტერში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატისთვის მიეგო პატივი. პლაკიდას ვოტოპედის მონასტერში მოღვაწე ბერები სიხარულით მიეგებნენ, მაგრამ როდესაც მისი სურვილის შესახებ შეიტყვეს, შეშფოთდნენ, რადგან ათონზე არსებული წესის თანახმად, ათონის მთაზე ქალს ფეხის დადგმა ეკრძალება. თუმცა იმპერატორის დის სურვილს წინ ვერ აღუდგნენ და სავანისკენ გაუძღვნენ. პლაკიდამ, თავმდაბლობისა და მორჩილების ნიშნად გადაწყვიტა, სავანის ტაძარში ჩრდილოეთის მცირე კარიდან შესულიყო, მაგრამ როგორც კი შესასვლელს მიადგა, ზემოდან ხმა ესმა: „შესდექ და არ გაბედო წინ წასვლა, თორემ მკაცრად დაისჯები“. ქალი შიშმა შეიპყრო, თავის შეცდომას მიხვდა, პირქვე დაემხო და წმინდა ქალწულს პატიება სთხოვა. მან ბერებისგან შეიტყო, რომ რამდენიმე ქალი, რომლებმაც მონასტერ-

# სამთავროს ივერიის ღვთისმშობელი, დედოფლის მეოხებით შენარჩუნებული სიცოცხლე და ჰაერში მდგარი სიწმინდე...

ში შესვლა მოინდომეს, სიკვდილით დაისაჯნენ. მასზე მოწევნული წყალობისთვის მადლიერების ნიშნად პლაკიდამ იმ ადგილას, სადაც სასწაული აღესრულა, წმინდა დიმიტრი თესალონიკელის სახელზე ტაძარი აღამართვინა. იმ ადგილზე კი, სადაც ზეციური ხმა ესმა, ხატმწერს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი გამოასახვინა, რომელსაც ცხოვრების მომნიჭებელი, ასევე წინამაუწყებელი ეწოდა. როდესაც იმპერატორმა არკადიმ ამ სასწაულის შესახებ შეიტყო, მონასტერს დიდძალი საბოძვარი შესწირა.

## მაშენებელი – იკონომოსა

X საუკუნეში წმინდა მამა ათანასე დიდმა სავანე დააარსა, რომელიც ათანასეს ლავრის სახელწოდებითაა ცნობილი. მონასტერში სამოღვაწეოდ უამრავი ბერი მიდიოდა. ერთ წელიწადს მოსავალი არ მოვიდა და ლავრაში შიმშილობა ჩამოვარდა. ამ განსაცდელმა, დიდი ხნის მოღვაწეობის მიუხედავად, მამა ათანასეზეც იმოქმედა. მწუხარებით შეპყრობილმა მამამ მონასტრის დატოვება გადაწყვიტა. ის კვერთხით ხელში კარიასის გზას დაადგა. საკმაო მანძილის გავლის შემდეგ დაღლილობა იგრძნო და დასვენება გადაწყვიტა. მოულოდნელად მისკენ მიმავალი ცისფერი, ჰაეროვანი საბურვლით თავდაბურული ქალი შენიშნა. შეშინებულმა მამა ათანასემ პირჯვარი გადაისახა — ათონის მთაზე ქალს ფეხის დადგმაც კი ეკრძალება. ამიტომაც შეაშფოთა ღირსი მამა ქალის ხილვამ. წმინდა ბერი მის შესახვედრად გაემართა. „სად მიდიხარ?“ ჰკითხა ქალმა. ათანასემ კი მიუგო: „რად გინდა იცოდე, საით მივდივარ. ხომ ხედავ, რომ აქაური ბერი ვარ“. ქალმა კვლავ მიუგო: „თუ ბერი ხარ, სხვაგვარად უნდა მიპასუხო და არა ისე, როგორც ჩვეულებრივმა ადამიანმა. მიმნდობი, უბრალო და მოკრძალებული უნდა იყო“. წმინდა ათანასემ სავანის დატოვების მიზეზი უთხრა. „ამას ვერ გაუძელი და საარსებო პურისთვის დატოვე სავანე, რომელიც თაობიდან თაობამდე უნდა განდიდდეს?! სად არის შენი რწმენა?! დაბრუნდი, მე შეგეწევი, ყველაფერი უხვად გექნება, მხოლოდ შენს განმარტოებას ნუ დათმობ“. მამა ათანასემ ჰკითხა — „ვინ ხარ?“ „ის, ვის სახელსაც შენი სავანე მიუძღვენი. მე ვარ დედა უფლისა შენი“. წმინდა ათანასე პირველად ეჭვმა შეიპყრო, ვაითუ ეშმაკის საცდური იყოსო და ქალის სიტყვებს არ ერწმუნა. წმინდა ქალწულმა ქვაზე მიუთითა და უბრძანა: „შენი კვერთხი დაარტყი ამ ქვას და მიხვდები ვისთან საუბრობ. ამიერიდან მე შენი ლავრის იკონომოსა (მაშენებელი) ვიქნები“. მამა ათანასე ბრძანებას დაემორჩილა. როგორც კი ქვას კვერთხი დაჰკრა, ქუხილით განიპო იგი, მისი ნაპრალებიდან კლდოვან მთაზე წყლის ნაკადმა გადმოხეთქა. გაოცებისგან გამორკვეული წმინდა მამა იმ მხარეს მიბრუნდა, სადაც ყოვლადწმინდა ქალწული იდგა გამოცხადებისას, რათა თაყვანი ეცა მისთვის. ის უკვე აღარ ჩანდა. ლავრაში დაბრუნებულმა წმინდა ათანასემ ყველა ჭურჭელი და სათავსი არსებობისთვის საჭირო პროდუქტებით ავსილი ნახა. მას შემდეგ ლავრაში ეკონომოსი აღარ ჰყავთ, მხოლოდ თანაშემწე ემსახურება. სავანეში იმყოფება ღვთისმშობლის იკონომოსად, მაშენებლად წოდებული ხატი, რომელიც ამ სასწაულის ნიშნად შეიქმნა. მასზე გამოსახული ღვთისმშობელი საყდარზე ზის. მის წიაღში ყრმა იესო მოჩანს. მარჯვენა მხარეს გამოსახულია წმინდა მიქაელ სინელი, მარცხნივ კი წმინდა ათანასე. მას ხელში თავისი ლავრის გამოსახულება უჭირავს. ხატი სასწაულმოქმედებით გამოირჩევა.



ღვთისმშობლის გამოცხადების ადგილას დღემდე მოედინება მაკურნებელი წყარო. იქვე ააგეს ცხოველმყოფელი წყაროს სახელობის ეკლესიაც. ტაძარში დაბრძანებულია ხატი, რომელზეც ეს სასწაულია გამოსახული.

## ტოლგის ღვთისმშობლის ხატი

სასწაულმოქმედი ხატი XIV საუკუნეში გამოჩნდა რუსეთში: ერთხელაც როსტოვისა და იაროსლავის ეპისკოპოსი პროხლე, რომელსაც სქემაში ტრიფონი ერქვა, თავის სამწყსოს მოსახილველად ერთ-ერთ მონასტერში გაემართა. უკან დაბრუნებისას, თანმხლებ ბერებთან ერთად ღამის გასათევად იმ ადგილზე შეისვენა, სადაც მდინარე ვოლგა და ტოლგა უერთდება ერთმანეთს. ღამით, როდესაც ყველას ეძინა, მამა ტრიფონს უეცრად გამოეღვიძა და იხილა, რომ ირგვლივ, მთელ მიდამოს საოცარი ნათელი ედგა. წმინდა მამა კარვიდან გამოვიდა და მდინარის მეორე მხარეს ნათელი სვეტი დაინახა. სვეტიდან გამოღმა სანაპირომდე ხიდი იყო გადებული. ეპისკოპოსომა ილოცა და ხიდისკენ გაემართა. მდინარე ზებუნებრივი ძალით შესქელებული წყალი აღმოჩნდა. მამა ტრიფონი მასზე ისე მიაბიჯებდა, როგორც ფიცარზე. როდესაც მდინარის მეორე მხარეს გადავიდა და ცეცხლოვან სვეტს მიუახლოვდა, იხილა ღვთისმშობლის ხატი, რომელზეც წმინდა ქალწული ყრმა მაცხოვართან ერთად იყო გამოსახული. ხატი ისეთ სიმაღლეზე იყო ჰაერში გაჩერებული, რომ ადამიანის ხელი ვერ მისწვდებოდა. ეპისკოპოსი მუხლებზე დაეცა და დიდხანს ლოცულობდა წმინდა ქალწულის ხატის წინაშე. შემდეგ უკან დაბრუნდა, მაგრამ ხატის გამოცხადების ადგილას კვერთხი დარჩა. თავისი ხილვის შესახებ არაფერი უთქვამს. მეორე დღეს, როდესაც ეპარქიაში წასასვლელად მოემზადნენ და ნავში სხდებოდნენ, მამა ტრიფონის კვერთხი დიდხანს ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. ეპისკოპოსი მიხვდა, რომ უფალს მის მიერ ხილული სასწაულის გაცხადება სურდა. ბერმა ხმის ამოღება ვეღარ მოახერხა და ხელით მიანიშნა იმ ადგილისკენ, სადაც ღვთისმშობლის ხატი გამოეცხადა. შემდეგ ჩუმი ხმით ხილვის შესახებ უამბო თანმხლებ ბერებს და კვერთხის მოსატანად მდინარე ვოლგის გადაღმა გაგზავნა. ადგილზე მისულმა ბერებმა ღვთისმშობლის ხატი უკვე ტყეში, ერთ-ერთ ხეზე მისვენებული იხილეს, იქვე იდო ეპისკოპოსის კვერთხი. უკან დაბრუნდნენ და ყოველივე მამა ტრიფონს აუწყეს. ეპისკოპოსი მხლებლებთან ერთად კვლავ გამოცხადების ადგილისკენ გაემართა. დიდხანს ლოცულობდა წმინდა ხატის წინ, შემდეგ ცული აიღო და ტყის გაჩეხვას და ეკლესიის ასაშენებლად ადგილის მოსუფთავებას შეუდგა, რადგან ხილულში წმინდა ქალწულის ნება შეიცნო — ღვთისმშობელს სურდა, რომ იმ ადგილას სავანე დაარსებულიყო. მამა ტრიფონს თანხმლები ბერებიც მიეხმარნენ. სასწაულის შესახებ ხმები სწრაფად გავრცელდა და ახლომახლო მიდამოებში მცხოვრებნიც მიეშველნენ წმინდა მამას ტაძრის მშენებლობაში. მშენებლობის დასრულების შემდეგ ეპისკოპოსმა ტაძარი ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელზე აკურთხა. ღვთისმშობლის ხატიც ტაძარში დააბრძანეს. მას ტოლგისა ეწოდა. მამა ტრიფონმა 8 აგვისტოს ხატის გამოჩინების დღესასწაული დაადგინა. ეკლესიასთან მონასტერიც დაარსდა, რომელსაც დღემდე ტოლგის მონასტერი ეწოდება. ღვთისმშობლის ხატი — ტოლგისად წოდებული ჩვენს დრომდე აღასრულებს სასწაულებს. ■

# გზაში საკითხავი კოლაჟი

*შემდგენელი თემურ ივანიძე*



1. ლადო ასათიანი ლეჩხუმელი იყო.

2. ოსები ირანული მოდგმის ხალხია.

3. პოლ სარტრმა უარი თქვა ნობელის პრემიაზე.

4. ილია ჭავჭავაძე განათლებით იურისტი გახლდათ.

5. „ძია სოსო“, — ასე მიმართავდა სტალინს ილიკო სუხიშვილი.

6. უსინათლოებს სჯერათ, რომ სამოთხეში თვალხილულნი იქნებიან.

7. „ყველა ინგლისელი გულის სიღრმეში მებაღეა“, — ამბობენ ინგლისელები.

8. „გორული საადრეო“, „ერისთავის ვარდისფერი“, „ნობათი“ და „სანდო“ ატმის ჯიშებია.

9. მუჰამედ ალიმ სულ 49 ბოქსიორი დაამარცხა საკუთარი სპორტული კარიერის მანძილზე.

10. სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის რვაასამდე მცენარე კოლიბრის დახმარებით იმტვერება.

11. მარტინ ლუთერ კინგის მკვლელი ჯეიმს ერლ რეი 1998 წელს, 90 წლის ასაკში პატიმრობაში გარდაიცვალა.

12. უბრალო ხალხში ხმა დადიოდა, თამარ-მეფე ტანსაცმელს სარკმელში შემოჭრილ მზის სხივზე ჰკიდებსო.

13. ჟანა დ'არკის დაკითხვის დროს „გაირკვა“, რომ ხილვების დროს მას წმინდა მიქაელი, წმინდა მარგარიტა და წმინდა ეკატერინე ესაუბრებოდნენ.

14. მსოფლიო ომის დროს საბჭოთა არმიამ 640 ათასი იაპონელი ჩაიგდო ტყვედ. ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა ქალაქებში, მათ შორის თბილისშიც, მრავლად ამუშავებდნენ ტყვე იაპონელებს.

15. ბეჰემოთი სულაც არ არის ვეგეტარიანელი. იგი იშვიათად, მაგრამ მაინც მიირთმევს ხორცს. ტელეარხ „ნეიშენალ ჯეოგრაფიკის“ ოპერატორებმა გადაიღეს კადრები, თუ როგორ წაართვა მშიერმა ბეჰემოთმა ლომებს მოკლული კამეჩი და როგორ შეუდგა მის ჭამას.

16. უკანასკნელი ტასმანიური მგელი 1936 წელს, ზოოპარკში მოკვდა. ადამიანებს 100 წელიწადიც არ დასჭირვებიათ ამ ცხოველის ამოსაწყვეტად.

17. გამოცხობის შემდეგ პურს 37 გრადუსამდე აგრილებენ. ეს არის იდეალური ტემპერატურა, ქარხნული წესით მის დასაჭრელად.



# დედამიწის ყველაზე საინტერესო და უცნაური ადგილები

## ფილადელფიის მიუტერის სამედიცინო მუზეუმი, აშშ

მუზეუმში უძველესი სამედიცინო ინსტრუმენტები და სხვადასხვა „პათოლოგიური ექსპონატი“ ინახება. მაგ. ქალის სხეული, რომელიც გარდაცვალებიდან რამდენიმე წელში საპნად გადაიქცა; ორთავიანი ბავშვის ჩონჩხი, თავის ქალათა უდიდესი კოლექცია და სხვა.

## ჩუუკის კუნძული, მიკრონეზია

იაპონიის ფლოტის დიდი ნაწილი ჰავაის კუნძულების სამხრეთ-დასავლეთით, წყალქვეშაა ჩაძირული. 1971 წელს ტერიტორია ჟაკ ივ კუსტომ გამოიკვლია. დღეს უამრავ ტურისტს სურს ჩუუკის კუნძულის ნაპირებთან ჩაყვინთოს. ამბობენ, 1944 წელს, წყალქვეშ ჩაძირული გემებისა და თვითმფრინავების ლაბირინთებიაო. ზოგიერთ დრაივერს მოჩვენებებიც ელანდება. ასე რომ, მხოლოდ გაბედული თუ გარისკავს წყალქვეშ ჩასვლას.

## სონორას ბაზრობა, მექსიკა

10 დოლარად შეიძენთ ბედნიერებისა და ბარაქის მომტან — ჯადოქრის, პატარძლის ჩონჩხის, ბუდასა და ცხოველების (იგუანა, ველური ფრინველები, ბაყაყები) ფიგურებს. აქვე შეიძენთ აცტეკების რეცეპტებით დამზადებულ, სხვადასხვა დაავადებისგან განსაკურნებელ სითხეებსა და ფხვნილებს. ჯადოქრები, რომლებსაც მექსიკაში დიდ პატივს სცემენ, „წამლებს“ კოლიბრისა და შხამიანი გველების ნარჩენებისგან ამზადებენ.

## აღდგომის კუნძული

დედამიწის ერთ-ერთი საიდუმლოებით მოცული ადგილი. არავინ იცის, როგორ და რისთვის ააგეს 21-მეტრიანი და 90-ტონიანი ქვის ქანდაკებები ან რატომ ჩაამწკრივეს ზეცას მიპყრობილი ფიგურები სანაპიროზე. ადგილობრივები ხუმრობენ, რომ საიდუმლოს გამხელა მხოლოდ ქანდაკებებს შეუძლია.

## „მოჩვენებათა ჭაობი“, ლუიზიანა

ნიუ-ორლეანში მდებარე ჭაობში ტურიტებს ნავით, მაშხალების ფონზე დაასეირნებენ. ამბობენ, ეს ადგილი ვუდის დედოფალმა დაწყევლაო. 1915 წელს, ქარიშხალმა სამი სოფელი მიწასთან გაასწორა. დროდადრო ჭაობში 95 წლის წინ გარდაცვლილი ადამიანების გვამები ტივტივებს. ჭაობში ნიანგებიც ბინადრობენ და ცნობისმოყვარე ტურისტი ხშირად გამხდარა მათი მსხვერპლი.

## პარიზის კატაკომბები, საფრანგეთი

მიწის ქვეშ, 187 კმ-ზე გადაჭიმული კატაკომბებიდან ტურისტებისთვის მხოლოდ რამდენიმე მეტრია გახსნილი. კორიდორის კედლის ორივე მხარე ადამიანის ჩონჩხებითაა ამოშენებული. ზოგან საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი წარწერებია შემორჩენილი.

## ვინჩესტერების სახლი, სან-ხოზე, კალიფორნია

ამბობენ, რომ სარა ვინჩესტერს ერთ-ერთმა მკითხავმა უწინასწარმატყველა, თუ სახლს არ ააშენებდა, წინაპრების სულები სიცოცხლეს გაუმწარებდნენ. მშენებლობა 1884 წელს დაიწყო და 38 წელს გაგრძელდა. 160 ოთახი უჩვეულოდაა მოწყობილი. კიბეები ჭერს ებჯინება, კედელში გაჭრილი, არსად გამავალი კარი და ა.შ. ღამით, დაკეტილი სახლიდან ხშირად ისმის ნაბიჯების ხმა, კარის ჭრიალი. შენობიდან ყველაზე უშიშარი ტურისტებიც კი გამორბიან.

## მერი კინგის ჩიხი, ედინბურგი

მხოლოდ ყველაზე თამამი თუ გაბედავს ედინბურგის ერთ-ერთ, ყველაზე საშიშ ადგილზე — მერი კინგის ჩიხში გასეირნებას. მნახველები ამბობენ, რომ რაღაც უხილავი ძალა ხელებსა და ფეხებზე ეხებათ. ძველად, ქალაქის ამ ნაწილში შავი ჭირით დაავადებულ ადამიანებს ტოვებდნენ. ერთ-ერთი მათგანია პატარა გოგონა — მერი კინგი, რომელიც 1645 წელს მშობლებმა ამ ტერიტორიაზე მიატოვეს. ჩიხი ტურისტებისთვის მხოლოდ 2003 წელს გაიხსნა.

## ჩერნობილი, უკრაინა

1986 წელს, ჩენობილის ატომურ სადგურზე მომხდარი აფეთქების შემდეგ, ქალაქი თითქმის მთელმა მოსახლეობამ დატოვა. წლების მანძილზე ხელუხლებელია ნივთები ბინებში, მაღაზიებში, შენობებში. როცა რადიაციის დონემ დაიწია, ტერიტორია ტურისტებისთვის გაიხსნა, მაგრამ იქ შეღწევას მხოლოდ გაბედულები ახერხებენ.

■

# სად გაქრნენ ტარაკნები

ალბათ დამეთანხმებით, რომ ამ საშინელი არსებებისთვის უკვე დიდი ხანია აღარ მოგიკრავთ თვალი. მათი გაუჩინარების კონკრეტული მიზეზი დღემდე უცნობია და მხოლოდ რამდენიმე ვერსია არსებობს: ადამიანთა რაციონში ბევრი გენმოდიფიცირებული საკვები გაჩნდა, რამაც ტარაკანთა გენების შეცვლა და მათი გაწყვეტა გამოიწვია; ევრორემონტი, რომელიც არაეკოლოგიური მასალებისგან კეთდება; ოზონის შრის დარღვევა და მობილურების სიმრავლე.

ტარაკანი სითბოსა და ნესტის მოყვარული მწერია. დედამიწაზე ამ მწერის 5000-მდე ჯიშია ცნობილი. ძირითადად, ტროპიკულ და სუბტროპიკულ რაიონებში ბინადრობენ. ყველაზე გავრცელებული ჯიშია ჟღალი და შავი. მეცნიერების ვარაუდით, შავი ტარაკნები — თურქეთიდან, ხოლო ჟღალები გერმანიიდან გავრცელდნენ. XVII საუკუნეში, ევროპას, კუბიდან შაქრის ლერწამთან ერთად, ამერიკული ტარაკნებიც შემოემატნენ.

ტარაკანი ყველაზე გამძლე მწერია. თვეობით შეუძლია საკვების გარეშე ცხოვრება, სუნთქვას 45 წუთის მანძილზე იკავებს; კარგად იტანს რადიაციულ გამოსხივებას. არსებობს ვერსია, რომ ტარაკნები დედამიწაზე 300 მლნ წლის წინ, დინოზავრებამდე გაჩნდნენ.

ძველად აღმოსავლეთ სლავებს მიაჩნდათ, რომ ტარაკნებს სამკურნალო თვისებები ჰქონდათ. მწერებს აშრობდნენ, ფქვავდნენ და ნაყენს ამზადებდნენ.

კუნძულ მადაგასკარზე გიგანტური, 6-დან 10 სმ-მდე მწერი ბინადრობს. იქ ხშირად ეწყობა ტარაკანთა რბოლა.

დაბოლოს, მწერები, რომელთა განადგურებაზეც ოცნებობდნენ, დღეს წითელ წიგნშია შესატანი.

# ცხელი წყლის წყაროები

იელოუსტონის ეროვნული ნაკრძალი (აშშ) მრავალრიცხოვანი გეიზერითა და გეოთერმული ობიექტითაა ცნობილი. ერთ-ერთ ტბაში წყალი 71 გრადუსამდე (ცელსიუსით) ცხელდება. აღსანიშნავია, რომ წყლის ფერი ტემპერატურისა და სპეციფიკური ბაქტერიების წყალობით ფორთოხლისფერიდან ლურჯამდე იცვლება. იაპონიაში მდებარე ცხელი წყლის საბადოს სისხლიანი წყარო ჰქვია. ტბა შეფერილობას წყალში არსებული რკინის დიდი შემცველობის გამო იძენს. იაპონიის ჩრდილოეთით, ნაგანოს პროვინციაში ვულკანური წარმოშობის, ცხელი წყლის ტბა მდებარეობს. ეს ადგილი ძალიან უყვართ დენკის ჯიშის იაპონურ მაკაკებს (მათ თოვლის მაიმუნებსაც კი უწოდებენ). ისინი ღამეს — მთებში, გასათბობად კი მთელ დღეებს ცხელ წყალში ატარებენ.



ისლანდიის ცისფერ ლაგუნა რეიკიავიკიდან 39 კმ-ში მდებარეობს. წყლის ტემპერატურა 40 გრადუსია (ცელსიუსით). ისლანდიაშივეა Deildartunguhver-ის ცხელი წყლის წყარო. სიმხურვალის გამო (97 გრადუსი ცელსიუსით) მასში ბანაობა შეუძლებელია. მის მახლობლად მდებარე ქალაქების — აკრანესა (64კმ) და ბორგარნეს (34კმ) მოსახლეობა წყალს ბინების გასათბობად იყენებს.



კოლორადოში (აშშ) მდებარე გლენვუდის ცხელი წყლის წყარო მის მახლობლად აშენებულ, ხელოვნურ აუზში ჩაედინება. წყლის ტემპერატურა 36 გრადუსია. აუზს ყოველდღიურად უამრავი დამსვენებელი სტუმრობს. ■



# გზაში საკითხავი კოლაჟი

ქრონიკები: ეს ეკუთვნის ივანიძე

18. მარტინ ლუთერ კინგს 28 წლის ასაკში დოქტორის ხარისხი ჰქონდა მიღებული, 34 წლის ასაკში კი ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. შეეძლო, არხეინად ეცხოვრა, მაგრამ ეს ადამიანი ქალაქ მემფისში ადგილობრივი დასუფთავების სამსახურის მუშათა უფლებების დაცვის დროს დაიღუპა, ადგილობრივ მენაგვეებს ხელფასები რომ გაზრდოდათ.



19. იაპონელთა სავარაუდო თავდასხმის შესაჩერებლად სტალინს შორეულ აღმოსავლეთში შეიარაღებული ძალების 28 პროცენტი ჰყავდა კონცენტრირებული. სტალინმა მხოლოდ მას შემდეგ შეძლო ამ ჯარების დასავლეთის ფრონტზე გადმოსროლა, რაც საბჭოთა ჯაშუშმა, ზორგემ, უტყუარი ცნობები მიაწოდა იმის შესახებ, რომ იაპონია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებას არ აპირებდა.

20. „როცა თქვენი პრეზიდენტი ოროსანია და მსოფლიო პოლიტიკაში არაფერი გაეგება, ქვეყანა კატასტროფის წინაშე დგება“, — ამბობდა ჯორჯ ბუშ უმცროსის შესახებ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში ამერიკის ცენტრალური სადაზვერვოს ყოფილი მაღალჩინოსანი.

21. ერთხელ, გალაკტიონის ბინაში შუქი ჩაქრა. პოეტმა რვაგვერდიანი ტრაქტატი მიუძღვნა მომხდარ ამბავს. მისთვის პოემის დაწერა უფრო ადვილი იყო, ვიდრე გადამწვარი ნათურის გამოცვლა.

22. მარია პერინი ნინო რამიშვილსა და მისი დის ცეკვის მასწავლებელი გახლდათ. როცა ნინოს მამას ფინანსურად გაუჭირდა და შვილები სტუდიაში ვეღარ გაუშვა, მარია პერინი მასთან სახლში მივიდა და უთხრა, ფული საჭირო არ არის, თქვენს გოგონებს უსასყიდლოდ ვამეცადინებო. ეს ამბავი მოგვიანებით ელდარ შენგელაიას ფილმის, „ვერის უბნის მელოდიების“ ერთ-ერთ სიუჟეტად იქცა.

23. ჩინელები კოსმონავტობის პირველ კანდიდატს უმკაცრესი კრიტერიუმებით არჩევდნენ. უმნიშვნელოვანესი ფიზიკური მონაცემის გარდა, კოსმოსური მოდულის სივიწროვის გამო კოსმონავტი 70 კილოგრამზე მძიმე და 170 სანტიმეტრზე მაღალი არ უნდა ყოფილიყო. მის გარეგნობასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩინელებს არ სურდათ, პირველ ჩინელ ასტრონავტად მსოფლიოსთვის ვინმე მახინჯი წარედგინათ. კანდიდატებს პირდაპირ გამოუცხადეს, განცხადებას ნუ დაწერთ, კარგი გარეგნობით თუ არ გამოირჩევითო. ტესტირებას გადიოდნენ კანდიდატთა ცოლებიც და ბავშვებიც. იმის შიშით, რომ მის ქმარს დაიწუნებდნენ, ერთ-ერთი კანდიდატის ცოლმა მეუღლეს განქორწინებაც კი შესთავაზა.

რუბრიკა მოამზადა
რუსუდან ბელაშვილმა

# „და დარიალა ტიალიო აღარ იქნება!..“

## ხევის წიაღში წარმოქმნილი მარგალიტი, გორგასლის ნათლული და ქართველი ბერის პოეზია

ლალი ფაცია

ამ სტატიის დაწერის იდეა ჯერ კიდევ აგვისტოში გამიჩნდა, როდესაც ფასანაურში, დასასვენებლად მყოფმა, კიდევ ერთხელ შევიტყვე, რომ დარიალის ხეობაში, ლარსის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან ახლოს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ს იდეით, სურვილითა და ინიციატივით, უზარმაზარი სამონასტრო კომპლექსი შენდებოდა... ამის შესახებ რაკი ადრეც მსმენოდა და იქაურობისგან არც ისე შორს ვიყავი, დარიალის ულამაზესი, დიდებული, მაგრამ პირქუში და მკაცრი ხეობისა და იქ მშენებარე სამონასტრო კომპლექსის მოსანახულებლად გავეშურე... აქ ცოტა ისტორიასაც მოვიშველიებ... დარიალის ხეობა, მდინარე თერგის პირას გაჭრილი, კლდოვანი, ვიწრო დერეფანია, რომელიც ყაზბეგის რაიონს ეკუთვნის. თვითონ სახელწოდება (დარიალი) სპარსული სიტყვებისგან — „დარი“ და „ალანი“ (ალანთა კარი) წარმოდგება. ძველქართულ წყაროებში იხსენიება, როგორც — დარიალნი, დარიელა, არაგვის კარი, იბერიის კარი, კავკასიის კარი და სხვა... ხეობაზე უძველესი დროიდან ამიერ და იმიერკავკასიის დამაკავშირებელი გზა გადიოდა, რომელიც ამიერკავკასიას, ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე, მეომარ ტომთა თავდასხმებისაგან იცავდა. გადმოცემით, დარიალის ხეობაში პირველი სიმაგრე იბერიის მეფეს, მირიან I-ს (ძვ.წ. II საუკუნის I ნახევარი) აუშენებია. საქართველოში რომაელების პირველი შემოსვლის დროს ხეობას იბერიის სამეფო აკონტროლებდა. V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა იქ ძველი სიმაგრე აღადგინა. ამიერკავკასიაში არაბთა ბატონობის ხანაში (VII-X სს.) დარიალის ხეობა და სიმაგრე მათ ხელში იყო. X-XIII საუკუნეებში ხეობის როლი გაიზარდა. ამ გზით საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებთან. დავით აღმაშენებელმა დარიალის გზით საქართველოში ყივჩაღები ჩამოასახლა (1118-1120 წლებში). მანვე განაახლა დარიალის სიმაგრე. XIII საუკუნეში, მონღოლთა ლაშქრობების შემდეგ, ამ გზის ეკონომიკური მნიშვნელობა დაეცა. XVIII საუკუნის I ნახევარში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობამ დარიალის გზა კვლავ გამოაცოცხლა. ამ ხეობით დადიოდნენ პოლიტიკურ-დიპლომატიური და სამხედრო მისიები. ვიწრო გზა აძნელებდა ხეობაში მიმოსვლას, ზამთარში კი სახიფათოც იყო... საქართველოს სამხედრო გზის გაყვანის შემდეგ, მოძრაობა იქ რეგულარული და ინტენსიური გახდა. დარიალში, მდინარე თერგის მარცხენა ნაპირის მაღალ, მიუდგომელ კლდოვან მთაზე, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — დარიალის ციხე დღესაც დგას. ციხეს შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია. იმავე მხარეს ყოფილა მდინარეზე ჩასასვლელი საიდუმლო გვირაბიც. მოგვიანებით დასავლეთიდან წყალსადენი გაუყვანიათ... ამას ისტორია მოგვითხრობს...





დარიალში მშენებარე სამონასტრო კომპლექსის მაკეტი

მიუხედავად იმისა, რომ აგვისტო გახლდათ, ჯვრის უღელტეხილს გავცდით თუ არა, ხევისთვის დამახასიათებელმა ჰავამ მაშინვე შეგვახსენა თავი: გრილი ნიავი ქროდა, მზეც და ყაზბეგის დიდებული მწვერვალიც ნისლსა და ღრუბლებში იყო გახვეული. ცუდი ხილვადობის გამო სტეფანწმინდიდან გერგეტის სამებასაც ძლივს შევავლეთ თვალი. როდესაც დარიალის ხეობისკენ გადავუხვიეთ, ამინდი კიდევ უფრო გაუარესდა. მოიღრუბლა, გაწვიმდა... თერგი — „ხევის პატარძალი“, როგორც მას იქაურები უწოდებენ, მისთვის დამახასიათებელი ხმაურით მიჰყვებოდა თავის კალაპოტს...

— აი, ტაძარიც! — 12-13 კილომეტრის გავლის შემდეგ, გაოცებულს აღმომხდა. ცად აწვდენილ კლდეებში, ვარდისფერი ქვით ნაშენებმა, უზარმაზარმა ტაძარმა დანახვისთანავე მომნუსხა... მთავარანგელოზთა სახელობის მშენებარე კომპლექსს თვალს ვერ ვაცილებდი. კომპლექსის ტერიტორიაზე შესულებს ძაღლი გამოგვეგება. დაგვყნოსა და შემდეგ გვერდით გადგა, თითქოს ნება დაგვრთო, შემდეგი ნაბიჯი გადაგვედგა. მას სახელად ლარსა

ერქვა. ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რატომ დაურქმევიათ მისთვის ეს სახელი... შავნაბადას წმინდა გიორგის მამათა მონასტრის წარმომადგენლებიც გამოჩნდნენ. როგორც გაირკვა, ტაძრის მშენებლობას შავნაბადას წინამძღვარი — არქიმანდრიტი შიო (გაბრიჭიძე) უდგას სათავეში. მამა შიო თითქმის სულ იქ არის, მაგრამ იმ დღეს არ დაგვხვედრია, პატრიარქთან ერთად, წინა დღის წასული იყო დარიალიდან...

მშენებლობა 2003 წელს დაწყებულა და სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე წელიწადი გაგრძელდება... ხევში ადრე ზამთრდება და გაზაფხულიც გვიან დგება. ამიტომაცაა, რომ მშენებლობის პერიოდი კიდევ უფრო იწელება... მაკეტის მიხედვით, ტაძრის გარდა, იქ ბერთა სამყოფელი — კელიებიც აშენდება, აიგება წმინდა გიორგის სახელობის ტაძარიც. იქნება დედათა მონასტერიც. გათვალისწინებულია საპატიო სტუმრების მისაღებად განკუთვნილი, პატრიარქისა და პრეზიდენტის რეზიდენციები, ასევე სასტუმროც, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამინდის გაუარესების შემთხვევაში, შეიძლება, ხეობაში ჩაკეტილები აღმოჩნდნენ (მთაში ხომ ამინდი არაპროგნოზირებადია). ამის დასტურად, ერთი ასეთი შემთხვევაც ყოფილა: თბილისიდან დარიალში საშენი მასალები ჩაუტანიათ და სანამ სატრაპეზოში გასამასპინძლებლად შეპატიჟებულნი გარეთ გამოსულან, მათი მანქანები უეცრად მოსულ თოვლს სულ დაუფარავს...



თერგიც მისთვის დამახასიათებელი ხმაურით მიჰყვებოდა თავის კალაპოტს

მშენებარე მონასტერში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატი მაშინვე იქცევს იქ შესული ადამიანის ყურადღებას. ის 18 წლის, ქუთაისელ თორნიკე ჯგერენაიას დაუხატავს. ყმაწვილს, რომელიც საერთოდ არ ხატავდა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ხატწერაზე, სიზმარში ხილვა ჰქონია და ხატი ყველა კანონიკური წესის დაცვით დაუწერია. რომ გამოუღვიძია, უთქვამს, მითხრეს, კარის ღვთისმშობლის ხატი უნდა დავწეროოო. ეს 2002 წელს მოხდა. ხატი უმოკლეს დროში, 8-9 თვეში შეუქმნია და საპატრიარქოსთვის შეუწირავს. პატრიარქს კი ის დარიალის მშენებარე კომპლექსში მიუბრძანებია. როცა უწმინდესსა და უნეტარესს მისთვის უკითხავს, — ასე მოკლე დროში როგორ მოახერხე ხატის დაწერაო? მას უპასუხია, მკარნახობდნენ; თვალს რომ დავხუჭავდი, ეს ხატი წინ მედგაო. ხატზე გამოსახული ღვთისმშობლის ტახტი ერთიანი საქართველოს რუკაზე დგას, გვერდით წმინდა ნინო, წმინდა გიორგი და მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები არიან გამოსახულნი. ღვთისმშობლის წინ მყოფი ცხვარი, რომელსაც სანთელი „უჭირავს“, საქართველოს გაერთიანებაზე მლოცველი, ქართველი ერის სიმბოლური გამოხატულებაა. ხატზე კიდევ ერთი საინტერესო სიმბოლოა გამოსახული — საქართველოს ახლანდელი სახელმწიფო დროშა. არადა, ხატის დაწერა თორნიკემ 2002 წელს დაიწყო და 8 თვეში, 2003 წლის I ნახევარში დაასრულა. მაშინ კი სხვა სახელმწიფო დროშა გვქონდა. ბუნებრივია, პატრიარქს გაჰკვირვებია და დროშაზე უკითხავს. თორნიკეს განუმარტავს, — ეს არა დროშა, არამედ სანთლის ალია, რომელიც ცხვარს ანუ ქართველ ხალხს ხელთ უპყრიაო... ღვთისმშობლის კაბა ბისერებითა და მძივებითაა შემკული... დარიალიდან საოცარი შთაბეჭდილებითა და ემოციით სავსე დავბრუნდი და სურვილი გამიჩნდა, არქიმანდრიტ შიოსაც გავსაუბრებოდი, მაგრამ როდესაც ტელეფონით დავუკავშირდი, მისგან ინტერვიუზე უარი მივიღე: — თქვენ, ჟურნალისტებს, ხმაური გიყვართ, ჩვენ კი ბერები ვართ და საქმის ჩუმად კეთება ვიცითო... მიუხედავად ამისა, სატელეფონო ზარით მამა შიო რამდენჯერმე კვლავ შევაწუხე და საუბარზე მაინც დავითანხმე. ცოტა ხნის წინ კი ინტერვიუსთვის შავნაბადას მონასტერში ვეწვიე — სავ-



ვახტანგ გორგასლის ძეგლი სოფელ სნოში

ანეში, სადაც დიდი და საინტერესო საქმეები კეთდება, მამა შიოს წინამძღოლობით, სერიოზული, ინტელექტუალური ძალაა თავმოყრილი. შავნაბადას მონასტერს პატრიარქი ხშირად სტუმრობს. მან იქ თავისი 7 ეპისტოლე დაწერა და წმინდა სამების ხატის წერაც იქ დაიწყო. „გერგეტის სამებაში 2000 წლის შემოდგომაზე არქიმანდრიტის ხარისხში ამიყვანეს და დარიალის მონასტრის მშენებლობა დამავალეს. ასე რომ, შავნაბადას მონასტერს დავალება აქვს მიცემული, რომელიც უნდა შეასრულოს“, — მითხრა რესპონდენტმა.

**— მამა შიო, რა უძღოდა წინ დარიალის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას?**

— როგორც ჩემთვის ცნობილია, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, მისი აღსაყდრების პირველივე წლებიდან დაინტერესებული იყო იმით, რომ დარიალის ხეობაში სამონასტრო კომპლექსი აშენებულიყო. დარიალის ხეობა ხომ გმირთა საძვალეა. გარეგნულად კია იქაურობა ტიალი, მაგრამ შინაგანად ძალიან მდიდარია! ვინ იცის, იქ რამდენი სამშობლოსათვის თავდადებულის ცხელი გული გაციებულა... ამიტომ ჩვენ კი არ ავაშენეთ მონასტერი, რომელიც ასე მოგეწონათ, ის მათმა სულებმა და ძვლებმა ააგეს... მანამდე იქაურობა შენახული კაპიტალივით იყო. პატრიარქის დიდი სიბრძნე და გონიერება კი იმაში მდგომარეობს, რომ ზუსტად იცის, სად არის ესა თუ ის სიმდიდრე შენახული. ამას გრძნობს, ცნობს და ხედავს... მთელი მათი ოჯახი (ღუდუშაურები), თვით პატრიარქის მამა, „შემთხვევითი ადამიანები“ არ არიან და არც შემთხვევით გამხდარა ილია II კათოლიკოს-პატრიარქი. ამას მისი წინაპრების სულიერების წყალობით ჩაეყარა საფუძველი... ღუდუშა სნოს შვილი გახლდათ. სნო კი დიდი მეო-

მარი იყო... როდესაც იმ ხეობაში, სადაც ახლა პატრიარქის მშობლიური სოფელი სნოა, ვახტანგ გორგასალი მოხვედრილა (მაშინ რა ერ-

**კათოლიკოს-პატრიარქის სახლი სოფელ სნოში**



ქვა იმ ადგილს, არავინ იცის. „სნო“ იქაურობას სნოს პატივსაცემად ეწოდა); გადმოცემის თანახმად, მეფეს სნოს ერთ-ერთი შვილი, ღუდუშა მოუნათლავს... ჩემთვის ყველაზე დიდი მოღვაწე თუკი ვინმე ყოფილა, ვახტანგ გორგასალია. ის სიჯიუტის განსახიერება გახლდათ. თუ რამეს დაიჟინებდა, სანამ იმ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდა, არ მოეშვებოდა. ეს სიჯიუტე მან უწმინდესის გვარსაც დაანათლა... პატრიარქის მამას ჯიუტას ეძახდნენ. ჰოდა, ეს კეთილი სიჯიუტე უწმინდესსაც გამოჰყვა. ამ უწყინარმა სიჯიუტემ კი ის წარმოშვა, რომ თითქმის არაფრისაგან, სერიოზული კომპლექსის მშენებლობაა წამოწყებული და დღეს დარიალში აშენებული მონასტერი ამის სიმბოლოა. სწორედ ასეთი სიჯიუტით, უშიშრობით უნდა შევუდგეთ ჩვენც მომავლის შენებას. ასეთი სიჯიუტე უნდა გახდეს ყოველი ქართველის გზამკვლევი. დიახ, ის უწყინარი, ჩუმი სიჯიუტე, გენეტიკური მახსოვრობა და დიდი ანგელოზებრივი ძალისხმევა განაპირობებს ყველაფერს. აბა, მე იქ ფიზიკურად არავინ ვარ და არც არაფერი გამიკეთებია. ყველაფერი ანგელოზებმა, წინაპრებმა შექმნეს, ვინც იქ არიან თავმოყრილები. მათ ჩვენ ვერ ვხედავთ და სათანადოდ ვერ ვაფასებთ; პატრიარქი კი ყველაფერს სათანადო შეფასებას აძლევს. ამიტომაც არის, რომ რამდენჯერმე თქვა, დარიალი ტიალი არ არის ანუ ისეთი, როგორიც ერთ-ერთ სიმღერაშია („ტიალო დარიალაო“) გამოყვანილი. იგი ტიალი მათთვისაა, ვინც ყველაფერში მხოლოდ მატერიალურს ხედავს. არადა, იქურობას თუ სულიერი კუთხით შევხედავთ, მასზე მდიდარ, ლამაზ და შთამბეჭდავ ადგილს დედამიწის ზურგზე ვერ ვნახავთ. ამიტომ, როდესაც დარიალში ქართველი მოხვდება, სხვანაირი ხდება. იქაა ის ჭეშმარიტი ქართველი! იმ დიად კლდეებში, მთებში გრძნობს თავის წინაპრებთან წილნაყრობასა და კავშირს. იქ გრძნობს თავის ძირსაც, თავსაც, გულსაც და კაცობასაც! იმას, რომ დიადი ერის შვილია... ის, რაც აქამდე გაკეთდა, მცირედი გამოხატულებაა იმისა, რაც მომავალში უნდა შეიქმნას. დარიალში ჰესიც უნდა აშენდეს, რომელიც კლდეში იქნება ჩამჯდარი და გარედან არც კი გამოჩნდება... საზღვარს გადმოსული სტუმარი დარიალის კომპლექსში რომ მოხვდება, უნდა მიხვდეს, რომ დიად ქრისტიანულ, თავმოყვარე სახელმწიფოში შემოვიდა და ისე უნდა მოიქცეს, როგორც ღირსეული სახელმწიფოს სტუმარს ეკადრება. აქედან გასულისთვის კი დარიალის სავანე რაღაც სიკეთის ქმნის სტიმული უნდა იყოს. იქაურობამ მასში უნდა დათრგუნოს ყველანაირი ბოროტი განზრახვა და განწმინდოს. ეს კომპლექსი თავისი მნიშვნელობით, წმინდა სამების სადარია... ის საქართველოს გვირგვინია. ასე რომ, დარიალა და წმინდა სამება — ორივე მარგალიტია. იქაური სამონასტრო ცხოვრება რაღაცით წინა საუკუნეების სამონასტრო ცხოვრებასთან იქნება დაკავშირებული.

**— ვახტანგ გორგასალი ახსენეთ... როგორც ვიცი, გასულ ივლისს, სოფელ სნოში, პატრიარქის თხოვნით, ამ დიდებული მეფის ძეგლი დაიდგა...**

— დიახ, პატრიარქის თხოვნით, სნოში, სოფლის მოედანზე, გასულ ზაფხულს, ვახტანგ გორგასლის ძეგლიც დაიდგა. უწმინდესი ჩაბრძანდა იქ ძეგლის გახსნაზე. ამასთან, სნოში პატრიარქის რეზიდენციაცაა, ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესია და შიოლა ღუდუშაურის ციხეც. ძეგლის გახსნისას პატრიარქმა განაცხადა — ამ ფაქტთან დაკავშირებით ლექსი ყველამ უნდა დაწეროსო... იმ ღამეს არ მძინებია და ლექსი მეც დავწერე, რომელიც ვახტანგ გორგასალს მივუძღვენი. ეს ლექსი ბევრ რამეს განმარტავს *(მამა შიო მიკითხავს ლექსს, რომელსაც „გვითხარ, მეფეო!“ დაარქვა; მე კი იმ ვრცელი ლექსიდან მცირე ეპიზოდს შემოგთავაზებთ. — ავტ.)*: „ნუ გეშინიათ რიცხვმცირობის, ღმერთი თქვენთან არს/ და ღმერთი ისე გაგამრავლებთ, როგორც არავის/ ოღონდაც თქვენი პატრიარქის ისმინეთ აჲა/ და მისი სიტყვა დაიმარხეთ აწ და მარადის!/ ეს თქვა და მერე დარიალში ხდის შესართავთან/ აღმოჩნდით კრძალვით! — და მონასტერს დაადგა თვალი,/ ესაა, შვილნო! — მიგვითითა ამ მონასტერზე,/ ესაა, შვილნო! — საქართველოს ჯილდო და ხმალი!/ მსოფლიოს გული საქართველო არისო, შვილნო,/ დარიალადან დაიწყება მკვდრეთით აღდგომა,/ მკვდრეთით აღდგომა, მონობიდან ნაწამებ სულის/ და დარიალა ტიალიო აღარ იქნება!..

**— მართლაც კარგი ლექსია. ერისკაცობაში ფილოლოგი ხომ არ იყავით?**

— არა, მათემატიკოსი... ლექსების წერა გვიან დავიწყე. პირველი ლექსი 27 წლის ასაკში დავწერე, ისიც — შემთხვევით. მას მერე კი ამ „სენით“ დავავადდი... *(მამა შიო კვლავ ლექსს — „ანთებული ლამპარივით“ მიკითხავს)*: „ან მე ვარ ბრმა და ან ბრმა არის წუთისოფელი,/ დღევანდელ ოჯახს რომ ვუყურებ, დუმილი მიპყრობს!/ ...ასეთ ოჯახთა უმრავლესზე — ჯოჯოხეთს ვამბობ!/ ჯოჯოხეთს ვამბობ, სადაც ქმარი ვერ ფლობს სადავეთ!/ ...და უნდა მეფეს დედოფალი მოსდევდეს მზისთვლად,/ ცოლი დედოფლად, ანგელოზად უნდა გინდოდეს!/ ...ასეთი მსურდა მე ოჯახი ადრეც და ახლაც,/ ასეთ ოჯახთა სიდიადეს დღესაც შევხარი!/ ასეთ ოჯახთა გულისათვის ჩემო სიცოცხლე/ ბერი გახდი და იგალობე: „შენ ხარ ვენახი!“...

როგორც შევიტყვე, მამა შიოს ერთი პოეტური კრებული — „მეტყოდი მამავ“ აქვს გამოცემული, რომელსაც უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის წინასიტყვაობა უძღვის: „მის პოეზიაში ადამიანი მებრძოლია. მართლმადიდებლურ რწმენაზეა დამყარებული მისი სიყვარული ღვთისა და მამულისადმი. სამშობლოს სჭირდება სულიერი და მამულისათვის თავდადებული გმირები, — ეს არის მთავარი დევიზი მამა შიოსი“. და კვლავ პოეზია: „გინდა, გათენდეს? — თავი გადასდე!/ გინდა, აშენდეს? — თავი გასწირე!/ მერე შეხედავ დარიალაში, არწივი ცაში როგორ აფრინდეს!“ — ეს კი მამა შიოს ლექსის — „მერე დაჭედავ ბედაურ რაშებს“ ერთ-ერთი მონაკვეთია, რომელშიც ძნელი არ არის, ამ ჭეშმარიტი ქართველის, ბერისა და შინაგანად მშენებლის სულისკვეთება დაინახო და შეიცნო... ■

# როგორ მოვიყვანოთ თავი წესრიგში

**პირველ რიგში გეტყვით, რომ საღამოს დაღლილობა არ უნდა აგერიოთ ქრონიკულ დაღლილობაში. მკვეთრად გამიჯნეთ ორი რამ: დაღლილობა, რომელიც გამოწვეულია მძიმე დღის გამო, და მუდმივი დაღლილობა და შეუძლოდ ყოფნა: დილიდანვე მძიმე თვითშეგრძნება და უსიამოვნო განწყობილება, როცა ყოველი დილა ცხოვრებაში უკანასკნელი გეჩვენებათ.**



*როგორ უნდა დაეხმაროთ საკუთარ თავს, რომ მოიხსნათ დღის განმავლობაში დაგროვილი დაღლილობა, გადალახოთ აპათია და მოიხსნათ მძიმე ტვირთი? რაც უნდა იყოს დაღლილობის მიზეზი, არ ღირს შინ მისვლისთანავე მიუჯდეთ სუფრას. საღამოს ტრაპეზის წინ რეკომენდებულია მოდუნება, დასვენება და დამშვიდება, რადგან საკვების მიღებისა და მისი გადამუშავების პროცესს არანაკლები ენერგია სჭირდება. თუ საკვებს მიეძალებით, თავს უარესად იგრძნობთ, მოდუნდებით, ძილი მოგერევათ, ხოლო საშინაო საქმეები, რომელიც საღამოს უნდა გაგეკეთებინათ, მოუგვარებელი დაგრჩებათ.*

*გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომლის შესრულება 20-25 წუთზე მეტს არ მოითხოვს და ამასთანავე შესამჩნევად შეგიმსუბუქებთ მდგომარეობას.*

შინ დაბრუნებისას, პირველ რიგში მიხედეთ ფეხებს. ფეხების ტკივილი ძალიან ცუდად მოქმედებს განწყობილებაზე. მაშინვე გაიხადეთ ფეხსაცმელი და ჩაიცვით რბილი ჩუსტები. ამის შემდეგ კარგი იქნება, სააბაზანოში შეხვიდეთ, მაგრამ თუ ამისათვის ძალა არ გყოფნით, შეგიძლიათ მიიღოთ ჰორიზონტალური მდგომარეობა, ასწიოთ ფეხები მაღლა და მიაყრდნოთ კედელს. ასეთი ხუთწუთიანი დასვენების შედეგად ფეხებში მიწოლილი სისხლი უკან გადაიქაჩება და ცოტაოდენ შვებას ნამდვილად იგრძნობთ.

ფეხების კონტრასტული აბაზანებიც არ წაგართმევთ 5 წუთზე მეტს. აბაზანა აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. აიღეთ ორი ტაშტი, ერთში ჩაასხით 40 გრადუსამდე გამთბარი წყალი, ხოლო მეორეში — არა უმეტეს 30 გრადუსისა. ჩაუშვით ფეხები ცხელ წყალში რამდენიმე წამით, შემდეგ — ცივში. ეს პროცედურა გაიმეორეთ 3-4-ჯერ.

ფეხების დაღლილობას ეფექტიანად ხსნის წიწვოვანი აბაზანა: 15 მგ წიწვის ექსტრაქტი და 2 ს/კ ზღვის მარილი ჩაყარეთ 40-გრადუსიანი წყლით სავსე ღრმა ტაშტში.

თუ ზომაზე მეტად დაიღალეთ, მიიღეთ აბაზანა მთელი სხეულისთვის. წყალში ჩაამატეთ ზღვის მარილი და თქვენთვის სასიამოვნო არომატიზატორების მცენარეული ნაყენი.

კუნთების დაღლილობას მოგიხსნით ცხელი შხაპი. თუ შემდეგ დაძინება გაქვთ გადაწყვეტილი, ნუ მიიღებთ კონტრასტულ შხაპს. ხოლო თუ ისევ მუშაობას აპირებთ, შხაპის უკანასკნელი ნაკადი გრილი უნდა იყოს. წყლის პროცედურების შემდეგ, სხეული, (განსაკუთრებით ენერგიულად — ფეხები) პირსახოცით დაიზილეთ. ფეხებზე, ქვემოდან ზემოთ მოძრაობით შეიზილეთ ზეთი (ან სპეციალური საცხი).

დაღლილობასთან ბრძოლას კომპლექსური ხასიათი უნდა ჰქონდეს. არ დაივიწყოთ ხელებიც — დას-





ვენება მათაც სჭირდება. ჩაყავით ხელები იმავე ჭურჭელში, რომელშიც ფეხების აბაზანებს იღებთ და გაიკეთეთ მსუბუქი მასაჟი. წყლის პროცედურების შემდეგ ხელებზე წაისვით რბილი მკვებავი კრემი.

ახლა კი დროა სახის კუნთების მოდუნებაზე იზრუნოთ. დაიდეთ სახესა და ყელის მიდამოში ვიტამინიზებული ნიღაბი. ამისათვის გამოდგება გახეხილი კიტრი ან კარტოფილი. ამ დროს აუცილებლად ჰორიზონტალური მდგომარეობა უნდა მიიღოთ. ფეხები შეგიძლიათ ისევ კედელს მიაყრდნოთ. ამ ყველაფრისთვის რამდენიმე წუთი საკმარისია. შემდეგ დაივარცხნეთ თმა, უმჯობესია სამასაჟო ჯაგრისით. ჯაგრისი ბუნებრივი მასალისგან უნდა იყოს დამზადებული.

**ფიზიკური ვარჯიში წელისათვის**

ჩამოჯექით სკამის ნაპირზე, ფეხები წინ წამოსწიეთ. ხელები მაღლა ასწიეთ, ხელისგულები დაიჭირეთ ჭერის პარალელურად. შემდეგ ხელები გადასწიეთ უკან. ჩასუნთქვისას დაჭიმეთ სხეული, ამოსუნთქვისას მოიხარეთ და ეცადეთ, თავით მუხლებს შეეხოთ. გაიმეორეთ სამჯერ.

**ვარჯიში კისრის კუნთებისათვის**

მხრები გადახარეთ უკან, თავი მაღლა ასწიეთ, ნიკაპი კი წინ წამოსწიეთ — თითქოს მკერდზე იდებთო. თავი რიგრიგობით გადახარეთ, ხან მარჯვენა, ხან მარცხენა მხრისკენ. ამ დროს მხრები დაბლა უნდა ჩამოუშვათ.

*ბოლოს კი აუცილებელია დალიოთ რაიმე ვიტამინიზებული წვენი ან მიირთვათ ხილი. ასევე კარგი იქნება ერთი ჭიქა ჩაი ლიმონითა და ერთი ჩ/კ კონიაკით.*

*ენერგიულ საღამოს გისურვებთ!*

■

*რუბრიკა მოამზადა*
*ეკა გუნთაიშვილმა*

# გიორგი XI და მისი ბედისწერა

მიხეილ ლაბაძე

(ნაწილი მეორე)

ჰინდუქუშის მიუვალ მთებში გამაგრებული მირ ვეის ხან ჰოთაქი უფრო მეტად რწმუნდებოდა იმაში, რომ გიორგი XI-სთან პარტიზანული ომებით ვერას გააწყობდა და გამარჯვებისათვის სხვა გზა უნდა გამოენახა. სხვათა შორის, მამაც ავღანელს დიდად აღაფრთოვანებდა ქართველი მეფის ასეთი სიძლიერე და ალაჰს მადლობასაც სწირავდა იმისათვის, რომ მტრად თავისი ტოლი და სწორი კაცი არგუნა: „რაც უფრო ძლიერია მტერი, მით უფრო სასახელოა მისი დამარცხება“, — ასე იწყება მირ ვეისის ერთ-ერთი ლექსი, რომელიც ავღანეთში დღესაც მეტად პოპულარულია; ყანდაარში მჯდარი გურჯი მეფის დამარცხება კი ავღანელთათვის ორმაგად სასახელო იქნებოდა. ამიტომაც, მირ ვეისმა ჭკუას მოუხმო და ყანდაარში თავისი თანამებრძოლები — ბელუჯების ბელადი მირ სამანდარ ხანი, ჯელალზაის ტომის ბელადი ქალა ხანი და აფრიდების ბელადი მირზა ხან სიდიკი გაგზავნა.

წარმოგზავნილმა ხანებმა გიორგი XI-ს მირ ვეისის წერილი მიართვეს, რომელშიც ავღანელთა წინამძღოლი მდაბლად მოიკითხავდა ირანელთა სამსახურში მყოფ ქართველ გვირგვინოსანს და აღმოსავლურ ყაიდაზე, ალეგორიულად სწერდა: „არწივის გაწვრთნა ძნელია; შესაძლოა, მონადირემ ის შეიპყროს და ხელზე თასმით გამობმული ანადიროს, მაგრამ არწივი ტყვეობაშიც არწივად დარჩება“ — ცხადია, მირ ვეისი აქ „დატყვევებულ არწივს“ გიორგი XI-ს უწოდებს, რომელიც უცხო მიწაზე უცხოთა ინტერესებს იცავდა. მირ ვეისის წერილში საყურადღებოა ერთი ფრაზაც: „ჩვენ შორის ომი რა საკადრისია, მაგრამ ორივემ ვიცით თავისუფლების ფასიცა და ისიც, რომ შეიძლება, სამშობლომ შენ დაგივიწყოს, შენ კი ვერასოდეს დაივიწყებ მას!“ ანუ, მირ ვეისს კარგად ესმოდა, რომ გიორგი XI-ს სპარსელთა შორის გავლენის მოხვეჭა და სამშობლოში დაბრუნება სურდა და ამიტომაც იყო იძულებული, ყანდაარი შაჰისთვის დაემორჩილებინა.

გარდა ამისა, წერილის ბოლოს მირ ვეის ხან ჰოთაქი მზადყოფნას გამოთქვამდა, თანამებრძოლებთან ერთად, ქართველ გვირგვინოსანს დამორჩილებოდა და ყანდაარზე უარი ეთქვა, მხოლოდ ღილზაის ტომის ბელადობით დაკმაყოფილებულიყო და შაჰის წინააღმდეგ ბრძოლაც შეეწყვიტა, ოღონდ ამ ყველაფრის თაობაზე მოსალაპარაკებლად ქართველ მეფეს შეხვედრას სთხოვდა. თავის მხრივ, მირ სამანდარ ხანი, ქალა ხანი და მირზა ხან სიდიკიც არწმუნებდნენ გიორგი XI-ს — მირ ვეისმა მტრობა გადაივიწყა და სურს, გვერდში ამოგიდგეთო.

გიორგი XI-მ ავღანელთა წინამძღოლი ყანდაარში დაიბარა — რაკი ასეა, როგორც უმცროსი ძმა უფროსს, აქ მეახლოსო. მირ ვეისის წარმოგზავნილებმა მეფეს მდაბლად დაუკრეს თავი და მთებში გაბრუნდნენ. მესამე დღეს, მხოლოდ მირ სამანდარი მოვიდა ბელუჯთა მცირერიცხოვანი ამალით და მირ ვეისის პასუხი მოიტანა — ის თანახმა იყო, გიორგი მეფეს ყანდაარში ხლებოდა: „კეთილგანწყობის ნიშნად, მირ ვეისი საუკეთესო მახვილს გიძღვნით მეფეო!“ — უთხრა მამაც „გურგინ ხანს“ ბელუჯთა ბელადმა და თან წამოღებული ძვირფასი საჩუქარი გადასცა. გიორგი XI-მ სიამოვნებით მიიღო მტრისგან მოძღვნილი, ინდოელი ოსტატების მიერ გამოჭედილი ხმალი, სანაცვლოდ კი სპარსული წესისამებრ, მირ სამანდარ ხანს მირ ვეისთან ძვირფასი ხალათი გაატანა — როდესაც ყანდაარში ჩამოვიდოდა, მორჩილების ნიშნად რომ ჩაეცვა.

რამდენიმე დღის შემდეგ, მირ ვეისი ერთგული ამალით ეწვია ყოფილ სამფლობელო ქალაქს; სამი თანამებრძოლი ხანიც თან ახლდა. სპარსული ხალათი უხერხულად ედგა ტანზე სპარსელთა დაუძინებელ მტერს. ქალაქის მთელი მოსახლეობა გარეთ გამოეფინა და ინტერესით უმზერდა გურგინ ხანის რეზიდენციისკენ მიმავალ მირ ვეისს, რომელიც ყურადღებას არავის აქცევდა. ავღანეთში ბავშვმაც კი იცოდა, რომ მასზე ცბიერი და მოხერხებული ძნელად რომ ვინმე ყოფილიყო; ამიტომაც ყანდაარელებს მართლაცდა ძალიან აინტერესებდათ, რა ედო გულში ავღანელთა მრისხანე წინამძღოლს.

ბუნებრივია, გიორგი XI-საც სურდა გაეგო, რატომ გადადგა მირ ვეისმა ამგვარი ნაბიჯი, თუმცაღა სტუმარს საეჭვო ვერაფერი შეატყო; ავღანელი ერთი შეხედვით, მეტად ჩვეულებრივად იქცეოდა — გულითადად მიესალმა მეფეს, თავიც დაუკრა და იქ დაჯდა, სადაც მიუთითეს. ერთი რამ კი იყო — გიორგი XI-ს მირ ვეისი მუხლებში არ



მირ სამანდარ ხანი, ქალა ხანი და მირზა ხან სიდიკი; თანამედროვე ინდოელი მხატვრის, მირზა შოგულ ჰოთაქის ჩანახატი

ჩავარდნია (არადა, ვასალობის წესი ამას მოითხოვდა) და მზერასაც თამამად უსწორებდა. ასეთი ქცევა ქართველმა მეფემ, ცხადია, ვაჟკაცობად შეაფასა და გულში ემა კიდევაც.

მირ ვეისმა გიორგი XI-ს საზეიმოდ აღუთქვა, რომ ამიერიდან მისი ერთგული ყმა იქნებოდა და შაჰის წინააღმდეგაც აღარ გამოვიდოდა. სხვათა შორის, წესი მოითხოვდა, რომ ავღანელს ყურანზე დაეფიცებინა, მაგრამ ქართველმა მეფემ ეს, რატომღაც აღარ ჩათვალა საჭიროდ — ის მირ ვეისის ვაჟკაცურ სიტყვას ენდო. მემატიანე სეხნია ჩხეიძე წერს, რომ „მეფისა ნდობამან ფრიად განაცვიფრნა მირ ვეის და ავღანნი“ — თავად მირ ვეისიც ვერ წარმოიდგენდა, თუ სისასტიკით ცნობილი გურგინ ხანი ყოფილ მტერს ასე ენდობოდა. ერთი სიტყვით, „სარაიე ნარანჯის“ სასახლეში გიორგი XI-მ და მირ ვეისმა „ძმობისა და ყმობის“ პირობა დადეს და, სხვათა შორის, ორივენი კმაყოფილნი დარჩნენ.

სულ მალე, ყანდაარის სამხრეთით მდებარე აზარის პროვინციიდან ახალი ამბავი მოვიდა — ადგილობრივი პუშტუნი ტომების ბელადი, ვინმე დაქეზი აჯანყებულიყო და თავი სულთნად გამოეცხადებინა. გიორგი XI-მ მაშინვე გაიხსენა „უმცროსი ძმა და ყმა“ მირ ვეისი, იხმო და აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნა. მირ ვეისი თავის თანატომელებთან ერთად გაეშურა აზარისკენ, შეუტია აჯანყებულებს, დაამარცხა ისინი და

თვითმარქვია სულთანი დაქეზი ცოცხლად მოჰგვარა გიორგი XI-ს. დიდად გაიხარა მეფემაც და მირ ვეისს „უბოძა საბოძვარი და შემოსა სამოსლითა კარგითა“. თან, როგორც წესი, ნადიმი გაუმართა ავღანელთა ცბიერ წინამძღოლს.

მირ ვეისი ჯერ ისევ ყანდაარში, გიორგი XI-სთან სტუმრობდა, როცა სპარსელმა მსტოვრებმა საიდუმლოდ შეატყობინეს მეფეს — მირ ვეისმა დაქეზი კი შეიპყრო, მაგრამ აჯანყებულები არ დაუშლია, თავის ერთგულებაზე დააფიცა ისინი და უახლოეს ხანში აპირებს, ყანდაარს შემოუტიოსო. თან, მირ ვეისის მიერ პუშტუნთა ერთ-ერთი ტომის ბელადთან მიწერილი წერილიც აჩვენეს, რომელშიც ახალ აჯანყებაზე იყო ლაპარაკი და გურგინ ხანს მირ ვეისი უწმაწურადაც კი იხსენიებდა. გიორგი XI გააფთრდა, მაშინვე მიუსია მძინარე მირ ვეისს ქართველები და შეაპყრობინა. მემატიანე სეხნია ჩხეიძე წერს, რომ შეპყრობილი მირ ვეისი ცახცახმა აიტანა — მას ხომ კარგად მოეხსენებოდა გურგინ ხანის სისასტიკის ამბავი; თუმცა, მეფემ რატომღაც, სიკვდილით არ დასაჯა. გიორგი XI მხოლოდ იმითღა დაკმაყოფილდა, რომ ბორკილებდადებული მირ ვეისი ბადრაგს ისპაჰანში გაატანა, თანაც შაჰ სულთან ჰუსეინს ამგვარი წერილი მისწერა: „ეს კაცი მეტად ცბიერი ვინმეა და საჭიროდ ვცანი, დამეპატიმრებინა, რადგანაც მეტად დიდი და გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეუძლია სახელმწიფოსათვის“ — სხვათა შორის, ეს სიტყვები მოგვიანებით ახდა კიდევაც: ისპაჰანში სეფიანთა ყიზილბაშური დინასტია სწორედ მირ ვეისის შვილმა, მირ მაჰმუდ ჰოთაქმა დაამხო; ბუნებრივია, შაჰ სულთან ჰუსეინი მაშინ ამ ყველაფერს ვერ განჭვრეტდა და, ამიტომ, გიორგი XI-ის შეპყრობილი ავღანელი მარადის მემბოხე სიკვდილით არც მან დასაჯა — შაჰიც ძალიან ცბიერი იყო და მირ ვეისი ისევ გურგინ ხანის „ჭკუაზე მოსაყვანად“, ცოცხალი დატოვა.

ავღანელებს თავზარი დასცა ურჩი წინამძღოლის შეპყრობამ და ირანში გაგზავნამ — ასეთ რამეს ვერავინ წარმოიდგენდა; პუშტუნებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს და გურჯ გურგინ ხანს სათითაოდ შეჰფიცეს ერთგულება. ავღანეთში მშვიდობამ დაისადგურა, ხოლო გიორგი XI-მ კი უზრუნველად ცხოვრებას მიჰყო ხელი — სპარსული მხედრობა უკან, ირანში გაისტუმრა, მცველებად ასიოდე ქართველი დაიტოვა და ციხეშიც მხოლოდ მცირერიცხოვანი სპარსული გარნიზონი დატოვა. 1707 წლის თებერვალში გიორგი XI-მ ქართლის მოლარეთუხუცესად სეხნია ჩხეიძე დანიშნა და რამდენიმე ქართველთან ერთად საქართველოში გამოუშვა. თან ძმასთან — ლევან ჯანიშინთან ძვირფასი ფარჩის ქსოვილები, ორი აქლემი ოქრო-ვერცხლი და ათასი თუმანი გამოატანა.

საქართველოსკენ მომავალ სეხნია ჩხეიძეს ისპაჰანში უნდა გაევლო და როგორც წესი, შაჰი უნდა მოენახულებინა, მაგრამ ჯერ კიდევ ყანდაარშივე გაიგო, რომ შაჰი მეშჰედში ყოფილიყო და თავადაც იქით გაემგზავრა. მეშჰედამდე კი მშვიდობით ჩავიდა, შაჰ სულთან ჰუსეინიც ინახულა, მაგრამ საქართველოში გამგზავრება არ ეღირსა — ისპაჰანში აჯანყება დაწყებულიყო და შაჰ სულთან ჰუსეინმა დაუყოვნებლივ თან იახლა ყველა ქართველი. ასე აღმოჩნდა სეხნია ჩხეიძე თბილისის ნაცვლად ისპაჰანში, სადაც შეიტყო, რომ აჯანყებას სათავეში ედგნენ შაჰ სულთან ჰუსეინის ძმა აბას მირზა და რამდენიმე ვეზირი, მათ შორის — წარმომავლობით ლეკი ფათ-ალი ხანი, რომელსაც გიორგი XI-ს მიერ შეპყრობილი მირ ვეისი ებარა. ქართველმა მემატიანემ გაარკვია ისიც, რომ ფათ-ალი ხანის წყალობით, ავღანელ მემბოხეთა მეთაურს უკვე საკმაო გავლენა მოეპოვებინა შაჰ სულთან ჰუსეინის კარზე.

აბას მირზას აჯანყება ისპაჰანში მალევე ჩააქრეს, მის მთავარ მეთაურს შაჰმა თავადვე დასთხარა თვალები და კლდიდან გადაჩეხა, მაგრამ ფათ-ალი ხანი, რატომღაც არავის გახსენებია; მეტიც — მას შაჰმა უფლებებიც კი გაუზარდა. სწორედ მაშინ, როცა შაჰ სულთან ჰუსეინი აჯანყებულთა გასამართლებას მორჩა და დარბაზიდან ყველანი გაიყვანეს, ფათ-ალი ხანი მდაბლად მუხლებში ჩაუვარდა მას და წარუდგინა... გიორგი XI-ს მიერ შეპყრობილი ავღანელი მირ ვეისი. „ეს კაცი ქართველ გურგინ ხანს მეტად უსამართლოდ შეუვიწროვებია და შეურაცხყოფს; არადა, მას ჩვენს მიმართ ბრალი არ მიუძღვის და რასაც გურგინ ხანი გვწერს, ყველაფერი ტყუილი ყოფილა“, — მოახსენა შაჰს ფათ-ალი ხანმა. შაჰ სულთან ჰუსეინმა ინტერესით გადახედა მირ ვეისს.

იმ დღის შემდეგ, მირ ვეისმა შაჰის სასახლეში სიარულს მოუხშირა. შაჰ სულთან ჰუსეინმა ის ძალზე დაიახლოვა და საათობით მასლაათობდნენ ხოლმე. მირ ვეისი შაჰს შემპარავად ესაუბრებოდა და გურგინ ხანის შესახებ ათასგვარ ჭორ-მართალს უყვებოდა. ამ ყველაფერმა მალევე გამოიღო ისეთი შედეგი, როგორიც მირ ვეისს სურდა — შაჰმა გიორგი XI-ს ყანდაარში წერილი გაუგზავნა და მოსთხოვა, მის მიერ შეპყრობილი მირ ვეისი კვლავ შეერიგებინა. პასუხად ქართლის მეფემ კატეგორიული უარი შემოუთვალა — მაგის კარგი კაცობა მე კარგად მომეხსენება და თქვენც გირჩევთ, ზედმეტად ნუღარ ენდობითო. შაჰ სულთან ჰუსეინს აღარაფერი უთქვამს, მირ ვეისი კი „მოსასვენებლად“ მაზანდარანის ციხესიმაგრეში გამოკეტა, თანაც ურჩია — გურგინ ხანი და ავღანეთი სამუდამოდ დაივიწყეო.



გიორგი XI მხევლების გარემოცვაში; XVIII საუკუნის სპარსული მინიატიურა

მირ ვეისმა მექაში, მუსლიმანთა სიწმინდეების მოსალოცად გაშვება სთხოვა შაჰს და თანხმობაც მიიღო. მექაში ჩასული ავღანელთა წინამძღოლი ადგილობრივ შეიხებს შეხვდა და დიდხანს ეთათბირა: „შეიძლე-



ქართველთა გვამები მირ ვეისის სასახლის წინ; მირზა შოგულ ჰოთაქის ნახატი

ბა თუ არა, მუსლიმანები ურწმუნო ქრისტიანს თავიანთ ხელისუფლად მიიჩნევდნენ?“ — ასეთი იყო ის უმთავრესი კითხვა, რომელიც მირ ვეისმა მექელ შეიხებს დაუსვა. ბუნე-



**მირ ვეის ხან ჰოთაქი; XIX საუკუნის ავღანური მინიატიურა**

ბრივია, ამაზე სწორედ ის პასუხი მიიღო, რასაც ელოდა — „მუსლიმანები უნდა დაემორჩილონ მხოლოდ ალაჰსა და მისგან მოვლენილ ხელისუფალს, ხოლო ქრისტიანი მბრძანებლის წინააღმდეგ კი ჯიჰადი უნდა დაიწყონ!“ — განუცხადეს მას შეიხებმა.

მექიდან დაბრუნებულ მირ ვეისს ფათ-ალი ხანმა ერთი ახალი ამბავი დაახვედრა — რუსეთის ელჩმა, წარმოშობით სომეხმა ისრაელ ორმა შაჰის გვერდის ავლით, საეჭვო კავშირი დაამყარა გიორგი XI-სთან და ორივენი სპარსეთის საწინააღმდეგოდ რაღაცას გეგმავენო. სინამდვილეში საქმე სხვაგვარად იყო — ისრაელ ორს ქართლის მეფესთან დაკავშირება კი სურდა, მაგრამ მსტოვარმა, რომლის ყანდაარში გაგზავნასაც აპირებდა, ყველაფერი წინდაწინ შეატყობინა ფათ-ალი ხანს; მერე კი ავადმყოფობა მოიმიზეზა და რუსეთის ელჩს შეუთვალა — ყანდაარში ველარ წავალო. ისრაელ ორმა მაშინვე რაღაც იყნოსა და სასწრაფოდ რუსეთში გაბრუნდა; ფათ-ალი ხანი და მირ ვეისი კი იმწამსვე შაჰს ეახლნენ და მოახსენეს: „გურგინ ხანი მოღალატეა; ყანდაარში ვითომ ერთგულად გვემსახურება, მაგრამ მეორე მხრივ, სამშობლოში უჩუმრად დაბრუნებასა და ხელახლა აჯანყების მოწყობას აპირებს!“ — თანაც, ისრაელ ორის ჩანაფიქრის შესახებაც უამბეს.

ამ ამბების გაგონებამ მეტად შეაფიქრიანა შაჰ სულთან ჰუსეინი — საქმე ის იყო, რომ მიუხედავად ყველაფრისა, იგი გიორგი XI-ს ბოლომდე მაინც არ ენდობოდა და თვლიდა, რომ სანამ ურჩი გურგინ ხანი ცოცხალი იქნებოდა, გურჯისტანის პრობლემა გადაჭრილად ვერ ჩაითვლებოდა. „რა ვქნათ, გურგინ ხანი ყანდაარიდან გამოვიწვიოთ?“ — ჰკითხა ფათ-ალი ხანს შაჰმა. ვეზირმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და უცებ, მირ ვეისს სთხოვა, ცოტა ხნით შაჰთან მარტო დაეტოვებინა. გავიდა თუ არა ავღანელი, ფათ-ალი ხანმა შაჰ სულთან ჰუსეინს იქედნურად მოახსენა, რომ როგორც კი ყანდაარიდან გამოწვევის ბრძანება მიუვიდოდა, გურგინ ხანი ყველაფერს მიხვდებოდა და შესაძლოა, ყანდაარშივე დაეწყო აჯანყება: „ხომ შეიძლება, თავისი ქართველებით ინდოელებსაც დაუკავშირდეს?“ — თქვა ფათ-ალი ხანმა და შაჰს შესთავაზა, მირ ვეისი გაეგზავნათ ყანდაარში. „ეგ კარგი იქნება... გურგინ ხანს მხოლოდ მირ ვეისი მოუვლის!“ — ჩაეღიმა შაჰსაც და ამგვარად გადაწყდა ყველაფერი.

1708 წლის შუახანებში, სპარსულმა ბადრაგმა მირ ვეისი ყანდაარში ჩაიყვანა და გიორგი XI-ს შაჰ სულთან ჰუსეინის ფირმანთან ერთად ჩააბარა: „ამ კაცმა მოინანია თავისი დანაშაული და კვლავაც შენ გიგზავნი, რათა უწინდებურად იმსახურო და ისე შეიტკბო, როგორც უმცროსი ძმა...“ — სწერდა შაჰი ქართლის მეფეს. გიორგი XI-ს არც ეგონა, თუკი მოვლენები ასე წარიმართებოდა, თუმცაღა არაფერი უთქვამს; მირ ვეისი მომიყვანეთო — ერთი კი გასძახა მსახურებს.

ნირწამხდარი მირ ვეისი მაშინვე აახლეს მეფეს. ახლა კი მუხლებზე დაეცა ურჩი ავღანელი და თაყვანი სცა გიორგი XI-ს. წამოაყენა მეფემ, ძვირფასი ხალათი ჩააცვა და ყანდაარის ერთ-ერთ გარეუბანში მომცრო სასახლეც უწყალობა. მირ ვეისმა გურგინ ხანს მადლობა გადაუხადა და ბოდიშის მოხდით, ამალასთან ერთად ახალმოსახლეობაზე დაპატიჟა. გიორგი XI ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რა მზაკვრულ მახეში იტყუებდა მას ცბიერი ავღანელი — მირ ვეისს გზაშივე გაეგო, რომ ყანდაარში სპარსელთა მხოლოდ ერთი გარნიზონი და ასამდე ქართველი იყო დარჩენილი. მას ყანდაარში ჩამოსვლამდე პუშტუნთა ტომებშიც დაეგზავნა მსტოვრები და ახლა უკვე თითქმის ყველაფერი მზად ჰქონდა — პუშტუნები მის ნიშანსღა ელოდნენ, რომ ყოველი მხრიდან შემოჭრილიყვნენ ყანდაარში. გიორგი XI-მ მირ ვეისის გეგმებისა არაფერი იცოდა და ამიტომ, უშიშრად ეწვია ნაწყალობევ სასახლეში, ქართველთა მცირე ამალასთან ერთად. ცბიერი ღიმილით მიეგება გურჯებს მირ ვეისი და ზღაპრულ სუფრასთან მიიწვია.

ნადიმი შუაღამემდე გაგრძელდა. ნაშუაღამევს, მირ ვეისმა შეზარხოშებული მეფე და სხვა ქართველები ცალ-ცალკე ოთახებში მოასვენა. ის-ის იყო, მასპინძელი გავიდა, რომ მეფის ოთახის კარი შილიფად ჩაცმულმა, ულამაზესმა ქალმა შეაღო, ეშმაკურად ჩაიღიმა და ნელა მიუახლოვდა მეფის სარეცელს. ის თავად მირ ვეისის ასული იყო და მამამისს განგებ შეეგზავნა გიორგი XI-სთან. ეს უკანასკნელი ქალის სილამაზემ ისე მოხიბლა, რომ სიფრთხილე სულ გადაავიწყდა; თუმცა, ალერსით ტკბობა არ დასცალდა — მოეხვია თუ არა ქალს, ზურგიდან დარტყმულმა ხანჯალმა სუნთქვა შეუკრა...

გიორგი XI-მ ქალი უცებ მოიშორა, ოთახის კუთხეში მიაგდო და ხმალი აიტაცა, მაგრამ უკვე გვიან იყო — მეამბოხე პუშტუნები ველური ყიჟინით დაქროდნენ მთელ სასახლეში და იარაღაყრილ ქართველებს დაუნდობლად ჩეხდნენ. მეფემ ოთახის კარი გაანგრია და ის-ის იყო, გარეთაც გავარდა, რომ ვიღაც პუშტუნის ნასროლმა ტყვიამ გულის ფიცარი შეუნგრია. ხმალი გაუვარდა გურგინ ხანს, ბრაზით აღსავსე მზერა მოატარა ქართველთა სისხლით მორწყულ დარბაზებს და მოწყვეტით დაენარცხა ძირს.

მირ ვეისი იქვე, ახლოს ყოფილიყო. მივარდა და მკერდი გადაუღელა მეფეს. იელვა ოქროს ჯვარცმამ და ბოროტად ჩაეცინა ავღანელს. რამდენიმე საათის შემდეგ ყანდაარიდან ისპაანისაკენ უკვე მიქროდა მსტოვარი, რომელსაც შაჰთან გიორგი XI-ის ჯვარი და მირ ვეისის წერილი მიჰქონდა: „აი, ხელმწიფე გურგინ ხანი. იგი უკვე აღარ არსებობს, მაგრამ მაინც თქვენზე აღმატებულად მიმაჩნია, რადგანაც მან ღირსეულად იცხოვრა და დაიმსახურა სახელი ჭეშმარიტი მამულიშვილისა, მხედრისა და მეფისა“. ■

# ვიქტორ სანეევი — ოთხი ოლიმპიადის გამარჯვებული...

**მოსკოვის ოლიმპიადის წინ, ბოლო შეჯიბრებაში ვიქტორ სანეევმა მეოთხე ადგილი დაიკავა. საბჭოთა კავშირის სამმხტომელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის, ვიტოლდ კრეერის სიტყვა კი ასეთი იყო: „ზნამენსკების მემორიალზე ვინც პირველ-მეორე ადგილებს დაიკავებს, ოლიმპიურ თამაშებშიც ის მიიღებს მონაწილეობას“. ამასთან, მას მიაჩნდა, რომ თამაშებში გამარჯვებისათვის საჭირო იქნებოდა 17.50-17.60 მეტრზე გადახტომა, ვიქტორი კი თავისი ტრავმირებული ფეხით მხოლოდ 16.76 მეტრზე გადახტა. თანაც, საცაა, 35 წლის გახდებოდა... „სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი“ ხარ, არც მედლები გაკლია და არც სახელი. მეტი რაღა გინდა?!“ — ეუბნებოდა მწვრთნელი, მაგრამ თავად სანეევი სხვაგვარად ფიქრობდა. მისი აზრით, ამჯერად განსაკუთრებული სიტუაცია იყო. მას მორალური უფლება ჰქონდა, თავის მეოთხე ოლიმპიადაზე გამოსულიყო და გამარჯვების შანსსაც ინარჩუნებდა.**

*გოგი ფრანგიშვილი*

სანეევის და კრეერის საუბარი მოსკოვში, სასტუმრო „სპორტთან“ შედგა, სადაც ნაკრების კანდიდატები ცხოვრობდნენ, მეორე დღეს კი მისი საკითხი მწვრთნელთა საბჭოს უნდა განეხილა. ახლა ძნელია იმის თქმა, ვინ იყო მომხრე და ვინ — წინააღმდეგი. ერთი კი ცხადია — კრეერს სწამდა სანეევის. მან კარგად იცოდა, რომ ვიქტორი წლების განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვან შეჯიბრებებშიც კი ტრავმირებული ფეხით ასპარეზობდა და ყოველთვის იმარჯვებდა. იქნებ ამჯერადაც ასე მოხდეს? და მწვრთნელთა საბჭომ ვიქტორ სანეევი ოლიმპიურ გუნდში შეიყვანა.

მძლეოსნობაში ვარჯიში ვიქტორ სანეევმა აკოფ კერსელიანთან დაიწყო. სპორტის ეს სახეობა დიდად არ მოსწონდა. მართალია, თავიდანვე კარგი შედეგები ჰქონდა, მაგრამ ყველაფერს ფეხბურთი ერჩივნა. ამიტომ, ერთი ხანობა ორივე სახეობაში ვარჯიშობდა, მერე კი კერსელიანს კარგა ხნით დაშორდა. ვიქტორი სოხუმში იზრდებოდა, ხელმოკლედ ცხოვრობდნენ და დედამ დაბა განთიადის სკოლა-ინტერნატში გადაიყვანა სასწავლებლად. ბუნებრივია, ოჯახს მოწყვეტილ მოზარდს გაუჭირდა და სოხუმში დაბრუნებას ითხოვდა. დედის გულმა ვეღარ გაუძლო და ჩააკითხა, თუმცა იქ კარგი პირობები დახვდა. თანაც, ვიქტორი უკვე ინტერნატის ფეხბურთელთა გუნდშიც თამაშობდა და თავადვე აღარ მოინდომა იქიდან წამოსვლა.

შეიძლება მისგან მართლაც კარგი ფეხბურთელი გამოსულიყო, მაგრამ ერთ ზაფხულს ერთბაშად აიყარა ტანი და 185 სმ-ს სიმაღლისას უკვე კალათბურთელობა მოუნდა. ერთი ეგაა — ფიზიკურად მოისუსტებოდა და ჰანტელებითა და შტანგით ვარჯიში დაიწყო. თან ლესელიძეში, საწვრთნელ შეკრებაზე ჩასულ საბჭოთა ნაკრების მძლეოსნებს — რობერტ შავლაყაძესა და ვალერი ბრუმელს აკვირდებოდა. მათ ვარჯიშებს იმეორებდა და ჯანიც მოემატა. ალბათ ბედი იყო, რომ კალათბურთსაც დაანება თავი და ისევ მძლეოსნობაზე, კერსელიანთან მივიდა.

წარმატებებს პირველივე სეზონში მიაღწია. საქართველოს მოსწავლეთა პირველობაში 3 სახეობაში გაიმარჯვა — 100 მეტრზე სირბილში, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომებში. იმავე წელს, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ვოლგოგრადში, მესამე ადგილი დაიკავა. თუმცა ეს მისთვის მარცხი იყო და სწორედ მაშინ მიხვდა, რომ საჭირო იყო, როგორც საკუთარი წარმატებების, ასევე უხეირო ასპარეზობის მიზეზებზე დაფიქრება. საჭირო იყო აგრეთვე შეჯიბრებებში მწვრთნელის გარეშე, დამოუკიდებლად გამოსვლის უნარიც. ტრიბუნებიდან მწვრთნელი სხვადასხვა ნიუანსებს ვერ გიკარნახებს, ამიტომ სპორტსმენმა თავადვე უნდა შეძლოს გამორბენის, არეკნისა თუ ნახტომის შეცვლა, წლების განმავლობაში ვიქტორ სანეევი შეეჩვია დამოუკიდებლად, სხვების კარნახის გარეშე ასპარეზობას და თავის პირველივე ოლიმპიადაზე მსოფლიოს რეკორდით გაიმარჯვა.

— მეხიკოში, რა თქმა უნდა, მეც ვნერვიულობდი. სპორტსმენი, რომელიც არ ნერვიულობს, შორს ვერც გადახტება. ნერვიულობა ნორმალური მოვლენაა, თუმცა საკუთარი ემოციების მოთოკვაც უნდა შეგეძლოს. მთავარი კი — ოლიამპიადამდე საკუთარი თავის მიყვანაა. აქ ბევრი რამ იგულისხმება, ჯანმრთელობაც, ფსიქოლოგიური მომზადებაც. სპორტული ფორმის პიკიც. მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე პირველად სერიოზულად ფიქრი ჯერ კიდევ 1964 წელს დავიწყე. მაშინ მოსკოვში მიმიწვიეს, საბჭოთა ნაკრების შეკრებაზე. იქ გავიცანი გუნდის უფროსი მწვრთნელი, ვიტოლდ კრეერი. თავადაც სამმხტომელი იყო, ოლიმპიადებზე ორჯერ პრიზიორიც გახდა. სწორედ მან შეადგინა ოლიმპიადისათვის ჩემი მზადების პროგრამა. მეხიკოში შეჯიბრების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე ჩავედით, კერსელიანი კი ბოლო დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა. თან ჩამოიტანა პატარა ხის ჯოხი და მე და იანის ლუსისს გვითხრა: „ეს თილისმაა და თუ ამ ჯოხს დავიჭერ ხელში, ბედი აუცილებლად გაგიღიმებთ“. იანისი შუბის მტყორცნელი იყო. იგი ჩემზე ერთი დღით ადრე გამოდიოდა. საინტერესო იყო, თილისმა მართლა დაეხმარებოდა თუ არა მას? სხვათა შორის, იანისმა მართლაც მოიგო ოლიმპიადა, თანაც — ბოლო ცდაზე. და მახსოვს გავიფიქრე — იქნებ, მეც გამიღიმოს ბედმა?



საკვალიფიკაციო შეჯიბრებები ყველასათვის და მათ შორის ვიქტორ სანეევისთვისაც მოულოდნელად დაიწყო. პირველივე ცდაზე იტალიელი ჯუზეპე ჯენტილე 17.22 მ-ზე გადახტა და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. სანეევი არ ჩქარობდა. საკვალიფიკაციო შეჯიბრებებში მხოლოდ ნორმატივი შეასრულა. შემდეგ ფინალიც გაიანალდა და მხოლოდ მესამე ცდაზე გადახტა მთელი ძალით.

— მთავარი იყო საკუ-

თარი თავის კონტროლი, კრეერიც სულ ამას მიყვიროდა ტრიბუნიდან. ვფიქრობ, პირველი ცდების დროს ძალები რომ არ დამეზოგა, ბოლომდე აღარ მეყოფოდა. მესამე ნახტომი


ჩირაღდნის შემოტანის დროს ისე ვღელავდი, რომ ამან ძალიან დიდი ენერგია წაიღო

მართლაც კარგი გამომივიდა — 17.23 მ. ეს მსოფლიოს ახალი რეკორდი იყო. გავიფიქრე — ძალიანაც კარგი, ვნახოთ, ახლა მეტოქეები რას შემომთავაზებენ. მწვრთნელი ხშირად მაფრთხილებდა, რომ ოლიმპიადებზე ყოველთვის გამოხტება ვინმე „მისტერ იქსი" და ვინ იქნებ ეს, არავინ იცის. ამჯერად ეს ბრაზილიელი ნელსონ პრუდენსიო აღმოჩნდა. იგი 17.27 მ-ზე გადახტა. ეს უკვე მსოფლიოს მესამე რეკორდი იყო. ამან ცოტა ამანერვიულა და მომდევნო ორი ნახტომი გავაფუჭე. მრჩებოდა ერთი ცდა. ჩემი ბრალი იყო, უნდა დავწყნარებულიყავი და დავწყნარდი კიდეც. ერთადერთი, კრეერის ხმა აღწევდა ჩემამდე: „შეასრულებ". მშვიდად დავიძარი და ვცდილობდი, ყველაფერი ზუსტად შემესრულებინა. ნახტომი შორეული გამომივიდა, ეს თავადაც ვიგრძენი. მსაჯს შევხედე, მან ოდნავ შესამჩნევად გამიღიმა და მივხვდი, რომ გავიმარჯვე — 17.39 მ! რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ჩემ შემდეგ კიდევ ხტებოდნენ, მათ შორის — ჯუზეპე ჯენტილეც. ჩემი შედეგის გაუმჯობესება ვეღარავინ შეძლო. კრესელიანი მართალი აღმოჩნდა — მისი თილისმა ლუსისსაც დაეხმარა და მეც.

მეხიკოს ოლიმპიური თამაშები ალბათ ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო ვიქტორ სანეევის სპორტულ კარიერაში. ზღვის დონიდან 2240 მის სიმაღლეზე მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში სპორტსმენებმა მსოფლიოს 14 რეკორდი დაამყარეს, მათ შორის ორი — სანეევმა. ამასთან მეორე — ბოლო ნახტომით, როდესაც უკანასკნელი შანსის გამოყენება უდიდეს ფსიქოლოგიურ დაძაბულობასა და ფიზიკურ ენერგიას მოითხოვს. 23 წლის დებიუტანტისთვის კი ამის გაკეთება უაღრესად ძნელი იყო.

ოლიმპიური ჩემპიონობა ვიქტორმა სრულად მხოლოდ საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეიგრძნო. აქ ყველანი იწვევდნენ, სხვადასხვა საღამოს უწყობდნენ. განსაკუთრებით ხარობდნენ სოხუმში, რომლისთვისაც ის პირველი და დღემდე ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონია. ბევრი ალბათ ვერ გაუძლებდა ასეთ პოპულარობას, შეიძლება ხელი ჭიქა ღვინისკენაც გაჰქცეოდა, ანდა დიდების ზენიტში მყოფს სიტუაცია სათავისოდ გამოეყენებინა, მაგრამ ვიქტორ სანეევი მოკრძალებული პიროვნება იყო. თავისი ოქროს მედალი შორს გადამალა და ახალი ოლიმპიური ციკლისათვის მზადება, როგორც პირველთანრიგოსანმა ისე დაიწყო.

ოლიმპიადის შემდგომი — 1969 წელი სანეევისათვის იღბლიანი აღმოჩნდა — სხვადასხვა შეჯიბრებაში წარმატებით გამოდიოდა. თუმცა მომდევნო სეზონში ევროპის ჩემპიონატებზე პირველობის დათმობა მოუხდა, კუბელმა პერეს დუენიასმა კი მისი მსოფლიო რეკორდიც ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა. სანეევი ამ დროებით ჩავარდნებს დიდად არ განიცდიდა. მთავარი იყო მიუნხენის ოლიმპიური თამაშები. სწორედ, იმ წელს მსოფლიოს რეკორდის დასამყარებლად ემზადებოდა, მაგრამ ერთ-ერთ საერთაშორისო ასპარეზობაზე ფეხი იტკინა და მისი მონაწილეობა კარს მომდგარ ოლიმპიადში სათუო გახდა. თამაშების დაწყებამდე თვეზე ცოტა მეტი რჩებოდა, ის კი ნაკრების ბოლო შეკრებაზე, პოდოლსკში მთელი ძალით ვერ ვარჯიშობდა. გადაწყვიტა, სოხუმში დასასვენებლად წასულიყო. იქ ვიქტორის დედა თავად ამზადებდა მალამოებს და სანეევსაც იმედად ესლა რჩებოდა.

— მივხვდი, რომ მეტი ვარჯიში აღარ შეიძლებოდა, კრესელიანმაც მირჩია, სოხუმის ზღვა მოგიხდებაო. დედა სპორტში დიდად ვერ ერკვეოდა, სამაგიეროდ ჩინებული წამლების დამზადება იცოდა. ვისვამდი მის მალამოს და ტკივილმაც თანდათან გამიარა. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მხოლოდ მალამომ მიშველა, ზღვაზე დასვენებამ თუ უბრალოდ ოჯახურმა სიმშვიდემ, მაგრამ ფაქტია — ფეხი თითქმის აღარ მტკიოდა. მოსკოვში დავბრუნდი და წვრთნა გავაგრძელე...

ვიქტორ სანეევის გარდა, მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები სხვა ქართველი სპორტსმენებისთვისაც წარმატებული აღმოჩნდა. 16-დან 11-მა შინ მედალი ჩამოიტანა, მათ შორის 6 — ოქროსი. სამხტომელთა შეჯიბრებებში სანეევის ბევრი კონკურენტის პირადი მიღწევა აღემატებოდა 17 მეტრს, ამიტომ სპეციალისტები მწვავე ბრძოლას მოელოდნენ. პირველივე ცდაზე სანეევი 17.35 მ-ზე გადახტა. ასეთ დასაწყისს მეტოქეები აშკარად არ ელოდნენ. ისინი კარგა ხანს გონს ვერ მოვიდნენ. მხოლოდ გერმანელი იორგ დრემელი იბრძოდა ოქროს მედლისთვის. თავისი მეხუთე ნახტომით იგი სანეევის შედეგსაც მიუახლოვდა — 17.31 მ, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო და ვერცხლს დასჯერდა. ბრინჯაოს ბრაზილიელი ნელსონ პრუდენსიო დაეუფლა, ხოლო ვიქტორ სანეევი კვლავ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. გამარჯვებით გახარებული იყო, შედეგით კი — არა: მსოფლიოს რეკორდი უნდოდა დაემყარებინა.

მსოფლიოს რეკორდი სანეევმა მართლაც დაამყარა, ოღონდ ეს უკვე ცოტა უცნაურ ამბავთანაა დაკავშირებული. ლენინგრადში ცხოვრობდა მეცნიერი, ბიოციკლების სპეციალისტი ვალენტინა შაპოშნიკოვა. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ სანეევი ოლიმპიადის შემდეგ, იმავე წლის ოქტომბერში რომელიმე შეჯიბრებაში გამოსულიყო. საქმე ისაა, რომ ვიქტორი დაბადებულია 1945 წლის 3 ოქტომბერს, ხოლო მეცნიერის გამოთვლებით სანეევის ფიზიკური კონდიციები თავის პიკს 1972 წლის ოქტომბერში მიაღწევდა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს ჩემპიონატებისა და სხვა მასშტაბური ასპარეზობების შემდეგ, გადაღლილი სპორტსმენების შედეგები მკვეთრად ეცემა და ყველანი ისვენებენ. ამიტომ შაპოშნიკოვას თხოვნა საკმაოდ უცნაური იყო, მაგრამ ვიქტორმა მაინც ყურად იღო. მით უმეტეს, რომ შეჯიბრება სოხუმში ტარდებოდა და მას ერქვა „სანეევის პრიზი". ყველა ნახტომი კარგი გამოუვიდა, 17 მეტრს იქით ხტებოდა, თუმცა რეკორდს მაინც ვერ მისწვდა. რჩებოდა ბოლო, მეექვსე ცდა. სტადიონზე სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ვიქტორი ემზადებოდა. გაიხსენა მეხიკოს ოლიმპიადა, სადაც სწორედ მეექვსე ნახტომით გაიმარჯვა... გარბენი სწრაფი გამოუვიდა, არე-

კნიც — ზუსტი, ნახტომი კი — 17.44 მ. მსოფლიოს ახალი რეკორდი!

მორიგი ოლიმპიური ციკლი ვიქტორ სანეევმა დამწყები მძლეოსნის პოზიციიდან დაიწყო. უფრო მეტიც, სადღაც პირველთანრიგოსნის სამკერდე ნიშანი იპოვა და პიჯაკზე დაიმაგრა. მონრეალის თამაშებამდე კიდევ სამჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი, საკავშირო ჩემპიონატების ოქროს მედლებსაც დაეუფლა, მაგრამ 1975 წელს მოულოდნელად ახალი კონკურენტი გამოუჩნდა. იმავე მაღალმთიან მეხიკოში გამართულ პანამერიკულ თამაშებზე ბრაზილიელი ჟოაო კარლოს დი ოლივეირა 17.89 მ-ზე გადახტა და სანეევის მსოფლიოს რეკორდი კარგა გვარიანად გააუმჯობესა. ფანტასტიკური შედეგი იყო, თითქმის დაუჯერებელი. ოლივეირას მანამდე 17 მეტრზე ერთი ნახტომიც არ ჰქონია, აქ კი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ მეხიკოში გამორჩეული კლიმატური პირობებია და იქ რეკორდი იშვიათობა არაა...

მონრეალში გამარჯვებისთვის, ვიქტორის აზრით, ოლივეირას შედეგი არ იქნებოდა საჭირო, 17.40-17.60 მ-იც საკმარისი იქნებოდა, ამიტომ ამჯერად იგი რეკორდზე არ ფიქრობდა. მთავარი იყო სპორტული ფორმის შენარჩუნება და შეჯიბრებისათვის მაქსიმალური მზადყოფნა. ასპარეზობის დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ ბრაზილიელი ორ სახეობაში იასპარეზებდა — სიგრძეზე და სამმაგ ხტომებში. სამხტომში საკვალიფიკაციო შეჯიბრებების შემდეგ, იმავე საღამოს ოლივეირამ სიგრძეზე ხტომის ფინალში იასპარეზა და ბუნებრივია, საკმაო ენერგიაც დახარჯა. სხვათა შორის, აქ მან მეოთხე ადგილი დაიკავა და ახლა ისევ სამხტომში ფიქრობდა ოქროს მედალზე.

ფინალური ხტომების დაწყების წინ კრეერის და სანეევის ტრადიციული რიტუალი უკვე მესამედ შესრულდა. მწვრთნელმა ბარათი გადასცა მოკლე რჩევებით, ვიქტორმა გამოართვა თილისმა. მას იმ დღეს კიდევ ერთი თილისმა უსახსოვრეს. ბრაზილიელმა ნელსონ პრუდენსიომ საკვალიფიკაციო ნორმატივი ვერ შეასრულა, ასპარეზობას გამოეთიშა და ვიქტორს თავისი ლამაზი ბრელოკი აჩუქა.

პირველი ცდების შემდეგ მოულოდნელად, ამერიკელი ჯეიმს ბატსი დაწინაურდა — 17.18 მ. თითქოს სანეევიც ამას ელოდა — მეხუთე ცდაზე 17.29 მ-ზე გადახტა და თავის მესამე ოლიმპიური ოქროს მედალიც დაისაკუთრა. 31 წლის ასაკში იგი კვლავ ჩემპიონია. სამხტომში ასეთი შედეგები ადრე არავის ჰქონია.

ვიტოლდ კრეერი: „ვფიქრობ, ვიქტორ სანეევმა მთელი თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის განმავლობაში იმდენად დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა, რომ ორ სპორტსმენს ეყოფოდა. მონრეალის ოლიმპიადის შემდეგ ჩვენ ერთად დავითვალეთ და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი ფეხით მან 700 კმ დაფარა ხტუნვით (ეს მოსკოვიდან ლენინგრადამდე მანძილს უდრის), ხოლო სპრინტით გაირბინა მოსკოვიდან თბილისამდე მანძილის ტოლი — დაახლოებით 2000 კმ. ზარმაცი არც მე ვყოფილვარ და ბევრი კარგი სპორტსმენიც მინახავს, მაგრამ ჩვენ საკუთარ დაბადების დღეზე ან სახალხო დღესასწაულების დროს მაინც ვისვენებდით... ვფიქრობ, სპორტი მისთვის, დიდი გატაცებიდან ფანატიზმად იქცა. ვერ გეტყვით, მიიღებს თუ არა იგი მონაწილეობას 4 წლის შემდეგ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში, მაგრამ თუ სამმხტომელთა მსოფლიოს სტანდარტები ამ დროისათვის 17.50 მ-ს ფარგლებში დარჩება, სანეევს არა მხოლოდ მონაწილეობის, არამედ გამარჯვების შანსიც აქვს“.

როდესაც თავად ვიქტორს ჰკითხეს — გამოვიდოდა თუ არა იგი მოსკოვის „ლუჟნიკების“ ოლიმპიურ სტადიონზე, — მან მოკლედ უპასუხა: კითხვაზე 4 წლის შემდეგ გიპასუხებთო.

ეს 4 წელი ვიქტორ სანეევისათვის ძალზე მძიმე აღმოჩნდა. ფეხი იმდენად სტკიოდა, რომ 1977 წლის ბოლოს იძულებული გახდა, ოპერაცია გაეკეთებინა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ტკივილი მართალია, ბოლომდე არ მოეხსნა, მაგრამ ხტომა უკვე შეეძლო. მიუხედავად ამისა, არ ჩქარობდა, ფეხს უფრთხილდებოდა, მაღალი შედეგებისთვის არ იბრძოდა. მთავარი იყო, ოლიმპიადამდე მიეღწია. თუმცა მანამდე ჯერ ოლიმპიურ გუნდში უნდა მოხვედრილიყო — ბევრ სპეციალისტს ხომ წარმოუდგენლად მიაჩნდა მეოთხე ოლიმპიადაზე მისი გამოსვლა. ბოლოს, როგორც იქნა, კრეერმაც და მწვრთნელთა საბჭომაც ირწმუნეს, რომ ვიქტორი მზად იყო საბრძოლველად და გუნდში პირველ ნომრად შეიყვანეს. მერე მას კიდევ ერთი მისია დააკისრეს — „ლუჟნიკის“ სტადიონზე ოლიმპიური ჩირაღდანი უნდა შემოეტანა. მოგვიანებით იგონებდა: „მართალია, ტრავმა მქონდა, ასაკშიც ვიყავი, მაგრამ მთავარი ეს არ იყო. საზეიმო გახსნის ცერემონიაზე ჩირაღდნის შემოტანის დროს ისე ვღელავდი, რომ ამან ძალიან დიდი ენერგია წაიღო“.

ვიქტორის მეტოქეებმა არც იცოდნენ, რომ ფეხის ტკივილის გამო სანეევმა ბოლო პერიოდში მხოლოდ 3 სრულფასოვანი ვარჯიში ჩაატარა, ისიც — მაქსიმალური ხტომების გარეშე. შეჯიბრების ფავორიტად ბრაზილიელი ჟოაო კარლოს დი ოლივეირა მიიჩნეოდა.

პირველივე ცდაზე იგი 16.96 მ-ზე გადახტა, ესტონელმა იააკა უუდმიაემ ხაზს დაადგა ფეხი, ხოლო სანეევის შედეგი — 16.86 მ იყო. მეორე ცდაზე ბრაზილიელს არ გამოუვიდა ნახტომი, არც სანეევს. მესამე ცდა ესტონელისთვის საჩემპიონო აღმოჩნდა — 17.35. თუმცა ტრიბუნებზე მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ მსოფლიოს რეკორდსმენის შიშით, მსაჯებმა ცოტა წაუმატეს უუდმიაეს შედეგს. ოლივეირა იქვე პასუხობს — 17.22 მ და სანეევი მესამე ადგილზე გადადის. ასე გაგრძელდა ბოლომდე, მეტოქეების პოზიციები არ შეცვლილა. დარჩა ერთადერთი ნახტომი — ვიქტორ სანეევის. იგი დიდხანს ემზადებოდა, ელოდა როდის ჩაცხრებოდა პირქარი. „ლუჟნიკის“ სტადიონი მხტომელებისათვის ძალზე მოუხერხებელი არენაა — იქ ერთთავად ქარი უბერავს და ხელს უშლის სპორტსმენებს ხტომებში. მსაჯები არ აჩქარებდნენ ვიქტორს, იცოდნენ — ის კარიერის ბოლო ნახტომისათვის ემზადებოდა და ადამიანურად თანაუგრძნობდნენ. ტრიბუნებიც ამხნევებდნენ — მიდი, ვიქტორ, მიდი!

— მოვწყდი ადგილიდან და ვიგრძენი, რომ ქარი მიშლიდა. მაინც გადავხტები, მაინც გავაუმჯობესებ, — ჩემთვის ვფიქრობდი, — ფეხიც რომ მომტყდეს, გადავხტები-მეთქი. თუკი რაიმე ენერგია შემომრჩენოდა, ამ ნახტომში ჩავდე. ორმოში ჩავეფლე და ვეღარ ვდგები, ორივე ფეხი საშინლად მტკივა. ტაბლოს ვუყურებ — 17.24 მ. ეს ვერცხლის მედალს ნიშნავდა. ქარმა, მხოლოდ ქარმა შემიშალა მაშინ, რომ პირველი ვყოფილიყავი. იმ დღეს სამჯერ გადავხტი 17 მეტრზე შორს და სამჯერვე მკერდში 1.79-2.39 მ/წმ სიჩქარის ქარი მირტყამდა. რომ არა ეს, პირველ ადგილსაც შევწვდებოდი. და, რა თქმა უნდა, გახსნის ცერემონიის ემოციური დატვირთვა, რომელმაც დიდი ენერგია წამართვა.

საზეიმო დაჯილდოების ცერემონიაზე იააკ უუდამიაე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იდგა, მეორე პრიზიორისთვის განკუთვნილ ადგილზე — ვიქტორ სანეევი, ხოლო მესამეზე — ჟოაო კარლოს დი ოლივეირა. მსოფლიოს რეკორდსმენმა ყველას დასანახავად სანეევს 4 თითით მიანიშნა — შენ მეოთხე ოლიმპიადაც მოიგე და ნამდვილი ჩემპიონიც შენ ხარო!.. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# ჯანსაღ და ლამაზ კბილებს დიდხანს შეინარჩუნებთ, თუ...

**ბოლო დროს კბილებისა და საერთოდ, პირის ღრუს მოვლის „ყოვლისშემძლე“ საშუალებების რეკლამა მომრავლდა. ტელეეთერიდან თუ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან ყოველდღიურად გვთავაზობენ სამკურნალო მცენარეების შემცველ, მათეთრებელ და ანტიბაქტერიულ კბილის პასტებსა და სუპერჯაგრისებს, რომლებსაც ენისა და „ძნელად მისადგომი“ კბილების გასუფთავებაც კი შეუძლია, მაგრამ ამის მიუხედავად, სტომატოლოგები პაციენტების სიმცირეს არ „უჩივიან“ და მათთან ვიზიტის ყველაზე ხშირ მიზეზს კარიესი წარმოადგენს.**

**ბევრს სტომატოლოგის ეშინია, მაგრამ წლების განმავლობაში სტომატოლოგიური ტექნიკა ისე დაიხვეწა (არაფერს ვამბობ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებზე), რომ კბილის დამუშავება-დაბჟენა მტკივნეული აღარ არის.**

## ცოტა რამ კარიესის შესახებ

კარიესი კბილის მაგარი ქსოვილის (მინანქარი და დენტინი) დაავადებაა. ეს ქსოვილი თანდათანობით (რასაკვირველია, მაპროვოცირებელი ფაქტორების გავლენით) გამძლეობას კარგავს და იშლება, რის გამოც, დროთა განმავლობაში კბილში ღრმულები ჩნდება. გარდა იმისა, რომ ეს მტკივნეულია, თუ დროზე არ მივხედეთ, კბილს დავკარგავთ და საკმაოდ დიდი პრობლემის წინაშე დავდგებით (პროთეზირება ძვირიცაა და თან საკუთარ კბილს ვერანაირი სრულყოფილი მასალით დამზადებული ხელოვნური კბილი ვერ შეედრება).

## რატომ გვიფუჭდება კბილი

კარიესის პროვოცირებას კარიესოგენური ფაქტორები იწვევს. მათგან აღსანიშნავია:

* კბილის ქსოვილის განვითარების გენეტიკური დეფექტი;
* ღრძილების ხშირი ანთება;
* დაბალი იმუნიტეტი;
* არასრულფასოვანი კვება (ცილების, მიკრო და მაკროელემენტების, ვიტამინების დეფიციტი და ნახშირწყლების სიჭარბე);
* პირის ღრუს ცუდი ჰიგიენა (ეს მეტად მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტორია);
* ნერწყვის ცუდად გამოყოფა, ბლანტი კონსისტენციის ნერწყვი და სხვა.

## გზა კარიესამდე

კარიესოგენური ფაქტორების გავლენით ე.წ. კბილის ქვები — კბილის მინანქარზე მაგარი ნადები, რომელიც ძირითადად, საკვები შაქრისგან შედგება — წარმოიქმნება. სწორედ აქ იბუდებს მიკრობები, რომლებიც გლუკოზიდან (შაქრიდან) რძემჟავას აწარმოებს. ეს მჟავა „ჭამს“ მინანქარს (როგორც რკინას ჟანგი) და კარიესული პროცესიც იწყება. ამიტომ უწოდებს ყველა სტომატოლოგი შაქარს „კბილების მტერს“.

კარიესი ნელ-ნელა ვითარდება და 4 სტადიას მოიცავს:

**საწყისი კარიესი** (კარიესული ლაქები). კბილის მინანქარი სხვადასხვა ფორმისა და ზომის, მოთეთრო ლაქებით იფარება და მათი რაოდენობა თანდათანობით იმატებს. თუ დაავადებას ამ სტადიაზე მიუსწრებთ და ექიმს მიმართავთ, იგი ადვილად მოგაშორებთ ლაქებს. წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესი გაგრძელდება;

**ზედაპირული კარიესი.** კბილის მინანქარი ზიანდება. წარმოიქმნება პატარა, კარიესული სივრცეები, იშვიათად აღინიშნება მცირე ინტენსივობის ტკივილი (ძირითადად ტკბილი, მჟავე და მლაშე კერძების მიღების შემდეგ აღმოცენდება). ასეთი „ხვრელის“ დაბჟენა იოლი საქმეა.

**საშუალო კარიესი**. ამ ეტაპზე „მტერი“ უკვე დენტინს (კბილის მინანქრის ქვეშ მდებარე ქსოვილს) მიადგა. ღრუ ღრმავდება, ტკივილი უფრო ხშირად (ცივისა და ცხელის მიღებაზეც) გვახსენებს თავს და თან — ძლიერია. აქ უკვე ბორმანქანის გარეშე მკურნალობა შეუძლებელია.

**ღრმა კარიესი**. დენტინის დიდი ნაწილი დაზიანებულია, კბილის ტკივილი აუტანელი ხდება. მკურნალობა ისეთივეა, როგორც წინა სტადიაზე, მაგრამ უფრო რთული (არცთუ იშვიათად, კბილის ამოღებაც კი ხდება საჭირო) და ხანგრძლივი.

## ჯანსაღი კბილები ანუ კარიესის პროფილაქტიკის 5 წესი

კარიესის პროფილაქტიკისთვის საკმარისია შემდეგი რეკომენდაციების გატარება:

დღის განმავლობაში მიიღეთ რომელიმე სითხე (მაგალითად, მინერალური წყალი ან უშაქრო, მწვანე ჩაი). ასე ნერწყვის სიბლანტე არ გაიზრდება;

ეცადეთ, კვების რაციონი გაამდიდროთ A; B; C; D და E ვიტამინებით (მათ შეიცავს ნედლი ხილი და ბოსტნეული), მიკროელემენტებით (კაკალი და თხილი), ფტორის შენაერთებით, კალციტ (ხაჭო და რძის სხვა პროდუქტები). შაქარი შეძლებისდაგვარად შეცვალეთ თაფლით.

ჭამის შემდეგ აუცილებლად გამოივლეთ პირში ოთახის ტემპერატურის, გადადუღებული წყალი. თუ ამის შესაძლებლობა არ გაქვთ, მაშინ საღეჭი რეზინა დაღეჭეთ (მაგრამ არა 2 საათი, არამედ მხოლოდ 5 წუთი), რათა კბილების ზედაპირიდან საკვების ნარჩენები მოგშორდეთ. იდეალური ვარიანტია, თუ წყალსაც გამოივლებთ და კევსაც დაღეჭავთ. შემდეგ კბილის ძაფის დახმარებით აკურატულად გაიწმენდთ კბილებს შორის სივრცეს;

კბილების გახეხვა დღეში 2-ჯერაა საჭირო. უნდა ჩაატაროთ 3-5-წუთიანი გამოხეხვის პროცედურა დილას და საღამოს. ღრძილები რომ არ დაგიზიანდეთ, შეარჩიეთ არცთუ ისე უხეში ჯაგრისი. კბილის პასტის შერჩევისას ყურადღება მიაქციეთ მის შემადგენლობას: მასში აუცილებლად უნდა იყოს ფტორის შენაერთები (საუკეთესოა ამინოფტორი), ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები (ვიტამინები, სამკურნალო მცენარეების ექსტრაქტები, ფერმენტები, მიკროელემენტები და მინერალური მარილები), თუთიის შენაერთი და კალციუმი. პირის ღრუს კარგი ჰიგიენის მანიშნებელია კბილებზე ქვების არარსებობა. ამის შემოწმება სპეციალური ტაბლეტების საშუალებითაა შესაძლებელი (აფთიაქებში იყიდება და არც ძვირი ღირს), რომლებიც ფერს იცვლის არაკეთილსინდისიერი მოვლის შემთხვევაში;

წელიწადში 3-ჯერ, პროფილაქტიკური შემოწმების მიზნით ეწვიეთ სტომატოლოგს. საქმე ისაა, რომ კარიესის პირველი ნიშნების აღმოჩენა მხოლოდ მას შეუძლია.

## ასე დაიყუჩეთ ტკივილი

თუ კბილი ისეთ დროს აგტკივდათ, რომ სტომატოლოგთან წასვლა არ ხერხდება, მაშინ:

1 ჭიქა მდუღარე წყალში ჩაყარეთ 2 სუფრის კოვზი სალბი, გააჩერეთ 30 წუთი, შემდეგ გაფილტრეთ და ეს სითხე (თბილ-თბილი სახით) დაიგუბეთ პირში. პროცედურა ჩაიტარეთ დღეში 3-ჯერ, 2-3 წუთის განმავლობაში.

„ანესთეზიის წერტილებზე“ გაიკეთეთ მასაჟი.

პირველი (წყვილი) წერტილი ყურის ბიბილოდან ქვემოთ, ერთი გოჯის დაშორებით მდებარეობს;

მეორე — ცერი და საჩვენებელი თითების ფალანგებს შორის;

მესამე — ქვემო ყბის სახსრის ოდნავ მაღლა და შიგნით (ცხვირისკენ);

გაფცქვენით ერთი კბილი ნიორი, გაჭერით შუაზე და ერთი ნახევარი 1-2 წუთით მტკივნეული კბილის ქვემოთ, ღრძილზე დაიდეთ. ნივრის ფიტონციდები ბაქტერიოციდული მოქმედების გარდა, ადგილობრივ ანესთეზიურ (ტკივილგამაყუჩებელ) მოქმედებასაც ავლენს. შეიძლება მეტყველება დაგერღვეთ ან ღრძილის ლორწოვანი გარსი გაგიღიზიანდეთ, მაგრამ არ შეშინდეთ, ეს დროებითი მოვლენაა და სწრაფად გაგივლით;

მოჭერით 0,5-2 სმ-ზე ღორის ქონი და 10-15 წუთით დაიდეთ მტკივნეული კბილის ქვემოთ, ღრძილზე, შიგნითა მხარეს;

დაასველეთ ბამბა კონიაკში და 5-10 წუთით, მტკივნეულ კბილზე დაიდეთ;

კბილის ტკივილს გამაყუჩებელი საშუალებებიც აამებს (ბარალგინი, კეტანოვი და სხვა).

### როგორი ფერის კბილები გაქვს?

ღიმილი ყველას უხდება, მაგრამ ზოგიერთი კბილების უსიამოვნო ფერის გამო გაღიმებისგან თავს იკავებს. ჩვენ კბილის ფერის შეცვლის მიზეზებზე გიამბობთ და ზიანის მიყენების გარეშე კბილების გათეთრებას გასწავლით.

თუ სტომატოლოგს მიმართავთ, ის აუცილებლად გაგითეთრებთ კბილებს. ამისათვის შეიძლება კბილების გაწმენდა საკმარისი აღმოჩნდეს, მაგრამ ეს პროცედურა რეგულარულად უნდა ჩაიტაროთ და არცთუ ისე იაფი ღირს. თუ კბილებს ბუნებრივად აქვს მოყვითალო ელფერი, მაშინ მათი სრული გათეთრება შეუძლებელია. ხშირად კბილებზე ნადები ჩნდება და მათ ფერს უცვლის. ეს ნადები კბილს აზიანებს კიდეც. ამის ყველაზე ხშირი მიზეზი დაბერების გარდა, ტეტრაციკლინისა და სხვა ჯგუფის ზოგიერთი ანტიბიოტიკის მიღებაა, კბილების ფორმირების პერიოდში. ასე რომ, თუ კბილებზე ნადები გაგიჩნდებათ, პირველ რიგში მისი მიზეზი უნდა გაარკვიოთ და შემდეგ, შეძლებისდაგვარად აღკვეთოთ იგი.

### რატომ მუქდება კბილები

თუ კბილების მოყვითალო ელფერი ბუნებრივი არ არის, მაშინ თქვენ ალბათ ძალზე გატაცებული ხართ ჩაისა და ყავის სმით ან ბევრს ეწევით. უარი თქვით ამ გატაცებებზე და კბილები გაგითეთრდებათ.

კბილებზე მოცისფრო ნადები მაშინ ჩნდება, როცა ადამიანი რკინის შემცველ პრეპარატებს ხანგრძლივად იღებს ან სასმელი წყალი ჭარბი რაოდენობით რკინას შეიცავს;

როცა კბილებზე შავი ნადები ჩნდება, ეს ან ქვის მიზეზითაა, ან ნაწლავების პრობლემებითაა განპირობებული (უნდა მოაწესრიგოთ კვება);

კბილებზე ლაქების გაჩენა მინანქრის ნაწილზე კალცის ნაკლებობას ნიშნავს. ე.ი. ორგანიზმს ეს ნივთიერება აკლია და კვების რაციონში რძის პროდუქტების, თევზისა და ზღვის პროდუქტების ჭარბად შეტანაა საჭირო.

### დაბოლოს, კბილების მოვლის წესები

კბილის ქვის პროფილაქტიკისთვის კბილის სწორად გახეხვა, ხარისხიანი კბილის ჯაგრისისა და პასტის გამოყენება და სტომატოლოგთან რეგულარული ვიზიტი აუცილებელია. სასურველია, ასევე კბილის ძაფი (რადგან ქვა ყველაზე ხშირად კბილებს შორის ჩნდება), კბილების საწმენდი ჩხირები, პირის ღრუში გამოსავლები სითხეები და ენის საწმენდი გამოიყენოთ.

კბილები დღეში ორჯერ მაინც უნდა გაიხეხოთ: ნასაუზმევს და საღამოს, ძილის წინ. იდეალურ შემთხვევაში კბილების გახეხვა ყოველი ჭამის შემდეგაა სასურველი. გახეხვის დროს განსაკუთრებული ყურადღება ქვედა საჭრელი კბილების შიდა ზედაპირს და ზედა გვირგვინოვანი კბილების გარე ზედაპირს უნდა მიექცეს. განსაკუთრებით — ღრძილთან ახლოს. ასევე დიდი ყურადღებით უნდა გაიხეხოთ ეშვები.

ცაციებმა კბილების ხეხვა ზედა ყბის მარცხენა ნაწილიდან უნდა დაიწყონ, მემარჯვენეებმა — მარჯვენადან. ცალკე უნდა გაიხეხოთ გარე, ცალკე — შიდა და ცალკე — საღეჭი ზედაპირები. კბილების ხეხვა 3 წუთი მაინც უნდა გაგრძელდეს. კბილების გამოხეხვის შემდეგ ჯაგრისი კარგად უნდა გაირეცხოს წყლით და გაშრეს. მისი გამოცვლა ყოველ 3-6 თვეში ერთხელაა საჭირო.

კბილებს შორის არსებული არის მოვლაც აუცილებელია. მათი გაწმენდა საღამოს, კბილების გახეხვის წინაა საჭირო. თუ კბილებს შორის არე ფართოა, სპეციალური ჯაგრისის გამოყენება შეიძლება, ხოლო თუ კბილები მჭიდროდაა მიჯრილი, სპეციალური ძაფი გამოიყენეთ. კბილებს შორის ჩარჩენილი საკვების ამოსაღებად სპეციალური ჩხირების გამოყენებაც შეიძლება.

თუ ყოველი კვების შემდეგ კბილების გახეხვას ვერ ახერხებთ, შეგიძლიათ, კევი დაღეჭოთ, რომლის შემადგენლობაშიც ქსილიტები შედის. ეს ნივთიერებები კბილებს კარიესისგან იცავს. თუმცა, რასაკვირველია, საღეჭი რეზინი ჯაგრისს ვერ შეცვლის.

■



# ადამიანი



# ქართული თეატრის ილია და კრიტიკოსის საინტერესო ცხოვრება

## „ბედნიერი ვარ, რომ ბუმბერაზების გვერდით მომიხდა მოღვაწეობა“

**თეატრმცოდნისა და კრიტიკოსის, ვასილ კიკნაძის ნამუშევრები არაერთი ჟურნალ-გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილა და იგი 60-მდე წიგნის ავტორიც გახლავთ. ადამიანი, რომელიც საკუთარ კრიტიკულ თუ დადებით მოსაზრებებს სწორედ ფურცელს ანდობდა, ინტერვიუზე ყოყმანით დამთანხმდა. ამჟამად პროფესორი ვასო კიკნაძე თეატრალურ უნივერსიტეტში, სამეცნიერო რესურსების ანალიზისა და პროგნოზირების სამსახურის უფროსად მუშაობს.**



*თამთა დადეშელი*

— ცხოვრების დიდი გზა — სტალინის ეპოქიდან დამოუკიდებელ საქართველომდე — გავიარე. მოგეხსენებათ, ჩემი თაობის ახალგაზრდები საბჭოთა იდეოლოგიით იზრდებოდნენ და ვერც წარმოგვედგინა, დამოუკიდებელ საქართველოს თუ მოვესწრებოდით, ამაზე მხოლოდ ვოცნებობდით და სუფრასთან მსხდომებს ბევრჯერ გვიტირია კიდეც, — რა ბედნიერი იქნება ის თაობა, რომელიც თავისუფლებას მოესწრებაო. გავიდა წლები, დამოუკიდებლობასაც შევესწარი და ყველა იმ უბედურებასაც, რაც ჩემს ქვეყანას დაატყდა თავს. საბჭოთა პერიოდი თაობებისთვის მონობა იყო, ახლა კი სრულიად თავისუფალი ვართ, მაგრამ გამოდის, რომ მონობა უფრო იოლი ყოფილა, ვიდრე დამოუკიდებლობა, რადგან მონაზე პატრონი ზრუნავს, ის მხოლოდ მორჩილად შრომობს, დანარჩენი ყველაფერი კი უფასო აქვს; რაც შეეხება თავისუფალ ადამიანს, მან ყველაფერი თავად უნდა გააკეთოს და მოიპოვოს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენს ხალხს არ ჰქონდა გაცნობიერებული, რეალურად რა იყო დამოუკიდებლობა. მაგონდება ილია ჭავჭავაძის მიერ გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები: — რუსი გლეხისთვის „დერჟავა“ ყველაფერიაო! ე.ი. იქაურმა უბირმა, გაუნათლებელმა გლეხმაც კი იცოდა, რომ სახელმწიფო ყველაფერია, ჩვენ კი ეს განცდა არასდროს გვქონდა. დაახლოებით 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა გვეღირსა, მაგრამ სახელმწიფო ძველებურად, ჩვენი მტერი გვგონია. ადამიანები ობიექტურები უნდა ვიყოთ — რაც კარგია, დავინახოთ, რაც ცუდია — გამოვასწორებინოთ...

— **ბატონო ვასო, მოდი, ბავშვობა გაიხსენეთ. ადრეულ ასაკში რა ინტერესები გქონდათ?**

— სოფელ ახალშენში ვცხოვრობდი, რომელიც ხონიდან 6 კილომეტრის დაშორებითაა და ამ მანძილს ყოველ დილას, ფეხით გავდიოდი, რათა სკოლაში მივსულიყავი, გაკვეთილების შემდეგ კი ბიბლიოთეკაში მივდიოდი, სადაც დისკუსიებს ვაწყობდით; შინ დაბრუნებული სამუშაოდ გავდიოდი — ჩაის ვკრეფდი, გაკვეთილებს კი გვიან ღამით, ლამპის შუქზე ვამზადებდი. მოკლედ, უმძიმესი გზა გამოვიარე. მოწაფე ვიყავი, როცა მედალი მომცეს — დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის ანუ მეხუთედან მეცხრე კლასამდე 4 ტონა ჩაი მოვკრიფე. სხვათა შორის, მაშინ ჩემზე რაიონულ გაზეთშიც დაიწერა. დედაჩემი მშრომელი ქალი იყო და მეუბნებოდა: თუ გინდა, ჯანმრთელი იყო, რაც შეიძლება ბევრი უნდა იმუშაოო. ამაზე ვბრაზობდი, — როგორ, ადამიანს დასვენება არ სჭირდება-მეთქი?! — არა, ენერგია რომ იხარჯება, მერე ახალი წარმოიქმნება, ასე რომ, შრომა სიჯანსაღეაო, — მიმტკიცებდა. მერწმუნეთ, ცხოვრებაში მეც ძალიან ბევრი ვიშრომე, მაგრამ მიუხედავად ამისა, 80 წლამდე მოვაღწიე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დედაჩემი მართალი იყო... სკოლის პერიოდში უნიჭო ლექსებს ვწერდი, მაგრამ ვინაიდან მაქებდნენ, მეგონა, რომ კარგი იყო. მოგვიანებით კი მივხვდი, რა არის ნამდვილი პოეზია (*იცინის*)...

— **რატომ გადაწყვიტეთ თეატრმცოდნე გამხდარიყავით?**

— სკოლის პერიოდში რაიონულ გაზეთში სტატიებს ვბეჭდავდი — სოფლის ცხოვრებაზე, მეჩაიეებზე, ახალგაზრდებზე და ა.შ. გადაწყვეტილი მქონდა, ჟურნალისტიკაზე ჩამებარებინა. მისაღებ გამოცდაზე ქართულში ხუთიანი მივიღე, რუსულში კი ჩავიჭერი და ეს ძალიან განვიცადე. ცოტა არ იყოს, ამბიციური გახლდით და „დამარცხებულს“ სოფელში დაბრუნება აღარ მინდოდა. ვიფიქრე,



ვასილ კიკნაძე ოჯახთან ერთად


რუსთაველის თეატრი დიდი სკოლა იყო ჩემთვის...

— არა უშავს, სხვაგან ჩავაბარებ-მეთქი. ბედად, პოეტი შალვა ლორთქიფანიძე შემხვდა და ჩემი ჩაჭრის ამბავი რომ გაიგო, მითხრა: — კარგია, რომ ჩაჭრილხარ; უფრო საინტერესო და ფართო სპეციალობა არსებობს — თეატრმცოდნეობა, ჰოდა, ამ ფაკულტეტზე ჩააბარე, კრიტიკოსიც გამოხვალ, ისტორიკოსიც და თეორეტიკოსიცო. თავიდან ვიუარე, ეს აზრი არ მომეწონა, მაგრამ მაინც ჩავაბარე... სტატიებს სტუდენტობის დროსაც ვბეჭდავდი. იმ პერიოდში მხოლოდ რამდენიმე გაზეთი გამოდიოდა — „კომუნისტი“, „ლიტერატურული გაზეთი“ და „სახალხო განათლება“.

**— რუსთაველის თეატრში როგორ მოხვდით?**

— მაშინ ასეთი წესი იყო: როცა სწავლას დაამთავრებდი, სადაც სახელმწიფო გაგანაწილებდა, იქ უნდა წასულიყავი. მე ბათუმის თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგედ გამიშვეს, მაგრამ იქ რომ ჩავედი, ადგილი დაკავებული დამხვდა — სხვას შეეთავსებინა. მოკლედ, ერთი თვე უმუშევარი დავრჩი. მაშინ კულტურის მინისტრი ავთანდილ გუნია იყო და მის სახელზე განცხადება დავწერე. იმ პერიოდში მოზარდ მაყურებელთა თეატრში ლიტერატურული განყოფილების გამგის ადგილი გათავისუფლდა და იქ მინდოდა მუშაობის დაწყება, რაც მივუთითე კიდეც. როცა მინისტრთან შევედი, მან ტელეფონი აიღო და ვიღაცას დაურეკა: — გამარჯობა, ამხანაგო აკაკი (ვერც წარმოვიდგენდი, ხორავას თუ ელაპარაკებოდა), თქვენს ყოფილ სტუდენტს გიგზავნით და მიიღეთო. გადავირიე, რაღაცის შემეშინდა და ხელებს ვუქნევდი — არ მინდა, რუსთაველის თეატრში მუშაობას ვერ შევძლებ-მეთქი. ჩემამდე ამ თანამდებობაზე გერონტი ქიქოძე, ამხელა მეცნიერი, ლიტერატორი მუშაობდა და ვერ წარმომედგინა, მისი ადგილი მე როგორ უნდა დამეკავებინა?! თანაც, მაშინ რუსთაველის თეატრის შენობაში შესვლისაც კი მერიდებოდა... პირველ დღეს კართან ეროსი მანჯგალაძე შემხვდა. მასთან კარგი ურთიერთობა მქონდა და შევჩივლე, — აქ გამომიშვეს, მე კი არ ვიცი, როგორ უნდა ვიმუშაო-მეთქი. დამამშვიდა: — ახლა აკაკი ვასაძესთან (ის რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო) შევალ და შეგაქებო. თეატრში ყველა კარგად შემხვდა, მაგრამ ვასაძემ მითხრა: — შვილო, ახლა თეატრში კრიზისი გვაქვს და მინდოდა, უფრო გამოცდილი ადამიანი მოსულიყო, მაგრამ არც შენი საწინააღმდეგო მაქვს რაიმე. აბა, შენ იცი, პირობითად მიგიღებთო. ხორავა გაეხუმრა, — ნუ აშინებო!.. იმ დროს ერთი შეცდომა მქონდა დაშვებული: ერთ-ერთ სპექტაკლზე — „ცხოვრებას მოწყვეტილი სპექტაკლი“, რომელშიც ვასაძე თამაშობდა, კრიტიკული წერილი დავწერე. რა თქმა უნდა, ბატონმა აკაკიმ ამის შესახებ იცოდა, მაგრამ არაფერი მაგრძნობინა...

**— რუსული ენის არცოდნის გამო თეატრში პრობლემა არ შეგქმნიათ?**

— მაშინ ყველაფერს რუსულით საზღვრავდნენ. ვცდილობდი, ვასაძე და ხორავა მომეტყუებინა, ვითომ ეს ენა კარგად ვიცოდი. ერთხელ, ერთ-ერთი სპექტაკლის პროგრამა ვნახე, სადაც ეწერა — „ცეხის გამგე“. მოგეხსენებათ, „ცეხი“ რუსული სიტყვაა და იმდენი კი ვიცოდი, რომ საამქროს ნიშნავდა. ჰოდა, ვასაძესა და ხორავას ვუთხარი, — მთელი პროგრამა შესაცვლელია-მეთქი. მართალი ხარო, — მიპასუხეს; გახარებული „გამოვფრინდი“ მათი კაბინეტიდან. ამ ამბიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ვიღაც მსახიობს მათთვის უთქვამს: ეს კიკნაძე კარგი ბიჭია, მაგრამ რუსულში ვერ აქვს საქმე კარგადო. — რას ჰქვია, რუსული არ იცისო?! — შეუყვირიათ ვასაძესა და ხორავას. — არ იცის კი არა, ტექსტებს რუსულად ასწორებსო. ჰოდა, იმ მსახიობსაც „მოუკეტავს“ და გამოსულა (*იცინის*). ხორავას ჩემი ისე სჯეროდა, რომ ერთხელ, როცა მოსკოვის გაზეთმა სტატია დაუკვეთა, მე წამიკითხა და მითხრა, — შემიფასეო. დუმილი არ ივარგებდა, ამიტომაც შიგადაშიგ ვამბობდი ხოლმე: — ხოროშო, ოჩენ ხოროშო! ბოლოს კი ვუთხარი: ოჩენ, ოჩენ ხოროშო-მეთქი (*იცინის*)!.. რუსთაველის თეატრში ლიტერატურული განყოფილების ნაწილის



უფროსად 10 წელი ვიმუშავე. ბედნიერი ვარ, რომ ისეთი ბუმბერაზების გვერდით მომიხდა მოღვაწეობა, როგორებიც აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე და სხვები იყვნენ... რუსთაველის თეატრი დიდი სკოლა იყო ჩემთვის...

— **რამდენად საინტერესო იყო რუსთაველის თეატრის შემდეგ კულტურის სამინისტროში მუშაობა?**

— ძალიან საინტერესო იყო. იქ მუშაობისას თეატრების ხელმძღვანელობა მომიხდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ რაიონულ თეატრებში ჩავდიოდი და ყველა ახალ სპექტაკლს ვუყურებდი... რაც შეეხება თეატრალურ უნივერსიტეტს, აქ 33 წელიწადი პირველი პრორექტორი ვიყავი ანუ გინესის რეკორდი დავამყარე (*იცინის*). ახლა ქართული თეატრის ენციკლოპედია გამოდის, სადაც სამეცნიერო ნაწილს ვხელმძღვანელობ. ვინაიდან ბევრი რამ მაქვს ნანახი და არ მინდა, ეს ყველაფერი დაიკარგოს, დავიწყე მუშაობა ქართული თეატრის ისტორიის მესამე ტომზე...


ლექციებს ვკითხულობ და ბავშვები შესვენებაზეც კი არ მიშვებენ, ჩემთან საუბრის გაგრძელება სურთ


კომპლექსი მქონდა და ყოველთვის ყველა გაჭირვებულის, დაჩაგრულის მხარეს ვიყავი

— **უფროსი თაობის ადამიანები ხშირად უკმაყოფილონი არიან ახალგაზრდებით და ზოგჯერ, ზედმეტად კრიტიკულნიც. როგორია თქვენი დამოკიდებულება მათ მიმართ?**

— მე ცოტა განსხვავებული აზრი მაქვს: ყველა დროს, ყოველი თაობის მიმართ ისმოდა ასეთი საყვედურები. მახსოვს, ერთხელ სტუდენტების შესახებ რესპუბლიკური კონფერენცია ჩატარდა, სადაც ერთი მეცნიერი გამოვიდა და ასეთი ტექსტი წაიკითხა: „მეორედ მოსვლის დრო დადგა. თანამედროვე ახალგაზრდები უზრდელები არიან, მოხუცებს ადგილს არ უთმობენ... მეორედ მოსვლა გარდაუვალია!“ შემდეგი ტექსტი ასეთი გახლდათ: — „ახალგაზრდობა გაუნათლებელია, უზრდელი და უპერსპექტივო“. ტაშით დაინგრა იქაურობა. ამით იმის თქმა მინდა, რომ უფროს თაობას წლების წინაც ჰქონდა პრეტენზია ახალგაზრდების მიმართ... ამქვეყნად ისე არავინ მიყვარს, როგორც სტუდენტი. დღესაც, 80 წლის ასაკში ლექციებს ვკითხულობ და ბავშვები შესვენებაზეც კი არ მიშვებენ, ჩემთან საუბრის გაგრძელება სურთ. მადლობელი ვარ ჩემი უნივერსიტეტის, რადგან მისი წყალობით საშუალება მომეცა, საკუთარი გამოცდილება სხვებსაც გავუზიარო.

— **სანდრო ახმეტელის შესახებ ხუთი წიგნი გაქვთ დაწერილი. მისმა ბიოგრაფიამ ასე რატომ დაგაინტერესათ?**

— რადგან თავადაც რთული ცხოვრების გზა გამოვიარე, ეტყობა, კომპლექსი მქონდა და ყოველთვის ყველა გაჭირვებულის, დაჩაგრულის მხარეს ვიყავი. ინსტიტუტი ისე დავამთავრე, ახმეტელის სახელი გაგონილიც არ მქონდა, მისი ხსენება აკრძალული იყო; მერე კი, როცა რეაბილიტაცია დაიწყო, ამ დახვრეტილი და რეპრესირებული ადამიანის წინააღმდეგ ბრძოლა მაინც არ ცხრებოდა; ჩვენ ხომ სულ „ვილაცისტები“ ვართ, ჰოდა, „მარჯანიშვილისტებს“ ახმეტელის რეაბილიტაცია არ უნდოდათ. სწორედ მაშინ „გავცხარდი“ და მისი ბიოგრაფიის, შემოქმედების კვლევა დავიწყე. იმ პერიოდში „რკინიგზელთა სახლში“ ხრუშჩოვმა „კგბ“-ს ყოფილი ჩეკისტების გასამართლება მოაწყო, სადაც ბევრი ახალი რამ გავიგე (მაშინ ეროსი მანჯგალაძის მამაც დაპატიმრებული იყო). იქ ის კაციც ვნახე, ვინც თავის დროზე სანდრო ახმეტელი აწამა, ახლა კი მასაც მიუსაჯეს დახვრეტა — 1937 წელს ადამიანებს პარტიის დავალებები შეასრულებინეს ანუ სხვები დაახვრეტინეს, მოგვიანებით კი თავად ისინიც დახოცეს... წლების შემდეგ, როცა ზვიად გამსახურდიამ არქივი გახსნა, უშიშროების მინისტრს ასეთი შინაარსის წერილი მივწერე: ახმეტელის შემოქმედებას ვიკვლევ და გთხოვთ, მის არქივზე დამიშვათმეთქი. თვე-ნახევარი ვიარე, მისი 11-ტომიანი და ასევე, იმ მსახიობების საქმეც ვნახე, რომლებიც რეპრესირებულნი იყვნენ, შემდეგ კი ეს ყველაფერი წიგნად გამოვეცი, სახელწოდებით — „წამებული რაინდები“, შარშან კი უნივერსიტეტმა ახლებური გადამუშავებით გამოსცა „დაკარგული თეატრი“. სანდრო ახმეტელი გენიალური, ნაციონალური რეჟისორი იყო, რომელსაც პოლიტიკაშიც და ხელოვნებაშიც ერთი მთლიანი კონცეფცია ჰქონდა — ახალი ქართველის შექმნისა ანუ ილიასებური — რაც ნაკლი გვაქვს ქართველებს, იმისგან გათავისუფლება. ეს ნაკლი არის: უნებისყოფობა, სიზარმაცე, უდისციპლინობა, ამბიციურობა და ა.შ. ახმეტელი წერდა: ეს ავადმყოფობაა და უნდა ვაღიაროთ, რომ ავად ვართ; ვისთვისაც გუშინ თავს ვიკლავდით, მეორე დღეს აღარ გვახსოვსო. დიახ, სწორედ ასე მოვექეცით ბევრ ცნობილ ადამიანს, რომლებიც სიცოცხლის ბოლო წლებში შიმშილით იხოცებოდნენ, მაგრამ მათ ყურადღებას არავინ აქცევდა... ახმეტელი დისციპლინით გამოირჩეოდა და სხვებისგანაც ამავეს მოითხოვდა. ერთხელ რეპეტიციაზე სპეციალურად, 20 წუთით დაიგვიანა, მერე კი კედელზე გამოაკრა: ახმეტელმა რეპეტიციაზე 20 წუთი დააგვიანა, აცდევინა მსახიობებს, ამიტომაც უნდა დაჯარიმდეს ერთი თვის ხელფასითო. მან ამით სხვებს დაანახვა, — უდისციპლინობას საკუთარ თავსაც არ ვაპატიებო. სანდრო ახმეტელზე 100-ზე მეტი სტატია და 5 წიგნი მაქვს დაწერილი, მაგრამ ის საოცარი ფენომენი იყო და ჯერ კიდევ შესასწავლია. სანდრო ახმეტელი თეატრის ილია იყო!

— **დაბოლოს, თქვენი ყველაზე მკაცრი კრიტიკული წერილი ვის ეძღვნებოდა?**

— უამრავი კრიტიკული სტატია მაქვს დაწერილი, პოლემიკა ბევრთან მქონია და მათგან რომელიმეს გამოყოფა გამიჭირდება. ახალგაზრდობაში, როცა თვითდამკვიდრების პერიოდი გაქვს, მეტად კრიტიკული ხარ, მაგრამ მთავარია, ეთიკის ნორმები არ დაარღვიო. იმ ადამიანის მიმართ, ვისაც აკრიტიკებ, სტატიაში პატივისცემა უნდა იგრძნობოდეს ანუ როგორც დავით კლდიაშვილმა თქვა: — კრიტიკა სიყვარულიანი უნდა იყოს და მაშინ ყველაფერს აიტანს ადამიანი; უნდა გააკრიტიკო მისი საქმის განკარგების იმედით და წარმატებები უსურვო!.. ■

ვასო კიკნაძე და მიშა თუმანიშვილი


# „ჯეოსტარის“ შესარჩევი ტურის შეურაცხყოფილი მონაწილეები

## „პიროვნების ღირსების შელახვაზე, ტყუილზე „მიდიან“

**თინა ჯანელიძე და ნინი კვირქიშვილი ტელემაყურებელს „ჯეოსტარის“ შესარჩევი ტურიდან ემახსოვრება: მათზე გადაღებული სიუჟეტიდან ჩანდა, რომ გოგონები ჟიურის წინაშე კონიაკით შეზარხოშებულები წარდგნენ... თავად თინა და ნინი კი ამბობენ, რომ ეს სიუჟეტი ტყუილზე იყო აგებული და დამონტაჟებული მასალის ეთერში ჩვენებით, მათი ღირსება შელახეს.**

ეთო ყორღანაშვილი


თინა


ნინი

**თინა:**

— „ჯეოსტარის“ შესარჩევი ტური 2 ნაწილისგან შედგება: „პრეკასტინგი“ და პირველი ტური. „პრეკასტინგზე“, სადაც ვოკალის პედაგოგებმა მოგვისმინეს, ძალიან ბევრი ხალხი იყო და დილიდან საღამომდე იქ ყოფნა მოგვიხდა. გადაღლილობის გამო, ნინის სურდა, სიმღერის წინ კონიაკი მოესვა. შესარჩევ კონკურსზე მყოფ ჟურნალისტს იდეა გაუჩნდა, რომ მეგობრებს ნინისთვის სასმელი მოეტანათ, რათა კამერას ეს ყველაფერი დაეფიქსირებინა. მართლაც, კონიაკი მოიტანეს და თითო ყლუპი მოვსვით. იმისათვის, რომ ვიმღერო, ალკოჰოლი არ მჭირდება, მაგრამ რადგან მთხოვეს...

**ნინი:**

— საერთოდ, კონიაკი ხმისთვის ძალიან კარგია. 1 ყლუპის მოსმის ნებართვა პროდიუსერისგან ავიღეთ. გვითხრეს: კი, ბატონო, ოღონდ — გადავიღებთო. მართლაც გადაიღეს, მაგრამ ბოლოს, როცა „გაგვატელევიზორეს“, არ უჩვენეს — კონიაკის მოსმის შემდეგ ბოთლი ურნაში რომ ჩავაგდეთ; პირიქით, ერთი და იგივე კადრი ცხრაჯერ „დაატრიალეს“ — თითქოს მთელი ბოთლი „ჩავცალეთ“.

**თინა:**

— ყველაზე ცუდი ისაა, რომ ეს „პრეკასტინგის“ დღეს ხდებოდა და არა ჟიურისთან გასვლის წინ, ეთერში კი ისე უჩვენეს, თითქოს მარინა ბერიძის წინაშე შეზარხოშებულები წარვდექით; თანაც, კადრს დაახლოებით, ასეთი ტექსტი „დაადეს“: შეზარხოშებული დაქალები სამღერად შევიდნენო! ჟიურის წევრებს მოვუყევი, რომ კონსერვატორიის ასპირანტურა მაქვს დამთავრებული, 2 წელი ოპერაში ვმღეროდი, კლუბებში ცოცხალ ბენდთან ერთად ვმუშაობ, მაგრამ მსგავსი ინფორმაცია ეთერში არ გასულა. მოკლედ, საზოგადოებამ ვერ გამიცნო როგორც პროფესიონალი მომღერალი, რომელიც „ჯეოსტარში“ ასაკის გამო ვერ მოხვდა; მხოლოდ ცუდი კუთხით წარმომაჩინეს.

**— ქალბატონმა მარინამ აღნიშნა, — 31 წლის კონკურსანტი რომ მივიღოთ, ის ყველაფერს უნდა „ლეწავდესო“.**

— მან მითხრა: 16 წლის ბავშვებთან კონკურენცია მოგიწევს, ამიტომ შენი მონაცემი „ვაუ“ უნდა იყოსო. ჰოდა, ამ „ვაუს“ ჩვენების საშუალება არ მომეცა. ასაკით პატარა რომ ვყოფილიყავი, „ჯეოსტარში“ უპრობლემოდ მოვხვდებოდი.

**— თქვი, — „ვაუს“ ჩვენების საშუალება არ მომეცაო. რას გულისხმობ?**

— კასტინგზე მთელი დღე ლოდინი გიწევს, დაღლილი ხარ; თან — შემდეგ ყოველგვარი ინსტრუმენტის გარეშე მღერი... 22 წლის რომ ვყოფილიყავი, ჩემი ნამღერი აბსოლუტურად საკმარისი იქნებოდა საიმისოდ, რომ „ჯეოსტარში“ მიმეღო მონაწილეობა... პრეტენზია იმასთან დაკავშირებით მაქვს, რომ მაყურებელს ჩვენი თავი ცუდი კუთხით წარუდგინეს. თუნდაც ის ფაქტი ავიღოთ, რომ სიგარეტი ამოვიღე და მოვწიე. იქ ყველა ეწეოდა, მაგრამ ეთერში მხოლოდ ის უჩვენეს, რომ მე მოვწიე! სხვათა შორის, სიგარეტი ინტერვიუს დასრულების შემდეგ ამოვიღე, მაგრამ მაყურებელს არც ეს ინტერვიუ უჩვენეს... რაც შეეხება მარინა ბერიძის კომენტარებს, მან უარყოფითის გარდა, დადებითი რაღაცებიც მითხრა, მაგრამ ეთერში მხოლოდ ის გავიდა, რაც უნდოდათ. ჰოდა, სწორედ ამის გამო მწყდება გული; ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ზურგს უკან ჩვენი გულშემატკივრები დგანან... მუსიკალურ სკოლაში პედაგოგად ვმუშაობ და ბავშვებთან გაკვეთილების ჩატარება რატომ უნდა მერიდებოდეს?! ყველას ჰგონია, რომ ჟიურის წინაშე ნასვამი წარვდექი.

**— ბავშვებს როგორი რეაქცია ჰქონდათ?**

— მოსწავლეებს არაფერი უთქვამთ, მაგრამ ახლობლები მსაყვედურობენ: ჟიურისთან ნასვამები როგორ შეხვედითო?! მოკლედ, ყველასთან თავის მართლება მიწევს.

**— ნინი, ამ ყველაფერზე შენს ახლობლებს როგორი რეაქცია ჰქონდათ?**

— ერთი ყლუპის გაკეთება სტრესის გამო გადავწყვიტე. ჩემს ახლობლებს სჯერათ, რომ მთვრალი იქ არავითარ შემთხვევაში არ შევიდოდი და ამ ყველაფერზე გაეცინათ... რა თქმა უნდა, უცხო ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს მე უპასუხისმგებლო გოგონა ვარ და სიმართლე გითხრათ, ეს ფაქტი დიდად არც მაღელვებს.

**— ნინი, ქალბატონმა მარინამ შენს ხმასთან დაკავშირებულ პრობლემაზე ილაპარაკა, შენ კი თქვი, — წამლებით შემოვედიო. სწორედ ამ დროს უჩვენეს ის კადრიც, თუ როგორ სვამ კონიაკს. ეს „წამალი“ კონიაკი არ იყო?**

— კონიაკის ერთი ყლუპი „პრეკასტინგზე“, მანანა მორჩილაძესთან (ჩაჩისთან) შესვლისას დავლიეთ. 3 დღის შემდეგ „ჯეოსტარის“ პირველი ტური გაიმართა, სადაც მარინა ბერიძე და ჟიურის დანარჩენი წევრები იყვნენ. იმ დღეს სიცხიანი გახლდით და ალკოჰოლის მიღებაზე არც მიფიქრია, წამალი კი მართლაც დავლიე. ესეც გადაიღეს, მაგრამ არ უჩვენეს. ჰოდა, მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს წამლების ნაცვლად, კონიაკი დავლიე. იმანაც გამაღიზიანა, რომ თქვეს, — ნინიმ და თინიკომ ერთმანეთი კასტინგზე გაიცნესო. სინამდვილეში, ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს.




**— სინამდვილეში, ერთმანეთი სად გაიცანით?**

— ერთმანეთთან მუსიკამ დაგვაახლოვა. ვაკის პარკში, საქველმოქმედო კონცერტში ვმონაწილეობდით და ჩვენი ურთიერთობაც იქიდან დაიწყო. დაახლოებით 2 წელია, ვმეგობრობთ. ისე მოხდა, რომ ორივემ ერთდროულად გადავწყვიტეთ „ჯეოსტარში“ მონაწილეობა.

**— კონცერტებში ხშირად მონაწილეობთ?**

— კი. ვცდილობთ, ჩვენი სიმღერით ბავშვებს დავეხმაროთ. ისევე, როგორც თინიკო, ხშირად, კონცერტებს ჩემს ბენდთან ერთადაც ვმართავ.

**— ბენდი ორივეს გყავთ?**

**თინა:**

— სხვადასხვა ბენდთან ვმუშაობთ, კლუბში დუეტებსაც ვმღერით. რა თქმა უნდა, კონცერტებმა, რეპეტიციებმა დაგვაახლოვა, მაგრამ ბევრი საერთო მეგობარიც გვყავს.

**— „ჯეოსტარში“ მონაწილეობა 31 წლის ასაკში რატომ გადაწყვიტე?**

— 8 წელი კონსერვატორიაში ვსწავლობდი და კონცერტები, სპექტაკლები მქონდა... ფაქტობრივად, 2 წელია, რაც ჯაზით დავინტერესდი. პრინციპში, „ჯეოსტარში“ ჩემი ადგილი არც იყო: იქ ბავშვები ტურიდან ტურამდე იზრდებიან, მე კი ახალს ვერაფერს მასწავლიდნენ და საერთოდაც, კონკურსებს სკეპტიკურად ვუყურებ. „ჯეოსტარის“ შესარჩევ კონკურსზე მეგობრების რჩევით, თხოვნით მივედი; ალბათ, ასეთ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერასოდეს მივიღებდი.

**ნინი:**

— კონკურსში მონაწილეობა მეც მეგობრების თხოვნითა და მხარდაჭერით გადავწყვიტე. ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ეტაპი იქნებოდა, რომელიც „გამზრდიდა“. ჩემთვის ამ კონკურსს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია: „ჯეოსტარის“ გარდა, ამქვეყნად კიდევ ბევრი საინტერესო რამ ხდება...

**— ქალბატონმა მარინამ კომპლიმენტიც გითხრა, მაგრამ მაინც, კონკურსს მიღმა დარჩი. ვოკალის პედაგოგთან დროულად არ მიხვედი?**

— რომ გითხრათ, პირველი ტურის შემდეგ 24 საათის განმავლობაში ვმეცადინეობდი-მეთქი, მართალი არ იქნება. ძალიან მარტივი რეპერტუარი ავარჩიე; ასე რატომ მოვიქეცი, თავადაც არ ვიცი.

**თინა:**

— კასტინგებს შორის მცირე მანძილია. წარმოუდგენელია, რომ 3 დღეში ძალიან „გაიზარდო“. საერთო ჯამში, მარინა ბერიძის რჩევა ნინიმ გაითვალისწინა და პედაგოგთან უკვე დადის.

**ნინი:**

— პედაგოგთან სიარულს ისედაც ვაპირებდი, ეს მართლა მჭირდება — ბევრი რამ მაქვს სასწავლი. ამ საქმეს სერიოზულად მივუდექი, რადგან სიმღერა ძალიან მიყვარს. ადრე პედაგოგთან არასოდეს მივლია და ჟიურის ვუთხარი კიდეც, რომ მოუმზადებელი გახლდით. ჩემი აზრით, როცა ნიჭი გაქვს, დიდი მომზადება არც გჭირდება.

**— მუსიკალურ სფეროში შენს გამოცდილებაზე რას გვეტყვი?**

— მუსიკალური შვიდწლედი მაქვს დამთავრებული — ფორტეპიანოზე ვუკრავ. მუსიკა ბავშვობიდანვე მიყვარს, მაგრამ მაინც, იურისტობა მინდოდა. თუმცა, როცა დავფიქრდი, მივხვდი, რომ სიმღერა ძალიან მიყვარს და ამ საქმის კეთება მინდა, ამიტომ ჩემი ბენდი ჩამოვაყალიბე. მართალია, გარკვეული პერიოდი ერთად ვიმუშავეთ, მაგრამ მოგვიანებით პროფესიონალებთან გადავედი — რომა რცხილაძის ბენდთან ერთად ვმუშაობდი, მერე — დიჯეისთან...

**— კიდევ რას საქმიანობ?**

— წელს აბიტურიენტი ვიყავი და „საერთაშორისო ურთიერთობებზე“ ჩავაბარე. მომავალ წელს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე საბუთების გადატანას ვაპირებ, რადგან ეს პროფესია ძალიან მაინტერესებს — ასე მგონია, ეს საქმეც გამომივა (თან, დედაჩემიც ჟურნალისტია). საქართველოში ისეთი მუსიკალური სკოლა არ არის, სადაც კარგი განათლების მიღებას შეძლებ. კლასიკა მიყვარს, მაგრამ მისგან შორს ვარ და კონსერვატორიაში რომ ჩამებარებინა, სულ ავირ-დავირეოდი.

**— შენ გარდა, ოჯახში კიდევ ვის აქვს მუსიკალური ნიჭი?**

— ჩემი ოჯახის წევრები ძირითადად, ექიმები არიან, დედა კი — ჟურნალისტია. ოჯახში მხოლოდ მე ვმღერი. ნათლია მყავს, რომელსაც არაჩვეულებრივი მუსიკალური მონაცემები აქვს და ეს ნიჭი მან დამანათლა (*იღიმის*).

**— თინა, შენს ოჯახზე რას გვეტყვი?**

— ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს მამაჩემი რუსთავის პრეფექტი იყო. გარდა ამისა, საკმაოდ ცნობილი მუსიკოსი გახლდათ — ტექნიკუმში თავისი გუნდიც ჰყავდა (დირიჟორი იყო); ჩემი ძმაც მუსიკოსია — ოპერაში მღერის... „ჯეოსტარში“ მონაწილეობა რომ გადავწყვიტე, ამის შესახებ ოჯახმა არაფერი იცოდა და ამ ნაბიჯის გამო „გამტისკეს“. ჩემს პედაგოგსაც (კონსერვატორიაში) ცუდი რეაქცია ჰქონდა...

**— მკაცრი მასწავლებელი ხარ?**

— მოსწავლეებისგან ბევრს ვითხოვ, მაგრამ ასეთი მეთოდი მაქვს: ბავშვი სულ მცირეს რომ გააკეთებს, ძალიან ბევრს ვაქებ ხოლმე, რათა სტიმული გაუჩნდეს. საქართველოში ასეთი ტენდენციაა: თუ მწვერვალზე არა ხარ, არაფრად აღგიქვამენ. მესმის, „ჯეოსტარი“ შოუბიზნესია ანუ გათვლილია იმაზე, რომ ხალხი დააინტერესო, მაგრამ პროექტში ადამიანის ღირსება აბსოლუტურად უგულებელყოფილია: პიროვნების ღირსების შელახვაზე, ტყუილზე „მიდიან“, მასალებს ისე ამონტაჟებენ, რომ კონკურსანტები უარყოფითი კუთხით წარმოაჩინონ და საზოგადოებას შოუ უჩვენონ.

**ნინი:**

— ჩემი აზრით, „პრეკასტინგი“ იმისთვის არსებობს, რომ ესა თუ ის მონაწილე ჟიურიმდე ვერ მივიდეს. მაყურებელს არასწორი ინფორმაცია აქვს — მართლა ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ვიღაც „უსმენო“ ადგა და პირდაპირ მარინა ბერიძესთან მივიდა! მერწმუნეთ, ეს ასე არაა. „პრეკასტინგზე“ „საპრიკოლო“ ხალხის გადარჩევაც ხდება, რომელსაც მარინამ უნდა დასცინოს, ეღადაოს...

**თინა:**

— წინასწარ იციან, „პრიკოლისთვის“ რომელი კონკურსანტი გამოდგება და მას ძალიან ბევრს ამღერებენ.

■



# ქართველი პანკები თუ მოდას აყოლილი მოზარდების მიუღებელი წესები

## „არ მინდა, ქართველ პანკებთან ვიურთიერთო“

**„გზის“ მკითხველები ხშირად გვისვამენ კითხვას: გაგვაგებინეთ, ვინ არიან სინამდვილეში ეს პანკებიო? ჰოდა, ახლა გადავწყვიტეთ, საზოგადოების ინტერესი დავაკმაყოფილოთ.**

ლიკა ქაჯაია



*სიტყვა „პანკი“ ნარჩენებს ნიშნავს. პანკების ანუ ქუჩაში მცხოვრებ თავნება ადამიანთა მუსიკა ცალკე მიმართულებად XX საუკუნის 70-იან წლებში, ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში ჩამოყალიბდა, ხოლო შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. პანკები სხვებისგან განსაკუთრებული ჩაცმის სტილით, ვარცხნილობითა და ქცევებით გამოირჩევიან, თავისუფლების მოყვარულები არიან. პროტესტის გამოსახატავად, მათ საკუთარი მუსიკალური მიმდინარეობა — პანკ-როკი შექმნეს. ეს არის ემოციური მუსიკა თავისუფლებაზე, სიყვარულზე, მშვიდობაზე, სამართლიანობაზე. პანკ-როკის მიმდევრებს ანარქიისადმი მიდრეკილება ახასიათებდათ, მაგრამ მოგვიანებით ჟანრის იდეოლოგია ოდნავ შეიცვალა და მისი ქვეჟანრებიც წარმოიშვა. პანკ-როკისათვის ანუ როკმუსიკის ერთ-ერთი ჟანრისთვის დამახასიათებელია შესრულების ჩქარი ტემპი, მინიმალური აკომპანემენტი და აგრესიული მანერა. ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ცნობილი პანკ-ჯგუფი Ramones გახლდათ.*

*ნამდვილი პანკები გამოხატავენ პროტესტს კონსერვატიზმის, ნაციონალიზმის, რადიკალური კაპიტალიზმის, ანტირასიზმისა და ანტიფაშიზმის იდეალების მიმართ. არსებობენ ნაცისტი პანკებიც — აქ საქმე გვაქვს ანომალიასთან, რადგანაც პანკ-კულტურა თავისთავად უარყოფს ყველანაირ რასობრივ, რელიგიურ დაყოფას. მათი ისტორია 1978 წლიდან იწყება. ნაცისტური მუსიკის ლიდერებად white power skinhead დაჯგუფების წევრები იქცნენ. ნაცისტურ პანკ ჯგუფებს სხვა პანკებისგან მხოლოდ ლირიკა თუ განასხვავებს. პირველი ნაცისტური ჯგუფების სია ასე გამოიყურება: The Dentists, Homicide, The Ventz და The Raw Boys.*

*ზოგ პანკს უყვარს საზოგადოების შოკირება ანტიკონსერვატიული გარეგნობით, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი პანკისათვის გარეგნობა მეორეხარისხოვანია. მოდის ინდუსტრიაში პანკებისათვის დამახასიათებელი ტანსაცმლის ატრიბუტიკა პირველად ინგლისელმა დიზაინერმა, ვივიენ ვისტვუდმა შემოიტანა. პანკები ძირითადად იცვამენ თავისუფალი სტილის მაისურებს (უმეტესად, შავი ფერისას), ქურთუკს, ჯინსს, კედს, ბოტასს ან მძიმე ჩექმას; ტანსაცმელი ხშირად დასვრილი ან გახეული აქვთ.*

*დახეული ჯინსი, ტატუ, პირსინგი, ხმაურიანი მუსიკა, საზოგადოების დიდი ნაწილისათვის გამაღიზიანებელი საქციელი პანკი ახალგაზრდების დამახასიათებელ ნიშნად იქცა. პანკები პროტესტის ყველანაირ ხერხს იყენებენ — ნარკოტიკი, ალკოჰოლი, თავისუფალი სექსი, ჭუჭყიანი ტანსაცმელი — რაც ცხადია, საზოგადოების აგრესიას იწვევს. მათი ვარცხნილობაც თვალში საცემია — თმას ძირითადად, წითლად ან სულაც, ყვითლად იღებავენ და ასიმეტრიულ ვარცხნილობებს იკეთებენ...*

*მიუხედავად იმისა, რომ პანკები საზოგადოებაში აგრესიას იწვევენ, მათ მიერ შექმნილ მუსიკას მილიონობით ადამიანი უსმენს. პანკ-როკის სიყვარულის გამო, ბევრი ახალგაზრდა თავს პანკად მიიჩნევს და ცდილობს, განსხვავებული იყოს, თუმცა ბევრი მათგანისთვის პანკური იდეოლოგია უცხოა.*

*საქართველოში პანკურმა კულტურამ XX საუკუნის ბოლოს მოიკიდა ფეხი. ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის პანკები ბინძურ, უწესო, თავხედ თინეიჯერებთან ასოცირდება, რომლებიც უმეტეს წილად, ოპერის უკან, ვაკის პარკში, ელბაქიძის დაღმართზე ან მიწისქვეშა გადასასვლელებში იკრიბებოდნენ (ახლა „საბირჟაო“ ადგილი შეიცვალეს). ქართველ პანკებს აკრიტიკებენ არა მარტო უფროსი თაობის წარმომადგენლები, არამედ მოზარდებიც, მაგრამ „ნარჩენებს“ ეს დიდად არ ადარდებთ, რადგან მიაჩნიათ, რომ ჯობია, გამორჩეული იყო და საზოგადოებას აღიზიანებდე, ვიდრე უფერულად იცხოვრო. თუ მოზარდების გარეგნობის მიხედვით ვიმსჯელებთ, თბილისში პანკები ძალიან მომრავლდნენ ანუ როკ-კულტურას საქართველოში ბევრი მიმდევარი ჰყავს.*

**ნიკა,** *19 წლის:*

— 14 წლის ვიყავი, როცა მივხვდი, რომ პანკობა ჩემი მოწოდება იყო. ვერ ვეგუები ისეთ რამეებს, რაც ჩემი თანატოლებისთვის შესაძლოა, მისაღები იყოს.

— **მაგალითად?**

— ზოგს გართობა უნდა, მაგრამ იმიტომ, რომ მშობლებს არ აწყენინოს, საკუთარ სიამოვნებაზე უარს ამბობს. მე ასეთი არა ვარ! იყო პერიოდი, როცა მშობლები სახლიდან გასვლის უფლებას არ მაძლევდნენ, უნდოდათ, მათი მონამორჩილი ვყოფილიყავი, ხშირად მაკონტროლებდნენ, ეს ყველაფერი კი ნერვებს მიშლიდა. ჰოდა, გადავწყვიტე, პანკობაზე უარი არ მეთქვა... ჩემნაირების პოვნა არ გამჭირვებია — მალე ვიპოვე „გიჟები“ და მათ დავუმეგობრდი.

— **შენნაირებთან ერთად როგორ ერთობი?**

— ძირითადად, ფილარმონიისა და ყოფილი „ივერიის“ მიწისქვეშა გადასასვლელებში გვქონდა „ბუდე“, მაგრამ ახლა ხან ვერის პარკში ვიკრიბებით, ხანაც — სხვა „მიწისქვეშებში“. ვუკრავთ, ვმღერით და თუ ფულს შევაგროვებთ, სასმელს,

მოსაწევს ვყიდულობთ. მოკლედ, ვპონტაობთ, რა.

**— გარეგნულად პანკს ნაკლებად ჰგავხარ...**

— ეს იმიტომ, რომ ახლა ფორმაში არა ვარ ანუ დაბადების დღეზე მივდივარ და არ მინდა, იქ ზედმეტი ყურადღება მივიპყრო.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგჯერ პანკობა „გიტყდება“?**

— არა, რატომ უნდა მიტყდებოდეს? უბრალოდ, როცა არ მინდა, ხალხის ყურადღება მივიპყრო, მაშინ ჩვეულებრივად ვიცვამ. ამ დროს შესაძლოა, გარეგნულად არ ვგავდე პანკს, მაგრამ შინაგანად არ ვიცვლები და რაც არ მომწონს, იმას სხვადასხვა მეთოდით ვაპროტესტებ. ხშირად, ისეთ რამეზე გამომითქვამს პროტესტი, რაც სხვებს ძალიან მოსწონთ.

**— როგორც ვიცი, პანკებს სიამოვნებას ანიჭებს საზოგადოების ყურადღება, შენ კი მგონი, ეს გაკომპლექსებს. იქნებ, შინაგანად პანკი არა ხარ და მხოლოდ მიმბაძველი გქვია?**

— არა, მე ნამდვილი პანკი ვარ. ის, რომ ზოგჯერ საზოგადოების ყურადღება მაღიზიანებს, იმას არ ნიშნავს, რომ მიმბაძველი გახლავართ. უბრალოდ, ისეთ ტრადიციულ ქეიფზე მივდივარ, სადაც ზუსტად ვიცი, რომ ვერ გამიგებენ და ჩემი გარეგნობით ხალხი ზომაზე მეტად რატომ უნდა გავაღიზიანო? თანაც, იქ ჩემი მშობლებიც იქნებიან და მათაც გავუწიე ანგარიში...

**ზვიო,** *17 წლის:*

— საქართველოში აზროვნების თავისუფლების მხრივ ძალიან ცუდად არის საქმე. რატომ? — მაგალითად, როგორც კი განსხვავებულად ჩაცმულ ადამიანს დაინახავენ, მაშინვე მასზე ჭორაობენ, თვალს აყოლებენ. საზღვარგარეთ ძალიან იშვიათად თუ გამოგაყოლებს ვინმე თვალს, აქ კი სულ იმას ცდილობენ, ვინმეს დასცინონ, ვიღაცაზე აუგი თქვან. პანკები განსხვავებული ადამიანები ვართ და გარშემო მყოფ აზროვნებადაქვეითებულ ადამიანებთან ერთად ცხოვრება არ მოგვწონს.

**— პირადად შენ, რა გაღიზიანებს, რას აპროტესტებ?**

— მაღიზიანებენ გონებაჩლუნგი ადამიანები, რომლებიც ვერ ხვდებიან, რატომ შეიძლება ადამიანს სწყუროდეს თავისუფლება ან რატომ უნდა იყო როკის ფანი... პოლიტიკაში არ ვერევი და არც პოლიტიკა ერევა ჩემნაირების ცხოვრებაში, მაგრამ ხელისუფლება ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას და ეს იწვევს ჩემს პროტესტს. ამიტომ, როგორც კი ამ საკითხის გამო მიტინგი იმართებოდა, მეც ხალხის გვერდით ვიდექი. მართალია, იქ დახეულჯინსიან ბიჭს ალმაცერად მიყურებდნენ და ჩემი დანახვისთანავე ჩანთას უჭერდნენ ხელს — არიქა, ფული არ მოგვპაროსო, მაგრამ ეს სულაც არ მანაღვლებდა; აი, დარდი, თუ ვიღაცას ჩემი დანახვისას შიშისგან გული უსკდება (*იცინის*).

**— როდის მიხვდი, რომ პანკი იყავი?**

— თავიდან, როცა მივხვდი, რომ საზოგადოებისგან რაღაცით გამორჩეული ვიყავი, ამ რეალობასთან შეგუება გამიჭირდა, მეგონა ფსიქოლოგის დახმარება დამჭირდებოდა. პანკს არავის ვიცნობდი და ვერც ვაცნობიერებდი, მოწოდებით ვინ ვიყავი, ამ ცხოვრებაში რა მინდოდა. ერთხელაც, ქუჩაში მოხეტიალე, უცნაურად (მაშინ ასე მეგონა) ჩაცმულ ახალგაზრდებს გადავაწყდი, რომლებმაც ფული მთხოვეს. რატომღაც, მათთან ერთად მათხოვრობის სურვილი გამიჩნდა და თანატოლებს ვთხოვე: თუ შეიძლება, „ჩამისასტავეთ“-მეთქი. — სიამოვნებით, თუ თავისუფლება შენთვისაც ძვირფასია და ყველაფერი ის, რაც სხვებს ღირებულად მიაჩნია, „ფეხებზე გკიდიაო“, — მითხრა ერთ-ერთმა მათგანმა. მერე გამოცდაც მომიწყვეს: თვითონ შორიდან მიყურებდნენ, მე კი ვმათხოვრობდი. როცა მიხვდნენ, ამ ყველაფრის გამო სინდისი არ მქენჯნიდა, დაასკვნეს, რომ უკომპლექსო ვიყავი და ჩემგან კარგი პანკი დადგებოდა. ასე რომ, მიმიღეს და იმ დღეს ერთად ვიქეიფეთ.

**— საინტერესოა, პანკები როგორ ქეიფობთ?**

— რომ გითხრა, ისე, როგორც ქართულ ტრადიციებს შეეფერება-მეთქი, დამიჯერებ?

**— შეიძლება დაგიჯერო, მაგრამ გამიკვირდება.**

— რა სისულელეა! ქართული სუფრის ტრადიცია უაზრობად მიმაჩნია. საზოგადოება ტრადიციად მიიჩნევს კუჭის ამოყორვასა და ღვინოში „ჩახრჩობას“. ისეთ ქელეხშიც ვყოფილვარ, სადაც მიცვალებული რომ არ დამენახა, ვიფიქრებდი, — ქორწილში ვარ-მეთქი. ჰო, ასეა! საჭმელს ხომ ჭამენ და ჭამენ, ღვინოსაც სვამენ, მაგრამ ყველაზე სასაცილო ისაა, რომ დამკვრელებიც ჰყავთ დაქირავებული. მოკლედ, ეს ყველაფერი მარაზმია!.. ჩვენ, პანკები „ჯიგრულად“ ვქეიფობთ — იმდენს ვსვამთ, რომ გონი არ დავკარგოთ, შეზარხოშებულები ერთმანეთს უაზრო ქება-დიდებას არ ვასხმათ; ვმღერით, ვცეკვავთ. მოკლედ, იმას ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია და სხვებისგან განსხვავებით, სირცხვილად არ მიგვაჩნია იმის აღიარება, რომ რაღაც არ ვიცით.

**— მშობლები შენს პანკობას იოლად შეეგუვნენ?**

— თავიდან რაღაც პრობლემები შემექმნა, მაგრამ ახლა ყველაფერს მიეჩვივნენ (სხვა გზა არც ჰქონდათ). როცა მივხვდი, რომ ნამდვილი პანკი ვიყავი, გადავწყვიტე, ეს ჩემს გარეგნობაზეც ასახულიყო. ჰოდა, მოვაგროვე ჩემი ტანისამოსი, ყველაფერი მივჭერ-მოვჭერი, ალაგ-ალაგ დავხიე, მელნით დავთხაპნე და როცა ასეთ სამოსში გამოვეწყვე, მივხვდი, რომ სულიერი შვება მოვიპოვე. ცხადია, ჩემი დანახვისას მშობლები „დაიშოკნენ“, მაგრამ უარესი წინ ელოდათ — იმ დღესვე სალონში წავედი და ვარცხნილობა შევიცვალე, თმა შევიღებე. შინ მისულს, დედ-მამამ გამომიცხადა, — აქ აღარ მოხვიდე, ჩვენი შვილი აღარ ხარო, მაგრამ რამდენიმე დღის მერე თავადვე მიპოვეს და შინ დაბრუნება მთხოვეს.

**— დედმამიშვილები არ გყავს?**

— დაიკო მყავს, რომელიც 14 წლისაა. სხვათა შორის, ის რეპის მოყვარულია, მაგრამ ამის გამო კამათი არასდროს მოგვდის. მოკლედ, პანკებისთვის თავისუფლება ყველაზე ძვირფასი რამაა და ამიტომაც, დაიკოს არაფერში ვზღუდავ.

**ილია,** *17 წლის:*

— საქართველოში ნაკლებად არის ისეთი ხალხი, ვისაც შეიძლება, პანკი დავარქვათ. არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ჩაცმულობითა და პანკობით სპეკულირებენ. მერწმუნეთ, ნამდვილი პანკები უზრდელები არ არიან. ყოველ შემთხვევაში, ჩემი სამეგობრო არასდროს იკადრებს იმას, რომ საზოგადოება უაზროდ გაანაწყენოს, ვინმეს შეურაცხყოფა ტყუილ-უბრალოდ მიაყენოს. ჩვენ ძირითადად, ოპერასთან ვიკრიბებოდით, მაგრამ ახლა იქ რემონტია და ამიტომაც, ადგილი შევიცვალეთ. თუ ფული გვაქვს, ვსვამთ, ვუკრავთ მუსიკას, ვმღერით და ვერთობით, თუ არა და, მათხოვრობას ნამდვილად ვერ დავიწყებთ. მოკლედ, ჩვენ ჩვენი სამყარო გვაქვს და არ გვაინტერესებს, რას იტყვიან ჩვენზე სხვები.

**— არც მშობლების აზრი გაინტერესებთ?**

— როგორ არა, მაგრამ ის, რომ უფროსები ვერ გვიგებენ, ჩვენი ბრალი არაა. მერწმუნეთ, არ მინდა, მშობლებს რაიმე ვაწყენინო, მაგრამ ვერც იმას ავიტან, რომ რაიმეში შემზღუდონ. სხვათა შორის, თავის დროზე მამაჩემი როკერი ყოფილა

და იცის, ვერაფერს ამიკრძალავს.

— **ილია, შეყვარებული გყავს?**

— არა, ამისთვის დრო არა მაქვს.

— **გარდა იმისა, რომ პანკებთან ერთად „იჩითები“ და ერთობი, რას საქმიანობ?**

— პანკობა იმას არ ნიშნავს, რომ ხეპრე უნდა იყო — სკოლაში დავდივარ და სხვათა შორის, 10-იანებზე ვსწავლობ. პარალელურად, მუსიკალურ სასწავლებელშიც დავდივარ და საქველმოქმედო აქციასაც ხშირად ვმართავ — იმ ბავშვებს ვეხმარები, რომლებიც მზრუნველობა მოკლებულად მიიჩნევიან.

**ნინკა,** *16 წლის:*

— პანკობა ძალადობასთან იმიტომ ასოცირდება, რომ ეს მიმდინარეობა ძალადობის წინააღმდეგაა მიმართული. თუ ადამიანი არაფერს დამიშავებს, გიჟი კი არა ვარ, რომ მას შეურაცხყოფა მივაყენო. ნუ, თუ ვიღაც ალმაცერად შემომხედავს ან უაზროდ მომაშტერდება, მას საკადრის პასუხს აუცილებლად გავცემ.

— **ის ვიღაც თუნდაც, ბიჭი იყოს?**

— არა აქვს მნიშვნელობა, ბიჭი იქნება თუ გოგო, შეურაცხყოფას არავის ვაპატიებ. ის კი არა, ერთხელ საკუთარმა დედამ მაწყენინა და ისეთი რამ გავუჩალიჩე, რომ მას მერე უბატონოდ ხმას ვერ მცემს.

— **ასეთი რა გააკეთე?**

— ეგ ჩემი საიდუმლოა და თუ შეიძლება, ნუ ჩამეძიები...

— **კარგი, არ ჩაგეძიები, მაგრამ ნამდვილი პანკები ამბობენ, რომ მათ დასამალი არაფერი აქვთ, შენს შემთხვევაში კი, როგორც ვატყობ, საქმე სხვაგვარადაა...**

— ნამდვილად არა ვარ ფსევდოპანკი, უბრალოდ, არ მინდა, ჩემს ოჯახში მომხდარი სულელური ამბავი ჟურნალის ფურცლებზე „გამოვფინო“.

— **როგორც გენებოს. ამბობენ, პანკები ურწმუნო ადამიანები არიანო. ეს სიმართლეა?**

— რა სისულელეა?! ღმერთის მწამს, მაგრამ ეკლესიაში არ დავდივარ. ალბათ, ოდესმე მეც მოვინანიებ საკუთარ ცოდვებს — ეს მაშინ მოხდება, როცა ზუსტად მეცოდინება, რომ ამისთვის მზად ვარ, რომ ცოდვას აღარასდროს ჩავიდენ. მიმაჩნია, რომ განწმენდილმა ადამიანმა სისულელე აღარ უნდა ჩაიდინოს.

— **ეი. აღიარებ, რომ ხშირად, სისულელეს, ცოდვას სჩადიხარ?**

— არა მგონია, ამქვეყნად ცხოვრობდეს ადამიანი (თუ ის ზედმეტად ღვთისმოშიში არაა), რომელიც დღეში ერთ ცოდვას მაინც არ სჩადის და ამ მხრივ გამონაკლისი არც მე ვარ. თუმცა, ისეთ ცოდვას არასდროს ჩავიდენ, რისი პატიებაც შეუძლებელი იქნება. შეიძლება, ხალხს ჩემი გარეგნობითა და მოსაზრებებით ვაღიზიანებ, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, მერწმუნეთ, ადამიანს უმიზეზოდ არასდროს ვაწყენინებ.



*იმის გასარკვევად, თუ რას ფიქრობენ პანკებზე არაპანკი მოზარდები, თინეიჯერებს დავუკავშირდი.*

**სალი,** *18 წლის:*

— ადამიანი, რომელიც რაღაცას განსხვავებულად აღიქვამს და აკეთებს, არ უნდა გარიყო. პანკებს თავიანთი სამყარო აქვთ და თუ არაფერს დავუშავებთ, აგრესიულები ნამდვილად არ არიან. მერე რა, თუ ალკოჰოლი მოსწონთ ან ეწევიან? ასეთ რაღაცებს არაპანკი, ძალიან ზრდილობიანი „დედიკოს გოგონები“ და ბიჭებიც ეტანებიან. რაც შეეხება მათ ჩაცმულობას, არ მომწონს, ბინძურად რომ აცვიათ, თორემ დახეული ჯინსის ჩაცმა მეც მიყვარს.

**მიმი,** *17 წლის:*

— პირადად მე, ასეთი ბავშვები არ მაღიზიანებს და მათთვის ხურდაც ბევრჯერ მიმიცია. ზუსტად ვიცი, იმ თანხით სასმელს იყიდდნენ, მაგრამ ღმერთმა შეარგოთ. სხვათა შორის, ალკოჰოლი მეც მიყვარს. მართალია, ლოთი არა ვარ, მაგრამ ზოგჯერ სიამოვნებით ვთვრები... პანკებს ბევრი აგინებს: ქუჩაში დაწანწალებენ, ნეტავ, პატრონი არა ჰყავთო? ამ დროს კი, თავად შესაძლოა, უარესსაც აკეთებდნენ. სხვათა შორის, არა მგონია, ისინი ნამდვილი პანკები იყვნენ — უბრალოდ, ასე უწოდებენ საკუთარ თავს, რადგანაც სხვებისგან გამორჩეულები არიან და პანკ-როკი მოსწონთ.

— **შენი აზრით, როგორები არიან ნამდვილი პანკები?**

— ნამდვილი პანკი აგრესიულია, ზედმეტად თავდაჯერებული, პატივმოყვარე და არა მგონია, ჩვენი „პანკუშკები“ ასეთები იყვნენ. იცით, მე ისეთ პანკსაც ვიცნობ, რომელიც როკის სიყვარულს იმიტომ იჩემებს, რომ სხვებისგან გამორჩეული იყოს, სინამდვილეში კი რეპზე გიჟდება. არ მესმის, რატომ უნდა ავყვე მოდას და ვუსმინო ისეთ მუსიკას, რომელიც სიამოვნებას არ მანიჭებს...

**სერგი,** *16 წლის:*

— ადრე როკი ძალიან მომწონდა და ერთი პერიოდი, პანკობას მეც ვიბრალებდი. ამის გამო ჯერ თმა ავიჭრელე, ტანსაცმელიც მივჭერ-მოვჭერი, „ჩემნაირებსაც“ დავუახლოვდი, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ მივხვდი, რომ ასეთი ცხოვრება არ მიტაცებდა. როკს დღემდე ვუსმენ, მაგრამ ნამდვილად არ მინდა, ქართველ პანკებთან ვიურთიერთო.

— **რატომ, ეს სურვილი რამ გაგიქრო?**

— ისინი თავისუფლების მონები არიან. თავისუფლებით კი არ ტკბებიან, არამედ ამასაც სამარიაჟოდ იყენებენ; ზოგჯერ ძალიან კომპლექსიანმა ადამიანმა შეიძლება, იმის მტკიცება დაგიწყოს, რომ ქარივით თავისუფალია — ეს გამაღიზიანებელია!

**მალინა,** *15 წლის:*

— ამბობენ, რომ მათ ღმერთი არ სწამთ, მაგრამ არა მგონია, ეს სიმართლე იყოს. პირადად მე, პანკები არ მაღიზიანებს. ჩემს კლასში 2 პანკი გოგონაა და ისინი არავის არაფერს უშავებენ. მერე რა, რომ უცნაური ჩაცმულობითა და ვარცხნილობით გამორჩევიან? ვისაც რას უნდა, იმას გააკეთებს, ეს არავის საქმე არაა. მეც მიყვარს აჩეჩულ-დაჩეჩული ჩაცმა და ვერ ავიტან, ამის გამო ქუჩაში შეურაცხყოფა რომ მომაყენონ.

■

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

## წვეთი პოეზია



ცისფერყანწელები — ტიციან ტაბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი

### სენტიმენტალური ტრიოლეტი

ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში, ნაზი ბეღურა,
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი,
შენ სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა,
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში, ნაზი ბეღურა.

მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს მეხურა.
ვტიროდი ხარბად – მარტოობით ნაალერსალი.
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში, ნაზი ბეღურა,
ვით შემოდგომის ღამეებში, თეთრი ვერსალი.

*ვალერიან გაფრინდაშვილი*

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

### თ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-41

**თაბახი** არაბ. — 1. ხის დიდი ლანგარი; 2. გარკვეული ზომის საწერი ქაღალდის ფურცელი; 3. ნაბეჭდი ტექსტის აღრიცხვის ერთეული.

**თაბუნი** არაბ. (ძვ. და კუთხ.) — გუნდი, ჯგუფი (ადამიანებისა, ცხოველებისა...)

**თავაზი** არაბ. — ზრდილობა, პატივისცემა, მორიდება.

**თავანი** — იგივეა რაც სხვენი.

**თავგზიანი** — ყოჩაღი, მარჯვე, ფხიანი.

**თავდავლა** — გზის მოჭრა, წინიდან დახვდომა.

**თაველი** — 1. ღომისა და ზოგიერთი სხვა მარცვლოვნის ყვავილედი; 2. საქართველოს ზოგ კუთხეში — სახელწოდება ყოველგვარი თავთავისა.

**თავთუხი** — ხორბლის ერთ-ერთი სახეობა: აქვს მკვრივი ფხიანი თავთავი და მსხვილი მარცვალი.

**თავნი** (ძვ.) — ძირითადი თანხა სარგებლით გასესხებული ფულისა, რომელსაც ვაჭარი ატრიალებდა.

**თავრიელი** — საქონლის თავის ტყავი.

**თავჩითი** — ჩითის ხილაბანდი.

**თავჩობანი** — მთავარი ჩობანი, უფროსი მწყემსი.

**თავხე** — მთავარი კოჭი, რომელიც სახლის სახურავის გასამართავადაა გადებული.

**თათა!** — შეძახილი ძაღლის გასაგდებად.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# აკაკი ბაქრაძე



ის კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე გახლდათ. როგორც უაღრესად განათლებულ ადამიანს, ბევრი ტკივილი აწუხებდა — საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა, სამშობლოს მძიმე მდგომარეობა, კომუნისტური რეჟიმი, ქართული ენის დამცირება... და ამ ტკივილით ქმნიდა დიდებულ ნაშრომებს. აკაკი ბაქრაძემ ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში აზროვნების ახალი მანერა დაამკვიდრა. მისი ნარკვევები სხვაგვარი თავისუფლებით სუნთქავს. მისი პუბლიკაციები პრობლემის გლობალურად დამუშავების საუკეთესო ნიმუშია. ის ყველგან და ყოველთვის სწვდება და წარმოაჩენს მოვლენის არსს, რასაც საოცარი სტილითა და სისადავით აღწევს. ამიტომაც არის იგი ნებისმიერი მკითხველისთვის ერთნაირად საინტერესო და გასაგები. ამ გულწრფელობის ჯილდოდ კი საზოგადოების ნდობა და სიყვარული დაიმსახურა...

აკაკი ბაქრაძე დაიბადა 1928 წლის 29 მარტს; 1948 წელს ოზურგეთში, დაამთავრა საშუალო სკოლა, 1953 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილების ჯერ რედაქტორად, უფროს რედაქტორად, შემდეგ სასცენარო სარედაქციო განყოფილების მთავარ რედაქტორად. სხვადასხვა წელს იყო რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრების ხელმძღვანელი. აკაკი ბაქრაძემ პირველი წერილი ჟურნალ „ცისკარში“ (რეცენზია ფილმზე — „ჩვენი ეზო“, 1954 წ.) გამოაქვეყნა. 1966 წელს გამოსცა პირველი წიგნები, კინოკრიტიკული ეტიუდები და კრიტიკული წერილები...

იგი ავტორია წიგნებისა: „ფიქრი და განსჯა“, „კრიტიკული გულანი“, „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“, „პილპილმოყრილი მადლი“, „რწმენა“, „მწერლობის მოთვინიერება“, „ილია და აკაკი“, „დაწუნებული გზა“... იგი 1989 წელს აირჩიეს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტად, ლექციებს კითხულობდა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; 1995 წელს აირჩიეს გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. აკაკი ბაქრაძე გარდაიცვალა 1999 წლის 5 დეკემბერს. ■

**„არის ნიჭი მწერლისა და არის ნიჭი მკითხველისა. მკითხველის ნიჭი არანაკლებ საჭიროა, ვიდრე მწერლისა. რა დიდებული წიგნიც უნდა დაწეროს მწერალმა, მნიშვნელობა არა აქვს, თუ მას ნიჭიერი მკითხველი არ კითხულობს“.**





**„ჯერ არ შემხვედრია ამქვეყნად ადამიანი, ვისაც ცხოვრება უშეცდომოდ გაუვლია. მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი გამოჩენილი პიროვნებაა და ცხოვრებამ მძიმე ტვირთი დააკისრა. მომავალი თაობების ვალია, ცივი ობიექტურობით აწონოს ავ-კარგი ამა თუ იმ მოღვაწეობისა და ყველაფერს საკადრისი მიუზღოს: კარგს — კარგი, ავს — ავი“.**

# ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად



**იაკობ გოგებაშვილი**

**ისტორიული ამბავი**

ეს ამბავი მოხდა სამასი წლის წინათ, მეთექვსმეტე საუკუნის დამლევში: ამ დროს საქართველო აღარ შეადგენდა ერთეულს და ძლიერს სახელმწიფოს, როგორიც იყო იგი თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის დროსა. წინააღმდეგ ამისა იგი დაყოფილი იყო რვა ნაწილად: სამს სამეფოდ და ხუთ დამოუკიდებელ სამთავროდ. ყოველს ნაწილს თავისი მემკვიდრეობითი მბრძანებელი ჰყავდა და განცალკევებული სცხოვრობდა. სამწუხაროდ, ამ მბრძანებლებს ხშირად მოსდიოდათ ერთმანეთში შინაური ომი და იმის გამო ძლიერ უძლურდებოდა ჩვენი ქვეყანა, გარეშე მტრების სათელავი ჰხდებოდა.

ქართლის მეფემ, სვიმონმა მოიწადინა შეერთება მთელის საქართველოისა, გაილაშქრა დასავლეთისაკენ, გადალახა სურამის მთა და დაიპყრო ჯერ რაჭა, მერე იმერეთი. იმერეთის მეფე როსტომი გაიქცა თავისი ჯარით თავის სიმამრთან, სამეგრელოს მთავარ დადიანთან და სთხოვა შემწეობა. სვიმონიც ჯარით უკან დაედევნა როსტომსა. ქართლის ძლევამოსილს ჯარს თანა ჰქონდა ვეებერთელა ზარბაზნები და საომრად მშვენივრად იყო აღჭურვილი. მთავარს დადიანს იმედი არა ჰქონდა გამარჯვებისა და ამიტომ მოიწადინა ზავი ჩამოეგდო. მან გამოუგზავნა მეფეს მოციქული და შემოუთვალა: — „დიდებულო მეფევ, გთხოვთ პატივი დამდო და შეირიგო სიძე ჩემი როსტომ და მისცე მას სარჩო მამული და იყოს იგი დამონებული და მორჩილი ბრძანებისა თქვენისა, და მეც ვიქნები დამორჩილებული, როგორც ერთი თავადი შენი ერთგული და მონა, მორჩილი ბრძანებისა თქვენისა, და ესე ერთობით დაიმკვიდრო საქართველო, ვითარცა პირველ დავით აღმაშენებელმა“.

მეფე სვიმონ იყო მეტად გამბედავი და უშიშარი მეომარი; თავს არასდროს არა ზოგავდა ქვეყნისათვის, უყვარდა ხალხი და ფხიზლად ზრუნავდა მისს კეთილდღეობაზე. მაგრამ ხუსტური სჭირდა და ხანდახან იმისთანა რასმე ჩაიდენდა, რაც არ შეეფერებოდა მის ჭკუასა და ხასიათსა. სამწუხაროდ, ამ დროსაც მეფეს ეს ხუსტური დაემართა და გაჩაღხული საქმე უკუღმა დატრიალდა. იგი დადიანის თხოვნას სიამაყით მოეპყრა, არავის რჩევა არ გაიგონა, გაჯიუტდა, უარი შეუთვალა და მოითხოვა სრული დამორჩილება უპირობოდ. ეს უარი იწყინეს და უმართებულოდ ჩასთვალეს არა მარტო მეგრელებმა და იმერლებმა, არამედ ქართლელებმაც. პირველნი გაცეცხლდნენ და სიმამაცით აივსნენ, მეორენი შეძრწუნდნენ და ომის უნარი თითქმის დაჰკარგეს.

დადიანმა მარჯვედ ისარგებლა ამ გარემოებით. იგი თავისი ჯარით სვიმონ მეფეს მოულოდნელად თავს დაესხა სისხამ დილაზე ბინდისას და ისიც როგორ ადგილას? ჭაობიანში, სადაც ცხენოსანი ჯარის და ზარბაზნების მოხმარება უხერხული იყო. ამასთან ქართლელებს არც გული ერჩოდათ ომისათვის, რომელიც საჭიროდ აღარ მიაჩნდათ მას უკან, რაც დადიანმა მორჩილება შემოუთვალა სვიმონ მეფესა. ამისთანა გარემოებაში მყოფს ჯარს დამარცხება ვერ ასცდებოდა და ქართლელებიც დამარცხდნენ, დამარცხდნენ იმდენად, რომ ყველა მათი ზარბაზნები მეგრელებს ჩაუვარდათ ხელში.

როგორც მეტად გამოცდილმა მეომარმა სვიმონ მეფემ ადრიდანვე შეიტყო, რომ ომს წააგებდა და რათა ტყვედ არ ჩავარდნოდა ხელში მოწინააღმდეგეთ, უცებ პირი უკან ჰქნა და თავის ბედაურით მარტოდმარტო გამოსწია ჩუმად აღმოსავლეთისაკენა. მოდიოდა საოცარის სისწრაფითა. გამოიარა ჯერ სამეგრელო, მერე ქვემო იმერეთი, ამოვიდა ზემო იმერეთში, გადმოლახა სურამის მთა, გამოიარა ზემო ქართლი და მოუახლოვდა თბილისს, ღამე უსწრო სოფელს კავთისხევში, თანაც საშინელს დაღლილობასა გრძნობდა. მეტი ღონე არ იყო, უნდა აქ სადმე დაესვენა. კავთისხევში სცხოვრობდნენ თავადებიც, აზნაურებიც და გლეხებიც. პირველებს მეფე მოერიდა და ერთის ღარიბის ქოხს მიადგა ცხენდაცხენ.

სახლის პატრონები უკვე შელაგებულნი იყვნენ შიგნით. — „ოჯახიშვილო ერთი გარეთ გამოიხედე!“ — შესძახა სტუმარმა. იმავე წამს ქოხის კარები გაალო ხნიერმა დიასახლისმა და ანთებული კვარით ხელში გარეთ გამოვიდა, თან მას გამოჰყვა პატარა ცქვიტი ბიჭი. ამათ მეფე ვერ იცნეს, რადგანაც არსად არ ენახათ, — „ვინა ბრძანდებით?“ — შეეკითხა დიასახლისი. — „მე ვარ ქართველი, კეთილშობილი, დასავლეთიდან მოვდივარ, დავიღალე, დამიღამდა და ცოტა ხნობით მისტუმრეთო“. — „მობრძანდით, თქვენი ჭირიმე“, — ტკბილად უთხრა დიასახლისმა: — „მართალია, თქვენი საკადრისი არა გვაბადია რა, მაგრამ არას კი დავიშურებთ, რაც ღმერთს მოუცია“.

სტუმარი გადმოხტა ცხენიდან, რომელიც დედის ბრძანებით პატარა ბიჭმა ჩამოართვა და იქვე ტარება დააწყებინა, რადგანაც ბედაური ოფლში ცურავდა. დიასახლისი კვარით შეუძღვა უცნაურს სტუმარს დაბლა ქოხში. სტუმარი თავდაღუნული შეჰყვა შიგნით და ქართველურად წარმოთქვა: — „აქა ღვთის წყალობა!“

— ღმერთმა ნურც თქვენ მოგაკლოს თავისი უხვი წყალობა“, — სამაგიეროდ უთხრა დიასახლისმა. — „დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე“, — თავაზიანად მიმართა დედაკაცმა. სტუმარი დაჯდა დაბალს ტახტზე, რომელიც დაფენილი იყო სუფთა ჭილობით. დიასახლისმა მაშინვე ხელი დაბანა და მოართვა ყველი, პური, მწვანილი და ერთი ხელადა ღვინო. სტუმარს ძლიერ მოშივნოდა და ისე გულიანად შეექცა ამ ღარიბს ვახშამსა, რაც ერთს მდიდარს ვახშამს მისთვის ამოდენა სიამოვნება არ გამოუტარებია. ამ დროს ქოხში შემოვიდა პატარა ბიჭი და სტუმარს მოახსენა: — „ცხენის ფიქრი ნუ გაქვთ. მე ის ჯერ კარგად ვატარე და ახლა ქერი მივეცი საჭმელად“.

— „გაგზარდა ღმერთმა და შენი სიკეთეც გადამახდევინოს“, — უთხრა სტუმარმა

დიასახლისმა ჰკითხა: — „დასავლეთიდან მობრძანდები, იქნება ლაშქრობის ამბავი მოგეხსენებოდეს; მიბრძანე შენი ჭირიმე; რა იქმნა ჩვენი ძვირფასი მეფე, ხომ ცოცხალი ბრძანდება, ომიდან ხომ მშვიდობით გამოვიდაო“, და სხვანი. სტუმარმა უპასუხა: — „სამწუხაროდ, მე მეფისა სრულიად არაფერი ვიციო“. — შემ-

დეგ ჰკითხა ამბავი თავისი ქმრისა და ვაჟისა და იმათი ნიშნებიც დაუსახელა. სტუმარმა ახლაც იგივე უპასუხა: — „არც ის ვიცი, თუ რა შეემთხვა მეფის ლაშქარსაო“.

დიასახლისი მეტად მწუხარე შეიქმნა. ამოუჯდა გული და მდუღარე ცრემლები გადმოსცვივდა თვალებიდან. სტიროდა უფრო მეფეზე, ქვეყნის პატრონზე, ვიდრე თავის ქმარშვილზე და იტყოდა: — „ნეტავი უფალმა წყალობა მიიღოს ჩვენს მეფეზე, გვაღირსოს მისი მშვიდობით მოსვლა და სხვანი ყველანი სპანნი მისნი ჭირისა მისისა სანაცვლო იყოსო“.

ასეთი გულწრფელი და გულუბრყვი სიყვარული მეფისადმი სტუმრის ნაღვლიანს გულს სწორედ მალამოდ დაედო და მოაფინა მასში იდუმალი სიხარული.

სტუმარი წასასვლელად ადგა. დიასახლისმა ბევრი სთხოვა: — „ამაღამ ჩვენთან მოისვენეთ და ხვალ წაბრძანდითო“; მაგრამ უცნაურმა სტუმარმა უპასუხა: — „თბილისში ძლიერ საჩქარო საქმე მაქვს, ხვალ დილით უთუოდ იქ უნდა გავჩნდე და ერთს საათსაც ველარ დავიგვიანებ აქაო“. გამოესალმა, მადლობა გადაუხადა, შეჯდა თავის ბედაურზე და სწრაფად გასწია ქვევით, აღმოსავლეთისაკენ. დიასახლისს ეგონა, უბრალო აზნაურიშვილს გავუმასპინძლდიო; მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მოტყუებული იყო, და ისეთნაირად, რომ ღმერთმა ყველას არგუნოს წილად ამისთანა მოტყუება.

გაიარა ცოტა ხანმა და ამ ქოხის პატრონები მამა-შვილნი მალე დაბრუნდნენ მშვიდობით და უვნებლად ლაშქრიდან თავის საყვარელ ქოხში. დიასახლისმა დაწვრილებით უამბო იმ უცნაურის სტუმრის წვევა და დაუსახელა ყველა მისი ნიშნები, რამაც ძლიერ გააოცა ახალმოსულნი მეომარნი. გააოცა იმის გამო, რომ ნიშნები მეფისანი იყო, მაგრამ მალე სანეტაროდ აიხსნა ეს გამოცანა.

მშვენიერი კვირა დღე იდგა. კავთისხევის მცხოვრებნი სულ გარეთ იყვნენ და მზის სხივებით სტკბებოდნენ ზოგი ბანებზე და ზოგიც კარ-მიდამოზე. უცებ აღმოსავლეთიდან შარაგზით შემოვიდა სოფელში შნოიანი და ლამაზი ეტლი. დატვირთული სხვადასხვა ძვირფასი ნივთებითა. ეტლს წინ მოუძღოდა კარგად ჩაცმული ცხენოსანი.

— „სადა სდგას გლეხი ქვლივიძე?“ — ჰკითხა ცხენოსანმა წინ დახვედრილს ხალხსა. — „აი აგერ იმ ქოხშია“, — ანიშნეს გლეხებმა. ცხენოსანი და ეტლი მალე გაჩნდნენ ქოხის წინა და თავს წაადგნენ მთელს სახლობას, რომელიც გარეთ იჯდა.

— „თქვენ ხართ ქვლივიძეანი? — ჰკითხა ცხენოსანმა. ყველანი ზეზე წამოდგნენ და უფროსმა მოახსენა: — „ჩვენ გახლავართ, შენი ჭირიმე? „ყველა შეკრთა და შეშინდა, და არც გასაკვირველია, რადგანაც გლეხის ცხოვრებაში არაჩვეულებრივს მოვლენას თითქმის ყოველთვის მწუხარება მოჰქონდა და მოაქვს. ცხენოსანმა ხმამაღლა წარმოსთქვა: — „ჩვენმა მოწყალე მეფემ სვიმონმა მადლობა შემოგითვალათ კარგი ქართველური მასპინძლობისათვის და სამაგიეროდ გამოგიგზავნათ საუკეთესო საფენი, ავეჯეულობა, ტანისამოსი, ჭურჭელი, იარაღი და სხვა. და, გარდა ამისა გიბოძათ წყალობის წერილი ანუ სიგელი. ამ სიგელით თქვენ გენიჭებათ აზნაურობის ხარისხი, გეძლევათ მამულ-დედული და ყმები, დასახლებული ამ მამულზე“. — და გადასცა სიგელი ოჯახის უფროსსა.

საწყალი გლეხის სახლობა სულ დაიბნა მეტისმეტის სიხარულისაგან და არ იცოდა, როგორ გადაეხადნა მადლობა.

ამ გაბედნიერებული გლეხების ჩამომავალნი ახლაც ცხოვრობენ სოფელს კავთისხევში და იწოდებიან აზნაურ ქვლივიძეებად.

■






# ინტერვიუ მიცვალებულთან

დასაწყისი იხ. „გზა" №24-41

რუსუდან ბერიძე

— მეხუმრებით, ხომ? — კუზმინს სახეზე უნდო ღიმილმა გადაურბინა.

— დამიჯერეთ, ნამდვილად არ მეხუმრება.

— და მერე?.. უკვე ჩაიდინა რამე?

— სამწუხაროდ, კი.

— მაინც რა?

— უკვე ხუთი თუ ექვსი ადამიანი გაუყენა საიქიოს გზას და კაცმა არ იცის, კიდევ რა მზაკვრული გეგმა მწიფდება მის გაცხელებულ ტვინში.

— შეუძლებელია! — წამოიყვირა გაოგნებულმა კუზმინმა.

— სამწუხაროდ, ასეა. ეტყობა, თქვენმა ხელმძღვანელმა დაძაბული გონებრივი მუშაობისგან საბოლოოდ გაუბერა.

— მაინც შეუძლებელია, — ჯიუტობდა კუზმინი.

— ის დაუნდობლად კლავს ყველას, ვინც მას პირადად იცნობდა და იმათაც, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია და მისი ცნობა შეუძლია.

— მაინც არ მჯერა, — კიდევ ერთხელ გაიმეორა კუზმინმა, ოღონდ ამჯერად უკვე უმწეო ბავშვივით მოიბუზა.

— თქვენი ჯგუფიდან ერთ-ერთი, ანატოლი ლიტვინი უკვე მკვდარია.

— ტოლია ლიტვინი? — თვალები უცნაურად გაუფართოვდა კუზმინს. — კი, მაგრამ რატომ? რისთვის?

— ეგ თქვენს შეშლილ ხელმძღვანელს უნდა ჰკითხოთ. თუმცა — არა, მასთან შეხვედრას ნამდვილად არ გირჩევთ. ის კი არა და, ჩვენ აქ მხოლოდ იმისთვის ჩამოვედით, რომ მისგან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გაგაფრთხილოთ.

— მეეე? — უცნაურად გაწელა კუზმინმა.

— დიახ, თქვენ.

— კი, მაგრამ მე რატომღა უნდა მომკლას?

— ზუსტად იმიტომ, რატომაც სხვებს ხოცავს: თქვენ მას პირადად იცნობდით.

— არა, ეს ნამდვილი სიგიჟეა, — აკანკალებულ ხელებში ჩარგო თავი კუზმინმა.

— ამაში მეც გეთანხმებით, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება.

— მოიცა, მოიცა! — თავი სწრაფადვე ასწია კუზმინმა. — იცით, რომ მთელ ამ უცნაურ ამბავში ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი გრჩებათ მხედველობიდან?

— რა მომენტი?

— ის, პატივცემულებო, რომ ორეხოვი რუსეთშია, მე კი — აქ, საქართველოში და არა მგონია, ამხელა მანძილზე რამე დამიშავოს.

— დანამდვილებით ვიცით, რომ თქვენი ხელმძღვანელი საქართველოშია. უფრო მეტიც, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ის უკვე ქუთაისშიცაა და... — სათქმელი აღარ დაასრულა ლაშამ.

— აი, ხათაბალა თუ გინდა, ეს არის, — თავი ისევ უმწეოდ ჩაქინდრა კუზმინმა. — ისე, გული კი მიგრძნობდა, რომ ოდესმე კიდევ შევხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ... ისე, ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, იცით, რამხელა მეცნიერს დაკარგავს მსოფლიო?!

— როგორ ფიქრობთ, ორეხოვი პროექტის დამოუკიდებლად დასრულებას შეძლებდა? — თემის დროულად შეცვლა გადაწყვიტა დაზაფრული კუზმინის შემხედვარე ლაფაურმა.

— გარკვეულ გარემოებებში ალბათ, შეძლებდა. პროექტი ხომ უკვე ისედაც დასრულების სტადიაში იყო. მაგრამ ეს ისეთ უზარმაზარ თანხებთან იქნებოდა დაკავშირებული, ორეხოვს რომ არც მოლანდებია.

— თუ დავუშვებთ, რომ მან ასეთი ფულის შოვნაც შეძლო, მაშინ? — მაინც არ მოეშვა ლაფაური.

— მაშინ ჩათვალეთ, რომ წინ აღარაფერი დაუდგებოდა, მაგრამ მოიცათ... ამას ასე დაჟინებით რატომ მეკითხებით?

— იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ ასეთ შემთხვევაში გიჟის ხელში უახლესი სარაკეტო იარაღი აღმოჩნდება. და თუ ერთ დღესაც მოეჩვენება, რომ მას მარტო ადამიანების გარკვეული ჯგუფი კი არა, მთელი მსოფლიო იცნობს, მაშინ ალბათ, თვითონვე მიხვდებით, რაც მოხდება.

— არა, არა... — ხელები უმწეოდ გაასავსავა კუზმინმა.

— დაგვეხმარეთ მის მოძებნაში! — წამოიძახა უცბად ნათიამ, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მამაკაცების საუბარს სულგანაბული უსმენდა.

— მაგრამ როგორ? — გაუკვირდა კუზმინს. — მე ხომ ორეხოვის შესახებ აღარაფერი ვიცი. ერთმანეთი მას შემდეგ არ გვინახავს, რაც პროექტი დაგვიხურეს. ისიც კი თქვენგან შევიტყე, რომ საქართველოშია.

— ის მაინც თუ იცით, რომ ოფიციალურად, დაღუპულად ითვლება? — გაახსენდა ლაშას.

— ეგ როგორ?

— როგორ და შარშან ქუთაისიდან აფრენილი თვითმფრინავი რომ ჩამოვარდა, ისიც იმ თვითმფრინავის მგზავრებს შორის ირიცხება. თუმცა სინამდვილეში ალმოდებული თვითმფრინავიდან როგორღაც ცოცხალმა გამოაღწია.

— ვცნობ მის ხელწერას, — გაეღიმა კუზმინს, — ტყუილად კი არ გვეხუმრებოდა ხოლმე, ცეცხლში არ ვიწვი და წყალში არ ვიძირებიო... მაგრამ თუ ოფიციალურად, დაღუპულად ითვლება, თქვენ საიდანღა გაიგეთ, რომ გადარჩა?

— მაშველებმა ნახეს კატასტროფის ადგილის სიახლოვეს, თუმცა მათ გზააბნეულ გეოლოგად გააცნო თავი...

— გეოლოგადო? — თვალები ეშმაკურად აუციმციმდა კუზმინს. — რას არ მოიგონებს ეს კაცი?! მოიცა, მოიცა!.. — უეცრად შუბლზე ხელი გამეტებით იტკიცა მან. — რა თქვით, სად ჩამოვარდა თვითმფრინავიო?

— მთებში.

— უფრო კონკრეტულად?

ლაშამ კატასტროფის ადგილის მიახლოებითი კოორდინატები დაუსახელა.

— და ორეხოვი როგორ გადარჩა?

— უზარმაზარი ზურგჩანთა ჰქონდა თან, რომელშიც ჩემი ვარაუდით, პარაშუტი უნდა სდებოდა...

— ოჰ, ორეხოვო, შე ძაღლისშვილო! — სახე გაუნათდა კუზმინს. — მაინც შეძელი, ხომ?!.

— რა შეძლო? — თითქმის ერთხმად წამოიძახეს ლაშამ და ნათიამ.

— ვიცი, გეწყინებათ, მაგრამ ორეხოვმა პროექტის დასრულება მართლა მოახერხა, — თითქმის საზეიმოდ გამოუცხადა მათ კუზმინმა.

— ეს საიდანღა დაასკვენით? — გაუკვირდა ლაშას.

— პარაშუტიდან.

ლაშამ და ნათიამ ერთმანეთს — გაკვირვებით, კუზმინს კი აშკარა თანაგრძნობით გადახედეს.

— ვიცი, უკვე მეც გიჟი გგონივართ, — ქალ-ვაჟის მზერა არ გამოჰპარვია კუზმინს, — მაგრამ კიდევ ერთხელ გიმეორებთ: ორეხოვმა ახალი ძრავას შექმნა დაასრულა. ოღონდ, მეტი არაფერი მკითხოთ, მაინც არ გიპასუხებთ.

— რატომ? — გაუკვირდა ლაშას.

— იმიტომ, რომ სიტყვა მაქვს მიცემული.

— ვისთვის?

— ორეხოვისთვის.

— თქვენ მართლა ხომ არ გაგიჟდით? — თავი ვეღარ შეიკავა ლაშამ. — უკვე მთელი საათია, გიხსნით, რომ ეს კაცი მოსაკლავად გეძებთ და თქვენ კი მისთვის მიცემული სიტყვის გატეხაც არ გინდათ?

— დიახ, არ მინდა. უფრო სწორად, არ შემიძლია. და კიდევ: უკვე ისიც დაბეჯითებით შემიძლია, გითხრათ, რომ არც ერთი მკვლელობა, რომელსაც მიაწერთ, სინამდვილეში მას არ ჩაუდენია.

— ეგ საიდანღა დაასკვენით?

— თუნდაც იქიდან, რომ მას ამისთვის უბრალოდ არ სცალია.

— მაინც რითია დაკავებული?

— თავისი ახალი ძრავას გამოცდით.

— საინტერესოა, ამას სად და როგორღა ახერხებს?

— სწორედ იმ მთებში, სადაც ის თვითმფრინავი ჩამოვარდა.

— ?

— განათლებული კაცი ჩანხართ და ალბათ, თქვენც გაგონილი გექნებათ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა სამხედროებს თქვენს მთებში ტყვია-წამლითა და ათასი სხვა რამით სავსე საიდუმლო ბუნკერები ჰქონდათ მოწყობილი. გერმანელებს კავკასიონის გადმოლახვა რომ მოეხერხებინათ, სწორედ იმ ბუნკერებიდან უნდა გაჩაღებულიყო პარტიზანული ბრძოლები...

— კი, ეგ ყველაფერი მეც მსმენია, — გააწყვეტინა მას ლაშამ. — მაგრამ ორეხოვი და მისი გამოგონება აქ რა შუაშია?

— ის თავისი ძრავათი სწორედ ერთ-ერთ ასეთ ყოფილ ბუნკერს აფარებს თავს.

— ამის ასე დაბეჯითებით მტკიცების საფუძველს მაინც რა გაძლევთ?

— ეს ბუნკერი ორეხოვს ჩემთან არაერთხელ უხსენებია.

— კონკრეტულ ბუნკერზე იყო ლაპარაკი?

— ძალიან კონკრეტულზე.

— ზუსტი კოორდინატების დასახელება თუ შეგიძლიათ?

— რატომაც არა?! — საბოლოოდ შეიჭრა როლში კუზმინი.

ლაშამ კოორდინატები სასწრაფოდ ჩაიიშნა და შემდეგ ისევ კუზმინს მიუბრუნდა:

— ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ მაშინაც კი, თუ თქვენს მოსაზრებას ვენდობით და დავუშვებთ, რომ მკვლელობებს ორეხოვი არ სჩადის, თქვენ საფრთხე მაინც გემუქრებათ.

— რატომ? — გულუბრყვილოდ იკითხა კუზმინმა.

— იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ ორეხოვის არაერთი ნაცნობი თუ მეგობარი მართლაც მკვდარია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი, მან თუ არა, ვიღაც სხვამ ნამდვილად დახოცა.

— აჰ, დიახ... — მოიღუშა კუზმინი. — ეგ ნამდვილად აღარ გამხსენებია.

— ერთი სიტყვით, თქვენი აქ დარჩენა მაინც აღარ შეიძლება. იქნებ, გყავთ ამ ქალაქში ისეთი ახლობელი, ვისთანაც ერთხანს მაინც გაათევდით ღამეს?

კუზმინი ცოტა ხნით ჩაფიქრდა.

— პრინციპში, მყავს აქ ერთი რუსი მეგობარი, — დაიწყო მან შემდეგ, — ერთად ვსვამთ ხოლმე...

— ჰოდა, ძალიან კარგი, — შვებით ამოისუნთქა ლაშამ, — ახლავე მასთან უნდა გადაბარგდეთ. ჩვენ კი თქვენს ჯიხურს ვუთვალთვალებთ. დარწმუნებული ვარ, ამ დღეებში მკვლელი აქ უეჭველად გამოჩნდება.

— ჰო, მაგრამ საქმეს რა ვუყო? — გაახსენდა უცბად კუზმინს. — სასწრაფო შეკვეთები მაქვს აღებული და ხალხს ხომ ვერ დავაღალატებ?

— ჯობს, მცირე ხნით დააღალატოთ, ვიდრე სამუდამოდ, — ბოლომდე აღარ დაინდო ის ლაშამ.

— გასაგებია, — თავი დამჯერი ბავშვივით დაუქნია მას დამფრთხალმა კუზმინმა...

— მას შემდეგ, რაც კუზმინმა თავისი მომავალი ადგილსამყოფლის მისამართი ჩააწერინა, ლაშა და ნათია სასტუმროში დაბრუნდნენ და ცოტა წაიხემსეს.

— მაინც როგორ აპირებ იმ ჯიხურის თვალთვალს? — ჰკითხა ნათიამ ლაფაურს. — მთელი დღე იქ ხომ არ დავერჭობით და ნებისმიერ გამვლელს ხომ არ შევეკითხებით, ბოდიში, შემთხვევით კუზმა „საპოუნიკის" მოსაკლავად ხომ არ გამოიარე-თქო?

— რა თქმა უნდა, არა, — მშვიდად მიუგო მას ლაფაურმა. — ახლავე დავურეკავ ჩემს აქაურ კოლეგებს და სიხარულითაც კი დამეხმარებიან.

ტელეფონით ხანმოკლე საუბრის შემდეგ, რომლის დროსაც სენსაციური რეპორტაჟის გაკეთებას შეჰპირდა, ადგილობრივი ტელევიზიის ჟურნალისტებმა ლაფაურს დახმარება მართლაც აღუთქვეს და იმის მტკიცე პირობაც მისცეს, რომ მეორე დილით დანიშნულ ადგილზე მიკროავტობუსითა და აუცილებელი აღჭურვილობით მივიდოდნენ.

— ერთი პრობლემა უკვე გადავჭერით, — ხელები კმაყოფილებით მოიფშვნიტა საუბრის შემდეგ ლაშამ.

— კარგია, როცა ბევრი მეგობარი გყავს, — დაუფარავი შურით სავსე თვალები შეანათა მას ნათიამ.

— შენც გეყოლება, — უპასუხა მას ლაშამ, — აუცილებლად გასწავლი, ამას როგორ უნდა მიაღწიო. ახლა კი ჯობს, ცოტა დავისვენოთ. ხვალ დაძაბული დღე გველის...

ერთი სართულით დაბლა, ღრმა სავარძელში მოკალათებული, ყურსასმენმორგებული მოღიმარი ნიკა ბერდიაშვილი ქალ-ვაჟის ნათქვამ ყოველ სიტყვას გულდასმით „კენკავდა" და კმაყოფილი იღიმებოდა...

ერთოთახიანი ბინის ჭუჭყიან სამზარეულოში ორი მამაკაცი არაყს სვამდა და თან რაღაცაზე კამათობდა.

— რას გეტყვი, იცი, კუზმა?— ეუბნებოდა გრიგორი კუზმინს გვარიანად შეზარხოშებული მისი თანამეინახე. — აი, შენ ცნობილი მეცნიერი იყავი, მე — უბრალო ქარხნის მუშა... დღეს როგორაა საქმე? შენც უბრალო ლოთი ხარ და მეც. რა განსხვავებაა ჩვენ შორის? არც არაფერი...

— ცდები, სლავიკ, ძალიან დიდი განსხვავებაა.

— მაინც, მაინც? აბა, ერთი მიბრძანე!

— მე ჩემს ჯიხურში კიდევ ერთი ბოთლი არაყი მაქვს გადამალული, შენ კი უკვე ბოლო ბოთლი გამოყლურწე, — ცარიელ ბოთლზე კუზმინმა სლავიკას ანიშნა და თან ეშმაკურად ჩაიქირქილა.

— ო, ეს ვერ არის კარგი საქმე, — შეწუხდა სლავიკა. — უკვე მართლა ძალიან დიდი უპირატესობა გაქვს ჩემთან შედარებით. არადა, თუ ძმები ვართ, ყველაფერში ძმები უნდა ვიყოთ.



— ანუ?

— ანუ ის, რომ შენი ბოთლიც ამაღამვე უნდა „მივასიკვდილოთ“.

— მაგაზე გაწყენინებ? — თვალი ეშმაკურად ჩაუკრა კუზმინმა სლავიკას. — ახლავე გავვარდები და ოცამდე დათვლასაც კი ვერ მოასწრებ, რომ ისევ აქ გავჩნდები. ოღონდ იცოდე, არ ჩაგეძინოს!

— გაგიჟდი? — შეიცხადა სლავიკამ. — შენ არყის მოსატანად იყო წასული და მე რა ეშმაკმა უნდა დამაძინოს?

მართალია, უკვე შეღამებული იყო, მაგრამ კუზმინი ქუჩას მაინც უშიშრად მიუყვებოდა. ამ უბანში ყველა კუთხეკუნჭულს ზეპირად იცნობდა და რომ დასჭირვებოდა, თავის ჯიხურამდე თვალდახუჭულიც კი სულ თავისუფლად მიირბენდა. თან ამჯერად ჩინებულ ხასიათზე იყო, რადგან ბედმა კიდევ ერთხელ გაუღიმა და ის ახალგაზრდა ქალვაჟი გამოუგზავნა, რომელთაც მოსალოდნელი საფრთხის შესახებ დროულად გააფრთხილეს. „ახლა სლავიკასთან გავათევ რამდენიმე ღამეს და ამასობაში ალბათ, ყველაფერი გაირკვევა, — ფიქრობდა იგი. — თანაც, ცოტა დასვენების უფლებაც ხომ უნდა მივცე თავს? ბოლოს და ბოლოს, წყალსაც გადავივლებ და პირს გავიპარსავ, თორემ მთლად გავველურდი და ესაა“.

კუზმინმა ჯიხურის კარი სწრაფად გააღო და მაშინვე საღებავისა და ძველი ფეხსაცმლის ნაცნობი და ლამის უკვე საყვარელი სუნი ეცა. სინათლეც კი არ აუნთია, ისე დაიხარა და მაგიდის ქვეშ ხელი მოაფათურა, მაგრამ არყით სავსე ბოთლი ადგილზე არ დახვდა და კინაღამ ინფარქტმა დაარტყა. „გევედრები, ღმერთო, ოღონდ ახლა არ გამწირო!“ — საცოდავად წამოიკნავლა მან. მაგრამ უცბად გაახსენდა, ბოთლი ფარდის იქით, კედელში გაკეთებულ ნიშაში რომ გადამალა და მაშინვე შვებით ამოისუნთქა. კუზმინმა ფარდა სწრაფად გადასწია, ბოთლი აიღო და კარისკენ ისე უცბად შებრუნდა, რომ კინაღამ ზედ გადაემხო ვიღაც უცნობს, რომელმაც სახეზე მაშინვე მძაფრსუნიანი დოლბანდი ააფარა...

ლაფაური გაღვიძებისთანავე ლოგინიდან წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. გარეთ შემოდგომის წვიმა ცრიდა, სააბაზანოდან კი წყლის ჩხრიალი ისმოდა. „ეტყობა, ნათია იწესრიგებს თავს“, — გაიფიქრა მან და საათზე დაიხედა. წუთი-წუთზე ადგილობრივი ტელევიზიის რამდენიმე თანამშრომელი უნდა მოსულიყო. თუმცა მანამდე ნათია გამოვიდა სააბაზანოდან და გაუღიმა:

— ყველაფერი რიგზეა?

— მგონი. თუმცა არ მესმის, კუზმინმა ამდენ ხანს რატომ არ დარეკა. ხომ ვთხოვე, დილიდანვე შემეხმიანე-მეთქი.

— ნუ ნერვიულობ. ეტყობა, გუშინ ის და მისი ძმაკაცი კარგად გამოთვრნენ და ჯერ გონს ვერაფრით მოსულა.

— ნეტავ, მართლა ასე იყოს. რატომღაც გული რაღაც ძალიან ცუდს მიგრძნობს, — შუბლი შეიკრა ლაშამ.

ამ დროს ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. ლაფაურმა კარი სწრაფად გააღო და ზღურბლზე მდგარი ორი მოღიმარი ახალგაზრდა დაინახა.

— მოგესალმებით, ბატონო ლაშა, ტელევიზიიდან ვართ, — დაიწყო ერთმა.

— ა, ძალიან კარგი, — გაუხარდა ლაშას, — ზუსტად დროზე მოხვედით.

ცოტა ხანში ადგილობრივი ტელევიზიის ჩამუქებულმინებიანი მიკროავტობუსი კუზმინის ჯიხურთან გაჩერდა. ლაფაურმა გზაში ახალგაზრდებს დაწვრილებით აუხსნა, თუ ამ ჯიხურში მოსალოდნელი ტრაგედიის გათამაშების თავიდან ასაცილებლად და მანიაკი მკვლელის შესაპყრობად რა უნდა გაეკეთებინათ. მანქანაში მჯდარმა ოთხმა მოსულმა ყმაწვილმა ლაშა დააიმედა, მანიაკს ისე უპრობლემოდ ავიყვანთ, პოლიციის ჩარევა საერთოდ არ დაგვჭირდება, და, საერთოდაც, საკმარისია, სამართალდამცავებმა ამ ამბის შესახებ რამე იყნოსონ, რომ აქაურობას ახლოსაც კი აღარ გაგვაკარებენო. ლაშამ ახალგაზრდები ჯიხურთან დატოვა, თავად კი ტელევიზიის მანქანით კუზმინის სანახავად გასწია. მითითებული ბინის კარზე რამდენიმე გაბმული ზარის დარეკვის შემდეგ, კარს იქით ჯერ ვიღაცის ფეხის ხმა, შემდეგ კი ბუზღუნიც გაისმა:

— რომელი ხარ ამ დილაადრიან, რომ ძილს არ მანებებ?

— გრიგორი კუზმინთან ვარ მოსული, — სასწრაფოდ უპასუხა ლაშამ.

ამის შემდეგ კარი ჭრიალით გაიღო და ზღურბლზე სახეშეშუპებული მამაკაცი გამოჩნდა, რომელიც ლაშას უაზროდ მიაშტერდა.

— კუზმინთან ვარ, — გაუმეორა მას ლაშამ.

— კუზმა არ არის, — როგორც იქნა, ამოღერღა მასპინძელმა.

— როგორ თუ არ არის? — ლაშას პირკატა ეცა. — შემპირდა, რომ ღამეს თქვენთან გაათევდა.

— მეც ბევრ რამეს შემპირდა, მაგრამ... — დანანებით ჩაიქნია ხელი მამაკაცმა.

— არ იცით, ახლა სად შეიძლება, იყოს?

— თავის „ბუდკაში“ ეგდება. წუხელ არყის მოსატანად წავიდა იქ და აღარ დაბრუნებულა. ეტყობა, სულ თვითონ გამოყლურწა იმ დამპალმა და იქვე მიიძინა.

— როგორ, წუხელ აქ ღამე არ გაუთევია?

— ხომ გითხარი, არა-მეთქი.

ლაშა ქუჩაში გავარდა, მანქანაში ჩახტა და კუზმინის ჯიხურისკენ გაქანდა. ჯიხურის შორიახლოს მდგარი ახალგაზრდები მაშინვე მისკენ გამოემართნენ.

— ჯერ აქ არავინ გამოჩენილა, — დაიწყო ერთ-ერთმა მათგანმა, მაგრამ ლაშამ ხელის აწევით გააჩერა და მაშინვე ჯიხურთან გაჩნდა. კარი ოდნავ შეღებული დახვდა. ლაფაურმა შიგნით შეიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა. შევიდა, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი წადგა, ფარდა გადასწია და ადგილზე გაშეშდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ამ დროს ჯიხურში შემოსულმა ერთ-ერთმა თანმხლებმა.

— როგორც ჩანს, თქვენმა სენსაციურმა რეპორტაჟმა ჩაილურის წყალი დალია, ბიჭებო, — ამოიოხრა ლაშამ და კედელთან ცოცხალივით მიყუდებულ, შიშით თვალებდაჭყეტილ კუზმინზე ანიშნა.

— ნეტავ, რა დაინახა სიკვდილის წინ, რომ სახეზე ასეთი გამომეტყველება შეეყინა? — გაუკვირდა ახალგაზრდას.

— ამას ალბათ, ველარასოდეს გავიგებთ, — ამოიოხრა ლაფაურმა.

ლანა ზეიკიძე სასტუმროს პირველ სართულზე, ბარში იჯდა და იქ მყოფ არცთუ მიბნედილ მზერას ავლებდა. შიგადაშიგ სიგარეტსაც უკიდებდა და კარგა ხნის წინ გაცივებულ ყავას მოსვამდა ხოლმე. ლანა მეძავი იყო და ამ ბარში მამაკაცების „მოსახსნელად“ დადიოდა. სასტუმროს თანამშრომლები მას უკვე ბარის განუყრელ „ატრიბუტად“ მიიჩნევდნენ და ყურადღებას საერთოდ აღარ აქცევდნენ. მით უფრო, რომ გოგონა ბარში ადგილის „იჯარის“ ფულს ყოველთვის დროულად იხდიდა და არც სხვა მხრივ უქმნიდა აქაურებს რაიმე პრობლემას.

სიტყვა „მეძავი“ ლანას დიდად როდი მოსწონდა, „ბოზი“ კი საერთოდაც, ჭკუაზე შლიდა. სულ სხვა იყო „პუტანა“. ეს სიტყვა მისთვის რაღაც იდუმალად და რომანტიკულად ჟღერდა. თუმცა ამით ლანას ცხოვრებაში არაფერი იცვლებოდა და ყოველთვის ყველა ერთნაირად აგდებით ექცეოდა. საკუთარი ხელობა ლანას, რა თქმა უნდა, არ მოსწონდა და მხოლოდ იმ დღის მოლოდინით ცხოვრობდა, როცა იმდენ ფულს მოაგროვებდა, ამ საქმისთვის თავის დანებების საშუალებას რომ მისცემდა. მაგრამ უკვე ხუთი წელი იყო, რაც დღე და ღამეს ასწორებდა, ამ გზით დაგროვილმა მისმა „კაპიტალმა“ კი ორი ათასი დოლარი ძლივს შეადგინა. ლანას ეს გარემოება ძალიან სტკენდა გულს, რადგან თუ მომავალში ასეც წავიდოდა საქმე, საჭირო თანხის მოგროვებას ბარე ოც წელს მაინც მოანდომებდა. მართალია, ჯერჯერობით ახალგაზრდა და საკმაოდ მიმზიდველიც იყო, მაგრამ მაინც უკვე საკუთარ ასაკზე უფროსად გამოიყურებოდა. ჰოდა, 5-7 წლის შემდეგ რაღა იქნებოდა, ოცზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ლანამ ისიც კარგად იცოდა, რომ მის პროფესიაში ისევე, როგორც სპორტში, ოცდაათი წლის ასაკში უკვე სამწვრთნელო სამუშაოს იწყებენ, ან

არადა, სულაც პენსიაში გადიან. ამის გაფიქრებაზე გოგონას ისეთი სევდა შემოაწვებოდა ხოლმე, რომ მხოლოდ სარფიანი კლიენტის გამოჩენა თუ უხარებდა გულს.

საერთოდვე ცოტა ფულს როდი შოულობდა, მაგრამ არც ხარჯი ჰქონდა ნაკლები: ბინის ქირა და ბარში ადგილის გადასახადი, რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე მუშაობის უფლების გადასახადი და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ. განსაკუთრებით ბევრი ფული მასაჟის კაბინეტში, სალონსა და სატრენაჟორო დარბაზში სიარულში ეხარჯებოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან ყოველთვის კარგ ფორმაში უნდა ყოფილიყო. მისი სხეული ხომ მისი სიმდიდრე და შემოსავლის მთავარი წყარო იყო. აი, ტანსაცმელი კი საერთოდაც საოცარი თანხა უჯდებოდა, მაგრამ ჩიტი ბდღვნად ნამდვილად ღირდა, რადგან საკუთარი გამოცდილებიდან იცოდა, რომ იაფფასიან ტანსაცმელში გამოწყობილ, მოუვლელ გოგონებს კლიენტები დიდად როდი ეტანებოდნენ.

ლანამ სანახევროდ ცარიელ დარბაზს კიდევ ერთხელ მოავლო თვალი: ბარში სულ სამად სამი მისი საკბილო მამაკაცი, ვიღაც მოხუცი ცოლ-ქმარი და სტუდენტების პატარა ჯგუფი შენიშნა. მოხუცები ერთმანეთს ბებრულად ეკურკურებოდნენ, სტუდენტები რაღაცას ხმაურით აღნიშნავდნენ, მამაკაცებმა კი ყავა დალიეს და იქაურობა სწრაფად დატოვეს. „ბედი არ გინდა, — ფიქრობდა ლანა, — ჯერ არც ერთი სოლიდური კლიენტი არ გამოჩენილა. პირი შეკრეს თუ რა არის?“ — კიდევ ერთხელ ამოიოხრა და გულის მოსაოხებლად, სიგარეტს მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და უსაქმურობისგან ფიქრს მიეცა.

ქუთაისში პირველად სულ პატარა, 17 წლისა ჩამოვიდა. მაშინ ის ბუდიდან შემთხვევით გადმოვარდნილი ბარტყივით უმწეო და გამოუცდელი იყო. ან კი სად შეიძენდა გამოცდილებას, როცა იმ დღემდე საკუთარ სოფელს ერთხელაც კი არ იყო გაცილებული. მამა ადრე გარდაეცვალა. საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, დედამ 100 მანეთი მისცა და ქუთაისში გამოუშვა: წადი, შვილო, ისწავლეო...

ლანა სიხარულით მოემზადა. ის ხომ ყოველთვის სოფლიდან გაღწევასა და ქალაქში მოხვედრაზე ოცნებობდა, რადგან გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ყველაზე ბედნიერი და უდარდელი ადამიანები სწორედ იქ ცხოვრობდნენ. ქუთაისში ჩასულმა საბუთები უმაღლეს სასწავლებელში შეიტანა, დროებით საცხოვრებლად კი დედის შორეულმა ნათესავმა შეიკედლა. იმ სახლში კიდევ



ერთი შეძლებული ნათესავი გოგონა იდგა ქირით. გაირკვა, რომ ისიც ლანას ფაკულტეტზე აბარებდა. ლანა დილიდან დაღამებამდე სახელმძღვანელოებს უჯდა, გამუდმებით რაღაცას კითხულობდა და იზეპირებდა, ის გოგონა კი ათასნაირი გასართობით იქცევდა თავს და შინ საკმაოდ გვიან ბრუნდებოდა. როცა ლანა ეკითხებოდა, რატომ არ მეცადინეობ, განა მისაღები გამოცდების არ გეშინიაო?! გოგონა არხეინად პასუხობდა, — ისედაც ყველაფერი ვიციო.

გამოცდების დროც დადგა და ლანამ ყველა წარმატებით ჩააბარა, მაგრამ ინსტიტუტში მოხვედრილთა სიაში მაინც არ აღმოჩნდა. მეორე გოგონა კი, რომელიც მგონი, გამოცდებზე არც კი გასულა, სტუდენტი გახდა.

ლანას გული მოუკვდა და ინსტიტუტის ბაღში, სკამზე მჯდარმა თითქმის მთელი საათი ტირილში გაატარა.

— რამ დაამწუხრა ასეთი მშვენიერი გოგონა? — ჩაესმა უეცრად ვიღაცის სასიამოვნო ხმა.

ლანამ თავი ასწია და არანაკლებ სასიამოვნო გარეგნობის, შუახნის სათვალიანი მამაკაცი დაინახა და, რატომღაც, მაშინვე გულზე მოეშვა. ეს ალბათ იმიტომ დაემართა, რომ იმ მწარე წუთებში გვერდით არც ერთი ახლობელი ადამიანი არ ჰყავდა, ვინც რაღაცით მაინც ანუგეშებდა. ამ უცხო ადამიანმა კი მარტო კი არ შეიცოდა, არამედ გულისყურით მოუსმინა და დახმარებაც კი შესთავაზა.

— იცი, როგორ გაგიმართლა, ჩემო გოგონი, რომ დღეს აქ სწორედ მე შეგხვდი?! — გამოუცხადა მან ლანას მისი ამბის მოსმენის შემდეგ.

ლანამ კი ტირილისგან შეშუპებული, მაგრამ მაინც ლამაზი თვალები გაოცებით შეანათა.

— დიახ, დიახ, ძალიან გაგიმართლა, — თავისას არ იშლიდა უცნობი. — მე სწორედ ის ადამიანი ვარ, ვისაც შენი დახმარება შეუძლია. ამ ინსტიტუტში, ისევე, როგორც სხვა დანარჩენშიც, ცოდნის მიხედვით კი არა, ფულით ხვდებიან.

— მერე მე ფული ვინ მომცა? — ამოისლუკუნა ლანამ.

— შენ ის არც დაგჭირდება, — ბეცი თვალები მოწკურა უცნობმა. — საქმე ისაა, რომ ამ ინსტიტუტის რექტორი ჩემი ძველი მეგობარია. და რადგან ვხედავ, რომ ძალიან დაგჩაგრეს, მეც ავდგები და რექტორთან სიტყვას შეგაწევ.

— მართლა?! — თვალები გაუბრწყინდა ლანას.

— რა თქმა უნდა! აბა, ერთი წამომყევი! — ხელკავი გამოსდო მამაკაცმა გოგონას.

— მაინც სად მივდივართ? — დაინტერესდა ლანა.

— პირდაპირ რექტორთან.

— რექტორთან?! — თვალები გაუფართოვდა ლანას. — მერე უხერხული არ არის? — გულუბრყვილოდ იკითხა მან.

— ისე, შენც მართალი ხარ, — უცბად დაეთანხმა მამაკაცი, — კაცმა არ იცის, რამდენი შემწუხებელი დგას ახლა მის კაბინეტთან. უმჯობესია, დავურეკო და საქმე ისე მოვაგვარო. შენ აქედან ფეხი არ მოიცვალო, ახლავე მოვალ.

მამაკაცი ინსტიტუტის ვესტიბიულში გაუჩინარდა. ლანა კი უკვე ღმერთს მადლობას მადლობაზე სწირავდა, რომ ასეთი მხსნელი გამოუგზავნა...

სულ რამდენიმე წუთში უცნობი სახეგაბრწყინებული დაბრუნდა:

— ყველაფერი რიგზეა. ჩათვალე, რომ უკვე სტუდენტი ხარ. ის კი არა და, რექტორმა მითხრა, რომ შენს საქმეს განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანს.

— მართლა?! — სახე გაუბრწყინდა ლანას. — არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ.

— ამაზე არც იფიქრო! რაღა ადამიანები ვიქნებით, თუ ერთმანეთს არ დავეხმარეთ და მხარში არ ამოვუდექით. მე რომ გამიჭირდეს, რა, შენ კი არ დამეხმარები?

— დიახ... რა თქმა უნდა... აუცილებლად... — სიტყვებს თავს ვეღარ უყრიდა სიხარულით მეშვიდე ცაზე მყოფი ლანა.

— ერთი ეს მითხარი, ქუთაისში სად უნდა იცხოვრო? — დაინტერესდა მამაკაცი.

— მაგაზე ჯერ არც კი მიფიქრია, — დაიბნა ლანა.

— მაშინ, წამომყევი! — კიდევ ერთხელ გამოსდო გოგონას ხელკავი უცნობმა და თან გაიყოლა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# რომანტიკა თუ დანაშაული?!



სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №31-41

საოცრად სანდომიანი და სათნო ქალი აღმოჩნდა მარიკას დედა. ძალიან თბილად მიგვიღო. ნიკა ორივეს გავაცანი, ჩემი გარე ბიძაშვილია-მეთქი. ქალბატონმა მერიმ დაიჯერა, მარიკამ — არა. ეჭვის თვალით გადმომხედა, იფიქრა, რომ თაყვანისმცემელი მახლდა თან და დედამისის გულის მოსაგებად ვთქვი ასე. მერე, როცა სამზარეულოში განვმარტოვდით ყავის მოსადუღებლად, ავუხსენი, ვინც იყო და სხვა რა გზა ჰქონდა, არ დაეჯერებინა?! მოეწონა, კარგი ბიჭიაო. მას კი მოეწონა, მაგრამ ნიკუშას რეაქცია ვერ დავიჭირე, არც კმაყოფილება გამოეხატა სახეზე და არც უკმაყოფილება.

დიდხანს შემოვრჩით მარისთან. მან და ნიკამ საერთო ნაცნობებიც კი გამონახეს, თურმე ერთხანს ერთ სკოლაშიც კი სწავლობდნენ, 53-ში, მერე მარის დედამ დიღომში იყიდა ბინა და მარიც, ძალაუნებურად, სხვა სკოლაში გადავიდა. ძალიან სასაცილო იყო, ერთმანეთი რომ ვერ გაიხსენეს. კარგად ვიხალისეთ. ნიკას ისე გაუტკბა მარიკასთან, სულ დაავიწყდა, სად იმყოფებოდა და შინ წასვლას აღარ ჩქარობდა. მე კი ერთი სული მქონდა, სახლში როდის დავბრუნდებოდი. იმის დარდი მკლავდა, ნიკამ რომ მომაკითხოს, შინ არ დავხვდები-მეთქი. თუმცა, თუ ჩემი მოძებნა მოუნდებოდა, არ გაუჭირდებოდა, ახლა მაინც ჰქონდა ჩემი ტელეფონის ნომერი. წარამარა მობილურის ეკრანს დავჩერებოდი, რომ ზარი არ გამომპარვოდა. ადგილზე ვცმუკავდი მთელი საღამო. ბოლოს მეც მოვეშვი — ჯანი გავარდეს, თუ არ დარეკავს და ისე მომაკითხავს, კეთილი ინებოს და დამელოდოს, თუ არა და, ცოტა იმანაც ინერვიულოს, არაფერი უჭირს-მეთქი! უკეთესიც იქნება, თუ სახლში ვერ დამიგულებს. ჯობია იფიქროს, რომ მის გარეშეც მშვენივრად ვატარებ დროს და სულაც არ ვარ მასზე, თანამედროვე სიტყვა რომ მოვიშველიო, „ჩაციკლული“... არც გადართული... არც შეყვარებული... მაგრამ გასაღები? გასაღები რომ დასჭირდეს? რისთვის? მორიგი ასაკოვანი ქალით რომ გაერთოს? ნურას უკაცრავად! ამის უფლება უკვე აღარ აქვს! უნებურად გამეღიმა.

— რაზე ფიქრობ, ლოლა? — ნიკუშას ჩემი ღიმილი არ გამოჰპარვია.

— რაღაც გამახსენდა, — პირდაპირ პასუხს თავი ავარიდე.

— ვიცი მე, შენი ასაკის გოგოებს რაც ახსენდებათ, შე ყაჩაღანა! მაგის დროა ახლა? პატარა გოგოები უკვე საწოლში უნდა იწვნენ და ღრმა ძილით ეძინოთ.

— რა ვქნა, გენაცვალე, არ მოდიხარ და აქ ხომ არ ჩამოვიძინებ მაგიდაზე? — მხიარულად შევძახე და მარის თვალი ჩავუკარი.

— მართალი ხარ, მართალი, ისე გავერთე, ვერც მივხვდი, დრო როგორ გავიდა. მიკვირს, კრისტი რომ არ მირეკავს, — გაიცინა ნიკამ.

— კრისტი ვინ არის? — ცნობისმოყვარედ აწკიპა მარიკამ წარბები.

„აჰა, დაიწყო!“

— დედამისია, — წავეხმარე გარე ბიძაშვილს.

— დედაჩემია და თან ისეთი ფეთიანი, უარესი არ გენახოთ. წავედით, ლოლიტა, ტკბილი სიზმრების დრო მოახლოვდა, დაო! — პათეტიკურად წარმოთქვა ნიკუშამ და წამოდგა. — სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, ქალბატონებო, არაჩვეულებრივი დრო გავატარე. დიდი მადლობა ჩემს ახტაჯანას, თქვენი თავი რომ გამაცნო, — მადლიერებად დაიღვარა „ნიკა ორი“ და იაპონელივით თითებშეტყუპებულმა უკუსვლით და თავის დაკვრით დაიხია ჰოლისკენ.

— კამიკაძე, რამეს არ გამოედო და არ წაიქცე, — ავკისკისდი მისი შემხედვარე, ეფექტის მოხდენას სასაცილოდ რომ ცდილობდა.

— თქვენ გაიხარეთ, შვილებო, როგორც მე გამახარეთ. ისე გამართეთ, ტკივილი სულ გადამავიწყდა, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, — გულითადად დაგვლოცა მერი დეიდამ...

გზად ჩემს სამსახურთან გავიარეთ, რომ საკუთარ მანქანაში გადავმჯდარიყავი.

— დაგელოდო? — მკითხა ნიკამ, მანქანა რომ გააჩერა.

— არა, რად მინდა, ჩემით ვერ გავაგნებ? აქ უცხო არავინ არის...

— მაშინ გავიქცევი, თორემ დედაჩემი სახლში არ შემიშვებს, — აჩქარდა ნიკუშა.

— წადი, წადი, მაგრამ ის მაინც გეთქვა, როგორი კმაყოფილი ხარ, ის გოგო მოგეწონა? — ღიმილით ვკითხე, სანამ დავემშვიდობებოდი.

— არა უშავს, კარგი ვინმეა. ლამაზიც არის და გულღიაც... კოჭებზე ეტყობა... ვიფიქრებ მაგაზე მე, — „ჩაუდათათუთაშხიავა“. ბოლოს, გადამკოცნა და „აიპისის“ ეზოში დამტოვა.

როგორც ჩანს, მთლად ახლოს ვერ არის მისი ოცნების ქალთან. უკაცრავად, ბატონო ნიკა, მონიკა ბელუჩი რომ ვერ აღმოგიჩინეთ! — სიბნელეს გავუცინე და მანქანის გასაღების მოსაძებნად ჩანთაში ქექვა დავიწყე.

საფეხურები სირბილით ავიარე. ჩემს სართულზე, როგორც ყოველთვის, უკუნ სიბნელეს დაესადგურებინა. რა უბედურებაა, რა გახდა ერთი ნათურა? უნდა დავაყენებინო ვინმეს გარე განათება, ასე სად შემიძლია?!

ნიკას ბინისკენ გავიხედე... ჩამიჩუმი არ ისმოდა, არც შუქი ენთო. რომც ყოფილიყო ვინმე, გარედან მაინც ვერაფერს გავიგებდი. ამ დროს უცნაურმა აზრმა წამომიარა. ძალიან მომინდა, შევსულიყავი და იმ ტახტზე წამოვწოლილიყავი, სადაც წუხელ ჩემი ოცნების მამაკაცს ეძინა, დამეყნოსა მისი სხეულის სურნელით გაჟღენთილი ბალიში... ცდუნება იმდენად დიდი იყო, ვერ ვძლიე, ფრთხილად მივუახლოვდი კარს და გასაღები მოვარგე...

სუნთქვაშეკრულმა შევაბიჯე, თითქოს მეშინოდა, ვინმე არ გამეღვიძებინა. ხელის ცეცებით, კედელ-კედელ შევედი სასტუმრო ოთახში. ერთხანს შევდექი, რომ თვალი სიბნელისთვის შემეჩვია. ჩემი გულის ბაგუნ-გუგუნი გარკვევით მესმოდა. იმედია, ასე გვიან არ წამომადგება თავს და თუ მაინცდამაინც ასე მოხდა, ვეტყვი, რომ ყავის ფინჯნების გასარეცხად შემოვიარე. დილით, ვიბანავე თუ არა, წყალი შეწყდა და

გასარეცხი ჭურჭელი ნიჟარაში ჩავტოვე.

ის იყო, ტახტს მივუახლოვდი, რომ ერთმანეთში არეული ხმები შემომესმა, თითქოს ვიღაც კვნესოდა, თუ ოხრავდა, თუ ტიროდა. გული გადამიქანდა... თითქოს აქვე, ჩემგან ორიოდე ნაბიჯზე, რაღაც იდუმალი ხდებოდა... სუნთქვაშეკრულმა სმენა დავძაბე. ხმა აშკარად საძინებლიდან გამოდიოდა... ელდანაკრავივით შევკრთი... რა ხდება? გული ცუდს მიგრძნობდა... ძალიან ცუდს... საშინელებას...

მუხლები ამიკანკალდა. არ მახსოვს, იმ სიბნელეში როგორ გავიკვლიე გზა, როგორ მივვარდი ოთახის კარს და კი არ გამოვაღე, გამოვგლიჯე...

შუქი არც იქ ენთო...

— რომელი ხარ? — მომესმა ნაცნობი ხმა, რომელსაც ქალის სუსტი შეკივლება მოჰყვა.

ფერმიხდილმა უკან დავიხიე, მაგრამ გამოსვლა ვერ მოვასწარი, რადგან ოთახი განათდა...

ზეწარშემოხვეული ნიკა ჩემგან დაახლოებით ერთი მეტრის დაშორებით იდგა, საწოლში კი... საწოლში სწორედ ის ქალი იწვა, იმ საბედისწერო ასაკის ქალი, იმ ღამეს ნიკა რომ აცილებდა და სახეს მალავდა...

არავის ვუსურვებ, განიცადოს ის, რაც იმწუთას მე განვიცადე. თვალთ დამიბნელდა, წავბორძიკდი, ავლუღლუღდი, არ ვიცი, რას ვბოდავდი... ერთადერთი, რასაც შეგნებულად ვაკეთებდი, იმ ქალის შეთვალიერება და დამახსოვრება იყო... ამის თავი მქონდა, სხვა არაფრის.

— შენ აქ რა გინდა? — გაღიზიანებული ტონით მომვარდა ნიკა, მკლავში უხეშად ჩამავლო ხელი და შემაჯანჯღარა...

შევხედე... გავუღიმე... ვგრძნობდი, ჩემი ღიმილი როგორი დამცინავი იყო... თან განმგმირავი... არა, გამანადგურებელი... უფრო მეტიც, მომაკვდინებელი... „რა საცოდავი ხარ“, — მეწერა ტუჩებზე...

თუმცა იგი ჩემი სახის გამომეტყველებას ნაკლებად აქცევდა ყურადღებას, ამწუთას მხოლოდ ერთი რამით იყო დაკავებული — რაც შეიძლება სწრაფად გამოვეყვანე საძინებლიდან...

მე კი თვალს არ ვაშორებდი ჩემს მეტოქეს... მას ოვალური სახე ჰქონდა, ოდნავ შენაოჭებული, ლამაზი, პაჭუა ცხვირი და ხელოვნურად დაბერილი ტუჩები... საწოლზე წამომჯდარიყო და შეშინებული მომჩერებოდა, თან საბანს იფარებდა მკერდზე, რომ სიშიშვლე დაემალა... იმ საბანს, რომელიც წუხელ მე მეფარა...

— გესმის, რას გეუბნები? — ჩემზე არანაკლებ გაფითრებულმა მეტრეველმა ძალით გამომათრია სასტუმრო ოთახში.

— არ მესმის... — ჩურჩულით ჩავილაპარაკე და თვალები ცრემლით ამევსო.

— რისთვის შემოხვედი, რა გინდოდა? — არ ცხრებოდა ნიკა.

— გასაღები... გასაღები მოგიტანე...

— წადი, აზრზე მოდი და გამოვალ ცოტა ხანში, გასაგებია? — ვერ მოზომა, ისე შემაჯანჯღარა გაავებულმა და გასასვლელისკენ მიბიძგა.

ტკივილისაგან დავიკვნესე... ველარ ვაზროვნებდი, არც ფეხები მემორჩილებოდა... მხოლოდ მაშინ მოვეგე გონს, როცა სადარბაზოში ალმოვჩნდი და ნიკამ კარი ცხვირწინ მომიხურა...

რატომ? რით დავიმსახურე? რისთვის? ერთსა და იმავეს ვიმეორებდი ჩურჩულით და ჩემი ბინისკენ ახალფეხადგმული ბავშვივით მივბარბაცებდი... რწევა-რწევით...

კარის გაღება ვერ მოვახერხე... დიდხანს ვიწვალე... როცა ვერაფერი გავაწყვე, კეფა ცივ კედელს მივადე და ამოვიხრიალე... უცნაურ ხმებს გამოვცემდი... ცრემლებმა სახე ერთიანად დამინამა... მერე... მერე ადგილს მოვწყდი და კიბეზე კისრისტეხით დავეშვი. გავრბოდი... თავადაც არ ვიცი, სად... მანქანაში ჩავჯექი და ისეთი სისწრაფით მოვსხლიტე ადგილიდან, თითქოს უკან მკვლელების მთელი არმია მომდევდა...

მრისხანება ჯერ კიდევ არ ჩამცხრომოდა, მუხლები კვლავ მიკანკალებდა. ვერ შევძელი იმის გახსენება, ბოლო წლების განმავლობაში ასეთი აფეთქება რამდენჯერ მქონია... არადა, ადრე უფრო გაწონასწორებული ვიყავი... დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ, ერთი პერიოდი, ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს, უკიდურესმა დეპრესიამ შემიპყრო, მაგრამ დროთა განმავლობაში, ნელ-ნელა გამიარა. ცოტა მოგვიანებით ცხოვრება მშვიდი რიტმით გავაგრძელე. ყოველთვის ვცდილობდი, მომეთოკა ჩემი თავი და არ მიმეცა უარყოფითი ემოციებისთვის ამოფრქვევის საშუალება. როგორც ჩანს, საკუთარ თავზე ზედმიწევნით ვერ ვიმუშავე...



ავტომატურად მიმყავდა მანქანა. ჩემი გონება ახლა სულ სხვა აზრებით იყო დატვირთული. მხოლოდ მაშინ შემეშინდა, როცა არასაჭირო ადგილას, სადღაც ჩიხში შევუხვიე და კინაღამ კედელს შევეჯახე... ჩემს ქმედებებს ანგარიშს ველარ ვუწევდი. დამუხრუჭება დროზე მოვასწარი... თავზარდაცემულს ცივმა ოფლმა დამასხა... საჭეს ხელებით ჩავაფრინდი და თავი ზედ ჩამოვდე... გაბმულმა სიგნალმა არემარე გააყრუა.

სასწრაფოდ მოვშორდი საჭეს და საზურგეზე გადავწექი... ყრუდ ამოვიკვნესე... თუ ამოვიგმინე... თუ ამოვიტირე... ისე ვიყავი გახევებული, თითქოს მოვკვდი... საკუთარი სუნთქვის ხმაც კი არ მესმოდა.

ეს რა გამიკეთა... რატომ მომექცა ასე, რა დავაშავე? სად ვერ მოვიქეცი სწორად? როდის გავაფუჭე ყველაფერი? იქნებ ნაადრევად მივეცი გაშინაურების უფლება? იქნებ ცოტა უფრო შორს უნდა დამეჭირა თავი? თუ ასეთ ურთიერთობებსაა მიჩვეული და მეც ერთი რიგითი ქალი ვარ მისთვის, რომელსაც პრეტენზიების უფლება არა აქვს? ნუთუ წუხანდელი ღამის შემდეგ ასე უნდა მოქცეულიყო? ნუთუ ჯერ კიდევ ვერ გავიცანი რიგიანად?

გამწარებული ვკვნესოდი და რაც ძალი და ღონე მქონდა, საჭეს თითებს ვუჭერდი, თითქოს ამაში ვხედავდი ხსნას...

კარგა ხანს დავყავი ასე... თანდათან დავწყნარდი... როგორც იქნა, სუნთქვა თანაბარი გამიხდა, მუხლებიც დამიწყნარდა და აფორიაქებამაც გამიარა... როცა დავრწმუნდი, რომ საღ გონებაზე ვიყავი და საშიშროება აღარ დამემუქრებოდა, მანქანა დავძარი...

ხომ ვამბობდი, ცხოვრება ვერაგიამეთქი... ხომ დავასკვენი კიდეც, ბოლოს და ბოლოს... ტყუილად კი არ მაქვს ახირება, როცა ვამბობ, ჩემი ცხოვრება უფერულია და არ მიყვარს-მეთქი. შეიძლება, ამას ჩემი ზოდიაქოს ნიშანიც იწვევს, რადგან მორიელი ვარ, რომელიც ანადგურებს თავის თავს. მეც ხომ ასე გავანადგურე და დავასამარე ჩემი ნახევრად ობოლი ბავშვობა, ჩემი შეურაცხყოფილი, ამოთხრილი საფლავივით დამცირებული მოწიფულობა, დათრგუნვილი, უფერული სტუდენტობა

და, რატომღაც, ყველაფრის თავიდან დაწყება ვცადე?.. არ გამომივიდა? არა უშავს... თუკი გულახდილი ვიქნები, ახლა უფრო ამაღლებულად მივიჩნევ თავს... ჯობს, იყო მსხვერპლი, ვიდრე ჯალათი... ჯობს, შენ გავნონ, ვიდრე შენ ავნო... ყოველ შემთხვევაში, ასე უკეთ ვგრძნობ თავს... ჯერ კიდევ არ არის გვიან, ყველაფრის გამოსწორებაა შესაძლებელი... საბედისწერო შეცდომა ჯერ არ დამიშვია...

კიდევ კარგი...

არ ვიცი, ნიკამ მომაკითხა თუ არა... ამას ახლა ველარავინ მეტყოდა... შეიძლება, იყო კიდეც, შეიძლება — არა... განა ამას მნიშვნელობა ჰქონდა?.. უცნაური ის იყო, რომ როცა მარიკასგან დავბრუნდი, სადარბაზოსთან მისი მანქანა ვერ დავლანდე... იქნებ იდგა კიდეც და ყურადღება არ მივაქციე, რადგან გასაღები მე მქონდა? გამორიცხულია! ეს არ გამომეპარებოდა! მაგრამ მანქანის გარეშე როგორ მოვიდოდა? ტაქსით? სხვისი მანქანით? იქნებ იმ ქალმა მოიყვანა? არ ვიცი...

არადა, რა კარგად აეწყო ურთიერთობა... იმ ავადსახსენებელი დღის პრობლემები, როცა პირველად ვიჩხუბეთ, სადღაც შორს მოვიტოვე... იქ, წარსულში, ძველ ცხოვრებასთან ერთად, სადაც ჩემთვის ყველაფერი მოკვდა, გარდა ჩემი ბავშვობისა... იმ წლებისა, რომელიც დედის გვერდით გავატარე... შეიძლება, არც მოკვდა, მაგრამ ცუდი მოგონებების ყულაბაში გამოვამწყვდიე და საიმედოდ გადავმალე... ისე გადავმალე, ჩემი ფიქრებიც რომ ვერ მისწვდენოდა...

და თითქოს ყველაფერი თავიდან დავიწყე... და ეგრევე შეცდომით... და დაუფიქრებლად... და გაუაზრებლად...

გასაღებების აცმა მაგიდაზე მივაგდე და ფანჯარას მივუახლოვდი... გაბზარულ მინაში ჩემი თავისა და მხრების კონტურების დაჟინებით თვალიერება დავიწყე... როგორ მოკუნტულხარ და დაპატარავებულხარ, ლოლა! ნუთუ ეს შენ ხარ? — სინანულით გავაქნიე თავი...

რა არაეკონომიურად არის ცხოვრება მოწყობილი... უყაირათოდ ძველ, ნახმარ ტანსაცმელსაც კი არ ყრიან ყაირათიანი ადამიანები, ნაჭრებად ხევენ მათ და საოჯახო საქმეებში იყენებენ... მაგრამ ისეთი იშვიათობა, როგორიც სიყვარულია, თუკი არ სჭირდება იმას, ვისთვისაც არის განკუთვნილი, საერთოდ აღარავის სჭირდება. არც ჩემი სიყვარული სჭირდება არავის... არც ჩემი ნიჭი... არც ჩემი ერთგულება... და საერთოდ, მე თვითონ არ ვჭირდები არავის...

რა არის ეს, მელანქოლია? სტრესი? დეპრესია?

სავარძელში ჩავესვენე და ჩემ წინ ერთ წერტილს მივაჩერდი. თვალები გამიშტერდა. იმ წერტილში განსაკუთრებული არაფერი იყო, არც საინტერესო, უბრალოდ, მეზარებოდა მზერის სხვა რამეზე გადატანა. ჩემს ამ მდგომარეობას „რესტრესი“ შეიძლება დაერქვას (როგორც, მაგალითად, პროგრესი და რეგრესი)... რადგან ეს არ არის მთლად სტრესი. უფრო სწორად, ერთდროულად არის კიდეც და არც არის, იმისდა მიუხედავად, მისგან გასათავისუფლებლად რა გზას აირჩევ. გზა კი ორი არსებობს მხოლოდ — აქედან ერთი აივნისკენ მიდის, აივნიდან მიწისკენ, სხეულის თავისუფალი ვარდნის დაჩქარებული ტემპით, მეორე კი — პირიქით, უკან. ანუ, რესტრესიდან უბრუნდები ნორმალურ სტრესს, სტრესიდან — ცუდ ხასიათს, ცუდი ხასიათიდან — ჩვეულებრივ, გაწონასწორებულ მდგომარეობას, გაწონასწორებულიდან კი კარგ განწყობილებას. სულ ეს არის „რესტრესის“ ახალაღმოჩენილი ჩემეული ფორმულა...

მეც ავდგები და მეორე გზას ავირჩევ... უკუსვლით დავუბრუნდები ნორმალურ მდგომარეობას, დავმშვიდდები, დავწყნარდები და აუღელვებლად ვიფიქრებ... სამაგიეროს გადახდაზე... თუ შურისძიებაზე?..

ისეთი გაკრიალებული იყო ახალი ოფისი, გეგონებოდათ, კაფელის ნაცვლად, იატაკი მარმარილოთი მოუპირკეთებიათო. დაიხედავდი ძირს და თავისუფლად შეგეძლო საკუთარი ორეულის დანახვა.

ახალ შენობაში „აიპისის“ ორი სართული ეკავა — მესამე და მეოთხე, ოღონდ გაცილებით დიდი ფართობის, ვიდრე ძველ ადგილას. აქ ყველაფერი მოდერნიზებული იყო — შუშის კედლები, მინით გადატიხრული ოთახები, კომპიუტერები, სათვალთვალო კამერები... მხოლოდ პრეზიდენტის და მისი მოადგილეების კაბინეტები იყო განსხვავებული... თითქოს იზოლირებული... თითქოს შენიღბული...

მესამე სართულზე თანამშრომელთა სამუშაო ოთახები იყო განლაგებული, მეოთხეზე — მთლიანად ადმინისტრაცია. თედოს და ნიკას კაბინეტები ერთმანეთისგან მოშორებით მდებარეობდა, პირველის — დერეფნის თავში, მეორის — ბოლოში. ეს კარგის მანიშნებელი იყო — სავარაუდოდ, ყოველდღე შემეძლო, მისთვის თვალი შემევლო.

მარიკამ ორივე სართული მომატარა, თან გზადაგზა მიხსნიდა, აქ ეს არის, იქ ის არისო... თავი ექსკურსიაზე მეგონა... მუშები ჯერ კიდევ დაათრევდნენ ინვენტარს, ალბათ ვერ მოასწრეს ბოლომდე ყველაფრის გადმოტანა... დამლაგებლებიც საქმიანად დაფუსფუსებდნენ ოთახიდან ოთახში.

— უი, სულ დამავიწყდა!.. იცი, ვიტალი რომ გაათავისუფლეს? — უეცრად გაახსენდა მარის.

— რას მეუბნები? მართლა? როგორ მეწყინა... რატომ? — გულწრფელად შევიცხადე.

— მეტრეველმა შეუსწრო თურმე, კაბინეტში წამალს იჩხირავდა ვენაში...

— წამალს? ვიტალი რა, ნარკომანია?

— ყოფილა თურმე... გუშინდლამდე არავინ ვიცოდით.

— არაფერი ეტყობოდა და...

— ეგა თქვი.

— მის ადგილას ვინ უნდა მიიღონ?

— არ ვიცი, ალბათ ვაკანსიას გამოაცხადებენ.

— შენ რომ გეცადა? — მოულოდნელად მომაფიქრდა.

— გაგიჟდი? მე უკვე მივდივარ აქედან, ამათი არაფერი მინდა! ისედაც, არავინ გამიწევს რეკომენდაციას. მათთვის ერთი ჩვეულებრივი მდივანი ვარ და მეტი არავინ!..

როცა დათვალიერებას მოვრჩით, მე ჩემს ოთახში დავბრუნდი. ვიღაცას ჩემი მაგიდა კოხტად მიელაგებინა, კომპიუტერიც შეერთებული დამხვდა... რა ოპერატიულად უმუშავიათ, აი, მესმის!

ისეთი დამშვიდებული ვიყავი, თავადაც მიკვირდა. დილით არც მაკიაჟი დავიშურე ჩემი სახისთვის, მიუხედავად იმისა, რომ წუხელ წესიერად არ მძინებია. მარიკამაც კი ვერაფერი შემატყო. ერთადერთი, რაც დისკომფორტს მიქმნიდა, მკლავების ტკივილი იყო. წუხელ ისე ძლიერად წამიჭირა ნიკამ, ლამის ძვლები დამამტვრია...

მოკლე, სხეულზე მოტმასნილი და ღრმად გულამოჭრილი კაბა ჩავიცვი და ჩემი თითქმის იდეალური მკერდი, წელი და ფეხები ურცხვად გამოვფინე დღის სინათლეზე. კარგა ხანია, ასეთი მოკლე არ ჩამიცვამს, მაგრამ დღეს ძალიან მინდოდა, გამომწვევი ვყოფილიყავი. დილიდან კოკო შანელის სიტყვები ამეკვიატა: „შეიმოსეთ თვალისმომჭრელად და მათ დაამახსოვრდებათ თქვენი ჩაცმულობა. ჩაიცვით უზადოდ და მათ, უბრალოდ, დაამახსოვრდებათ ქალი“.

ჯერ კიდევ არ ვიცნობდი ყველა თანამშრომელს ხეირიანად, ამიტომაც დერეფანში გამოსულს, ყველა ცნობისმოყვარედ და ინტერესით მაყოლებდა თვალს, თითქოს პირველად მხედავდნენ. ზოგს გაოცება ეწერა სახეზე, ზოგს — აღტაცება, ზოგსაც — ირონია... მხოლოდ მე მეწერა კმაყოფილება... თითქოს ჯიბრიანად ვამბობდი — „შემომხედეთ! დატკბით! ახლა ხომ დარწმუნდით, რომ უზადო სხეული მაქვს და ფეხები ყურებიდან მეწყება?“

თედოსაც კი, რომ დამინახა, შუბლზე აუცვივდა თვალები.

— რაშია საქმე, ლოლა, რამე საინტერესო ხდება შენს ცხოვრებაში? — სათვალე მოიხსნა და გულდასმით შემათვალიერა.

— ჩემს ცხოვრებაში გამუდმებით ხდება „რამე“ საინტერესო, შეფ, — მაცდურად შევლიმე.

— რაო, ცოლობა ხომ არ გთხოვეს წუხელ? კარგი დრო გაატარე? — ჩრდილმა გადაურბინა სახეზე.

— ცოლობა არ უთხოვიათ, მაგრამ

კარგი დრო ნამდვილად გავატარე, — ნიშნის მოგებით ვუპასუხე.

— ჰოო... ყველას როდი ეღირსება ასეთი ბედნიერება... — ორაზროვნად წარმოთქვა.

— როგორი ასეთი? — ცალი წარბი ავწიე.

— შენისთანა ქალის გვერდით საღამოს გატარება, — განმიმარტა.

— თედო, კაზინოში ყოფილხარ? — მისმა რეპლიკამ მსწრაფლ გონება გამინათა, ამით ვისარგებლე და გადავწყვიტე, ნიკაზე შურისძიების გეგმის შედგენა-განხორციელებას შევდგომოდი.

— ყველა ადამიანი ყოფილა კაზინოში, ვისაც ფული უშოვია ან ვერ უშოვია... ერთხელ მაინც.

— მე არ ვყოფილვარ.

— მერედა?

— მერედა... — არ განვავრცე და ეშმაკურად მოვხუჭე ცალი თვალი.

— ანუ... სწორად გავიგე? — თვალები გაუცისკროვნდა.

— წამიყვანე.

— მართლა მეუბნები მაგას?

— სიცრუის რამე მეტყობა? — კითხვა შევუბრუნე.

— მოსულა! მაგაზე ადვილი რა არის? როცა ინებებ! — პატარა ბიჭივით აცმუკდა.

— დღესვე!

— დღესვე?

— ჰო, საღამოს... სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ.

ერთხანს ორჭოფობდა. ვერ გაერკვია, ვეხუმრებოდი თუ სერიოზულად ვთხოვდი. მისთვის ჩემი წინადადება მოულოდნელი აღმოჩნდა.

— კი, მაგრამ... იმას რატომ არ მიჰყავხარ? — ეჭვნარევი მზერით გამომხედა.

— იმან უარი მითხრა. აზარტული ხარ და მერე შენ იქიდან ვერავინ გამოგიყვანსო... არადა, ეგრე სულაც არ არის... უბრალოდ, მაინტერესებს.

სათვალე კვლავ გაიკეთა და საჩვენებელი თითით კეხზე მოხერხებულად მოირგო.

— კარგი! — მოკლე თანხმობით შემოიფარგლა.

— დიდი მადლობა, შეფ... ამას არ დაგივიწყებ... ჩემი ერთ-ერთი ოცნების ამსრულებელი იქნები!

— მაგრამ ერთი პირობით! — ხელი ასწია და შემაჩერა.

— რა პირობით?

— იქიდან რესტორანში წავალთ.

გავწითლდი... საქმის ასეთ შემობრუნებას არ ველოდი. ალბათ ბოლომდე არ მენდო და თავი დაიზღვია.

— რა პრობლემაა, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, — მხრები უდარდელად ავიჩეჩე.

— აქედანვე წავიდეთ?

— არა, რატომ? ჯერ შინ გავივლი, გამოვიცვლი და გამომიარე.

— მაშინ მითხარი, როდის და სად მოვიდე.

— გეტყვი, საღამომდე ჯერ ბევრი დროა.



— შევთანხმდით... ახლა კი ყავა მომიდუღე, — უეცრად საქმიანი დაიჭირა და კაბინეტში შევიდა...

ყავა რომ შევუტანე, როგორც ყოველთვის, ტელეფონზე საუბრობდა. ხელით მანიშნა, არ წახვიდეო. იქვე ჩამოვჯექი და მოთმინებით დაველოდე, როდის დაამთავრებდა ლაპარაკს...

— მოგეწონა ახალი ოფისი? — მკითხა, როცა ყურმილი დაკიდა და ყავის ფინჯანი თავისკენ მისწია.

— ძალიან, — მოწონება ღიმილით გამოვხატე.

— ხვალ ბანკეტი გვაქვს, ხომ მოხვალ?

— ბანკეტი?.. რასთან დაკავშირებით? — წარბები ცნობისმოყვარედ შევყარე.

— ახალსახლობასთან დაკავშირებით.

— ააა! მე ალბათ ვერ მოვალ.

— რატომ?

— თბილისში არ ვიქნები, მამასთან მივდივარ, — სასწრაფოდ გამოვაცხვე ტყუილი: მათთან ერთად სულაც არ მებანკეტებოდა.

— რაღა ახლა მოგინდა გამგზავრება?

— მამა შეუძლოდ მყავს, სხვანაირად არ შემიძლია.

— ოოო! ეგ ცუდია... ესე იგი, დღეს კაზინოში, არა?

— კაზინოში.

— კარგი, ასე იყოს. მე საღამოს თათბირი მაქვს, ექვსზე, როგორც კი მორჩება, გამოგივლი. მისამართი აი, აქ დამიწერე, — მითხრა და აგურისფერი პატარა ფურცელი ჩემკენ გამოაცურა, ზედ კი კალამი დაადო.

მისამართი გაკრული ხელით მივაჯღაპნე.

— შეიძლება, დღეს ცოტა ადრე წავიდე? — ნებართვა ვთხოვე.

— შეიძლება... თუ გინდა, ახლავე წადი, დღეს ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი მაქვს შენთვის.

— დიდი მადლობა, შუადღემდე დავრჩები და მერე წავალ, იქნებ რამეში დაგჭირდე, — კეკლუცად შევღიმე უფროსს და თეძოების რხევით დავტოვე კაბინეტი.

შინ წასვლა სულაც არ მეჩქარებოდა, იქნებ დღის განმავლობაში ერთხელ მაინც მომეკრა სადმე ნიკასთვის თვალი. ვინ იცის, ამის გამო უმიზეზოდ რამდენჯერ გავედი ოთახიდან, ხან მარცხნივ გავუყევი დერეფანს, ხანაც მარჯვნივ, მაგრამ ამაოდ... იგი ახალ ოფისში არ გამოჩენილა...

ესეც ასე, თედო დავითანხმე... კარგია, რომ ასე სრულიად ბუნებრივად გამოვიდა. არ მინდოდა, თედოს ეფიქრა, რომ ჩემი ინტერესებისთვის ვიყენებდი. ჯერ კაზინოს დავლაშქრავთ, მერე რესტორანში შევივლით. იმედია, პირველსავე პაემანზე არ გაიგიჟებს თავს და შეტევაზე არ გადმოვა. მან კარგად იცის, რომ მე მისი მდივნებივით ვერ მომექცევა, თანაც, ვატყობ, რომ სერიოზულად მოვწონვარ. მთავარია, მარიკამ არაფერი გაიგოს ამის შესახებ, თორემ ძალიან ეწყინება. მეც გამიჭირდება თავის მართლება, ვაითუ, ვერ გამიგოს. არადა, როგორ მაწყობს ეს მოულოდნელი „რაუნდი"... დარწმუნებული ვარ, თედო აუცილებლად მოაღებს პირს და დაწვრილებით ჩაუკაკლავს ნიკას ჩვენი შეხვედრის დეტალებს, რათა გააღიზიანოს და აგრძნობინოს, შენმა „თვალდადგმულმა" ქალმა მე მომანიჭა უპირატესობაო. მეც ხომ ეგ მინდა!.. მაგრამ რომ არაფერი უთხრას? ტყუილად რომ შემრჩეს თედოსთან „გასეირნება"? მერე რა ვქნა? გამორიცხულია! თედო ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს. ვგრძნობ, როგორ ექიშპება ნიკას ჩემ გამო, ალღო მკარნახობს.

რა ცუდი „გამოგონება" ვართ ეს ქალები!.. ყველაზე გაუგონარი შურისმაძიებლები! მამაკაცი ვერასდროს მოიფიქრებს ისეთ მზაკვრულ ხრიკებს, ქალს რომ მოუმწიფდება გონებაში...

ნეტავ, ისე ჩაივლიდეს ეს საღამო, თედომ არაფერი იეჭვოს. მისი გადამტერება თუ გადაკიდება არ მინდა... ეჰ... რომ იცოდეს, რისთვის მჭირდება მასთან ერთად კაზინოში გაგრიალება, ალბათ ცოცხლად დამმარხავს... დამარხვამდე კი...

მე რომ კაცი ვიყო და ქალმა ასეთი რამ გამიკეთოს, აუცილებლად ავუღებდი რევანშს... და „მთელს" არ გავუშვებდი... ამის წარმოდგენაზე შემაკანკალა... არ უნდა გაიგოს... არასდროს... არავითარ შემთხვევაში... ჩემთვის ახლა უმთავრესი მხოლოდ ეს არის...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ბედნიერების აღარ მჯერა

მარი ჯაფარიძე

მას დაბადებიდან არ ვიცნობდი და არც საბავშვო ბაღში გვივლია ერთად. სხვადასხვა ქალაქში ვცხოვრობდით. როდესაც ერთმანეთი გავიცანით, 22 წლისანი ვიყავით. ინგას ღია ფერის თმა, თაფლისფერი თვალები, „ბუნჩულა" და ლამაზი ტუჩები ჰქონდა. საშუალო სიმაღლის, არც ისე გამხდარი გახლდათ. ის კაზინოში, ბარმენად მუშაობდა. ამ პროფესიას ყოველთვის სკეპტიკურად ვუყურებდი და აზრი მხოლოდ მას შემდეგ შევიცვალე, რაც ინგა გავიცანი. ის იმისთვის შრომობდა, რომ შვილი ერჩინა. დედა 18 წლის ასაკში გახდა და უცებ მოუწია „დაქალებამ". თუმცა, მეჩვენება, რომ გაცილებით ადრე „დაქალდა" — მაშინ, როდესაც მისი დედ-მამა გაიყარა. მაშინ ინგა 13 წლის იყო. ვიდრე დედა ზურგს უკან კარს სამუდამოდ გაიხურავდა, ქმარს მოუბრუნდა და უთხრა:

— გინდოდა, რომ შვილი გამეჩინა. მე კი ის არ მჭირდებოდა და არც ახლა მჭირდება. გავაჩინე, ახლა კი კეთილი ინებე და მის აღზრდაზეც იზრუნე.

მშვიდად გაბრუნდა და წავიდა.

ნეტავ თუ იცოდა, რომ შვილს სიცოცხლეს უმრუდებდა? მაგრამ ასე მგონია, მაშინ მას ეს არ აღელვებდა. განქორწინების შემდეგ ქმარი აიძულა, ბინიდან წილი მიეცა. ერთოთახიანი, რომელიც ქმრისგან ერგო, შვილის სახელზე გააფორმა და თვითონ სამუდამოდ სხვა ქალაქში გადავიდა.

საერთოდ, ინგას ოჯახი საკმაოდ მდიდარი იყო და გოგონაც ყველაფრით უზრუნველყოფილი გახლდათ. დედაც და მამაც სხვადასხვა პოლიკლინიკის მთავარ ექიმებად მუშაობდნენ.

ინგა 14 წლის იყო, როდესაც მამამ სახლში სხვა ქალი მოიყვანა, რომელსაც თან 2 შვილი მოჰყვა. გოგონას არ უნდოდა მათთან ცხოვრება, რადგან დედინაცვალთან საერთო ენა ვერ გამოძებნა და საცხოვრებლად სოფელში, ბებიასთან წავიდა. ბებიას ინტერესს მხოლოდ ყანა და მოსავალი წარმოადგენდა. მისთვის მთავარი იყო, გოგონა დანაყრებული ყოფილიყო. განათლების მიღების საკითხმა უკანა პლანზე გადაინაცვლა.

საპირისპირო სქესის წარმომადგენლებით ინგა 17 წლის ასაკში დაინტერესდა... არც ჭკუის დამრიგებელი ჰყავდა, არც მისი კონტროლით იწუხებდა ვინმე თავს. კარგად არ ახსოვს, სად და როგორ გაიცნო პირველი შეყვარებული. როგორც ჩანს, გოგონა სითბოს ეძებდა და ეს სითბო სწორედ პირველ შეყვარებულში იპოვა. მაგრამ ყმაწვილი ასე სულაც არ ფიქრობდა — სითბოს არ ეძებდა. ის ისეთ ასაკში იყო, როდესაც „ქალის ანატომია" გაცილებით საინტერესოდ ეჩვენებოდა, ვიდრე მის მიერ გამომჟღავნებული სითბო. ჰოდა, ისე მოხდა, რომ ინგა დაფეხმძიმდა.

იქნებ გოგონას ამით მამის ყურადღების მიპყრობა სურდა? ან იქნებ ოჯახის შექმნაზე ოცნებობდა, ოღონდ, არა ისეთი ოჯახის, როგორიც მის მშობლებს ჰქონდათ. მას დიდი, სიყვარულით სავსე, მრავალშვილიანი ოჯახი უნდოდა.

ბავშვი არ მოიშორა. მამამ მხოლოდ ხელები გაშალა გაოცების ნიშნად და დედის მიერ დატოვებული, 1-ოთახიანი ბინის გასაღები მისცა.

— ასე რატომ იჩქარე? კარგ ბიჭს მოგიძებნიდი. ეს „გლეხის" ბიჭი რად გინდოდა?

— რად მინდოდა?! ცუდია თუ კარგია, ახლა მე და ის ერთი ოჯახი ვართ, შვილიც საერთო გვეყოლება და ისე არ ვიქნებით, როგორც შენ და დედა. ამ „გლეხის" ბიჭს ვუყვარვარ... თქვენ თუ გიყვარდით ოდესმე? შენ და დედაჩემი მხოლოდ ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველ იარაღად მიყენებდით.

მამას არაფერი უთქვამს. ინგას თავისი ცხოვრების წარმართვა ისე შეეძლო, როგორც თვითონ მიაჩნდა საჭიროდ.

მალე ცოლ-ქმარმა ბინის გაყიდვა და ქალაქის გარეუბანში 2-ოთახიანი ბინის ყიდვა გადაწყვიტა. გაყიდვა უცებ მოახერხეს, მაგრამ ყიდვა ცოტა გაუჭირდათ, რადგან შესაფერისი ვარიანტი ვერ მოძებნეს. ბინის დაქირავებამ მოუწიათ. ერთ დღეს, შინ დაბრუნებულ ინგას გაყიდული ბინის ფული ადგილზე არ დახვდა. სახლი გადააქოთა, მაგრამ ვერსად მიაგნო. ვერც ოქროულობა იპოვა... მაშინ ინგამ უკვე იცოდა, რომ მისი ქმარი ნარკომანი იყო... ამ შემთხვევიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაიჭირეს კიდეც.

როდესაც ვკითხე, — რატომ აპატიე, რომ სახლიდან ფული და ოქროს ნივთები რომ წაიღო-მეთქი? — მიპასუხა:

— იმიტომ, რომ ოჯახის შენარჩუნება მინდოდა.

მას შემდეგ 12 წელი გავიდა და მისი ნათქვამი დღემდე მახსოვს. ძალიან მინდოდა, მისი სიტყვები დედამისს გაეგონა. ინგას უნდოდა, ვიღაცისთვის საჭირო ყოფილიყო, ვიღაცას ჰყვარებოდა... მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, ნარკომანი იქნებოდა ის თუ ლოთი...

ქმრის დაკავების შემდეგ მარტო დარჩა... სახლში არავინ შეუშვა... ბოლოს, ერთმა მეგობარმა შეიფარა, რომელსაც კარგა ხნის განმავლობაში მისთვის საჭმელიც მოჰქონდა, როდესაც ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა.

სამშობიაროში მის გამოსაყვანად მამა მივიდა, რომელიც შვილიშვილის შეძენის გამო გახარებული იყო, მაგრამ ინგა საცხოვრებლად ისევ სოფელში, ბებიასთან წაიყვანა და თვეში ერთხელ აკითხავდა. 6 თვის შემდეგ ცოლმა ვაჟი გაუჩინა და ინგა მიივიწყა.

გოგონას ბავშვის გაზრდაში ბებია ეხმარებოდა. თუ სოფელში რაიმე საქმე გამოჩნდებოდა, ბიჭუნას ბებიასთან ტოვებდა, თვითონ კი საქმეზე მიეშურებოდა, რომ ცოტაოდენი ფული ეშოვა. როდესაც წამოიზარდა, ბავშვი ბაღში მიაბარა. ამასობაში, მისი ქმარიც გამოვიდა ციხიდან, მაგრამ ინგამ ახლოს არ გაიკარა და ბავშვის ნახვაც კი აუკრძალა.

დედასთან იშვიათად ურთიერთობდა. ის სხვა ქალაქში ცხოვრობდა. ინგა ხანდახან ესტუმრებოდა რამდენიმე საათით და უკან იმავე დღეს ბრუნდებოდა...

ასე 5 წელი გაგრძელდა. ერთხელ დედამ დაურეკა და უთხრა, რომ საცხოვრებლად ისევ თბილისში დაბრუნდა, რადგან კარგი სამსახური იშოვა და შვილს მასთან ცხოვრებას სთავაზობდა.

ინგა დაფიქრდა. თბილისში გაცილებით მეტი შანსი ჰქონდა — შეეძლო, სამსახური ეშოვა და შვილიც ნორმალურ პირობებში ჰყოლოდა. ბარგი შეკრა და დედასთან გაემგზავრა.

მალე სამსახურიც იშოვა, მაგრამ ხელფასი არც ისე დიდი ჰქონდა და იძულებული გახდა, მუშაობა სხვაგანაც დაეწყო. ძალიან იღლებოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. სამაგიეროდ, მისი შემოსავალი ახლა იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ბინა ექირავა და ცალკე გადასულიყო. დედასთან ურთიერთობა უჭირდა. გამუდმებით კამათობდნენ და ხანდახან ერთმანეთს თვეობით არ ელაპარაკებოდნენ. ქალი საკუთარ შვილიშვილს უშვერი სიტყვებით ლანძღავდა, რასაც ინგა ვერ იტანდა — საკუთარი ბავშვობა ახსენდებოდა, როცა დედა მასაც ასეთი სიტყვებით მოიხსენიებდა. შვილს კი იმის გამო საყვედურობდა, რომ ბავშვს არასწორად ზრდიდა. თვითონ როგორ გაზარდა ინგა? 13 წლის ასაკში გოგონამ დედისგან ის სიტყვები მოისმინა, რომელიც ბავშვის ფსიქიკას ასე აზიანებს: „მე არ მჭირდები, მამაშენს სჭირდებოდი და ახლა მან მოგხედოს"...

ინგა ნაქირავებ ბინებს ერთიმეორის მიყოლებით იცვლიდა... მუდამ ბარგაკიდებული დადიოდა... ერთ მშვენიერ დღეს კი დედამისმა ახალი ბინა იყიდა და თავისი — შვილს დაუტოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ინგას ერთ-ერთი თურქული კომპანიის თბილისის ფილიალში საკმაოდ მაღალი თანამდებობა შესთავაზეს და სტაჟირებაზე თურქეთში გაგზავნეს. გამოცდები წარმატებით ჩააბარა და ახალ თანამდებობაზე დაინიშნა.

სამსახურში, მოცალეობის ჟამს ინტერნეტში შედიოდა და „სკაიპით" მეგობრებს ეკონტაქტებოდა. სწორედ „სკაიპით" გაიცნო ლადო. ის ინგაზე 5 წლით უმცროსი იყო და მოცეკვავე გახლდათ. მალე შეხვედრაზეც შეთანხმდნენ. 3-თვიანი, თავბრუდამხვევი შეხვედრების შემდეგ კი

მამაკაცმა ცოლობა სთხოვა. ინგამ ლადოს თავისთან მუშაობა დააწყებინა, ჩააცვა, დაახურა, კომფორტი შეუქმნა. მუშაობას არ აძალებდა და არც ლადო იკლავდა თავს. ქალს ეჩვენებოდა, რომ როგორც იქნა, ბედნიერება იპოვა და სწორედ ლადო იყო ის მამაკაცი, ვისაც წლების განმავლობაში ელოდა.

მამაკაცმა კი ინგას სახით მეორე „დედა“ იპოვა, რომელიც მასზე ზრუნავდა და მიაჩნდა, რომ მისი მოვალეობა მხოლოდ ცეკვა იყო, რის გამოც სამსახურს თავი დაანება. თუმცა, ინგას ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. იცოდა, რომ ლადო კარგ მოცეკვავედ მიიჩნეოდა და ეს იყო ერთადერთი რამ, რასაც მთელი გულით აკეთებდა. ლადო გულჩვილი, კეთილი ადამიანი იყო, მაგრამ მისი ცხოვრებისეული შეხედულებები და ცხოვრების სტილი 17 წლის ბიჭუნას შესაფერისი უფრო იყო, ვიდრე ჭკუადამჯდარი მამაკაცის.

მშრომელი ფუტკრისა და ჰაერში მოფარფატე პეპლის თანაცხოვრება აეწყო. ლადოს მშობლებმა ქალაქგარეთ, პატარა სახლი აჩუქეს, რომელიც ცოლქმარმა გაყიდა. აღებულ ფულს ინგამ ბანკიდან კრედიტით აღებული თანხა დაამატა და თბილისის პრესტიჟულ უბანში 3-ოთახიანი ბინა იყიდეს. ბუნებრივია, კრედიტს ინგა ფარავდა. მანვე გაარემონტა ახალი ბინა და ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა შეიძინა.

ლადო მშვენივრად მოეწყო და „მსუყე“ ცხოვრებამ თავბრუ დაახვია. არც მოვალეობას გრძნობდა, არც სახლაფორთო ჰქონდა, არც შვილები ჰყავდა, რომელთა აღზრდაზეც უნდა ეზრუნა. ლაღად ცხოვრობდა და ცეკვავდა. მისი მეგობრები ამბობდნენ, რომ თაფლის კასრში იყო ჩავარდნილი...

მერე სასმელს მიეძალა. აღმოჩნდა, რომ ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემები ადრეც ჰქონია, მაგრამ მშობლებს იძულებითი მკურნალობის კურსი ჩაუტარებიათ და ამ სენისგან გათავისუფლებულა. ინგამ ამის შესახებ თავიდანვე იცოდა. — სადედამთილომ ჯერ კიდევ მაშინ გაუმხილა, როდესაც ისინი ცოლქმარი არ იყვნენ, მაგრამ ინგას სწამდა, რომ მამაკაცი წარსულ ცხოვრებას აღარ დაუბრუნდებოდა და სასმელს აღარ გაეკარებოდა.

რატომ უნდა დაეწყო სმა? მათ ხომ ყველაფერი შესანიშნავად ჰქონდათ. ინგას მისი სჯეროდა, მოთმინებას იჩენდა და ამის გამო სკანდალს არ ტეხდა. მიაჩნდა, რომ ქმარს ის სჭირდებოდა.

ერთხელ, როდესაც გულმოკლულმა, თვალცრემლიანმა ინგამ თავისი საწუხარის შესახებ გულახდილად მიამბო, ვკითხე, რატომ არ შორდები-მეთქი?

— ის ჩემი ოჯახის წევრია, ერთნი ვართ. მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს — სვამს. სხვა სასაყვედურო არაფერია. შემიძლია, გავუბრაზდე, შემიძლია, გავებუტო და ასეთ დროს შინიდან გარბის ხოლმე, მაგრამ იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მისი სახლი და მისი ოჯახია და ის ყოველთვის უკან ბრუნდება. მინდა, შვილი გავუჩინო, იქნებ გონზე ამან მოიყვანოს?

...და ერთხელ ლადო აღარ დაბრუნდა. თურმე მოცეკვავე გოგოს გადაჰკიდებია და მასთან წავიდა.

ერთ დღეს ინგა ჩემთან სამსახურში მოვიდა.

— სულ 2 წუთით შემოგირბინე, ძალიან მეჩქარება. კარგი ადვოკატი მჭირდება, რომელიც განქორწინებასა და ქონების გაყოფაში დამეხმარება. გთხოვ, მიშველე, — ბოლო სიტყვები ძლივს ამოთქვა, რადგან ყელში მომდგარი ცრემლის ბურთი ლაპარაკში ხელს უშლიდა, მაგრამ ვაჟკაცურად გაუმკლავდა მოძალებულ გრძნობას და ხმა დაეწმინდა, — ხომ დამეხმარები?

ატირება ვერ შეძლო, რადგან ჩემი თანამშრომლების მოერიდა. ამაყად და ღირსეულად ეჭირა თავი და მთელი ძალები სიტუაციის მოგვარებისთვის ჰქონდა მობილიზებული. მას ტირილის დრო არ ჰქონდა, რადგან შვილზე, განქორწინებასა და ქონების გაყოფაზე უნდა ეზრუნა.

თვალებში ჩავხედე. მზერის გასწორება ვერ შეძლო.

— ძალიან მტკივა გული, უკვე აღარავის ვენდობი და აღარც ბედნიერების მჯერა. მე უბრალოდ, მინდოდა, ოჯახი მქონოდა, — თავდახრილმა თქვა, მაგრამ ცრემლი მაინც არ გადმოვარდნია.

მე... მე კი ვიდექი და მის ნაცვლად ვტიროდი.

■



# გზავნილები

# საკუთარი თვალით ნანახი სასწაული

*მარი ჯაფარიძე*

**გამარჯობა, ჩემო ძვირფასებო. თემამ მართლაც სასწაული მოახდინა და მშვენიერი მესიჯები მივიღე. ბევრს აღარ ვილაპარაკებ და თქვენც დატკბით, თქვენი „კოლეგების“ მიერ მოყოლილი ამბებით.**



## „უსახო“ სურათი

„კომუნისტური წყობის პერიოდში, სქელკისერა, მხარგაშლილა, ტანმაღალა და მძიმენაბიჯა ბიჭი, რთულად აღსაზრდელობის გამო, მამამ დასასერიოზულებლად ჯარში გაუშვა. ბიჭი კაპრალების კაპრიზებსა და ოფიცრების შენიშვნებს არ ეგუებოდა, ჩხუბი და „მუშტ-იდაყვის“ ქნევაც ხშირად უწევდა და ერთ-ერთმა ასეთმა მოქნევამ 2 გზა დაუტოვა — ან უნდა გაქცეულიყო ჯარიდან და გადარჩენილიყო, ან დარჩენილიყო და სიკვდილისთვის თვალებში ჩაეხედა... ბიჭი შეუსვენებლივ გარბოდა და შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ხეზეც უწევდა ძილი და საკუთარი ხელებითაც თხრიდა მიწას, რომ ორმოში დაეძინა. სწორედ მიწაში ძილის დროს, მის სხეულზე გველმა გადაიარა და ეს მისი ფსიქიკის დამშლელი აღმოჩნდა. ბიჭი „ტვინტრამვიანი“ დაბრუნდა შინ და გარდა მშობელი დედისა, ყველა ადამიანის მიმართ სიძულვილსა და აგრესიას ავლენდა. ეუხეშებოდა საკუთარ მამას, ძმას, მეზობლებს, უმიზეზოდ აჩერებდა სრულიად უცნობ ხალხს, გაურკვეველ კითხვებზე პასუხებს სთხოვდა და პასუხგაუცემლობის გამო მათ სიტყვიერად შეურაცხყოფდა. ნუ, ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ბიჭი „არაჩვეულებრივად“ გაგიჟდა. ერთ ღამეს წამოდგა და აივნისკენ აიგო გეზი.

— სად მიდიხარ, დე? — ჰკითხა დედამ.

— სიგარეტს მოვწევ და შემოვალ, — უპასუხა ბიჭმა.

რამდენიმე წუთში კი, მძიმე საგნის დანარცხებისგან გამოწვეულმა ხმაურმა და პირველ სართულზე მცხოვრები ქალის კივილმა სიჩუმე დაარღვია. ბიჭი მეცხრე სართულიდან გადავარდა და მთელი ძალით დაასკდა მიწას. პერანგიანი, ფეხშიშველი დედა სასოწარკვეთილი ღრიალებდა და კიბეზე ჩარბოდა. თმა ერთიანად გაუთეთრდა, როდესაც საკუთარი შვილის უმოძრაო სხეულს შეავლო თვალი. მუხლებზე დაემხო, სახეს უკოცნიდა, გულიდან ამომსკდარი, ემოციითა და ტკივილით სავსე სიტყვებით კი უფალს ევედრებოდა, რომ შვილი არ დაღუპვოდა. გულზე თავს ადებდა და უმწეო და უსუსური, მწარედ ქვითინებდა... გავიდა 40 დღე. დედას თითქოს ხანდახან საკუთარი შვილის ნაბიჯების ხმა ესმოდა და მის სურნელსაც გრძნობდა. ყველაზე დიდი სასწაული კი მაშინ მოხდა, შვილზე ფიქრისგან გამოწვეული ცრემლებით რომ უსველდებოდა ლოყები და უეცრად, გარდაცვლილის სურათს ღიმილიანი იერი გადაეკრა. მას შემდეგ, დედას ჭეშმარიტად სჯეროდა, რომ მისი შვილის სული სახლში და მეტიც — თავისივე სურათში ბინადრობდა. ამიტომ სურათს ყოველთვის თავისთან ახლოს ამყოფებდა, თავის ტკივილსა თუ სიხარულს უზიარებდა და მასთან ერთად ეძინა კიდეც. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ 1991 წლის 25 ნოემბრის დილა არ გათენდა. დილა, როდესაც დედას ხელში საკუთარი შვილის, სახეგამქრალი სურათი ეკავა. დიახ! სწორედაც, რომ ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ჩვეულებრივი სურათი „უსახო“ სურათად გარდაიქმნა. ხოლო მაგ დილით... მაგ დილით კი დავიბადე მე — მისტერი. P.S. ეს იყო ჩემი ოჯახის მძიმე და ტაბუდადებული ამბავი. გარდაცვლილი ბიჭი ბიძაჩემი იყო, დედამისი კი — ბებიაჩემი. ხოლო მე, გარდა იმისა, რომ დავიბადე სურათზე სახის გაქრობის დღეს, ჩემი აღნაგობა და სახე ბიძაჩემის პატარაობის იდენტურია. ასევე ვატარებ მის სახელს, იგივე ჩვევები, სიარულის მანერა, სხვადასხვა საკითხის მიმართ შინაარსობრივად დაახლოებული შეხედულებები და ზურგზე ხალების იგივე ფორმის წყობა მაქვს, რაც მას ჰქონდა და ვიმედოვნებ, უფალი იგივე „სტილის“ ცხოვრებას არ მარგუნებს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვეში საქართველოს ჯარს უნდა ვემსახურო. P.P.S. სურათზე სახის გაქრობიდან 3 დღის შემდეგ, მთლიანი სურათი დაიწვა, მისი დაწვის მიზეზი კი დღემდე დაუდგენელია. მისტერ“.

## ღვთისგან მოვლენილი სასწაული

„მართალია, ეს სასწაული ჩემი თვალით არ მინახავს, მაგრამ ერთ დღეს მეგობარმა მიამბო მის შესახებ. ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონიდან მოძღვარი იყო ჩამოსული, კუჭის წყლულის ოპერაციას იკეთებდა. ოპერაციას მძიმედ ჩაუვლია, ექიმები შიშით ელოდნენ მის ნარკოზიდან გამოსვლას. გონს მეორე დღეს მოსულა. იმავე დღეს საავადმყოფოში ნარკოტიკებით გათიშული ბიჭი შეუყვანიათ. მამაოს უკითხავს მის შესახებ, შემდეგ კი თავისთან მოუხმია. არ ვიცი, რა ილაპარაკეს, მაგრამ პალატაში შესულ ექიმს მამაომ გამოუცხადა, რომ გასასვლელი იყო საქმეზე. გაოგნებულ ექიმს გულიანად გასცინებია — ამხელა ოპერაციის შემდეგ მინიმუმ, 2 კვირა უნდა გავიდეს, ოთახში რომ გაიაროთ და რას მეუბნებითო. მამაოს თავი დაუქნევია, მაგრამ რა წამს მარტო დარჩენილა, ნარკომან ბიჭთან ერთად საავადმყოფო დაუტოვებია. იმ დღეს ზღვა ისე ღელავდა, რომ 2-მეტრიანი ტალღები ანგრევდა თურმე სანაპიროს. ტურისტებისთვის საკმაოდ ამაღელვებელი სანახაობა იყო, ჩამავალი მზის ფონზე აღელვებული ტალღების ცქერა, მაგრამ მათი ყურადღება ზღვის პირას მდგარმა მამაომ მიიქცია, რომელიც ერთ სუსტ ბიჭს ეყრდნობოდა და ნელ-ნელა უახლოვდებოდა გაგიჟებულ ზღვას, მაგრამ რა წამს წყალს ფეხი შეახო, წყალი სარკესავით გაყინულა და სრულიად გამჭვირვალე გამხდარა. წყალში წელამდე შესულ მამაოს წყალი უკურთხებია, შემდეგ უკან გამობრუნებულა და ისევ საავადმყოფოში დაბრუნებულა. ექიმები შოკში იყვნენ, ყველა ნაკერი ერთიანად შეხორცებული ჰქონია მამაოს. ამ ამბის გაგებისთანავე საავადმყოფოში გავიქეცი, მინდოდა, საკუთარი თვალით მენახა ეს საოცარი ადამიანი. მამაომ დაგვლოცა და გვთხოვა, ბევრი გველოცა. შემდეგ კი რომელიღაც მთის წვერზე მდებარე მონასტერში გაეშურა. ოპერაციის დროს ღვთისმშობელი გამოცხადებია და მას დაუვალებია, ზღვა ეკურთხებინა. როგორც მერე გავიგე, მამაოს აღთქმა დაუდვია, 3 წლის განმავლობაში არ დატოვოს მონასტერი. ამ 3 წლის განმავლობაში არც არავის დაეკონტაქტება. თან მხოლოდ ის ნარკომანი წაუყვანია, რომელსაც გულწრფელად მოუნანიებია თავისი ცოდვები და უფლის გზას დასდგომია. ჰო, მართლა, ამ ამბავს 5 თურქი შესწრებია, რომლებზეც ისე უმოქმედია ამ ფაქტის ხილვას, რომ ქრისტიანულად მონათლულან და ერთ-ერთი ტაძრის მრევლი არიან. SCARLET“.

## სიყვარულია სასწაული

„ნათქვამია, სასწაული რომ იხილო, უნდა ირწმუნო და რომ ირწმუნო, უნდა იხილოო... არ ვიცი, ჩემს შემთხვევაში ვირწმუნე და ვიხილე თუ პირიქით, მაგრამ ფაქტია, ამ თემამ რამდენიმე ამბავი გამახსენა... არა, არც მიცვალებული ამდგარა კუბოდან ჩემ თვალწინ და არც რომელიმე მეგობარს გამოსახვია თავზე შარავანდედი. მე სასწაულად ისიც მყოფნის, როცა რაღაც, სრულიად რეალური, მაგრამ ჩემთვის წარმოუდგენელი ამბის მოწმე ან უკეთეს შემთხვევაში, თანამონაწილე ვხდები... ერთი მეგობარი მყავს, რეზიკო. ღმერთმა ყველაფერი მისცა, რაც შეიძლება ადამიანმა ინატროს — ფული, ჯანმრთელობა, მოსიყვარულე მშობლები და შესაშური, ფიზიკური მონაცემები. თავისი მოხდენილი გარეგნობის გამო მეგობრებმა ხუანჩო შევარქვით. ყველაზე კარგი თვისება, რაც ჩემს მაჩო ძმაკაცს აქვს, თავმდაბლობაა. ამ ყველაფერს დამატებული, ჯანსაღი იუმორის გრძნობა და დამეთანხმებით, ისეთი ბიჭი გამოდის, რომლისთვისაც, უხეშად რომ ვთქვათ, ყველა გოგო ხელმისაწვდომია... ასეც იყო! მოეწონებოდა გოგო, ერთხელ დაელაპარაკებოდა და... მეორე დღეს უკვე უყვარდათ ერთმანეთი... ყველა ადამიანში დადებითის დანახვას ცდილობდა და ბევრჯერ ინანა... ერთადერთი, რასაც ვერ იტანდა, ზედმეტად მსუქანი ადამიანი იყო. ქალი — მით უმეტეს. სულ იმას ამბობდა, იმას წარმოვიდგენ, რომ კაცს მოვიყვან ცოლად, მაგრამ მსუქანი ქალის გვერდით ფიქრებშიც ვერ გავჩერდებიო. ერთხელ, „სკაიპში“ გოგო გაიცნო. მითხრა, ყურადღება პირველივე სმს-ით მიიპყროო... მერე ტელეფონის ნომრები გაცვალეს და აქედან დაიწყო რეზიკოს LOVE STORY. ხმა უყვარდა მაჩოს... გასაკვირია, მაგრამ ბიჭი, რომელსაც შეეძლო, ყველა მანდილოსნის გული მოეგო, „ვირტმა“ ჩაითრია... ანანომ უამრავი ფოტო ნახა ხუანის, ბიჭს კი არაფრის დიდებით არ გამოუგზავნა თავისი სურათები. ერთს გთხოვ, ოღონდ მსუქანი არ იყო, არ მომატყუო, თორემ ორივეს ძალიან გვეტკინება გულიო, ურთიერთობის დასაწყისშივე აღნიშნა ბიჭმა... ნუ, რას დავაკვირდი, იცით? როდესაც ჩემი რომელიმე მეგობარი ტელეფონით გაცნობილ პარტნიორთან შესახვედრად მიდის, ყოველთვის თან მიყოლებს. ბიჭები იმიტომ, რომ, თუ გოგო არ „დაევასათ“, თვითონ მოტყდნენ  და მე იქ დამტოვონ, გოგონები კი, ალბათ ხვდებით... როდესაც რეზიკო ანანოსთან შესახვედრად მიდიოდა, მე არ გამიყოლა... არადა, ყველაზე მეტად იმ გოგოს ნახვა მაინტერესებდა, ვინც ამხელა მაჩო კაცი ისე შეაბა, რომ მთელი 4 თვე სხვა გოგოსკენ აღარც გაუხედავს. ჩემს მეგობარს იმედი გაუცრუვდა, ანანო მსუქანი აღმოჩნდა... ტყუილია, რომ ამბობენ, კაცები არ ტირიანო. რაც მართალია, მართალია, ძალიან უყვარდა წყვილს ერთმანეთი... რეზოსთვის მსუქანი ქალი, უსუფთაოსთან ასოცირდებოდა და შინაგანი „მე“ ამ ურთიერთობის გაგრძელების საშუალებას არ აძლევდა. ერთი თვე გავიდა ასე უაზროდ... ვეღარ ვცნობდით რეზიკოს, შეიცვალა! მუდამ მოცინარი ბიჭი უეცრად დეპრესიულ ადამიანად გარდაიქმნა... ერთ დღესაც, ანიმ დაურეკა და აუცილებლად უნდა გნახო, სალაპარაკო მაქვსო, უთხრა. იმდენი ვეწუწუნე, მეც წამოვალ-მეთქი, რომ უარი ველარ მითხრა და პაემანზე გამიყოლა... ვგრძნობდი, რომ უადგილო იყო ჩემი იქ წაბლაყუნება, მაგრამ ცნობისმოყვარეობის ამბავი ხომ იცით... როდესაც ანანო დავინახე, მივხვდი, რომ სასწაულის მოწმე გავხდი. გოგო განახევრებულიყო. რეზოს თვალები გაუფართოვდა და კითხვაზე — როგოორ? გოგომ სიხარულით უპასუხა: სიყვარულის სახელით... ასეთი ბედნიერი წყვილი არასდროს მინახავს. იმ დღის მერე სულ ერთად იყვნენ და ორი თვის თავზე მათი ურთიერთობა ქორწილით დაგვირგვინდა... სულ მალე ქვეყანას ტყუპი — საბუკა და ლაშა მოევლინა... რეზიკო დაფრინავდა სიხარულისგან, თვალები უბრწყინავდა, უზომოდ ბედნიერი იყო... მშობიარობის შემდეგ გოგომ საგრძნობლად, ერთიორად მოიმატა წონაში, მაგრამ ბავშვებისა და ცოლის მიმართ უზომო სიყვარულმა რეზოს სულ დაავიწყა „სიმსუქნოფობია“... არ ვიცი, შეიძლება გაგიგონიათ კიდეც ეს ამბავი, შარშან ზაფხულს, თბილისის ერთ-ერთ „იტალიურ ეზოში“ ხანძარი გაჩნდა. ჩემმა მეგობარმა თავის ოჯახთან ერთად გამოასწრო კვამლში გახვეული სახლებიდან. როცა ღრმად ამოისუნთქა და უფალს მადლობა გადაუხადა გადარჩენისთვის, ცეცხლში გახვეული სახლიდან ბავშვის გამაყრუებელი კივილი მოესმა. არც შეყოყმანებულა, 4 თვის საბუკა ცოლს მიაჩეჩა და ცეცხლში გაუჩინარდა... გონს საავადმყოფოში მოვიდა. პირველი, ვინც გაღვიძებისას დაინახა, 7 წლის ლელუკა იყო, რომელმაც რეზოს მადლობა გადაუხადა: ბიძია, შენ სიცოცხლე მაჩუქეო... ბიჭმა უმძიმესი დამწვრობები მიიღო — ლოყა, ნიკაპი და ხელ-ფეხი, მთლიანად დაიწვა... ყველაზე მძიმე ჭრილობა კი ცოლმა მიაყენა ოჯახზე უაზროდ შეყვარებულ კაცს! მე მახინჯი ქმარი არ მჭირდებაო და გაქრა. რეზიკოს გამოსაჯანმრთელებლად მისმა მშობლებმა ყველაფერი გააკეთეს. როგორც თავში აღვნიშნე, მდიდარი ოჯახი იყო და პლასტიკური ოპერაციების წყალობით, რეზიკომ ძველი სახე დაიბრუნა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სიყვარული ყოვლისშემძლე გრძნობაა. ბიჭმა მოძებნა ცოლ-შვილი და სახლში დააბრუნა! ანანოს შემდგომმა საქციელმა კი დამარწმუნა, რომ სულელი ქალი ტერორისტზე საშიშია. ამ შერიგებიდან ორი თვის თავზე, ქალი სახლიდან გაიპარა და შვილები მამას დაუტოვა... აღარ დაინტერესებულა ჩემი მეგობარი უმადური ცოლის ასავალ-დასავალით. მთელი ყურადღებით მოეკიდა შვილების აღზრდას. რამდენიმე თვის შემდეგ ანანო ვიღაც კაცთან ერთად უნახავს რეზოს ქუჩაში... უფრო გასუქებული, დასაბან-დასავარცხნი... არც შემეცოდაო, გამომიტყდა. ბევრმა საერთო მეგობარმა ვერ გაიგო რეზოს საქციელის მიზეზი, ბევრმა უსუსტესი ადამიანი უწოდა, მე კი ყველაზე ძლიერ კაცად მიმაჩნია ჩემი ძმაკაცი. მარ, ახლა ამას მისი „თვალდასწრებით“ გწერ. მითხრა, ბოლოს ასე დაამთავრე: მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი ცოლი რაღაცნაირად, მაინც მიყვარსო... ჩემი მხრივ კი ვამბობ, რომ ასეთი სიყვარული სასწაულია და მე ამ სასწაულის მოწმე გავხდი... რუისპირი (YELLOW)“.

## გაპარულები, რომლებმაც სასწაული იხილეს

„მოგესალმებით. პირველ რიგში, მარი, მადლობა მინდა გითხრათ ჩემი მესიჯის დაბეჭდვისთვის. ამან, მართალი გითხრათ, კვლავ მოწერის საღერღელი ამიშალა. მით უმეტეს, რომ ძალიან საინტერესო თემა შეარჩიეთ. მე ქუთაისელი ვარ (ვგიჟდები ჩემს ქალაქზე), მაგრამ გათხოვების შემდეგ თბილისში ვცხოვრობ, ჩემს პატარა ოჯახთან ერთად. სასწაული, რომელიც პირველ რიგში გამახსენდა, ჩემს მშობლიურ ქალაქს უკავშირდება: რამდენიმე წლის წინ, მეგობრებმა გადავწყვიტეთ, სააღდგომო ცისკრის ლოცვას დავსწრებოდით ხარების ეკლესიაში, მაგრამ წასვლასთან დაკავშირებით პრობლემა მხოლოდ მე, ჩემს დას, სალომეს და დაქალს, ელისოს გვქონდა. ვიცოდით, მშობლები მთელი ღამით სახ-

ლიდან არ გაგვიშვებდნენ. ამიტომ, შემდეგი გეგმა შევიმუშავეთ: მე და ჩემმა დამ დედას ვუთხარით, რომ ელისოსთან ვრჩებოდით ღამე (მეზობლებიც ვიყავით). მისი საძინებლიდან კი ასე გამოვიპარეთ: საბნების ქვეშ მუთაქები დავაწყვეთ და ჰაიდა... მერე ვოვა გავაღვიძეთ და ვინაიდან შუაღამე იყო, ფეხით დავადექით გზას ხარების ეკლესიისკენ, მაგრამ პეტრე-პავლეს ეკლესიას რომ მივუახლოვდით, ზარების რეკვა ატყდა, ცისკრის ლოცვა დაიწყო. დავაპირეთ კიდეც შესვლა, მაგრამ რადგან „ხარებაში“ ჩვენი მეგობრებიც იქნებოდნენ, გული იქით მიგვიწევდა და გზა განვაგრძეთ. თუმცა, უფალს სხვაგვარად სურდა. რამდენიმე ნაბიჯი და სალომეს სრულიად ახალ ფეხსაცმელზე ქუსლი მოტყდა. რა უნდა გვექნა? გადავუხვიეთ პეტრე-პავლეს ტაძრისკენ. როცა წირვა დასრულდა, შევნიშნეთ, რომ ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, ყველა ზეცაში იხედებოდა და პირჯვარს იწერდა და ჩვენც ვიხილეთ ჭეშმარიტი სასწაული: ცაზე ტაძრის უზარმაზარი, ჯვრიანი გუმბათი იყო გამოსახული. სრულიად მოწმენდილ, ვარსკვლავებიან ცაზე... რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩანდა და ჩვენც ვადიდებდით უფალს, შემდეგ კი 1 წამში გაქრა. ამ სასწაულმა დიდი გარდატეხა მოახდინა ჩემს ცხოვრებაში... კიდევ გელათში, დავითობის დღესასწაულზე ვიხილე სასწაული: ჩვენ თვალწინ დაიწყო მირონმა დენა კანკელის ხატებიდან... და რა არის გასაკვირი? ჭეშმარიტება ერთია და ეს არის მართლმადიდებლობა. ცოდვაა, ვინც ვერ ხვდება, თუ რამხელა წყალობაა მის თავს, რომ არის მართლმადიდებელი. დუდა“.

## ფეხადგმული სასწაული

„სასწაული, რომელსაც 1 წლის განმავლობაში, ყოველ შაბათ-კვირას ტაძარში ვუყურებდი, იყო ჩვენი სტიქაროსანი — ზურა. ადამიანი, რომლის მსგავსიც აღარ არსებობს ამ სამყაროში და ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. ზურა იყო ულამაზესი გარეგნობის, ლურჯთვალება, ახოვანი ბიჭი. უმდიდრესი იყო მისი სულიერი სამყარო. ყველა უყვარდა, ყველას ეფერებოდა, ყველას სიკეთეზე ფიქრობდა. დღემდე ვერ ვხვდები, როგორ ეტეოდა გულში ეს ყველაფერი. საოცრად მღეროდა. სიმღერას რომ დაიწყებდა, მის ხმაზე ადამიანები ტიროდნენ. ერთხელ ძალიან ავად ვიყავი, ზურამ მობილურზე დამირეკა და რა სიმღერებიც მიყვარდა, თითქმის ყველა მიმღერა ტელეფონში. ტაძარში უკვე იმდენი ნათლული ჰყავდა, ხუმრობდა, ანგელოზად გადავიქცევი მალეო. ჩვენ გვეცინებოდა ამ ნათქვამზე და არავის არასოდეს აზრადაც არ მოგვსვლია, რომ მისი ეს ნათქვამი მალე ახდებოდა. ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულზე დიდი ავარია მოხდა. ღმერთს მართლაც რჩეულები ჰყვარებია და თავისთან წაიყვანა ჩვენი ლამაზი, დედისერთა ზურა... იმ საშინელ დღეს, როდესაც მისი უსულო სხეული ჩვენთან, ტაძარში ესვენა და გარშემო მყოფი მეგობრები ცრემლგამშრალნი და გაოგნებულნი ხმის ამოღებასაც ვერ ვახერხებდით, მამაომ თქვა: ზურა ფეხადგმული სასწაული იყო, უფალი ამ სასწაულს დიდხანს არ დატოვებდა ცოდვილ დედამიწაზეო. მაშინ ზურა 22 წლის იყო, აღდგომის დღესასწაულზე 23-ის გახდებოდა. ამ ამბის შემდეგ 3 წელი გავიდა, მაგრამ ტაძარში სიცოცხლე ისევ ჩამკვდარია, ზურას გარეშე. მაპატიეთ, თუ დაგასევდიანეთ, მაგრამ ხილული სასწაული ნამდვილად იყო და არ შემეძლო, არ მომეყოლა. დღესაც შევყურებ სურათებში ზურას გაღიმებულ, გაბრწყინებულ, ლურჯ თვალებს და არ მჯერა, რომ ეს სილამაზე აღარ ამშვენებს დედამიწას. ბამბუჩა“.

## სიყვარულისგან გონებაარეული

„ჩემს მეზობელ ლამაზ ქალს გაუმართლა, როცა გარისკა — სახლში რემონტს აკეთებდნენ და „მალიარი“ შეუყვარდა. კაცმა უარი უთხრა, ცოლ-შვილს ვერ ვუღალატებო და იმანაც, სიყვარულით გადარეულმა, წერილი დაწერა, „მალიარის“ გარეშე სიცოცხლე არ მინდაო, წერილი ფეხსაცმელში ჩადო და თეთრი ხიდიდან გადახტა. ბედად, ვიღაცამ გადაარჩინა. ამ ამბავს მარგალიტა შეესწრო, რომელიც „კომუნისტი“ ქალი გახლდათ და სამსახურში დაგვიანებული რომ მივიდა, თქვა, ისეთი ლამაზი ქალი ამოათრიეს დღეს წყლიდან, ექიმმა „კოფთა“ რომ შეუხსნა, მის თეთრ ძუძუ-მკერდს თვალი ვერ მოვწყვიტე, ვინ იყო ნეტავ ის უბედური, ასეთი ქალი ხელიდან რომ გაუშვაო. რაც შეეხება იმ ლამაზ ქალს, მიუხედავად იმისა, რომ წერილი წაიკითხა მისმა ქმარმა, შეურიგდა. ჩემი შვილების დედაა და რა ვქნა, თუ სიყვარულმა გონება აურიაო. გერასიმე“.

## ქვევრი

„სასწაული, ხომ? იმაზე მეტი სასწაული რაღა გინდათ, რაც მე გუშინ და დღეს გადამხდა? მოკლედ, დილით ბებიაჩემმა „გადმომიღო“ საწოლიდან, ჩქარა ადექი, ქვევრი გავხეხოთო... თუ კარგი ბიჭი ხარ, ნუ ადგები... გონს ბნელ, უცნაურსუნიან ადგილზე (ქვევრში) მოვედი, სადაც თითქმის ყველა რჯულის ჭია და ობობა დაბინავებულიყო. საბოლოოდ კი იმ ერთმა ვედრო ცივმა წყალმა მომიყვანა გონს, რომელიც ბებუციმ ჩამომაცალა თავზე. ჩემი სასწაულებრივი უბედურებაც აქედან დაიწყო. ბებომ მეზობელთან „საჩურჩხლაოდ“ წასვლა გადაწყვიტა, იფიქრა, როცა ამოსვლა დასჭირდება, პაპამისს დაუძახებს და ხელს შეაშველებსო. ბევრს აღარ გავაგრძელებ და გეტყვით, რომ მთელი 4 საათი მუხლამდე წყალსა და ჩაბნელებულ სივრცეში გავატარე... შედეგად კი, ჩახლეჩილი ხმა, გაცივებული შუბლი, ატკივებული თავი და სიცხისგან აცრემლებული თვალები მივიღე. ბებიაჩემი ყოველ შემოდგომას, საბნებსა და ლეიბებს შლის, წეწავს და თავიდან კერავს, საწოლიც ორმაგად რბილ, აფუმფულებულ სახეს იღებს და სამმაგად კომფორტულია. არც ეს შემოდგომა ყოფილა გამონაკლისი. სანამ ერთ ხელ ლოგინს შეკერავს, იმის შიშით, დანარჩენ მატყლს ჩრჩილი და თაგვები არ შეუჩნდნენ, ნაფტალინის აბებში ინახავს... ახლა კი მოკლედ, ჩემი მკურნალობის მეთოდის შესახებ: წუხელ ძალიან შემაწუხა ყელის ტკივილმა და გაუთავებელმა ხველამ. მეც გამახსენდა, რომ სამზარეულოში, წამლების ყუთში, ACC გვქონდა. ნახევრად მძინარე და თავბრუდახვეული, რეტდასხმული გავემართე „მხსნელი აბის“ ჩასაცეცხლად. შუშხუნა აბი წყალში მოვათავსე და ვყლურწე... როდესაც თავი „სამშვიდობოს“ ვიგრძენი ანუ საწოლს მივაღწიე, უჩვეულო შეგრძნებამ შემიპყრო — თითქოს ჩემ შიგნით ორგანოებმა გადაადგილება დაიწყო. თურმე, ნაფტალინის აბი ჩამიგდია წყალში. ახლა ამ გზავნილს საავადმყოფოდან გწერთ. ნაფტალინგემოგასინჯული და კუჭგამოხარშული რუისპირი (YELLOW)“.

## დედა

„ჩემს მეზობლად ერთი 28 წლის ქვრივი გოგო ცხოვრობს, რომელსაც 5 წლის გოგონა ჰყავს და მას მარტო ზრდის. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ „სვეწკ“ უბანში ცხოვრობს, ძალიან უჭირს და გაჭირვებულ და დუხჭირ ცხოვრებას მარტო ებრძვის. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ძალიან პატიოსანი გოგოა. ბავშვი ბაღში დაჰყავს, თვითონ კი ორ ადგილზე მუშაობს, პარალელურად, შაბათ-კვირას ოჯახებშიც დადის და ალაგებს. ამ დროს კი ბავშვი ან თან მიჰყავს, ან თავის დაქალს უტოვებს. მიუხედავად იმისა, რომ დილიდან საღამომდე შრომობს და დაღლილ-დაქანცული ბრუნდება შინ, ყოველთვის, როცა ეზოში ჩავდივარ, ვხედავ, როგორი ბედნიერი და სიყვარულით სავსე თვალებით შესციცინებს შვილს თვალებში, როგორ ლაღად თამაშობს მასთან ერთად პარკში, როგორი ბედნიერი და უდარდელია მის გვერდით. სასწაული ის არ არის, როცა ჩამოვარდნილი თვითმფრინავის 127 მგზავრიდან ყველა გადარჩება, არც ის, კიბოთი დაავადებული ადამიანი რომ მოულოდნელად სრულად განიკურნება. სასწაული ისაა, როცა ცხოვრებისგან დაჩაგრული, მთელი დღის ნაშრომი და დაქანცული, მარტოხელა დედა საღამოს მაინც პოულობს საკუთარ თავში იმის ძალას, რომ შვილს ლაღი და ლამაზი წუთები აჩუქოს. დამიჯერეთ, აი, ეს მართლაც სასწაულია. ატარექსია“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„მაშინ 17 წლის ვიყავი, როცა ეს ამბავი შემემთხვა. ჩემთვის, ქუჩაში მივაბიჯებდი. უეცრად, ჩემკენ მანქანა წამოვიდა ძალიან დიდი სიჩქარით. მე ადგილზე გავშეშდი და ამ დროს დარტყმა ვიგრძენი. აზრზე რომ მოვედი, ვიღაც მაფხიზლებდა. თურმე ვიღაცამ გადამარჩინა სიკვდილს — ხელი მკრა და გვერდზე გადამაგდო. მე ამას სასწაულად მივიჩნევ. ზურა“.

„საერთოდ, ჩემს ცხოვრებაში უფლის წყალობით, ბევრი სასწაული ხდება. ეს ამბავი კი გასული წლის 22 ნოემბერს, ღამისთევაზე მიმავლებმა ვიხილეთ: არსად ღრუბლის ნასახი არ იყო, მხოლოდ ერთ ადგილზე, ღრუბლების მასით ულამაზესად იყო გამოსახული წმ. გიორგი. ისე, როგორც ხატებზეა. ეს ღამისთევა არასოდეს დაგვავიწყდება. კლეოპატრა“.

„კვირა საღამო... 7 საათი... მივუყვები ტალახიან დაბლობს. კანდელი ჩამქრალი იყო... მოვჩხრიკე იქაურობა — ზეთის ცარიელი ბოთლი და ასანთის რამდენიმე სველი კოლოფი ვიპოვე მხოლოდ. სარეველაც ამოსულიყო... დამძიმებული მივდივარ სახლში, რადგან ვხვდები, რომ შენი

ურთიერთობა გაქვს და ისინი ბებოს არ ჰგვანან, მეტი რაღა გინდა? მოხუცს ყურადღებას ნუ მიაქცევ და შენი ცხოვრების სტილით იცხოვრე. P.S. გეპეისტკა, ჩემსავით ახალი ხარ? ჩემი ნაცნობი მგონიხარ და... პირველ კურსზე ხარ?“

**პაწუკა:**

„ჩემო კარგო, ბებოს სიტყვებს ნუ აჰყვები. ყველა ოჯახში არის პრობლემა. ღმერთს მიენდე, ის გაპოვნინებს გამოსავალს. უფალი გფარავდეს“.

M.G:

„ძალიან გამიკვირდა, ასეთი მესიჯი რომ წავიკითხე, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში, ბებიები ძალიან კარგები არიან... თუ ბებიაშენს არ შეუძლია, გაგიგოს, რას იზამ, მის სიტყვებს ყურადღებას ნუ მიაქცევ, „დაიკიდე“. ბოლოს და ბოლოს, ორი ყური იმიტომ გაქვს, რომ რაც არ მოგეწონება, ერთში შეუშვა და მეორიდან გამოუშვა. შეეცადე, ბებიაშენთან ნაკლები დრო გაატარო. მეგობრებთან ერთად იარე და გაერთე, სახლში ნუ დაჯდები. აბა, შენ იცი, წარმატებები!“

JERRI:

„ასე მგონია, ბებიაშენი განდიდების მანიითაა შეპყრობილი. აბა, ადამიანს, რომელიც პატიოსნებას არ აფასებს, რაზე უნდა ელაპარაკო? ბებიას ყურადღებას ნუ მიაქცევ, არც კი მოუსმინო — მე ამას გირჩევ, რადგან არავის აქვს უფლება, საკუთარი აზრი თავს მოგახვიოს და მეტიც — შეურაცხყოს“.

**შოკოლადა:**

„ჩემო კარგო, შენი კარგად მესმის. ყოველდღიურად ლანძღვის ატანა, მით უმეტეს, საკუთარი ოჯახის წევრებისგან და თანაც — დაუმსახურებლად, ძალიან ძნელია. იმაში, რომ პატიოსან ადამიანებს აფასებ, დასაძრახი რა არის? არ ვიცი, კიდევ რა პრობლემები გაქვთ, მაგრამ იმის მიხედვით, რასაც აქ წერ, შენ ნამდვილად არ ხარ დამნაშავე. ყველა ადამიანს საკუთარი აზრი და შეხედულება აქვს, ამიტომ ისე მოიქეცი, როგორც შენ მიგაჩნია სწორად და არა — ბებიაშენს“.

**მარტოსული:**

„იცი, შენი ძალიან კარგად მესმის. ოჯახურმა პრობლემებმა მეც მთელი ბავშვობა, ცხოვრება დამიმახინჯა და ეს მართლაც, დიდი უბედურებაა... გირჩევ, დამშვიდდე და წონასწორობა არ დაკარგო, რათა ფსიქიკა არ დაგიზიანდეს, ამ ყველაფერმა სამომავლოდ რაიმე ცუდი კვალი არ დაამჩნიოს შენს ცხოვრებას. გამაგრდი, შენში სიყვარული გააძლიერე და ეკლესიაში იარე. უფალი დაგეხმარება. ეცადე სწორად, სიკეთითა და სითბოთი იცხოვრო. უფალი გფარავდეს“.

**უცნობი:**

„კეთილი ადამიანი ჩანხარ. არ უნდა იყო ამპარტავანი და სწორედ ღარიბს, პატიოსანს უნდა სცე პატივი. ბებიის სიტყვებს არ უსმინო, მას ყველაფრისთვის მოეკითხება“.

**ჯუკი:**

„გამარჯობა. იქნებ სიბერის ბრალია და ვერ ტვინავს, რას ამბობს? შეეშვი, რა, მაგან თავისი „მოჭამა“. მგონი, ტყუილად ნერვიულობ“.

Bloody-end:

„აუ, მეც თითქმის შენნაირ სიტუაციაში ვარ. ბებიაჩემი მეც ვერ მიტანს (მე ხომ ვგიჟდები მასზე, რა). „დაიკიდე“ და ყველაფერი „გაუტარე“ — მე ასე ვიქცევი. აბა, შენ იცი, არ ინერვიულო“.

**ცხოვრებისგან დაჩაგრული:**

„თუ ბებიაშენის კრიტიკას ველარ უძლებ და შენს სახლში ჯოჯოხეთია, იქნებ ჯობდეს, მასთან აღარ იცხოვრო?! დარწმუნებული ვარ, მერე პატიებას გთხოვს“.

**თათა 17:**

„ჩემო კარგო, ეცადე, ჭირვეული მოხუცის კაპრიზებს ყურადღება არ მიაქციო. სჯობს, მის ჩხუბს „იგნორი“ გაუკეთო და საპასუხოდ, გაუღიმე ხოლმე“.

**აურა:**

„მშობლებს დაელაპარაკე და იქნებ, საცხოვრებლად ცალკე გადახვიდეთ. ამის შემდეგ კი იმედია, ბებიაშენი მიხვდება, რომ შეცდომას უშვებდა და ვფიქრობ, შხამიან ენასაც დაიტკბობს“.

GRAZY GIRL:

„საყვარელო, ძალიან გთხოვ, ამ ყველაფერს ასე ნუ განიცდი. შენს ბებოს ღმერთი ყველაფრისთვის პასუხს აგებინებს, შენ კი, ჩემო პატარავ, ტაძარში იარე, იკითხე, საყვარელი საქმე აკეთე, მეგობრებთან ერთად გაერთე. თუ სურვილი გექნება, ვიმეგობროთ. ღმერთი ფარავდეს შენს ოჯახს“.

**მარე:**

„როცა ოჯახში აურზაურია, ეს ძალიან ცუდია. ჩემი აზრით, სჯობს, ბებიაშენი ეკლესიაში ხშირად ატარო, წირვას დაასწრო და იქნებ, გამოსწორდეს. დამშვიდდი და ოჯახის ამბები შეძლებისდაგვარად „გაატარე“.

**მაირა:**

„ჩემო კარგო, უმჯობესი იქნება, ყურადღებას თუ არ მიაქცევ, თუმცა ეცადე, მშობლებიც არ დააჩაგვრინო. გაუძელი და დამიჯერე, ამით შენ დარჩები მოგებული“.

**კარუზო 717:**

„ჩემო კარგო, ბებიას შეეშვი, ცალკე იცხოვრე, გაერთე და ცხოვრება გაილამაზე“.

**უცნობი:**

„მეც ზუსტად ასეთ სიტუაციაში ვიყავი. ყოველდღე რაღაც საშინელებებს მეძახდა, მაგრამ ახლა მკვდარია და მართლაც, დავისვენე. სცადე, არც დაელაპარაკო და შენ შესახებ სიახლეები არ გაიგოს. დაე თვითონ მოვიდეს რამის სათქმელად“.

**გურული ბუტია:**

„უნდა გამხნევდე. მშობლები ხომ გიდგანან მხარში, ბებიას ხუშტურებს ყურადღება არ მიაქციო, ეკლესიაში იარე, ყველაფერი კარგად იქნება“.

**უცნობი:**

„ჩემო ლამაზო, როგორც მივხვდი, საშინელი ბებია გყავს. ასეთ რჩევას მოგცემ: ბებიას, როგორც არ უნდა ცუდად მოგექცეს და გაგაღიზიანოს, არ აჰყვე. ის შენი წყობილებიდან გამოყვანას ცდილობს“.

**რიტა:**

„ნუთუ ვერ ხვდები, რომ ქალს სხვა საქმე არა აქვს და შენით ერთობა? გირჩევ, მოხუცებულთა თავშესაფარში წაყვანით დაემუქროთ და იქნებ, აზრზე მოვიდეს, ენა დაიტკბოს. ისე, სკლეროზი ხომ არა აქვს?..“

**ნანო 17:**

„ქმარი აღარ ჰყავს? ჰოდა, ალბათ ამიტომაც ველარ გიტანთ ოჯახის წევრებს. გამიგონია, — მოხუცები ახალგაზრდებზე ეჭვიანობენ, მათი შურთ და ამიტომაც უმწარდებათ ენაო. ეტყობა, ამის მთქმელი მართალი იყო. კიდევ კარგი, ბებია-ბაბუა აღარ მყავს და ისინიც არ მიმწარებენ ცხოვრებას. წარმატებებს გისურვებ!“ ■

## „ჩემი დის შეყვარებული კოჭლია...“

**ანასტასია 20:**

„გამარჯობა. იმ იმედით გწერთ, რომ დამიბეჭდავთ და რჩევასაც მომცემთ. 18 წლის ანგელოზივით და მყავს, მაგრამ მისი შეყვარებული კოჭლია (თანდაყოლილი). ჰოდა, არ ვიცი, რა ვქნა. ასე ხომ მთელ ცხოვრებას გაიუბედურებს. მირჩიეთ რამე“.

## „შეყვარებული დაშორებით მემუქრება“

**ზურა:**

„გზავ“, ვარ 29 წლის და მყავს შეყვარებული, აგერ უკვე 7 წელია. სახლში, ჩემთან ერთად, 2 ძმა, მშობლები და ბებია-ბაბუა ცხოვრობენ. სტაბილური სამსახური არა მაქვს. იმ თანხით, რასაც თვიდან თვემდე ვშოულობ, ვერც ბინას ვიქირავებ და ვერც ცოლ-შვილს შევინახავ. შეყვარებული დაშორებით მემუქრება, თუ დაქორწინებას არ დავაჩქარებ, მე კი ვთავაზობ, 1-2 წელი მაინც მოითმინოს. რა ვქნა?“

*P.S. მაშ ასე, თუ ანასტასია 20-ის და ზურას წერილის წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.* ■

# „ვირტში“ დაწყებული ურთიერთობა ყოველთვის კრახით სრულდება“

## „ის სიყვარულს კი არა, ზიზღსაც არ იმსახურებდა“

**„გზის“ №40-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, მინდა, ჩემი ტკივილი ვინმეს გავუზიაროო. „ახლა ქობულეთში ვარ, გული ტკივილით მაქვს სავსე, სული კი — დამძიმებული. მოკლედ, ყველაფერი „სკაიპის“ ბრალია... ძველ სიყვარულს ვივიწყებდი, როცა გიო გავიცანი. მალე ერთმანეთი შეგვიყვარდა. მერწმუნეთ, ჩვენ ბევრი ტკივილი გადავიტანეთ ერთად, რადგან უსამართლოდ მოგვექცნენ, მსოფლიო ჩვენ წინააღმდეგ იყო განწყობილი, მაგრამ ესეც გადავლახეთ... მალე ის თურქეთში წავიდა და იქიდან გულცივი, უყურადღებო დამიბრუნდა, 2 დღეში კი სხვა გოგო შეიყვარა და „ოდნო“ მისი ფოტოებით აავსო... ისეთ სიცარიელეს ვგრძნობ, ვერ აგიწერთ. ნეტავ, ასეთი რა დავაშავე?..“**



ლიკა ქაჯაია

**ლოვჩიკა:**

„ვიზიარებ შენს ტკივილს. აუ, ინტერნეტში მეც გავიცანი ბიჭი და ნუთუ, ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდება? ამის დაჯერება მიჭირს... გამხნევდი და მიუხედავად დიდი გრძნობისა, არ დაანახვო, რომ მის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლია. როცა საკუთარ ადგილს იპოვი, მერე უფრო დაგაფასებს და მეტიც, ბოდიშსაც მოგიხდის“.

**უცნობი:**

„ალბათ, ისე არ უყვარდი, როგორც შენ გიყვარდა. მაპატიე, ამ სიტყვებით გულს თუ გტკენ, მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გაუსწორო. თავი ხელში აიყვანე და მის დავიწყებას შეეცადე. წარმატებები!“

**ანი:**

„შეიძლება ჩემმა სიტყვებმა გული გატკინოს, მაგრამ ვფიქრობ, ჯერ სულ პატარა ბავშვი ხარ. სისულელეა იმის დაჯერება, რომ ადამიანი, რომელსაც პირადად არც კი იცნობდი, ასე უცებ შეგიყვარდა. ვირტუალურ სამყაროში ყველა ისეთი კეთილი და დადებითი ადამიანია, რომ ამდენი „ტკბილი“ ხალხისგან შეიძლება, ჭკუიდან შეიშალო. ამბობ, — ერთად უამრავი ტკივილი გადავიტანეთო. სინამდვილეში იცი, რა არის ტკივილი და სიძნელე? ხალხნო, პრობლემებს ძალით ნუ იქმნით. მრჩება შთაბეჭდილება, რომ დეპრესია მოდური ტენდენცია გახდა. ისიამოვნეთ ნამდვილი ცხოვრებით, იურთიერთეთ რეალურ ადამიანებთან. უცნობო, ირგვლივ მიმოიხედე და ნახე, რამდენი მართლა გაჭირვებული ადამიანია, ხალხს როგორი სერიოზული ცხოვრებისეული პრობლემები აქვს, შენ კი რის გამო წუწუნებ?.. P.S. მაპატიე, თუ უხეშად გამომივიდა. ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ!“

**ცქნაფა:**

„მოკლედ, შენ მაშინ შეცდი, როცა ის შეიყვარე, ვინც არ უნდა შეგეყვარებინა. მის გამო ტანჯვა არ ღირს. ცხოვრება განაგრძე და გულის კარი სხვას გაუღე. ეცადე, ღირსეულ ადამიანს შეავსებინო ის სიცარიელე, რომელიც მან დაგიტოვა. სიყვარულზე ხელს ნუ ჩაიქნევ, ბედნიერებისთვის იბრძოლე. დააფასე შენი თავი და სხვებიც დაგაფასებენ“.

**რუისპირი (YELLOW):**

„მაპატიე, მაგრამ შენსა და შენს „ლოვეზე“ ყოფილა ნათქვამი, — ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო. ალბათ დამეთანხმებით, რომ ათასჯერ მაინც მითქვამს, — „ვირტში“ დაწყებული ურთიერთობა ყოველთვის კრახით სრულდება-მეთქი, მაგრამ ესმის ვინმეს? ამბობ, — ერთმანეთი ბავშვური სიყვარულით გვიყვარდაო. არ მინდა, უხეშად გამომივიდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენ შორის სექსიც იყო. ჰოდა, როცა მიიღო ის, რაც უნდოდა, შენგან წავიდა. ახლა სხვა გამოიჭირა, დაუახლოვდა და იმასაც... შეყვარებულის გამო ქუჩაში რა პონტში გამოგლანძღეს? ფაქტია, რომელიღაც თქვენგანს არც ისე კარგი რეპუტაცია აქვს. თუ ვცდები, მაპატიე. P.S. სადაც ერთი „ლოვე“ ასე მალე დაივიწყე, ამ ამბავსაც გადაიტან. უტვინო ქალებს ვერ ვიტან, რა“.

**მაკეკი:**

„შენი კარგად მესმის, საყვარელო. მსგავს სიტუაციაში მეც აღმოვჩნდი და ის ბიჭი შემზიზღდა. თუმცა, გულისტკივილი და შელახული თავმოყვარეობა კარგა ხანს არ მასვენებდა. მერწმუნე, კარგიცაა, ასეთი ადამიანი გვერდით რომ აღარ გყავს“.

**უცნობი:**

„ჩემო კარგო, მესმის, რომ ძალიან გიყვარს, მაგრამ აბა, დაფიქრდი, ნერვიულობით რას უშველი? მერწმუნე, ამით მხოლოდ საკუთარ თავს დააზარალებ. ის ადამიანი შენი სიყვარულის ღირსი არ ყოფილა. დაიმახსოვრე, მოვა დრო, როცა ამ ამბავს სიცილით გაიხსენებ და ინანებ, ყველაფერი ასე რომ განიცადე. დრო ყველაფრის მკურნალია“.

**ქისუნა:**

„მესმის შენი, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ხარ. დაივიწყე, ის შენი სიყვარულის ღირსი არაა და თავს ტყუილად ნუ იტანჯავ. თუ ერთმანეთი გიყვარდათ, შენ მიმართ გული ასე უცებ როგორ გაუცივდა და თანაც, ორ დღეში სხვა გოგო როგორ შეუყვარდა? ეს დაუჯერებელია! შენ არაფერი დაგიშავებია, უბრალოდ, მან ეს გრძნობა ვერ დააფასა. წარმატებები!“

**ბუშტუკა:**

„შენი მესიჯის წაკითხვისას ლამის ცრემლები წამომივდა, „დავიგრუზე“. რომ იცოდე, როგორ მესმის შენი, რადგან ცოტა ხნის წინ მეც ასე დამემერთა და ახლა ისეთი ცარიელი, უსიცოცხლო ვარ... რატომღაც, მისი დაბრუნების იმედი მაქვს... იმედი არც შენ დაკარგო. ეცადე, მარტოობა როგორმე შეიმსუბუქო, მერე დრო გავა და... წარმატებებს გისურვებ! აბა, შენ იცი, გკოცნი. თუ გინდა, მომწერე“.

**წყევლა:**

„საყვარელო, ხელს ნუ ჩაიქნევ, მისნაირი კაცი არც ცრემლების ღვრად და არც ნერვების შლად არ ღირს. თავი მაღლა ასწიე, ცხოვრებას თვალი გაუსწორე და „დალში“ ყველაფერი თავისით მოვა. წარმატებები! გკოცნი, გენაცვალე“.

**სვანის ასული:**

„მესმის შენი. როცა ვინმეს ძალიან ეჩვევი, მისი წასვლის შემდეგ მართლაც, სულში სიცარიელე ისადგურებს. სავარაუდოდ, უხეშად რომ ვთქვათ, მისთვის ის გოგო უფრო სარფიანი აღმოჩნდა და ახლა სიყვარულს ამიტომაც უმტკიცებს, ასე საჯაროდ. სამწუხაროდ, ვირტუალური ურთიერთობები, უმეტესწილად, იმედგაცრუებით სრულდება, მაგრამ ასეთი ყალბი და არამყარი ბუნების ადამიანი სადაც არ უნდა გაგეცნო, ფინალი მაინც იგივე იქნებოდა ან შესაძლოა, უფრო ფატალურიც ყოფილიყო, ამიტომ ღმერთის მადლობელი იყავი, რომ მან თავისი ნამდვილი სახე მალევე გამოავლინა. იმედი

მაქვს, რომ ქარაფშუტა გოგო არა ხარ და ამიტომაც ვერ გირჩევ, მის დასავიწყებლად სასწრაფოდ, სხვაზე გადაერთემეთქი. უბრალოდ, შენი ცხოვრებით იცხოვრე, ცუდზე ნაკლებად იფიქრე და ადვილად არავის ენდო. დანარჩენს დრო თავად გიჩვენებს, ტკივილიც ნელ-ნელა გაყუჩდება P.S. ლიკა, უმორჩილესად გთხოვ, მესიჯი არ შემიმოკლო (ჩემო კარგო, ათასჯერ მაინც მითქვამს, რომ ზოგჯერ, ამის გაკეთება ძალაუნებურად მიწევს და ამ მხრივ გამონაკლისი მხოლოდ შენ არა ხარ. ასე რომ, ამ ამბავს უნდა შეეგუო, თუ არადა, შეეცადე ხოლმე, თავად მომწერო ისეთი მესიჯი, რომლის შემოკლებაც საჭირო არ გახდება. მერწმუნე, შენს „ესემესებს“ არ ვემტერები. — ავტ.)“.

**ლუნა:**

„მესმის შენი, რადგან ვიცი, რა საშინელებაა იმედგაცრუება, მაგრამ გამოსავალი ყველანაირი სიტუაციიდან არსებობს. ვიცი, ახლა მისი საქციელით გაკვირვებული ხარ და იტანჯები, მაგრამ უნდა შეძლო და რეალობას თვალი გაუსწორო. იმის ამოცნობა ნამდვილად არ შემიძლია, შენი ბედოვლათი „ლოვე“ ასე რატომ მოიქცა და თავში რა გადაუტრიალდა თუ გადმოუტრიალდა, მაგრამ ფაქტია, არ უყვარდი, თორემ არ მიგატოვებდა. ზოგიერთ ბიჭს ვერაფერს გაუგებ, რადგან თავადაც არ იციან, რა უნდათ. საკუთარი თავი შეიცოდე და მაგ არაკაცზე ფიქრს შეეშვი. ყველაფერი წინაა და შენს ცხოვრებაშიც გამოჩნდება ისეთი ვინმე, ვინც გაგაბედნიერებს. დრო ყველაფრის მკურნალია. მალე ეგ ბიჭი აღარც გემახსოვრება და არც არის ამის ღირსი. გულს გაუფრთხილდი. გკოცნი!“

**უცნობი:**

„შენი წერილის წაკითხვის შემდეგ გული მეც დამიმძიმდა; გამახსენდა, რომ ერთ დროს მეც ასე მომექცნენ, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ის ადამიანი ჩემგან სიყვარულს კი არა, ზიზღსაც არ იმსახურებდა. თავს გაუფრთხილდი და იფიქრე, რომ ცხოვრება მშვენიერია!“

**დადუ:**

„ჩემო კარგო, დამერწმუნე, ეგ ადამიანი შენი ღირსი არაა. საკუთარ თავს დაუსვი კითხვა: რომ ჰყვარებოდი, ამას ჩაიდენდა?.. წარმატებებს გისურვებ!“

**ინა:**

„როცა მის გამო გაგლანძღეს და გიომ მათ ამის უფლება მისცა, მაშინვე უნდა მოგეშორებინა თავიდან. დაელაპარაკე და გაარკვიე, ასე რატომ იქცევა? იქნებ, რა მიზეზი აქვს?.. თუ უბრალოდ, დაგივიწყა, შენც უბრალოდ, მაგ იდიოტს ნულარ გაიხსენებ. არასერიოზული ადამიანი ყოფილა, სხვა შემთხვევაში კი არ ვიცი, რა ჰქვია იმას: დღეს ერთი გიყვარდეს და ორ დღეში — სხვა. დამიჯერე და იმ ბიჭის გამო ნუ ინერვიულებ. იცოდე, მჯობნზე მჯობნი არ დაილევა“.

**აუტანელი:**

„რა უნდა ქნა და უნდა დაივიწყო, სხვა გზა არა გაქვს, ტირილით კი ვერაფერს უშველი. P.S. ხალხო, თუ რჩევის მიცემა არ გინდათ, უხეში ლაპარაკით და დაცინვით მაინც ნუ „დაგრუზავთ“ ისედაც გამოდეპრესიულებულ ადამიანებს!“

LEDY:

„ძალიან ვწუხვარ. მის გამო თავს ნუ დაიტანჯავ, მისნაირი ადამიანი არაფრის ღირსი არ არის. ჩემი აზრით, მას სიყვარული არ სცოდნია!“

**ქრისტინ:**

„ნუ, ახლა, თუ მსოფლიო იყო თქვენ წინააღმდეგ განწყობილი... რას გაუგებ ბიჭებს, რა — ერთ დღეს რომ ერთი უყვართ, მეორე დღეს სხვასთან არიან. გირჩევ, ეგ ბიჭი დაივიწყო და ისეთი ვინმე იპოვო, ვინც ნამდვილად, შენი სიყვარულის ღირსი იქნება!“

**ბარბი 99:**

„ვაი, შე საწყალო, მართლა ცუდად მოგქცევია. გირჩევ, დაივიწყო, ის შენი ღირსი არაა. ასეთ ბიჭებს „ვაბშე“, ზედაც არ უნდა შეხედო. საკუთარ თავს მიხედე, სადმე გამგზავრება და დასვენება არ გაწყენდა. უფალი გფარავდეს“.

**აურა:**

„პრივეტ“. არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს რჩევას „გზის“ ლამაზ ფურცლებზე ვნახავ, მაგრამ გწერთ იმიტომ, რომ მინდა, გასაჭირში მყოფ ადამიანს დავეხმარო. მაშ ასე, თუ შენ გიყვარს, მან კი სხვა გოგოში გაგცვალა, ე.ი. შენი ნაზი გრძნობების ღირსი არ ყოფილა. მის დასავიწყებლად კარგ ბიჭს დაუმეგობრდი, რომელიც შენც მოგწონს, რომელიც შენ მიმართ სიმპათიითაა განწყობილი, რომელიც გრძნობებს დაგიფასებს და ვის გამოც ქუჩაში არ აგატირებენ. ბედნიერად! P.S. მიყვარხართ, „სასტაველებო“.

**უცნობი:**

„მრცხვენია, სვანი ასეთ „ესემესს“ ჟურნალში რომ აქვეყნებ. შენ უარესის ღირსი ყოფილხარ. თუ გატყუებდა, შეეშვი, „დაიკიდე“. აბა, ვიღაც ლაწირაკის გამო თავს რატომ იტანჯავ? ღირს კი ცრემლად მას მერე, რაც გაგიკეთა?! სვანი და ეგეთი უტვინო, არ მინახავს“.

**ნანკა:**

„ყველაფერი თავიდან დაიწყე, შენი ცხოვრება მისთვის საინტერესო გახადე. იცოდე, ინტრიგა აუცილებელია. ეცადე, იმ გოგოს ხასიათი ფოტოების მიხედვით ამოიცნო, რადგან შენ მისი კონკურენტი უნდა გახდე, მას უნდა მიბაძო... თუმცა, იმ ბიჭის დაბრუნების ათასიდან ერთი შანსი გაქვს. გახსოვდეს, როგორ გოგოსაც შენ მიაქცევდი ყურადღებას (მის ადგილას რომ იყო), ისეთად უნდა იქცე. წარმატებები!“

**მისის:**

„საყვარელო, ყველაფერი ცაში წყდება. იმ ბიჭს არ ჰყვარებიხარ და კიდევ კარგი, რომ დაგშორდა. სიყვარულისთვის 5 თვე ძალიან ცოტაა. ჯობია, ეგ ბიჭი შენი გონებიდან ამოშალო. დამერწმუნე, მას არც ის გოგო არ უყვარს. ის შენით ერთობოდა და როცა მობეზრდი, სხვა იპოვა; ახლა მასთან გაერთობა და მალე იმასაც შეეშვება. და კიდევ, როცა ბიჭი ასე გექცევა, ზედაც არ უნდა შეხედო. მერწმუნე, ის შენი ღირსი არაა!“

■

## „ანა მამას მეგობარს ეპრანჭებოდა...“

**მარი:**

„მამაჩემი 15 წლის იყო, როცა პირველი შვილი ანუ ჩემი და შეეძინა. ანა 18 წლისაა, მე — 17-ის. მისგან განსხვავებით, სერიოზული, წყნარი გოგო ვარ, ის კი ნამდვილი მატრაკვეცაა და ამიტომაც, ყოველთვის მასზე მეტი თაყვანისმცემელი მყავდა. მამას თავისი ბიზნესი აქვს და ყოველთვის გვანებივრებს. ამ ბოლო დროს ანას ცოტა თავში აუვარდა. რას ვგულისხმობ? — მამასთან ხშირად მოდიან მისი ძმაკაცები. ერთი უცოლო მეგობარიც (ირაკლი) ჰყავს, რომელიც ხშირ-ხშირად გვსტუმრობდა და ვამჩნევდი, რომ ჩემი და ეპრანჭებოდა, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ მათ შორის რაიმე მოხდებოდა... ერთ დღეს მშობლები ქორწილში მიდიოდნენ და ირაკლის სთხოვეს, ჩვენთან დარჩენილიყო. ჩემთან დაქალი მოვიდა და ბაღში გავედით, სასეირნოდ, ირაკლი და ანა კი შინ დარჩნენ. როცა ჩემი დაქალი წავიდა, მე სახლში შევედი. ვინაიდან პირველ სართულზე არავინ დამხვდა, მეორეზე ავედი, სადაც ირაკლისა და ანას სწორედ იმ დროს შევუსწარი, როცა სექსი ჰქონდათ გაჩაღებული. ვერ წარმოიდგენთ, რა დამემართა... ორივე საშინლად გამოვლანძღე და სახლიდან გავიქეცი, მაგრამ შინ მალევე დავბრუნდი. ისინი მისაღებ ოთახში იჯდნენ, მე მელოდებოდნენ. შევედი თუ არა, ანამ ისტერიკები მომიწყო, ბოლოს კი მკაცრად გამაფრთხილა: იცოდე, მამას არაფერი უთხრა, თორემ ირაკლის მოკლავსო. დავთანხმდი, მაგრამ მგონი, არასწორად მოვიქეცი. თქვენი აზრით, მშობლებს სიმართლე არ უნდა ვუთხრა? არ მინდა, ანა მამაჩემის ასაკის კაცს გაჰყვეს ცოლად ან სულაც, გზას რომ ასცდეს, მერე?.. გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

***P.S. მაშ ასე, თუ მარის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.***

■



# მობილი-ზაცია

***იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილ-ურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკ-ლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.***



## ქალები

1. გავიცნობ სერიოზულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით, 40 წლამდე, თბილისელს ან ქუთაისელს. ვარ 32 წლის, პუტკუნა. დანარჩენი — პირადად.

2. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობდი 42 წლამდე ასაკის, ნორმალურ პიროვნებას. ვარ 36 წლის, ვცხოვრობ სოფელში.

3. ვეხმაურები 33-ე ნომრის, მე-19 სმს-ის ავტორ მამაკაცს, იმერეთიდან. ვარ იმერელი და მორწმუნე. დანარჩენი — გაცნობის შემდეგ.

4. 41-ე ნომრის მე-19 მესიჯის ავტორს მიეცით ჩემი ნომერი.

5. ვარ 48 წლის ქალბატონი. ეკლესიური. ოჯახის შექმნის მიზნით დამიკავშირდეს სერიოზული მამაკაცი, 55 წლამდე.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა — a | | მ — m | | ღ — gh | |
| ბ — b | | ნ — n | | ყ — y | |
| გ — g | | ო — o | | შ — sh | |
| დ — d | | პ — p | | ჩ — ch | |
| ე — e | | ჟ — zh | | ც — c | |
| ვ — v | | რ — r | | ძ — dz | |
| ზ — z | | ს — s | | წ — w | |
| თ — t | | ტ — t | | ჭ — wh | |
| ი — i | | უ — u | | ხ — x | |
| კ — k | | ფ — f | | ჯ — j | |
| ლ — l | | ქ — q | | ჰ — h | |

6. მყავს ახლობელი, 30 წლის, საჩინო ქალბატონი. მას ბევრი ამჩნევს, მაგრამ ვერ უბედავენ. ჰყავს ვაჟი, კანონიერი ქორწინებიდან. არის მავნე ჩვევების გარეშე, სამსახურით, ბინით. თქვენ გექნებათ კარგი ოჯახიც და კარგი ბიზნესიც, მისი პროფესიიდან გამომდინარე. საჭიროა მხოლოდ მცირე, საწყისი კაპიტალი გქონდეთ.



## კაცები

7. სერიოზული ურთიერთობისთვის და ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-დან 38 წლამდე ასაკის, ლამაზ, კეთილ, მორწმუნე ქალბატონს. ვარ 46 წლის, ცოლს გაცილებული, ბინითა და სამსახურით.

8. გავიცნობ თბილისელ გოგონას, 25-35 წლამდე. ჯერ სამეგობროდ, მერე — დრო გვიჩვენებს. ვარ თბილისელი, 40 წლის, 178 სმ. სუსტი აღნაგობის, დასაქმებული მამაკაცი.

9. ვარ 44 წლის. ვისაც სურს თბილი ოჯახის შექმნა, გამომეხმაუროს, ქმარს გაცილებული ან ქვრივი, ბავშვიანიც შეიძლება.

10. გავიცნობ 20-დან 40 წლამდე მანდილოსანს. ვარ თბილისელი.

11. გავიცნობ ქალს, 25-დან 40 წლამდე. ვარ 180/75/23, სერიოზული და დასაქმებული პიროვნება. რედაქციას ვთხოვ, მიეცით ჩემი ნომერი.

12. „გზა“ №41, 1-ლი მესიჯის ავტორს, ლიკას ვეხმაურები. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი ან დამაკავშიროთ, მესიჯის საშუალებით. ვარ 46 წლის, თბილისელი, დასაქმებული კაცი.

13. გთხოვთ, მომცეთ 41-ე ნომერში, რიგით მე-19 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.



## სხვადასხვა

• გამარჯობა! პირველად გწერთ, მაგრამ ყოველთვის ვკითხულობ თქვენს სმს-ებს. მისტერ, მაგრად მახალისებ, გაიხარე. :) ისე, EKO BOY სად გაქრა? SWEET, რუისპირ, მაგრები ხართ. :) მათი.

• დათო73, სიხარულო, ადვოკატმა მითხრა, ხელის მოწერასთან დაკავშირებით. შენ ხომ იცი ჩემი აზრი შენ მიმართ? არაფერი არ შეცვლილა ჩემში. თანახმა ვარ, რა თქმა უნდა! რაც მალე მოხერხდება, უკეთესია. მთავარია, შენ მენდო. ხომ იცი, არ შეგარცხვენ. წლები ვერ მოერევა იმ გრძნობას, რაც შენ მიმართ მაქვს, გჯეროდეს, სიხარულო. მიჭირს უშენობა, მაგრამ ვუძლებ და მჯერა, ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით. მენატრები. ნეტავ იცოდე, როგორ. ჩემები აქეთ არიან, არ იდარდო, მარტო არ ვარ. გკოცნი. თეო.

• დათო, ყველას ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები! თავს გაუფრთხილდი.

• ღორმუცელავ, რაც შევძელი, ის ჩაგირიცხე. ისინი უკან რატომ დამიბრუნე? ჟაკეტი დათოს აქვს და არ გამომიგზავნა, ძალიან ვარ დაღლილი ყველაფრით. თავს გაუფრთხილდი, გკოცნი.

• აუ, ნეტავ ეს სკოლები საერთოდ არ დაეარსებინათ! ისწავლე! სულ ეს მესმის. დღე და ღამ ტვინი მაქვს გახვრეტილი. თან გამოცდები მაქვს ოჰ, შაშკინ! :( LIQUIDATOR.

• JERRY, პირველ რიგში გილოცავ სვეტიცხოვლობას. უფალი გფარავდეს. დიდი მადლობა, თბილი სიტყვებისთვის. გაიხარე, შენც კარგი ხარ. :) ICE-LADY.

• გილოცავთ ყველას სვეტიცხოვლობას. როგორ არ მიყვარს ეს დღესასწაულები... :( არც არავისთვის მაქვს მისალოცი და არც არავინ მილოცავს. :( ეჰ... ICE-LADY.

• YELLOW მსურდა ნიკად და რუისპირმა დამასწრო. საძაგელ! :) არა უშავს, ჩემი საყვარელი ჯგუფის სახელით მოგევლინებით. უძლები შვილი დაგიბრუნდით. ნეტავ თუ მიცნობთ? :) COLDPLAY.

• რაოდენ უცნაური რამ შეიძლება შეგემთხვეს ადამიანს, არა? ელექტრონულ მუსიკას ვუსმენდი (მუსიკის ამ სტილს სიამოვნებით ვუსმენ), სადაც სიტყვა SONYC დროდადრო ისმოდა, რამაც ჩემი პირველი, ტოპსონიკის სერიის მაგნიტოფონი გამახსენა. ჰოდა, ის სუნი შევიგრძენი ცხადად, მასთან ახლოს ყოფნის დროს რომ ვგრძნობდი ხოლმე. გაგაცინეთ, ხომ? :) იმის აღნიშვნა მინდა, თუ რაოდენ საოცარია და მრავალფეროვანი შესაძლებლობებით სავსე, სამყარო. რავი, შეიგრძნო უნდა! სარვიეტა.

• პრივეტ მარ, როგორ ხარ, საყვარელო? მადლობა უფალს, შენ და „გზავნილები“ რომ არსებობთ. მოვიკითხავ ბერბიჭას, 9717-ს და რუისპირს. ჩემი საყვარელი მგზავნელები არიან.

• 030, ნეტავ როგორ ხარ, ბაჩი? ჩვენ კარგად ვართ. რა მოგწერო, ისიც არ ვიცი, სათქმელი ვინ იცის, რამდენი მაქვს. ვუძლებ ამ ყველაფერს და ვარ. უფალი არ გამწირავს, ვიცი. ბაჩი, დათოს ლალი და ბავშვები კარგად არიან, ხშირად ვნახულობთ ერთმანეთს. ლუკაჩოს ისე ვუყვარვარ, რომ დამინახავს, აღარ იცის, რა ქნას. მოვა, ჩამეხუტება, მერე დარბის და მიყვარხარო, გაიძახის. რატომ შევუყვარდი ასე ძალიან, არ ვიცი. ანო და დათიც დამეგობრდნენ და ვართ ასე, ვამხნევებთ ერთმანეთს მე და ლალი. ასე გადის უაზრო დღეები. ბარტყს ძალიან ენატრები, კისერში მკოცნის, ეს ბაბუსო. ზედმეტად ეშმაკია. თან ზუსტად იცის, ვის როგორ მიუდგეს. დიდი ოხერია, ბებოს კაცუნა. დათის ჩემპიონატი 24-ში აქვს. ვნახოთ, რას იზამს. მოგწერ აუცილებლად. კიდევ რა გეჭორაო? მეზობლები მართლა გულით განიცდიან შენს ამბავს. ბუკია ხშირად გკითხულობს, კიჭოც. გუჯას მაჭარზე ქეიფობდნენ ბიჭები, რომ მოვედი ერთ დღეს და დიდი ამბით, შენი სადღეგრძელო დალიეს. ძლივს დაამთავრა ბუკიამ შენზე ლაპარაკი. კიჭომ ხომ საერთოდ... მესიამოვნა. ბაჩი, შაბათია დღეს. მურმანმა დამირეკა და კარგად ვიტირეთ ორივემ. იმ ფულზე ვუთხარი და გაგიჟდა, ნახევარი კახას და ბენზინს მოახმარეო, მაფიცა. ჩამოსვლა მინდა და გნახავ აუცილებლად, არ მინდა, ჩემს დას ატირებულს ვხედავდე და აბა შენ იცი, მჯერა, რომ შენ ძლიერი მყავხარო. მომიკითხე აუცილებლად და მიყვარხართ ძალიანო. ხვალ დათის დაბადების დღეა, რესტორანში უხდის ბაბუ. ლუკაჩოს წავიყვან და მივალ. როგორ მინდა ვიცოდე, როგორ ხარ. მომენატრე ბაჩი, ძალიან. გაკოცე ბევრი, სიხარულო. უშენოდ ყოფნა აღარ მინდა. რამდენი მაქვს სათქმელი შენთან, კარგიც და ცუდიც... ეჰ, როგორ მტკივა გული ბაჩი, დაგიბრუნებ მალე სიხარულო, გამაგრდი, შენ ძლიერი ხარ.

• დათო73, სიხარულო, ზოგჯერ არ იბეჭდება. ყველა ნომერში გწერ. ახალი არაფერია. ველოდები სასამართლოს, რომ მერე მოვწესრიგდეთ. შენ გვერდით ვიქნები ყოველთვის. მიყვარხარ. თეო.

• პრივეტ, მარ და მგზავნელებო. იცით, რამდენი ადამიანი ბოლო თეთრებით ყიდულობს „გზას“, რომ გაერთოს? აქ კი შეჯიბრია, ვინ უფრო მგრად და საკაიფოდ გალანძღოს. კლეოპატრა სხვის ლექსებს წერსო. ის სიყვარულზე წერს, თქვენ კი... იცით, რაა? პირველობა სიყვარულით უნდა მოიპოვოთ და არა — ჩხუბით. მოეფერეთ ერთმანეთს, ხვალ ვინ იცის, რა იქნება. ერთგული მკითხველი.

• სხვებისთვის ზრუნვა ღრმა უფსკრულში გადავუძახე, დაჩლუნგებული არ მაწუხებს გრძნობა ველური. ატარექსია.

• გამარჯობა, ვარ გათხოვილი, მყავს 2 შვილი. მეუღლე ძალიან ცუდად მექცევა. ისე ცუდად, რომ მასთან დარჩენა შეუძლებელია. გთხოვთ, მირჩიოთ რამე, როგორ მოვიქცე? გმადლობ.

• მწარე გოიმებო, წყევლა და მარია, რად ილანძღებით? თქვენნაირი გოიმი ახლობელი მყავს, ისიც ილანძღება. ვაი, თქვენს პატრონს! ნიტა.

• მინდა მოგიძღვნა ყველა ლექსი, ყველა სიმღერა, შემოგატარო ოცნებებით მთელი სამყარო, შენს ცხოვრებაში ყველა დარდი სევდის ფიქრები, ჩუმი ალერსით, სიყვარულით მინდა გავყარო. შენსკენ სავალი ყველა გზები გამოვიკვლიე, შემოგეპარე გულში ჩუმად დავიდე ბინა, თუ კი ოდესმე ჩვენი გზები გადიკვეთება, ნუ დაივიწყებ, ვინ ვიყავი და ახლაც ვინ ვარ. შორეულ გზებზე დამრჩენია ყველა სიკეთე, დავეძებ ბრმად და ან კი რას ვეძებ? ის სილამაზე, სითბო შენი მომნატრებია. ნუ დაივიწყებ, ვინ ვიყავი და ახლაც ვინ ვარ. შორეულ გზებზე დამრჩენია ყველა სიკეთე, დავეძებ ბრმად და ან კი რას ვეძებ? ის სილამაზე, სითბო შენი მომნატრებია, სიზმრად ნანახი ცხადშია, რომ ამაოდ გეძებ! ეძღვნება ჩემს უსაყვარლეს მეგობარს! გაუფრთხილდით ერთმანეთს! ისწავლე დროისა და სიცოცხლის ფასი! მანაველი.

• ავთო ნადირაშვილი უზომოდ მიყვარს! ჩემი სიცოცხლეა.

• წყევლა, მინდა გკითხო: რამ დაგბოლმა და გაგაბოროტა ასე, ყველას რომ აკრიტიკებ და გესლავ? რატომღაც მგონია, რომ ცუდი ადამიანი არ უნდა იყო და რაში გჭირდება?

• სალამი მარ. მე კარგა ხანია ვკითხულობ მგზავნელების მიერ მოწერილ სმსებს. მინდა, მეც მათი ნაწილი გავხდე. თუ მიმიღებთ, რა თქმა უნდა, სიხარულებო. ღმერთმა ყველა გაგაძლიეროთ.

• მიყვარხართ ყველა. ლაკვასტ, მიყვარხარ, ჩემო ფერიავ. კლეოპატრა, შენზე ვაბოდებ, დაიკო. ფლამინგო, ძალიან მენატრები, ჩემო ტკბილო ადამიანო. გაკოცეთ და გეხუტუნეთ. თქვენი ედელვაისი.

• ვაიმე, მარი, მე პირველად გწერთ და წინა სმს ისე გამოვუშვი, რომ „გზის“ დაწერა წინ დამავიწყდა და გთხოვ, არ დამიკარგო და დამიბეჭდე, რა. გაკოცე. კოლხიანი.

• მახო, ქუცუნა, გილოცავ დაბადების დღეს, იმედია, მომდევნო წელს ერთად აღვნიშნავთ დაბერებას. :) გოგონები იყვნენ ჩემთან, შენი სადღეგრძელო ყანწით დავლიეთ. მოკლედ, არ ვიცვლებით. ცოტა ნინომ წონაში დაიკლო, 3 კილო. ქეთიმ ვარცხნილობა შეიცვალა, სოფო ისევ ბაკოზეა შეყვარებული. მე არ მეშველა არაფერი. :) გვენატრები. ქუცუნა.

• ედელვაის, შენი ნომერი ვერ გავიგე და იქნებ შენ დამიმესიჯო აქ. გელოდები აუცილებლად, გათხოვილი ვარ, სხვები ნუ შეწუხდებით. დიკი ანგელი.

• 030, მეც 7-ში მქონდა დაბადების დღე. გილოცავ მოგვიანებით. არ ვიცი, რა პრობლემა გაქვს ასეთი, მაგრამ გულით გისურვებ, მის მოგვარებას. თქვენი გულშემატკივარი. თეთრო.

• ჩემო მასაზრდოებელო, მგზავნელებო, მოგესალმებით და მოგიკითხავთ, დიდი სიყვარულით ლიმონას, ლუნას, მემეს, ვერძს, კლეოპატრას, ლაკვასტის, მატიტელას, ემიგრანტს, რუისპირს, მის რეალს, ჭრიჭინას (გამრავლდი ისე, როგორც ადამ და ევა), დამავოის, ტერეზას, ტირიფი73-ს, 9717-ს, გიჟპოეტას, იდუმალ ქალს, მგზავრს, ჯაყისმანელს, ნანა მისირელს, ფიფქს და ფლამინგოს. ყველა მიყვარხართ და მეამაყებით. ნიჭიერი ახალგაზრდობა სჭირდება ჩვენს საქართველოს და ამართლებთ კიდეც. სიყვარულით, ნანი დუმბაძე.

• წყევლას ჩემი გულთბილი პატივისცემა. დიდი მადლობა, ასეთი შეფასებისთვის, შენი მოფერება მინდა, როგორ მოგეფერო, ჩემო კარგო, ძვირფასო წყევლავ? კარგად ჟღერს? წყევლა რატომ აირჩიე ნიკად, შესანიშნავად აზროვნებ, თბილი და ტკბილი ენა გაქვს, ვაპროტესტებ შენს ნიკს. მოდი, ნეტარება დაირქვი, თუ გრძელია, დაწერე მხოლოდ ნეტა. დამიჯერე, ეგ შენი ნიკი აღარ ახსენო, თუ დედა გიყვარს, სამშობლო, ქართველობა თუ გეამაყება. ვიმედოვნებ, ნიკს შეიცვლი. ნანი დუმბაძე.

• ჩხუბისა და აყალმაყალის დედოფალს ჩემი გულწრფელი სალამი. ჩემო მარია, თუ არ მიწყენ, ორ სიტყვას გეტყვი: 22 წლის გოგონა გაუშლელ კოკორს ჰგავს, უნდა იყო ყვავილივით ნაზი, ლამაზი და შენს სიტყვებს იასამნის სურნელება უნდა ასდიოდეს. ვის მოეწონება შენი ყოყლოჩინობა? არავის. ცხოვრებაში ბევრი რამაა, რომელიც არ მოგწონს, მაგრამ ყველას შენსავით პროტესტის ჟინი რომ გაუჩნდეს, რას დაემსგავსება სამყარო? ცხოვრებაში მარტო ცუდი ხომ არ არის, ცხოვრება ზეიმია და შენ ამ ზეიმის მონაწილე უნდა გახდე, რაც არ მოგწონს გუნებაში თქვი: ეს რა ჩემი საქმეა? ისწავლე ეს 4 სიტყვა, მოგეხმარება, დამშვიდდები და შენს ნერვებს გაუფრთხილდები. ჯერ პატარა ხარ. ყველაფერზე ნერვები რომ იშალო, სიცოცხლე აღარ გინდა? მალე სიყვარული გეწვევა და მიხვდები, თურმე რა ტკბილი ყოფილა ყოველივე. მშვიდად, აუღელვებლად გააანალიზებ ყველაფერს. შეიძლება, ამ თბილმა გრძნობამ ისე გაგიტაცოს, თაფლად დაიღვარო, მაგრამ თუ პირადად ვინმე უხეშად შეგეხება, აი მაშინ კი უნდა აჩვენო ეგ ბობოქარი სული. დამიჯერე, გენაცვალოს ნანი დუმბაძე. დიდი მადლობა, შეფასებისთვის, ჩემო ტკბილო, თბილო მაია.

• მიყვარს მე ჩემი ამოსუნთქვა. რატომ? იმიტომ, რომ ყოველ ჩემს ამოსუნთქვაში შენი არსება იმალება, შენზე ოცნება მეფობს და შენზე ფიქრები ხარობს. მიყვარს მე ჩემი ამოსუნთქვა, რადგან ის ყოველთვის მახსენებს იმას, რომ სადღაც არსებობ შენ, ის, ვისაც ჩემი გული სათუთად ჩავაბარე, ის, ვისაც ეკუთვნის ჩემი სიცოცხლე და... კვლავ, ჩემი ამოსუნთქვა. მიყვარს მე ჩემი ამოსუნთქვა, რადგან ის შენით არსებობს და შენით იარსებებს... რადგან მე შენით ვსუნთქავ... ბელურას. კლეოპატრა.

• აბა, როგორ ხარ, მარიკუნა? მე ვზივარ უაზროდ სამსახურში. კაციშვილის ჭაჭანება არაა და მოვიწყინე უსაქმურობით. ისე, დღეს რაღაც სიხარულს ელოდება ჩემი გული და ნეტავ, ხომ არ ცდება? რა ვიცი, რა ვიცი. გაკოცე. კლეოპატრა.

• ქაჯების დედოფალი სუბიექტური კი არა, უკვე შემეტენე ხარ, რა. შე-მე-ტე-ნე. ფუჰ. წყევლა.

• მარ, რა უცნაურია ცხოვრება ხანდახან, არა? მაშინ ხდება რაღაც, როცა ყველაზე ნაკლებად ელი, მაგრამ თუ ეს გაქვს, კარგია მაშინ, ხომ? JERRY.

• დეე, მიყვარხარ მაგრად. არაფერზე ინერვიულო. ყველაფერი კარგად იქნება. მენატრები, ერთი სული მაქვს, როდის განახავ. ერთი წელი გავძლებ ამ სასწავლებელში, მერე გადავიტანოთ საბუთები სხვაგან, კარგი? ანა მენატრება... გაკოცე ბევრი. შენი ნანატრი, ქაჯების დედოფალი.

• რა ჯანდაბა იყო არ ვიცი, მაგრამ ხუთშაბათს დილით სპეციალურად გაღვიძებულმა ბავშვმა, აჰა, დღეს კვირაა და „გზა“ ვერ ვიშოვე. ასე რომ, არ ვიცი, თქვენი აზრები, რეაქციები და ამბები. დღეს მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ძალიან მიყვარხართ. კამ-კამა. P.S. კოზანოსტრას დიდი მადლობა, მოლოცვისთვის.

• სასწაულები არ ხდებაო, ნათქვამია, მაგრამ დეკემბრის ღამეს ხომ შეიძლება,

გამაღვიძოს მისმა ჩურჩულმა: თოვლი მოსულა სიხარულო, გაიღვიძე. აი, ეს იქნება ჩემთვის სასწაული, მარ. :) JERRY.

• ეჰ, ვცდებოდი მარ. საშინლად ჩაიარა კვირა დღემ. აღარ ვიცი, რითი გადავარჩინო ჩემი ტკივილით სავსე გული. :( კლეოპატრა.

• თქვენთან მინდა, მიმიღებთ? საზიზღარი პიროვნება ვარ.

• როგორ თქვა დორბლიანმა? თქვენგან რა რჩევა უნდა მივიღო, აქ სასოსკეთიაო? ან ის როგორ გითხრათ, აქ უმეტესობა ნაკელ-აკრულ ძროხებს არა გაცილებულაო? ესაა ორიგინალურობა? ან ის, ვიღაც გოგოს რომ მიწერა რუბრიკაში — „ყველა ერთისთვის“, დედა ბუზი გყავს, მამა კი სოსისიო? სმს-თან ერთად მგზავნელის ნომერიც რომ იბეჭდებოდეს, მისტერს მაგ სიტყვებისთვის კაცურ ამბავში დასჯიდნენ, თუმცა, მასე რომ ყოფილიყო, დარწმუნებულები იყავით, რომ მისტერი თავის თათებს მაგდენის და მასეთების დაწერის უფლებას ვერ მისცემდა. იმიტომ, რო სინამდვილეში უტრ... ქათამია. ჩემს თავხედობაზე რომ ალაპარკდით, აქამდე რას მიკეთებდით, ფლამინგო და კლეოპატრა, მშვიდობის მტრედებო? რატომ ვერ ან არ თქვით რამე? კლეოპატრა, აქ ოპტიმისტებთან ერთად პროგრესულად მოაზროვნე ხალხიც გვჭირდება, ასეთებად კი მივიჩნევ ჯაყისმანელს, ლუნას, ლაკვასტს, ბამბუჩას, პარიჟანკას, მაგდალენას და რაღა თქმა უნდა, მარიას. ამათგან რჩევასაც მივიღებ და შენიშვნებსაც, დანარჩენებმა კი როგორც აქამდე იყავით ჩუმად, ნურც ახლა დაღლით თითებს. წყევლა.

• ქაჯების დედოფალო, მისტერში მეტოქეს კი არა, არაკაცს ვხედავ. ჩემგან კი, ქაჯების დედოფალო და მისტერის ფინიებო, იცოდეთ და დაიმახსოვრეთ სამი რჩევა: 1. მისტერი უტრ... ქათამია. 2. მისტერი უტრ... ქათამია და 3. არ დაგავიწყდეთ, პირველი და მეორე რჩევა. პ.ს. სხვა მგზავნელებს კი ბოდიშს მოვუხდი ამ სიტყვებისთვის, თუმცა სხვა მგზავნელებში რუისპირს არ ვგულისხმობ, რადგან კაცობისა და ადამიანობის მაგალითად ეგ არ გამოდგება. წყევლა.

• რაც რომ გიხილე, იმის მერე თავი დავკარგე, გესმის? გაალღო შენმა სითბომ ყინულის ლოდი, მე შენს აჩრდილში ჩაძირული როდემდე ვიყო, ნუღარ მაწვალებ სიყვარულო, დროულად მოდი. ნუთუ არა მაქვს უფლება, რომ შენზე ვიფიქრო, ყოველ ბნელ ღამეს მესტუმრო და სიზმრად გიხილო, ნაზად შეგეხო, მოგეფერო და ჩაგჩურჩულო ჩემი ნანატრი, წრფელი გრძნობა რომ გაგიმხილო. რაც შენს თვალებში შევამჩნიე უხვი სიწმინდე, მე იმის მერე ვნებით სავსე დავიარები... გამიხალისე წლების უკან ნატანჯი სული, შენ მომიშუშე გული ჩემი ნაიარევი. მაშ, ამის მერე შეგიძლია ხშირად შემეხო, შენს ლამაზ ტუჩებს ჩემს ბაგეზე ბუდეს ვუმზადებ და თუ ოდესღაც სიყვარული შემომეპარა, ვერ შემაჩერებ, ონავარ გულს ვერას ვუბრძანებ... ქალი ცდუნება.

• გამარჯობა მარი. იმ პიროვნებას მინდა მივმართო: რატომ ვართ სოფლელები დებილები და აფერისტები? განა ნოდარ დუმბაძე, ანა კალანდაძე, აკაკი შანიძე, ვაჟა-ფშაველა, კონსტანტინე გამსახურდია და მრავალი სხვა მგოსნები და მეცნიერები ან სახელმწიფო მოღვაწეები სოფლელები არ იყვნენ? თუნდაც, შენი გვარის წარმოშობა გამოიძიე და დარწუნდები, რომ შენც სოფლელი ხარ! ასე რომ, ბოდიში მოიხადე სოფლელების წინაშე!!! მგზავრი.

• ციყვი და მგელი (ლევ ტოლსტოი): ციყვი ტოტიდან ტოტზე ხტებოდა და ზედ დაეცა მძინარე მგელს. მგელი წამოხტა და შეჭმა დაუპირა. ციყვი შეევედრა, გამიშვიო. მგელმა უთხრა: კეთილი, გაგიშვებ, ოღონდ, ერთი ეს მითხარი, რატომ ხართ ციყვები ასე მხიარულნი? მე სულ მოწყენილი ვარ, თქვენ კი, რომ გიყურებთ, მაღლა სულ დახტიხართ და თამაშობთო. ციყვამა უთხრა: ხეზე ამიშვი და იქიდან გეტყვი ყველაფერს, თორემ ახლოდან მეშინიაო. მგელმა გაუშვა, ციყვი ხეზე აცუნცულდა და იქიდან აი, რა უთხრა მგელს: შენ იმიტომ ხარ სულ მოწყენილი, რომ ბოროტი ხარ და შენი სიბოროტე გულს გიღრღნის. ჩვენ კი იმიტომ ვართ მხიარულნი, რომ კეთილები ვართ და არავის არაფერს ვუშავებთო. ტირიფი73.

• მხოლოდ მისტერს: რადგან დამნებდი, მაგიტომ ვჩუმდები. დანარჩენის რაკარუკი არ მადარდებს, მართლაც, მე-13 და მე-14 გოჭებივით რომ ატიტინდნენ. მხოლოდ ერთ მგზავნელს, ნანი დუმბაძეს ვეტყვი: გული დამწყდა, მისტერს ვაჟკაცი რომ უწოდეთ. ქაჯების დედოფალს რომ მოსწონს კაცი, ქალს რომ მისწერს, მაკოცე საჯდომზეო (უკაცრავად), მე იმას კაცს ვერ დავარქმევ. ახლა რომ ზურგს უმაგრებთ, რომ გლანძავდათ ყველას, სასოსკეთია აქაურობაო და ა.შ. მაშინ ცხვრებივით ხომ გაჩუმდით? სწორედ მაგ გზავნილის მერე ავიცრუე გული მასზე, მაგრამ მაინც არ მიმიწერია უზრდელური რამე, ყოველთვის ღიმილით ვწერდი გესლიან, მაგრამ არა — უზრდელ გზავნილებს. ეს პატივიც იმიტომ დაგდეთ და აგიხსენით, რომ გულახდილობის ხასიათზე ვარ ამ საღამოს. მარია.

• ქაჯების დედოფალო, რა იყო, ტელეფონი ახალი ნაყიდი გაქვს თუ სმს-ის წერა ახლა ისწავლე? ამდენს რომ იოფლები. :) შენ მედიცინაც ვეღარ გიშველის, ვამჩნევ. ეჰ... როგორ გიჭირს და ვერ გშველი. წყევლა.

• არსებობს ჩემი ლამაზი სამყარო... და მე... და შენ... არსებობს სიხარული, ნეტარება, აღფრთოვანება და ბედნიერება... მაგრამ არსებობს ბევრი „მაგრამ“, ბევრი „თუ“, ბევრი „ნეტავ“, ბევრი „იქნებ“, ბევრი „ან“ და ბევრი... არსებობს სევდა და ტკივილი, არსებობს სინანული და მღელვარება, ცრემლი და უსასრულობის მოლოდინის შეგრძნება. არსებობს ბევრი „მაგრამ“, ბევრი „თუ“... მაგრამ არსებობს, ის ხომ არსებობს და ის ჩემი გულია, რომელიც შენს ძვირფას სიცოცხლეს ეკუთვნის... შენ კი მასში ცოცხლობ და მე არ მაქვს უფლება, ეს სიცოცხლე შეგიწყვიტო. ბედნიერებას. P.S. მარ, ახლა 22.36 წუთია, 16 ოქტომბერი. ეს სიტყვები გულიდანაა, ამწუთას დავწერე, მოვიწყინე და წერა მომინდა. მიყვარხართ. თქვენი მოწყენილი კლეოპატრა.

• თუ სიმართლე გაინტერესებთ, წყევლასაც და მისტერსაც ერთმანეთზე უნდა მიატაფებინოთ თავები. ერთმანეთზე უარესი უზრდელები ხართ. ქალი ეგზოტიკა.

• ტკივილი აახლოებს ადამიანს ღმერთთან... ხშირად ვესაუბრები მას ჩემს გონებაში: ვმადლობ, ზოგჯერ ვსაყვედურობ, მერე ბოდიშს ვუხდი... მე წავალ ეკლესიაში, დავანთებ სანთლებს და ვილოცებ, მაგრამ შენ ამას არასდროს გეტყვი... ვიტირებ და გულს მოვიოხებ, ვერც ამას გაიგებ... ღმერთს შევთხოვ გამძლეობას, ძალას, სიმტკიცეს... უშენოდ სიცოცხლეს, უშენოდ სიყვარულს უშენო სიხარულს ვისწავლი. არ მისაყვედურო, არ გიყვარდიო. მე ახლაც მიყვარხარ ან... მიყვარდი... ყველაფერი დასრულდა... პეპელა.

• კლეოპატრა, ძვირფასო, თამუნიკოს მაგალითზე გეუბნები. კარგი იქნება, სხვას რომ რჩევას აძლევ, შენც თუ გაითვალისწინებ. ჩუუუ. :) წყევლა.

• თუნდაც იმისთვის ღირდა სიცოცხლე, რომ მე ცხოვრება შემეცნო შენით და ჩემი გულის ყოველი სუნთქვა რომ ყოფილიყო ამ აღმაფრენით. თუნდაც იმისთვის ღირდა სიცოცხლე, რომ ალიონზე მესწავლა ფიქრი, ღამენათევი თვალებით დაღლილს, მეთქვა, ამასაც ავიტან მისთვის. თუნდაც იმისთვის ღირდა სიცოცხლე, რომ მესაუბრა ღამე მთვარესთან, აღელვებული ქარისთვის კოცნა გამომეგზავნა მალულად შენთან, თუნდაც იმისთვის, რომ მომეყოლა მეგობრებისთვის, თუ რა კარგი ხარ, თუნდაც იმისთვის, თუ რას განვიცდი, ჩემთან რომ არ ხარ, როგორ მაკლიხარ. თუნდაც იმისთვის ღირდა სიცოცხლე, რომ განმეცადა მე სიყვარული, თუნდაც იმისთვის, თუ რას განიცდის გული უშენოდ, აღელვებული. შენ რომ არსებობ ჩემს გულში სუნთქვად, თუნდაც ამისთვის მაინც ვიცოცხლებ, შენ რომ გიპოვე, ამ ქვეყანაზე, თუნდაც ამისთვის ღირდა სიცოცხლე. ბედნიერას. 17.10.2010. 00.38. კლეოპატრა.

• SWEET, ძალიან მომეწონა შენეული კონკია. :) მეც მქონდა ანალოგიური შემთხვევა, რომელიც HAPPY END-ით დასრულდა. იგივეს გისურვებ შენც. მაგდალენა.

• ქაჯების დედოფალო, დაბალი დონის მოკამათე ხარ. არ ღირხარ პასუხის გაცემად :)) რაც მართალია, მართალია: მისტერისნაირი სიტყვა-პასუხი არც ერთს არა გაქვთ (ოღონდ ესაა, რომ ბილწსიტყვაობს, რაც მეჯავრება) და ისიც დამნებდა. წვრილმანებზე თავს არ შევიწუხებ. მარია.

• ჰოდა, ნურც შენ მიგვითითებ, ქაჯთა ქალიშვილო, ვისი დახმარებით დავხვეწო ლექსიკა.

• უცნობი-333, გაიხარე შენ. პეპელა, რა მოგივიდა გოგო, რა ტკივილიანი გზავნილი მოგვწერე. მარია-მაგდალენა.

• ნეტავ იცოდეთ, როგორ მომენატრეთ სულ ყველა: სევდიანო და იდუმალო, ჩემო ლამაზო ქალებო, ჭრიჭინა, მის რეალ, მიშკა 9717, ლუნა, ედელვაისი, სოფი19, ჩემი გიჟი ლიმონა, სვანის ასული, ბოა ხომ სულ დამეკარგა, შეწირული „ოდნოში“ ვიპოვე, რამაც ძალიან გამახარა. მიყვარხართ ბავშვებო, თან ძალიან. ეთო, გენათალე ქალო შენა, ილინ, გეფერები შორიდან. ბათუმელო მგზავნელებო, არავინ დამვიწყებიხართ, გეხუტებით სულ ყველას გულში და ლამაზ სულში. მე ისევ თქვენთან ვარ, თქვენი ქალი ცდუნება.

• ჩემი პატარა ლექსები, ჯერ არავის არ სმენია, ერთ გუდას ცოტა მოვაკელ, ორი პირ მოუხსნელია. ცოტაი „გზაში“ დავთესე, ახლა კი კიდევ ელიან. ჟურნალში შემოვიპარე, როგორც ეშმაკი მელია. სულ მინდა „გზისთვის“ ვიშრომო, მისთვისა ვწერო ლექსები, არსად წამსვლელი აღარ ვარ, აქ მსურს გავიდგა ფესვები. შალვა ბაციკაძე.

• სანამ ვიყავი ერედვში, ჰყვაოდა ვარდი შროშანი, ზედ ჭიკჭიკებდა ბულბული, ლამაზი ჩვენი მგოსანი, ახლა კი არა ისმის რა, ჩემი მამული შორს არი, მტერმა ჩაიგდო ხელშია, ჩავცვივდით ავსა დღეშია. ჩეხავს და ჩეხავს ბაღებსა, ვენახს მავთულზე გაბმულსა, რა მეშველება ნე-

ტავი, ლტოლვილსა, შორს გადაკარგულსა. შალვა ბაციკაძე.

• როგორ ხართ, ჩემო შინდებო, სულით მშვიდებო... დიდო კაკლებო, ყველა კარგებო... მსხვილო ატმებო, მწიფე პანტებო. ხილის ბაღებო, ძალზედ ლაღებო. ან შენ, ვენახო, ჩემო შემნახო. ნეტავ მანდ ვიყო, ხელი შეგახო... დარდით მოვკვდები, თქვენ რომ ვერ განხოთ... შალვა ბაციკაძე.

• ხშირად გამიგონია გამოთქმა: შიში ვერ იხსნის სიკვდილსა. ამ გამოთქმას არ ვეთანხმები. მაშ რა იხსნის სიკვდილს? მამაცობა? სიკვდილს ხსნა რად უნდა, უნდა დაასამარო, რომ კარზე არავის მიუკაკუნოს, სიკვდილს კი არა, სიცოცხლეს უნდა ხსნა... ერთ ლექსს შემოგთავაზებთ ამ თემასთან დაკავშირებით: შიში ვერ იხსნის სიცოცხლეს, ეს ყველამ უნდა იცოდეს, კაცი რომ კვდება, ცოდვითა ქვეყანა უნდა იწვოდეს, ერთის სანაცვლოდ ამქვეყნად, ასი აკვანი ირწოდეს, ისე აღვზარდოთ შვილები, ყველანი თავდადებულნი, სამშობლოსათვის იღწვოდეს. საითაც უნდა წავიდეს სამშობლოს მზესა ჰფიცოდეს, იგი მარადჟამს დაიცვას, მის სიყვარულში იწვოდეს... შალვა ბაციკაძე.

• ქალი ისეთი რამაა, ქალი ღამეა ნათელი, ქალი ვარდია უეკლო, ქალი წმინდაა სანთელი, ქალი ისეთი ნაზია, ქალი ისეთი მარდია, ქალი ისეთი რამაა, ქალი პირველი ვარდია, ქალი ნორჩია ყვავილი, ქალი სულ მუდამ ქალია... ქალი ქარივით მარდია, ქალი ყოველთვის დარია, ქალი ცა არის უღრუბლო, ქალი ზღვა არის უძირო, ქალი მუზაა პოეტის, ქალი მკვდარია, უშვილო. ქალი ცელქია ქარივით, ქალი ამ გრძნობის ტრფობაა, ქალი ლამაზი ფიქრები, ქალი ღმერთისთვის ლოცვაა. ქალი შვებაა კაცების, ქალი თავადვე ღმერთია, ქალი დღე არის ნათელი, ქალი გრძნობებზე მეტია, ქალი? ქალი ოცნება, დარია, ქალი ქარივით მარდია, ქალი სიტყვაა უსიტყვო, ქალი სულ მუდამ ქალია... ლუნა.

• მარ, ერთ-ერთმა მგზავნელმა მისაყვედურა, რა უბედურებაა, ყველა მესიჯის ბოლოში რომ გვესალმებიო? ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. როგორც შემდეგ გავარკვიე, YELLOW ქუთაისური სიტყვაა და ქართულად, გამარჯობას ნიშნავს. :-) რუისპირი (YELLOW).

• წყევლა, შენ გენაცვალოს, ჩემი ყვითელი სიცოცხლე!.. გოიმი მაშინ ვიქნებოდი, ახლა ლანძღვა რომ აგიტეხო! შენ, შენი უბედურებაც გეყოფა!.. ვსიო, ჩემგან სმს ველარ ელირსები. რაც შეგეხება შენ, მარია ხარ თუ ვარია, ვინმემ გკითხა რამე? SWEET-ი ჩემი მეგობარია და ამით ყველაფერი ნათქვამია... დამანებეთ თავი ავსულებო, რა... რუისპირი (YELLOW).

• სიყვარული ხანდახან ისეთიც არის, ღარიბი კაცის მაცივარს ჰგავს. დილით გამოაღებ, არაფერია, შუადღეს გამოაღებ, ისევ არაფერი. საღამოსაც არაფერი იქნება, მაგრამ მაინც გამოაღებ, დგახარ, უყურებ სიცარიელეში ანთებულ შუქს აყვედრი... არადა, რა მაცივრის ბრალია, რომ გშია? ვისი რა ბრალია, რომ შეგიყვარდა? რუისპირი (YELLOW).

• ნეტავ რატომ გწერ! რა ვიცი, რაო. მომინდა ისე, უბრალოდ კარგო. ფიფქი.

• მიყვარხარ, იმიტომ რომ კარგი ხარ, კარგი ხარ იმიტომ რომ ჩემი ხარ, მენატრები იმიტომ რომ აქ არ ხარ, მიყვარხარ, მაგრამ სადა ხარ? კოლოთო.

• მომენატრე ახლა ისე, ცრემლი თითებს მისველებს, წახვედი და უშენობით გული ველარ ისვენებს. კოლოთო.

• იძებნება მსოფლიოში ყველაზე ლამაზი თვალები, რომელმაც უსაფუძვლოდ შემოაღწია ჩემს გულში. ბოლო დროს შემჩნეულია ჩემს სიზმრებში. ახლა ეს თვალები სმს-ს კითხულობს. კოლოთო.

• მე ვერ გეტყოდი იმდენს ვერასდროს, რამდენსაც გეტყვის უჩემოდ ყოფნა, ზღვასთან დარჩენილს თუ მოგენატრო, მე მინდა, თავი არ იგრძნო ობლად, მე გული შენთან დამრჩა, იცოდე, გამიხსენე და შენად მიწოდე. გამიხსენე და იგრძენი ისიც, რომ ამაოა შენი ლოდინი, რომ იგი, რასაც ჰქვია სინდისი, ჯერ კიდევ დამრჩა მცირეოდენი. რომ კარგად ვიცი, რა არის ვალი, რომ კაცის ბედი არ მეორდება და რომ არსებობს ამქვეყნად ქალი, რომელიც ამ დროს შინ მელოდება. ავტორი მიხეილ ქვლივიძე. მოვიკითხავ რუისპირს (მე აღარ მაქვს შენი ნომერი) და გაუჩინარებულ ვერონას. ჰო, მართლა, კიდევ დიდი მადლობა პროზის საგანძურისთვის. წელს ერთადერთი ზაფხული იყო, როდესაც წიგნებს არ ვეძებდი სათხოვნელად. ძალიან კმაყოფილი ვარ და განსაკუთრებით მიხარია, როცა ვხედავ, სკოლის პატარა მოსწავლეები როგორი აღფრთოვანებული ყიდულობენ ტომებს. სვანის ასული.

• მარ, როგორ ხარ? ძალიან მიყვარხარ. გთხოვ რა, ეს სმს-ი წაიკითხე. ვივიენი.

• რატო დაემგვანა „მობილი-ზაცია" „დომხალიზაციას"? მე ვიცი, რატომაც? გაინტერესებთ? გითხრათ? არ გეტყვით, იმიტომ, რომ ჩემზე უკეთ იცი რა — რატომ! ქაჯების დედოფალი. „იზვინი", მარ.

• ძნელია ყველაფრის ატანა, რისი დათმენაც გვიხდება. მაგრამ სიმძიმე გვაწევს მხოლოდ განსაცდელის ჟამს. შემდეგ კი თანდათან ყველაფერი შენელდება და გაქარწყლდება. გაქარწყლდება ისიც, რასაც თქვენ ახლა იტანთ. გამხნევდით, ყველაფერი გაივლის. ამ დროს მეტად მოუხმეთ რწმენას. გახსოვდეთ! ყველაფერი ღვთისგანაა: არა მხოლოდ დიდი განსაცდელი, არამედ სულ მცირე შემთხვევაც კი. მას ხომ მხოლოდ ერთადერთი განზრახვა აქვს — ჩვენი გადარჩენა. ჰოდა, მიიღეთ მისგან ყველა განსაცდელი, როგორც მაცოცხლებელი წამალი, მწარე, მაგრამ სასარგებლო. როცა უფალი გვიგზავნის განსაცდელს, ნუთუ არ გვმართებს გახსენება, რომ ჩვენ მას უამრავი საბაბი მივეცით ამისათვის და სამართლიანადაც ვისჯებით. ასე რომ, დაუკვირდით თქვენს თავს, მოძებნეთ დასჯის მიზეზი და ამოძირკვეთ იგი. გამოსაცდელად განსაცდელი ეგზავნებათ წმინდანებს, ჩვენ კი იგი გვეგზავნება უფრო როგორც სასჯელად თან მოწოდება მონანიებისაკენ. უფალი მკურნალია, თან ისეთი მკურნალი, რომელიც ტყუილად არ ხარჯავს წამალს. როდესაც იგი განაშორებს სნეულებას არა მხოლოდ ჩვენი საქმეებიდან, არამედ გრძნობებიდან და გონებიდან, მაშინვე შეწყდება ჩვენს თავს მოვლენილი განსაცდელი... დიდება უფალს. ლაკვასტი.

• საშინელებაა, როცა უკმარისობის გრძნობა თავიდან ფეხებამდე გბოჭავს, ველარ სუნთქავ, ველარ აზროვნებ, დაკარგული ხარ სივრცეში, დგახარ ადამიანებს შორის და ველარ აღიქვამ მოძრაობას, ხეებს, შენ ირგვლივ ვაკუუმია, თვალწინ გიელვებს კადრები წარსული ცხოვრებიდან და ბედნიერი ხარ... მაგრამ ნეტარების შეგრძნება ქრება ამ კადრებთან ერთად... აუტანელია წყურვილის მოკვლის სურვილი... ICE-LADY.

• გული უფრო დიდია და უფრო ათასჯერ მგრძნობიარე ძაფებით არის ნაქსოვი, ვიდრე ნოხი, გული გულჩვილია, გულკეთილია და ხან ბრაზიანიც, ნოხი კი ნოხია, ყველას შეგიძლია დაუფინო, ჩემი გული უკვე ძალიან დაიღალა. ყველაზე მეტად უსამართლობამ დაღალა... ICE-LADY.

• მარი, ამწუთას შენს სადღეგრძელოს ვსვამ, ღმერთმა დაგლოცოს და ნუ მიწყენ, ასე უდროოდ რომ მოგწერე. ბეჟანი.

• შტერი ქართული სიტყვაა და მას ქაჯების დედოფალს ეძახიან. P.S. მისტერს აღგზნებამოცულობის დროს დაეხმარე, რა. წყევლა.

• ქაჯების დედოფალო, გოგოო, ნაკლები ილაპარაკე რააა, ვერ ხედავ, რომ „გზის" მუწუკებს აწუხებ? ჯიგარი ხარ დაიკ, ასე გააგრძელე. სამ ლარად წყვილი მოდისო, ეგ მაგარი იყო, ჩაგეთვალა. ჯიგააარ! :-) ისა და შენ ლაპარაკის სალერღელი როდის არ გაქვს აშლილი. სალაპარაკოორგანოდახურული არასოდეს მინახიხარ. შენ ვერა ხარ, ხომ იცი. :-) ფიფქია.

• კამ-კამა, შენს მესიჯს თავზე რო დაასკუპდა, ის ჩემი იყო. მე მივმართე ქაჯების დედოფალს. აირია აჯაფსანდალივით. ფიფქია.

• მაარ, ოდესმე გიმღერია? რა თქმა უნდა და შუა ქუჩაში, ცოცხის თანხლებით? არა, ხომ? ქაჯების დედოფალი გიტარის მაგივრად ცოცხზე უკრავდა, მე კი სერენადას ვმღეროდი. აუ, რამდენი ვიცინეთ არა, ქეთ, გაოგნებულ სიფათებზე. მაგარი იყო. ფიფქია.

• რას ნიშნავს, გერქვას ადამიანი? ამ კითხვაზე ყველას თავისი მცდარი თუ სწორი მოსაზრება გააჩნია. ჩვენ ვამბობთ: ადამიანი მას შეიძლება ერქვას, ვინც ადამის ანუ თავისი პირველი მამისა და სამოთხისეული წინაპრების მიმბაძველია, თუმცა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ რეალური ფაქტი, ყველა ნაშობს ადამიანისგან, ეწოდება ადამიანი... მომდევნო ნაწერი ამ ადამიანის ჭეშმარით დაცვაზე და ღირსებაზე გვექნება... ჩვენმა წინაპარმა ადამმა მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა და ამ ურჩობით სამუდამოდ განიგდო თავი მარადიული ნეტარებისაგან და აღმოჩნდა ცვალებად, დროის ფენომენს დამორჩილებულ, მატერიალურ სამყაროში. ხოლო მას შემდეგ ოფლითა და თავისითა იღრწოდა, ტანჯვით მოწეულით საზრდოობდა და ღრმა სინანულით ევედრებოდა უფალს განღებად კარისა, მისთვის სამოთხისა. ქრისტეს ამქვეყნად მოვლინების შემდგომ, ადამმა სამოთხის კარიბჭესთან გადაინაცვლა, გადაინაცვლა იმ იმედით, რომ ჯვარცმული ქრისტე მასაც არგუნებდა სამოთხის სიტკბოს... ჩვენ, ადამიანებს უნდა გვქონდეს ცხოვნების იმედი, მაგრამ რამდენად გვაქვს ეს იმედი, დიდად გამოსაძიებელი და საკითხავია. ზემოთ აღვნიშნე, რომ ადამმა მხოლოდ ერთი ურჩობით დაკარგა სამოთხე, ჩვენ კი ალბათ ნულები არ გვეყოფა ამ ერთიანს რომ მივუწეროთ, ჩვენ მიერ ჩადენილი ურჩობის, ცოდვის ჩასათვლელად და არა მარტო ამ აურაცხელი ურჩობით ვბღალავთ ადამის სახელს, არამედ სხვა უამრავი, ამაზრზენი ცოდვებითაც კი... ეს არის ადამიანობა? მავანი იტყვის: აი, მე ქრისტიანი ვარ და რატომ არ უნდა მოცხონოს ქრისტემ? აქ თითქოს ამ ტიპის გარიგების მცდელობაა, მე ვიქრის-

ტიანებ, შენ მაცხოვნე, მე ცოდვას ჩავიდენ, შენ მომიტევე, რათა ვაღიარე... ადამს უფალთან არ ჰქონია მსგავსი გარიგება... ადამი გულისშემძვრელი სინანულით სთხოვდა უფალს მიტევებას და სამოთხეში იმიტომ უნდოდა დაბრუნება, რომ უფლის სიყვარული ენატრებოდა, არა თუ ჯოჯოხეთის ეშინოდა, ჩვენ კი ჯოჯოხეთის შიშით თუ ვიკავებთ თავს, ცოდვებისაგან და ისიც იმ გაგებით — აი, მე აღარ ვცოდავ, ვიმსახურებ სამოთხეს. ჩვენ ვართ ადამიანები? ბევრი იტყვის, რას ამბობ? ჩვენ არ ვფიქრობთ ასე... კარგი მაშინ, რატომ არ ამბობთ: უფალო, ჩვენ ვეცდებით, შენი მოცემული მცნება აღვასრულოთ და სადაც განგვიწესებ, იქ გვეყვარები და იქიდან გადიდებთ... მაგრამ თქვენ ამბობთ: ჩვენ აღვასრულეთ სჯული და ჩვენ სამოთხე გვინდა, კი მაგრამ ხომ დავიმსახურეთ? აი, რაშია საქმე. ჩვენ მცდელობის ზედაპირული მშრალი აღსრულებით ვართ დაკავებული და გვგონია, ამით ვასრულებთ რჯულს... მე არ ვმრუშობ, ვამბობთ ჩვენ და ვის გინდა დააჯერო, თვალით ან გულით არ ჩადი ამ ცოდვას? მე ყოველკვირას წირვას ვესწრები, ეს კარგია, ღმერთმა გაგაძლიეროს და რას ვაკეთებთ წირვის დასრულების შემდეგ? სად ვიყავით, აღარ გვახსოვს, არც გვემახსოვრება მანამდე, სანამ ამ ეკლესიაში ყოველ კვირას დასწრებას არ ამოვაგდებთ მოვალეობის ჩარჩოებიდან და არ ჩავსვამთ სინანულის ჩარჩოებში... მე არ ვიპარავ — სხვისი მოგინდა წამით? უკვე ქურდი ხარ, აი ასე შემიძლია ჩამოვთვალო უსასრულოდ და ამის შემდეგ, ჩვენ ვართ ადამიანები? ჩვენ გვიყვარს წინაპრები, თაყვანს ვცემთ მათ საფლავებს და არ გვახსოვს თვით ამ დიდი წინაპართა, წინაპრის საფლავი ადამიანებს. ის მხოლოდ ქრისტეს ახსოვდა და ახლა თუ რომელიმემ ვიცით, სწორედ მისგან ვიცით, ჩვენ ვართ ადამიანები? ამ მცირე ფიქრის შემდეგ ჩვენს ადამიანობაზე რჩება დიდად სავალალო დასკვნა: ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ვიწოდებით ადამიანებად და არ გვაქვს არანაირი წილი ჩვენს პირველ წინაპარ ადამთან გარდა ხორცისა... ნუთუ მართლა აღარ არსებობს ადამიანები, ამ ყველაფრის შემდეგ გაისმა სრულიად ლოგიკური კითხვა... სამყარო არსებობს? ე.ი. არსებობენ ადამიანებიც. მათი ლოცვით უფალი წყალობს სამყაროს, კიდევ მცირე ხანს. შევთხოვოთ ადამს, რომ უფლის მეოხებით ვიქცეთ ადამიანებად... ამინ! ჯაყისმანელი.

• ქაჯების დედოფალო, არ არსებობს ადამიანი, რომელმაც ერთი ტყუილი მაინც არ თქვას, თუნდაც სიკეთისთვის, მაგრამ მაინც ტყუილი. ასე რომ, არ ვყოფილვართ თავისუფლები, გენათალე. :) P.S. ისე, თავისუფლება მხოლოდ უფალშია. გფარავდეთ. კლეოპატრა.

• ქაჯების დედოფალო, მე გიწვდი მეგობრობის ხელს. :) კლეოპატრა.

• დაიწყო „გზაში“ ისევ აყალმაყალიზაცია. ნუ რას იზამ, ყურადღება რამით ხომ უნდა მიიქციონ? ეჰ. კლეოპატრა.

• გთხოვ, მომიტანე წითელი ვარდები, ცრემლით დანამული... უცრემლოდ ვიტირებ შენს სიყვარულს, რადგან შენ უკვე გიტირია... სისხლისფრად შევღებავ ბაგეებს შენსას დავეწაფები როგორც მწყურვალი. გიტირიაო შენ მეტყვი ჩუმად, თავს აგარიდებ, გაგებუტები. არ გაპატიებ, რომ მიმატოვე, არ გაპატიებ, რომ შემიყვარდი. პეპელა.

• გამარჯობა მარი, როგორ ხარ? ვინც საზღვარგარეთ მიდის, ყველა რისკავს, თან დიდი რისკია და კიდევ, ახლა „მობილიზაციაში“ წავიკითხე მიას მესიჯი. ქართველი ქალების უმეტესობა აქ არის, მართალია და ზოგი თვითონ ქალია დამნაშავე. ქმარი თავიდანვე უნდა მიახვედრო, შენც ადამიანი რომ ხარ და გრძნობა გაქვს. ზოგი ქმარი მართლა მოჯამაგირედ აღიქვამს და შენც არსებობა გინდა, არ ფიქრობს. აქ რამდენი არიან ისეთი, რომ ქმარი თავის ნაწვალებს კაპიკს არ უტოვებს, სრულად სთხოვს, გამომიგზავნეო. რამდენი ცრემლია მერე ჩადებული და დაღვრილი, სანამ იმ ფულს აიღებ. ქართველი ნამდვილი მამაკაცი გადაგვარდა, ყველას ცოლი ფულიც გულისთვის მოჰყავს. თუ ღარიბია, არ თხოულობენ. მე ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ დამეთანხმებით, ბევრი დღეს ანგარებით ქორწინდება. ასე ჩემო მია, ყველა ვართ ცოტ-ცოტა დამნაშავე და იმიტომ ვართ ბევრი ქართველი ქალი აქ. მეც თავის დროზე რომ მეძალავა და წავსულიყავი დედ-მამის სახლში, აღარც ის სახლი გაფუჭდებოდა და აღარც მე ვიქნებოდი აქ. თია. ათენი.

• ჩვენი მისია აქ ის არის, რომ ეშმაკი გვცდის. თუ გზას ავცდით, ის უნდა, ხოლო ღმერთი გვეხმარება, ვაკეთოთ სიკეთე და არ ავცდეთ გზას. აქ მეტი წილი გადაგვარდა, ოღონდ ფული აიღოს და არაფერზე უკან არ იხევენ. კიდევ ერთხელ ვამბობ — ყველას არ ვწამებ, მარამ უმეტესობა ასეა. ქართველო ქალებო, მოდით გონს! სად არის ის სითბო და ქართული ლეჩაქი, ასე რომ აღაფრთოვანებდა ყველას? გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, მოვეფეროთ და გაჭირვებაში ერთმანეთს გვერდით დავუდგეთ. გვეყოფა ერთმანეთის მოტყუება და გაუტანლობა. თია. ათენი.

• ღმერთო, როგორ მომენატრა ჩემი ქმარ-შვილი. როდია ვნახავ და ჩავიხუტებ, როგორ მიყვარან... მაპატიეთ, რომ არ დაგიჯერეთ და წამოვედი, ჩემო ზაზუნია. მეუბნებოდი, გაგიჭირდება უჩვენოდო. მართლა ძალიან მიჭირს. ღმერთო, ყველას მიეცი საშველი და ყველა ქართველი დააბრუნე საკუთარ სახლში და სამშობლოში. თია. ათენი.

• მარი, როგორ ხარ? აუუ... როგორ მომენატრეთ შენ და შენი მგზავნელები, ახალი რა არის? ახლებს სალამი, ძველებს უთბილესი კოცნა, თქვენი ფიფქისგან.

• ჩემო ტკბილო, იცი, როგორ მაკლიხარ? იცი, როგორ მჭირდება შენი რჩევები? იცი, რამდენჯერ მინდოდა შენი დახმარება? იცი, რამდენი ღამე დამათენდა შენზე ფიქრსა და ტირილში? ალბათ ხვდები, რის ფასად დამიჯდა მე ეს ორი თვე, იმედი მაქვს წასვლამდე გნახავ და ჩემს ამბებს მოგიყვები. უსაზღვროდ მიყვარხარ. პატარა ბარბი.

• ყველგან ვეძებ რისკიან სიტუაციას. კოწო, მიყვარხარ, ბედნიერი ვარ, შენ რომ მყავხარ. ცოლი როგორ აიტანს ამ ურთიერთობას, აი ეს არის რისკი.

• ხალხო, ჩემი გამოცდილებიდან გეტყვით, რომ რისკი მაგარი რაღაც არის. ბევრჯერ გამირისკავს და თითქმის ყოველთვის მოგებული ვრჩებოდი ჩემი საქციელით. ოღონდ რისკი მაშინაა კარგი, როცა 10% მაინც არსებობს იმისა, რომ გამართლდება. აი, მაშინ კი ღირს გარისკვა. ყველაზე კარგად ჩემი ბოლო გარისკვა დამამახსოვრდა, რომელის შედეგმაც ძალიან კარგი რამ გამიკეთა ცხოვრებაში. ბევრ რამეში გამარკვია. შეიძლება ვიღაცას გაეცინოს, ეს რა გასახარიაო, მაგრამ მე კი გამიხარდა. 4 წელი მიყვარდა ერთი ბიჭი. თავიდან რაღაც ხდებოდა ჩვენ შორის (უფრო ფლირტი). მერე სხვაგან გადავიდა და ძალიან იშვიათად ვნახულობდი. უცნაურად იქცეოდა და მეგონა, მასაც ვუყვარდი. ასე ილუზიებში ვიცხოვრე დიდხანს. მერე უცებ გადავწყვიტე, მიმეწერა. გავრისკე და მივწერე. აღმოჩნდა, რომ არც არასოდეს ვყვარებივარ. მართალია ძალიან რთული გადასატანი იყო თავიდან, მაგრამ სულ მალე გავაცნობიერე რეალობა და მოვკალი გრძნობა. მაგარია ფრეედომ. მიყვარხართ, მგზავნელებო. NEW MARRY.

• ამწუთას წავიკითხე სკარლეტის გზავნილი „ინტერნეტსიკეთე“ და ვერ ვიკავებდი ცრემლებს მისი კითხვისას, მაგრამ რატომ არ სცადა ბიძამისმა მათი ამ გზით მოძებნა აქამდე?

• თქვენი არ ვიცით, მაგრამ წყევლათი მოხიბლული ვარ. მაგრამ დორბლიანს ვის ეძახი ან ასე რატომ გძულს? მჯერა, უმიზეზოდ — არა. ისე, სადაური ხარ? გურულო.

• ქაჯების დედოფალო, მართლა სვანი გაუგებარი ხარ, რა. რა უნდა გელაპარაკო. გადარეული.

• წყევლა, მთლად გადარეული არ ვარ, ხანდახან გადავირევი ხოლმე. :) გადარეული.

• ჩემი დაიკო ფლამინგო მენატრება. კიდევ როდის გნახავ, დაი? არადა, არც ისე შორს ვართ ერთმანეთთან. კარგად რომ დავიყვირო, ფლამინგო-მეთქი, გავაგონებ. :) გადარეული.

• სასწაული ის იქნებოდა, ჩემი დირექტორის მოადგილეს სნაიპერის ტყვია რომ მოხვედროდა შუბლში და მიესიკვდილებინა. სასწაული ის იქნებოდა, საქართველოში ცხოვრება რომ არ ჭირდეს. ეეჰ, ნეტავ სამსახური მქონდეს და მთელი სკოლები წყალს წაეღოს! LIQUIDATOR.

• პრივეტ ყველას. განსაკუთრებით მარის. ყველა კარგები ხართ. მარ, საკუთარ ლექსს გწერ და იმედია, დამიბეჭდავ. არ ვიცი, ფიქრი რატომ დავიწყე, მე ხომ არ ვიცი: ნეტავ ვინა ხარ? ჩემს გულში ისე შემოიჭერი. არც კი გიკითხავს, ადგილს მინახავ? ეძღვნება ყველა შეყვარებულ ადამიანს. ყველა მიყვარხართ, მგზავნელებო და მარი. თეთრო.

• მარი, როგორ ხარ, გენაცვალეეე? შენ ჯიგარი სვანი ხარ, გაიხარეეე. ისე, ქუთეისელი ბევრი მგზავნელი არაა რაცხა. გადარეული.

• პოეტი ხარ ლირიკოსი, ჩემზე ცუდის მთქმელს მოხვდა ილიკოსი. :) წყევლა.

• წყევლააა, მეცოდებიიი, გაქანებული ნევროზი გაქვს, გენაცვალეე. :) რა, გასათხოვრად დამჭკნარი დედაბერივით დაგვჩხავი, ამ ენერგიით სავსე ხალხს? წადი, წაბრახუნდი რა! რუისპირი (YELLOW).

• გამარჯობა მარი. ძალიან მომწონს „გზავნილები“, დიდი მადლობა ამ რუბრიკისთვის, მაგრამ იქნებ „მოჩხუბარი“ სმს არ დაბეჭდოთ. ძალიან მოსაბეზრებელია ამდენი უარყოფითი სიტყვების კითხვა. წინასწარ გმადლობ ყურადღებისთვის. 7 წელია, „გზას“ ვკითხულობ და ამდენი ლანძღვა, ამ ბოლო დროს რომ ვკითხულობ „გზავნილებში“, სხვა დროს არ მინახავს. მკითხველი, ქუთაისიდან.

• ზოგს შვიდ მესიჯს უბეჭდავ მარი და ზოგს კი არც ერთს. მეგონა, შენი დახმარებით ჩემს საყვარელ ადამიანს ხმას მივაწვდენდი, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. პატარა ბარბი.

# გზავნილები

•მოგესალმები პირმშვენიერო მარი, მოგესალმებით მგზავნელებო და უბრალოდ, „გზის“ ერთგულო მკითხველებო, კარგ და წარმატებულ კვირას გისურვებთ... დიდი პატივისცემით მინდა მოვიკითხო ბატონი შალვა ბაციკაძე. მე მაქვს ბედნიერება და პირადად ვიცნობ ამ ბუმბერაზ ადამიანს. მთელი თავისი ცხოვრება კეთილი საქმის კეთებაში განვლო, აღზარდა და კარგ გზაზე დააყენა შვილები, შვილიშვილები... ბოლო წლებში უამრავი ვარამი ნახა, მთელი ცხოვრების ნაჯაფი ერთ „მშვენიერ“ დღეს იძულებით დათმო, ის ლტოლვილი გახლავთ... როგორც ქართველ ადამიანს შეეფერება, ისე მედგრად და გამძლეობით დგას მისი სული, აქვს დიდი იმედი სამაჩაბლოში დაბრუნების და არ ხრის აღმართულ დროშას... რამდენიმე დღის წინ მეწვია სტუმრად და მითხრა: სოფელში არ მქონდა დრო, ლექსი მეწერა, თუმცა მუზა ყოველთვის მსტუმრობდა, ახლა კი აქ მეტი რა საქმე მაქვს, ჩემი გულისტკივილი გადამაქვს ფურცელზე, ხშირ შემთხვევაში, სევდიანი მელოდიაც საკმარისია იმისთვის, რომ ლექსი დაიწეროსო... მე სიტყვები არ მყოფნის იმისთვის, თუ როგორ დავახასიათო 83 წლის ადამიანი, რომელიც ღრმად ჩახედულია პოეზიაში და მთელი გულით იღებს იქ არსებულს, აქვს უნარი იმისა, რომ ღიად გადმოსცეს გულით ნატარები სევდა და ტკივილი. მაშ ასე: ბატონო შალვა, კეთილი იყოს თქვენი ფეხი „გზის“ ფურცლებზე. მე გისურვებთ დღეგრძელობას, ღვთის წყალობას და გახარებას, თქვენს საყვარელ ადამიანებთან ერთად... მინდა, რომ გულით გწამდეთ: ჩვენ დავბრუნდებით. დიდი სიყვარულით, ლაკვასტი.

•კამ-კამა, არა უშავს. მივხვდი, რომ მე არ მომმართავდი, ამის საფუძველი უბრალოდ, არ მომიცია. დაიკიდე. ქაჯების დედოფალი.

•ქ-ნო ნანი, ამ სიმართლით გევლოთ მთელი თქვენი ცხოვრება. მშვიდობა თქვენდა და ჩვენდაც... მაგრამ ხომ იცით, კინკლაობა ჩვენი, თინეიჯერების განუყრელი მეგზურია. მირჩევნია, ვიღაცას ვეკამათო (მოგეხსენებათ, ჭეშმარიტება კამათის დროს იბადება), ვიდრე მლიქვნელურად ვაქო და ვადიდო იგი. ქაჯების დედოფალი.

•უნიკოს მინდა მივმართო: არაჭკვიანური რა ნახე ჩემს მესიჯებში? იქნებ დააკონკრეტო პატარავ... ადამიანის სახე ნუ შემოგეკარგებათ ხოლმე! ქაჯების დედოფალი.

•წყევლა, შე დაწყევლილო, არ მოგბეზრდა უაზრო მანჭვა-გრეხვა და სიტყვების უაზრო ფანტვა-რეალიზაცია? ეთიკა უპირველეს ყოვლისა. ქაჯების დედოფალი.

•ვიცოდი, იცოდი შენ ჩემი გრძნობები, მალულად მიცქერდი დაღლილი შორიდან, მე შენთან ვიყავი, არასდროს გტოვებდი და შენზე ოცნებაც მალულად მოვიდა. ვიცოდი, ხვდებოდი რომ შენზე ვფიქრობდი, დუმილის მაგივრად სიტყვებით მიწვევდი, მე არ წავაგებდი, ესეც ხომ იცოდი, ჩუმ-ჩუმად სევდიან თვალებში მიცქერდი. ვიცოდი, იცოდი შენ ჩემი გრძნობები, შენზე კი არასდროს არაფერს ამბობდი, ყველაფერს დრო კურნავს, ნელნელა გშორდები, ცოტა რომ გეცადა, არასდროს დაგთმობდი. ისევ ბელურას. კლეოპატრა.

•ვიყოთ ჰუმანურები ერთმანეთისადმი. ეს ალბათ ბევრი ადამიანის დევიზია, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ეს შეუძლებელია, მით უმეტეს ისეთ ადამიანებთან, როგორებიც არიან წყევლა, მარია, ლევანი და ა.შ. ქაჯების დედოფალი.

•რუისპირ, მისტერ, მემე, ლაკვასტ, სცარლეტ, ფლამინგო, მაგრები ხართ. აზრიანად აზროვნებით, ზოგ-ზოგიერთებთან შედარებით. „გზის“ მანათობელნი ხართ. ქაჯების დედოფალი.

•ფიფქია, მაინც წავედი სურამში, აზრზე ხარ? შენ დუშეთში, მე სურამში. მშვენიერია არა? აუ სვანეთი არ გენატრება? მე მაგრად. ქაჯების დედოფალი.

•ვის ვკითხოთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ, როდესაც ტანჯვა გვექცა თილისმად ან თავი როგორ გავიუცხოვოთ ამ ასხლეტილი სინამდვილისგან. რა ვუყოთ ჩვენი ვნების ნარჩენებს, ცოდვებს, ქცეულებს სიზმრის ხიზნებად, ლოცვები რაღას გადაგვარჩენენ, თუკი გვამხილეს უკვე სიზმრებმა... რუისპირი (YELLOW).

•ახალქალაქში ვართ „სმენაში“, ჩემმა მეწყვილემ მთხოვა, გადადი გთხოვ, სიგარეტი მიყიდე, „კენტი“, 8 ნომრიო. მეც დაუზარლად გადავედი და ვიკითხე, „კენტი“ თუ გაქვთ-მეთქი? მანიშნა, იქვე ვიტრინაში იდო და საკმაოდ დამტვერილი. მე ვეუბნები — „ვტაროე ნიეტუ“-მეთქი (რა რუსული მე ვიცი ახლა და...)? გამყიდველი გაოცდა და მეუბნება რუსულად, 4 გვაქვს, 8 გვაქვს, მაგრამ „კენტი“ 2 ნომერი არ გვაქვს და არც გვქონიაო. გამეცინა. მივხვდი, უნდა მეთქვა, დრუგოე ნიეტუ-მეთქი? ელისო.

•ქალი ეგზოტიკა, მეც მოგიკითხავ. დიდი მადლობა, ჩემი გზავნილები რომ მოგწონს. შენც კარგად წერ. ძალიან კარგი ნიკი გაქვს. :) მართლა აღარ ვიცი, უმუშევრობას რა დავარქვა, მაგრამ ფაქტია, უმუშევრობა და დეპრესია დღეს მოდაშია. :) პატივისცემით, ლაკვასტი.

•კლეოპატრა, ვინც იყვარებს, ის არასდროს არ აგებს. :) ლაკვასტი.

•ვისაც აქვს უნარი, თქვას, როგორ იწვის, ჩანს ცეცხლი სუსტად მოჰკიდებია. ეს იცოდით? ნუ წუწუნებთ ამიტომ, უიმედოდ შეყვარებულებო! მამას გოგო.



## მილოცავ!

•იუბილეს გილოცავ, ჩემო სიცოცხლე ბიჭო. უფალი გფარავდეს მარად და ყველგან. უსაზღვროდ მიყვარხარ და დიდ ბედნიერებას გისურვებ, მთელი გულით. გკოცნის, შენი ქაჯანა.

•ფისუნია, კატუნია, მაგიდაზე ახტუნია, ვაზა გადმოაგდუნია, ბებო გააბრაზუნია. ფიფქია, გუშინ დაბ.დღე გქონდა და ახლა მინდა „იმენნა“, „გზიდან“ მოგილოცო. ხვთები? შენც ხომ მომილოცავ? ხო, ახლა საქმე: გისურვებ, რომ ძალიან მაგრად გაგეტარებინოს წუთისოფლის ტანჯვისა და ბედნიერების დღეები. მიყვარხარ. ქაჯების დედოფალი.

•23 ოქტომბერს გრუზინკას დაბადების დღეა. მთელი გულითა და სულით ვულოცავ, წინსვლას და ულევ სიხარულს ვუსურვებ. გაძლიერებას და სიმტკიცეს. დიდი სიყვარულით, ლაკვასტი.

•ჩემო სულის ანგელოზო, გილოცავთ დაბადების დღეს. რაც კი ამქვეყნად ლამაზი და კარგია, ყველაფერი შენთვის გვინდა. უფალს ებარებოდე. სიყვარულით, ტირიფი73 და მგზავრი. იხარე, ორთავე სოფელთა შინა!

•ათენში დროებით მყოფ მეგობარს, თამარ ჩიქოვანს ვულოცავ დაბადების დღეს. გაუმარჯოს იმ ლამაზ დღეს, სამახსოვროს, ბარაქიანს, შენ რომ გაჩნდი ქვეყანაზე, დაბადების დღე რომ ჰქვია. ლამაზ ღამეს გაუმარჯოს, ყოფილიყოს მადლიანი, არავის არ დაენახო, ნირწამხდარი, დარდიანი. შენი დაბადების დილაც ყოფილიყოს დასალოცი, ამის შემდეგ ასეთი დღე, გეზეიმოს ას სამოცი. ინეზა.

•ათენში დროებით მყოფ ჩემს მეგობარს, ელზა ჩირგაძეს: დაბადების დღეს გილოცავ, სიცოცხლე გქონდეს მზიანი, დღხანს გეცოცხლოს და მუდამ, იყავი ხალისიანი. ჯანმრთელობა და მხნეობა, არასდროს გამოგელიოს, ღვთის ბოძებული სიცოცხლე, სულ ლხინში გეტარებინოს. არ მოგაკლებოდეს ზეციდან, ანგელოზების გალობა, ღვთიური მადლი გფარავდეს და მამაღმერთის წყალობა. ინეზა.

•გამარჯობა მარი. პირადად შენ და ყველა მგზავნელს გილოცავთ სვეტიცხოვლობას. მინდა „გზის“ საშუალებით ჩემს საყვარელ ადამიანს ხმა მივაწვდინო: ჩემო ტკბილო, გილოცავ დღევანდელ დღეს, მიყვარხარ და უზომოდ მენატრები. საშინელება უშენობა, ძალიან მიჭირს შენგან შორს ყოფნა. შენი პატარა ბარბი.

20 ოქტომბერს ჩემ თავს ვულოცავ დაბადების დღეს, დაე მრავალს დავესწრო ბედნიერად და ჯანმრთელად, მტრების ჯინაზე. :-) 25 ოქტომბერს 9717-ს ვულოცავ. ფიფქია.

თიანეთში, მონატრებულ დაიკოს, ბელა შუშანაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ღვთის მადლი არ მოჰკლებოდეს შენს ოჯახს. გკოცნი. მაია.

ჩემს ძმიკოს, 9717-ს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს, უფლის წყალობასა და ჯანმრთელობას. გაიხარე, ძმი. ფლამინგო.

გრუზინკას ვულოცავ წინასწარ იუბილეს, ყოველივე საუკეთესოს გისურვებ, საყვარელო. გაიხარე დაიკო. ფლამინგო.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ტაიმ-აუტი

## ბედის ირონია

1985 წელს ზღვის მაშველებმა დიდი წვეულება გამართეს. სეზონის ბედნიერ დასრულებას აღნიშნავდნენ, რადგანაც არც ერთი დამსვენებელი არ დამხრჩვალა, ყველა დროულად გადაარჩინეს. წვეულებაზე გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: აუზში, რომელის გარშემოც 200 მაშველი ზეიმობდა, ერთ-ერთი სტუმარი — ჯერემი მუდუ დაიხრჩო.



მსახიობი — მირა ჯონსი (მისი ნამდვილი გვარია დევისი) ალფრედ ჰიჩკოკის ფილმში — „ფსიქო“ ჯანეტ ლეინის დუბლიორი იყო, რომელსაც მანიაკი სააბაზანოში კლავს. ფილმის გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, მირა ჰიჩკოკის ფილმების თაყვანისმცემელმა გააუპატიურა და მოკლა.

1988 წელს ამერიკელმა მელ იგნატოვმა ვინმე ბრენდა შაფარი მინის მაგიდას მიაბა და ხელკეტის ცემით მოკლა. გაიძვერა ადვოკატის დახმარებით მამაკაცს სიკვდილით დასჯა კი არა, 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. გათავისუფლებიდან ერთ წელიწადში მელს სველ იატაკზე ფეხი გაუსრიალდა და მინის მაგიდაზე დაეცა. ჭრილობები სასიკვდილო აღმოჩნდა.

მხიარული სიმღერა — Pack Up Your Troubles in Your Old Kit Bag and Smile, Smile, შმილე პირველი მსოფლიო ომის დროს მეომრებს ოპტიმისტური განწყობილების შენარჩუნებაში ეხმარებოდა. სიმღერის ავტორმა — ფელიქს პოუელმა კი ცხოვრებისეულ სიძნელეებს ვერ გაუძლო და თავი მოიკლა.

ბობი ლიჩი საცირკო ტრიუკებით იყო ცნობილი. ერთხელ სასიკვდილო ნომერი შეასრულა — რკინის კასრში მოათავსეს და ნიაგარის ჩანჩქერიდან გადააგდეს. 60 მეტრის სიმაღლიდან უვნებელად დაეშვა. ლიჩი ბევრს მოგზაურობდა და ქალაქებში საცირკო წარმოდგენებს მართავდა. ერთხელ ქუჩაში მოსიარულეს ბანანის ქერქზე ფეხი გაუსრიალდა, დაეცა და ფეხი მოიტეხა, მერე ინფექციამ განგრენა გამოიწვია, კიდურის ამპუტაციის გართულებები დაეწყო და მოკვდა.



1989 წელს მკვლელობაში ეჭვიტანილ — მაიკლ ანდერსონს დანაშაული ვერ დაუმტკიცეს, გაამართლეს და გაათავისუფლეს. სახლში დაბრუნებულმა ტელევიზორის ყურება გადაწყვიტა, ამ დროს დენმა დაარტყა და ადგილზე გარდაიცვალა.

ამერიკელი ნატაშა პეტიგრიუ მწვანეთა პარტიის წევრი და ცხოვრების ჯანსაღი წესის მომხრე იყო. ხშირად დასეირნობდა ველოსიპედით. ერთ დღეს კი სატვირთო ავტომობილმა გაიტანა.

ჯიმ ჰესელდენის კომპანია Segway რობოტიზებულ თვითმგორავებს უშვებდა, რომლითაც „გუგლისა“ და „მაიკროსოფტის“ მენეჯერები და პროგრამისტები ოფისებში გადაადგილდებოდნენ. მულტიმილიონერი ჰესელდენი საკუთარ მამულში ახალ თვითმგორავს ამოწმებდა, „საჭე“ ვერ დაიმორჩილა და ხევში გადავარდა. ■

### რა სარგებლობა მოაქვს ნაგავს?

**იმას, რასაც ჩვენ ნაგავს ვეძახით და ვყრით, ზოგიერთი ადამიანი მას საკუთარი შემოქმედებისთვის იყენებს და ახალ-ახალ საინტერესო ნამუშევრებს ქმნის.**

- არგენტინელმა ტიტო ინხენიერმა ლუდის მინის ბოთლებისგან საცხოვრებელი სახლი აიშენა.
- კომპიუტერების უვარგისი დისკებიდან ესპანელმა ბელენა გერმინოზამ სავარძელი დაამზადა.
- ამერიკელ გაბრიელ დიშოს ელექტრონაწილებისგან „შეკერილი“ კედები აცვია.
- ერთ-ერთმა ამერიკულმა კომპანიამ სარეკლამო ბანერი ძველი კომპიუტერების მონიტორებისგან დაამზადა.
- ტორონტოში სანტიაგო კელეტრევის გალერეაში პლასტმასის ბოთლების ჭაღი კიდია. იგი ამერიკელმა კეტრინ ჰარვიმ დაამზადა.
- ნეიჯელ სილეგარმა ძველი ტელეფონებისგან პეიზაჟი — „დახატა“.
- რუმინეთის დედაქალაქში მობილურს გაფუჭებული ფიჭური ტელეფონებით „ძეგლი“ დაუდგეს.
- ერთმა ჭამის მოყვარულმა პიცის ყუთისგან საკმაოდ გამძლე დივანი დაამზადა. ■



# მუნდიალი ურუგვაიში დაბრუნდება?



ურუგვაიმ 2030 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი გამოთქვა. თუ ფიფამ ამ უძველესი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყნის თხოვნა დააკმაყოფილა, მაშინ მუნდიალი ზუსტად საუკუნის შემდეგ, იმ მიწას დაუბრუნდება, სადაც ფეხი აიდგა. „ურუგვაელებმა წინასწარი განაცხადი წარადგინეს, რომელიც 2030 წელს მსოფლიოს პირველობის არგენტინასთან ერთად ჩატარებას ითვალისწინებს. ამ წელს ხომ მსოფლიოს თასის პირველი გათამაშების გამართვიდან 100 წელი შესრულდება“, — განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა — ზეპ ბლატერმა 2011 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის (კოლუმბიაში ჩატარდება) ოფიციალური ემბლემის პრეზენტაციაზე გამოსვლისას. მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ურუგვაიმ პირველ მუნდიალს 1930 წელს უმასპინძლა და ფინალურ მატჩში არგენტინელების დამაჯერებლად დამარცხების (4:2) შემდეგ სანუკვარი ტიტულიც დაისაკუთრა (უკვე 1950 წელს ურუგვაელებმა ბრაზილიაში იზეიმეს წარმატება). საგულისხმოა ისიც, რომ მაშინ მატჩები მხოლოდ ქვეყნის დედაქალაქ მონტევიდეოში მიმდინარეობდა. რაც შეეხება 2030 წლის მსოფლიოს პირველობის მასპინძლობის სურვილს, სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციამ არგენტინელთა და ურუგვაელთა მიერ წამოყენებული წინადადება მოიწონა და ორგანიზაციის შტაბბინაში (პარაგვაის დედაქალაქი — ასუნსიონი) გამართულ სხდომაზე სპეციალური განცხადებაც გააკეთა. ■

# საწოლში 5 ათას ქალთან ერთად

„ფორმულა 1“-ის ლეგენდა — ჯეიმს ჰანტი, რომელმაც „სამეფო რბოლების“ ჩემპიონის ტიტული 1976 წელს დაისაკუთრა, დიდ მექალთანედ მიიჩნეოდა. ამის შესახებ ბრიტანელი ჟურ-



ნალისტის — ტომ რუბიტონის მიერ დაწერილ ახალ ბიოგრაფიულ წიგნშია მოთხრობილი. რუბიტონის მტკიცებით, ჰანტი ნამდვილი გაუმაძღარი „დონ ჟუანი“ იყო და დაწოლა 5 ათას ქალთან მოასწრო. ახალი წიგნი იმის შესახებაც გვიამბობს, რომ 1976 წელს იაპონიის გრან-პრიმდე, ბრიტანელი ავტომრბოლელი ტოკიოს ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში მეგობარ ბერი შინთან ერთად ალკოჰოლით, მარიხუანითა და კოკაინით ერთობოდა. თანაც, ამ ხნის განმავლობაში, მან ავიაკომპანია — „ბრიტიშ ეირვეისის“ 33 სტიუარდესასთან მოასწრო დაწოლა. შესაძლოა, სწორედ ეს გარემოებაც დაეხმარა ინგლისელს გაჩემპიონებაში. შეგახსენებთ, რომ 1979 წელს კარიერის დასრულების შემდეგ, ჰანტი ერთ-ერთი ბრიტანული ტელეკომპანიის სარბოლო კომენტატორი გახდა. 1993 წელს, 45 წლის ასაკში ჰანტი უიმბლდონში, საკუთარ სახლში მიოკარდიის ინფარქტით გარდაიცვალა. ■

# ლონგორია ცვილის ორეულზე დაბალი აღმოჩნდა




მსახიობმა — ევა ლონგორიამ მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმისთვის საკუთარი ლამის კლუბში თავისი ცვილის ასლი წარადგინა. კალათბურთელ ტონი პარკერის მეუღლე საზეიმო ცერემონიაზე ცდილობდა, ხელოვნური ორეულის მსგავსი ყოფილიყო. საგულისხმოა, რომ მასაც წითელი კაბა ეცვა. მსურველებს კი ფოტოგადაღება შეეძლოთ როგორც ევასთან, ასევე მის ორეულთან. როდესაც მსახიობი ფიგურის გვერდით დადგა, აღმოჩნდა, რომ ოდნავ დაბალი იყო. თანაც ამ საღამოზე ევას საკმაოდ მაღალი პლატფორმის მქონე ფეხსაცმელები ეცვა. ჯერჯერობით უცნობია, რა იყო ეს: სკულპტორების შეცდომა თუ მათი სურვილი, რომ ტანმორჩილი ევა უფრო მაღალი გამოეჩინათ. როგორც ცნობილია, ლონგორია თანამედროვე შოუბიზნესში ერთ-ერთი მინიატიურული მსახიობია. ■

# ტაისონი ჩინეთში ელჩად ჩავა

უახლოეს მომავალში მაიკ ტაისონი ჩინეთში კრივის ელჩის სტატუსით ჩავა. „რკინის მაიკის“ ერთ-ერთი მიზანი ამ ქვეყანაში კლასიკური კრივის პოპულარიზაციაა, თუმცა კონკრეტული ღონისძიებები მას ჯერ არ დაუგეგმავს. „სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცოდი, თუ რაში მდგომარეობდა ელჩის ფუნქციები. ვფიქრობდი, რომ სახელმწიფო თანხები მეგობრებთან ერთად უნდა დამეხარჯა“, — დასძენს ტაისონი, რომელიც ელჩისთვის დამახასიათებელ „დიპლომატიასაც იჩენს“: „თავად მაინტერესებს თუ რა უნდა გავაკეთო ჩინეთში. მაპატიეთ, მაგრამ, მე ხომ ელჩი ვარ და შეკითხვაზე პასუხი უნდა გამეცა“. ჩინეთში ტაისონი მეუღლის გარეშე მიემგზავრება. მაიკის მეუღლე აშშ-ში დარჩება, სადაც მომავალი წლის დასაწყისში იმშობიარებს. ■



ტაიმ-აუტი

# სკილაჩი მაფიოზი გახდა

უკვე დიდი ხანია, რაც 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი — სალვატორე სკილაჩი საფეხბურთო სამყაროში აღარ ჩანს. თავისი არაერთი კოლეგისგან განსხვავებით, სკილაჩი საერთოდ არ დაინტერესებულა სამწვრთნელო კარიერით და კინომსახიობობას მიჰყო ხელი. „იუვენტუსის“ ყოფილი ფორვარდი ახალ ამპლუაში იწყებს საკუთარი თავის გამოცდას. მისი პირველი ნამუშევარი კი სერიალში („გუნდი ანტიმაფია“) მაფიის მეთაურის როლია. საგულისხმოა ის, რომ ეს სერიალი იტალიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. 45 წლის სკილაჩის გარდა, ტელეპროექტის ერთ-ერთი თვალში საცემი ფიგურა სკანდალური პაპარაცი — ფაბრიციო კორონაა, რომელიც ასევე დამნაშავის როლს თამაშობს. იგი აღნიშნულ სერიალში 2009 წლიდან მონაწილეობს. ■

# ბექსს ნაკრების დატოვება არ სურს

დევიდ ბექჰემმა ინგლისის ეროვნული გუნდის მაისურით გამოსათხოვარი მატჩის ჩატარებაზე ფაბიო კაპელოს უარი უთხრა. ბექსს საერთაშორისო კარიერის მომავალ თვეში დასრულება არ სურს, როდესაც „უემბლიზე“ ინგლისელებსა და ფრანგებს შორის ამხანაგური მატჩი შედგება. იგი მიიჩნევს, რომ თავისი ქვეყნის ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა კვლავაც შეუძლია. ჯერ კიდევ აგვისტოში, უნგრელებთან გამართული ამხანაგური შეხვედრის წინ, ინგლისელთა მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ შემადგენლობაში 35 წლის ვეტერანის მიწვევას აღარ აპირებს. როგორც ცნობილია, ამჟამად ბექსი ამერიკული „ლოს-ანჯელეს გელექსის“ ღირსებას იცავს. ■




*ასპარეზი*

# რა მიზნებს უსახავენ შოთა არველაძეს თურქეთში და რით გაანაწყენეს ქართველი მწვრთნელი „აიაქსის“ მესვეურებმა

**„კაისერისპორის“ მთავარი მწვრთნელის რანგში შოთა არველაძის დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა. გუნდი სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში იმყოფება და არველაძემ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება უკვე მოიპოვა — თურქული ფეხბურთის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი, „ფენერბახჩე“ დაამარცხა. თავად შოთა არველაძე კი საკუთარი სამწვრთნელო ცოდნის გაღრმავებაზე ზრუნავს:** Pro **კატეგორიის ლიცენზიის ასაღებად, სასწავლებლად კიევს მიაშურა, რადგან ამ ლიცენზიის გაცემის უფლება საქართველოს ჯერჯერობით არ მოუპოვებია. მოგეხსენებათ, შოთა პოსტსაბჭოთა სივრცეში პოპულარული პიროვნებაა და ბუნებრივია, უკრაინელმა ჟურნალისტებმა მასთან გასაუბრების საშუალება ხელიდან არ გაუშვეს.**



— Pro **კატეგორიის სამწვრთნელო დიპლომის მისაღებად უკრაინა რატომ აირჩიეთ?**

— მთავარი მიზეზი ის არის, რომ რუსულ ენაზე ლექციების მოსმენა გაცილებით მიადვილდება, ვიდრე, მაგალითად, ჰოლანდიურად. გარდა ამისა, აქაური პედაგოგების დონეც ძალიან მაღალია. ჩვენ სოლიდური პროფესურა გვასწავლის — ტაქტიკის, ფიზიოლოგიის, სპორტული კვების, ფარმაკოლოგიის სპეციალისტები, ადამიანები, რომლებსაც ოლიმპიურ ჩემპიონებთან უმუშავიათ. შემთხვევითი როდია, რომ ჩემთან ერთად, მხოლოდ ადგილობრივები კი არ სწავლობენ, არამედ, მაგალითად, თვით იოჰან კრუიფის შვილი — ხორდი, რომელსაც უკრაინაში უთამაშია.

— **აქ ბევრი მეგობარი გყავთ?**

— დადებითად რომ გიპასუხოთ, მოგატყუებთ. აქ მეგობრები არ მყავს. არიან ფეხბურთელები, რომლებსაც ძალიან ვაფასებ და კარგადაც ვიცნობ. მაგალითად, ვორონინი და, რასაკვირველია, შევჩენკო, რომელთა კლუბების წინააღმდეგ ევროტურნირებში არაერთხელ მითამაშია.

— **რომელიმე უკრაინელი ფეხბურთელის გაცნობისა და მისი თურქეთში მიწვევის სურვილი ხომ არ გაქვთ?**

— სურვილი მაქვს, მაგრამ ყველაფერი შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. თქვენი რომელიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის ყიდვა შესაძლოა მოვახერხოთ, მაგრამ ჩამოყალიბებულ ოსტატებს „კაისერისპორის“ „ჯიბე“ ალბათ ვერ გასწვდება.

— **თქვენ მიერ გაწვრთნილ გუნდში მხოლოდ ერთი-ორი მეტნაკლებად ცნობილი სპორტსმენი აღმოვაჩინეთ. როგორ მოახერხეთ გამოცდილი ურუგვაელი ფორვარდის — მარსელო სალაიეტას მიწვევა, რომელიც „იუვენტუსსა“ და „სევილიაში“ გამოდიოდა?**

— უბრალოდ, მოვიწვიეთ და შევეცადეთ, მისთვის გვეჩვენებინა, რომ კარგი გუნდის ჩამოყალიბება გვსურს. სალაიეტა დარჩა, ესე იგი — დაგვიჯერა.

— **თუ გაკმაყოფილებთ თქვენი თანამემამულის — ალექსანდრე ამისულაშვილის თამაში, რომელმაც თავის დროზე კიევის „დინამოში“ ფეხი ვერ მოიკიდა?**

— რა შეკითხვაა?! რა თქმა უნდა, მაკმაყოფილებს. რატომ გავაჩერებ გუნდში ლეგიონერს, რომლის თამაშიც სამწვრთნელო შტაბის მოთხოვნას არ აკმაყოფილებს?

— **„კაისერისპორის“ ხელმძღვანელობამ რა მიზნები დაგისახათ?**

— უპირველეს ყოვლისა, კარგი კოლექტივის ჩამოყალიბება; მეორე

— ლამაზი თამაშის ჩვენება, რომელიც ჩვენს გულშემატკივრებს მოეწონებათ. თურქეთში ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

**— თქვენი კარიერის გაანალიზებისას შეიძლება დავასკვნათ, რომ უკეთ იმ ქვეყნებში ავლენდით თავს, სადაც შემტევი და სანახაობრივი ფეხბურთის კულტია...**

— დიახ, მაგრამ იმავე საქართველოს და ჰოლანდიის შედარებას ვერ გავბედავ: ორივე ქვეყანაში მსგავსი საფეხბურთო მენტალიტეტია, მაგრამ საქმის ორგანიზაცია — სრულიად განსხვავებული. რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როდესაც ნიდერლანდებში 600000 ადამიანია დაკავებული ფეხბურთით?! გასაოცარია საბავშვო ფეხბურთის მასობრიობა და პოპულარიზაციის დონე. უბრალო მაგალითს მოვიყვან: ჰოლანდიის ჩემპიონატში, რომელიც 1997 წელს დაბადებულ ბავშვებში ტარდება და სადაც ჩემი შვილი გიორგი გამოდის, 5 სრულფასოვანი ლიგაა!..

**— გსმენიათ სკანდალური ამბის შესახებ, რომელშიც გიორგი დემეტრაძე გაეხვია?**

— ცხადია, უსიამოვნო სიტუაციაა. იმედი მაქვს, საბოლოოდ, ყველაფერი მოგვარდება.

**— გჯერათ, რომ დემეტრაძე არალეგალურად ორგანიზებული ტოტალიზატორის საქმიანობაში მონაწილეობდა?**

— ის არ უარყოფს, რომ იმ ხალხს იცნობდა, მაგრამ ნაცნობობა და მონაწილეობა სხვადასხვა რამაა. თბილისში ყველა ერთმანეთს იცნობს. მით უმეტეს, ადამიანი, რომელიც ამ ქალაქში გაიზარდა და 30 წელიწადი ფეხბურთს თამაშობდა, ნებისმიერისთვის ცნობილია...

**— რაში მდგომარეობს „აიაქსის“ საკმაოდ გაუგებარი მოთხოვნის არსი, რომლის თანახმად, თქვენ მისი 300.000 ევრო გმართებთ?**

— ეს ძალიან ძველი ამბავია: 1997 წელს „ტრაბზონსპორიდან“ წამოვედი და ამსტერდამის „აიაქსთან“ გავაფორმე კონტრაქტი. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჰოლანდიის საგადასახადო ინსპექციამ ამ ტრანსფერის გარკვეული მხარეები საეჭვოდ მიიჩნია. „აიაქსის“ წინააღმდეგ აღიძრა საქმე — კლუბის მიერ გადასახადებისგან თავის არიდების ბრალდებით. 11 წლის შემდეგ, სასამართლომ საფეხბურთო კლუბის საწინააღმდეგო ვერდიქტი გამოიტანა. ამრიგად, „აიაქსმა“ სახელმწიფოს თანხა უნდა გადაუხადოს, მაგრამ, როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ მომხდარში დამნაშავე — არველაძეა...

**— რას აპირებთ?**

— ადვოკატს უკვე დავუკავშირდი. ვფიქრობ, სალი აზრი გაიმარჯვებს, მაგრამ მართალი გითხრათ, ცოტა საწყენია. ამსტერდამულ კლუბში 4 წელი გავატარე და 50-ზე მეტი გოლი გავიტანე. ამ ქალაქში საკმაოდ ბევრი მეგობარი შევიძინე. გარდა ამისა, „აიაქსმა“ შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსში“ 10 მილიონად გამყიდა და არა რაღაც „გროშებად“...

**— მართალია, რომ დიკ ადვოკაატმა, რომელთანაც „გლაზგო რეინჯერსში“ თამაშობდით, რუსეთის ნაკრებში თავის თანაშემწედ მუშაობა შემოგთავაზათ, მაგრამ თქვენ უარი თქვით, თანაც — პოლიტიკური მოტივით?**

— რეალურ მოლაპარაკებამდე საქმე არ მისულა. ადვოკაატთან მართლაც, ძალიან მეგობრული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. ჩემი აზრით, ის დიდი მწვრთნელია, ამიტომ განსაკუთრებით მადლიერი ვარ, რომ ჩემში გარკვეული სამწვრთნელო თვისებები აღმოაჩინა და აღიარა, რომ რაღაც ვღირვარ. მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც მან რუსეთის ნაკრებში მუშაობა დაიწყო, მე უკვე „კაისერისპორის“ თავკაცი ვიყავი.





**— მეორე ლეგენდარული ჰოლანდიელი სპეციალისტის — ლუის ვან გაალის ხელმძღვანელობით „ალკმაარში“ თამაშობდით...**

— ჩვენ დღესაც გვაქვს ურთიერთობა. ბოლოს ერთმანეთს, როგორც მწვრთნელი მწვრთნელს, ისე შევხვდით.

**— რა ვითარებაში?**

— რამდენიმე კვირის წინ ჩვენი დამწყები სპეციალისტების მთელი ჯგუფი, რომელიც კიევის ლიცენზირების ცენტრში გადის სწავლის კურსს, სტაჟირებაზე მიუნხენში გავემართეთ. ბუნებრივია, იქ „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელის მუშაობისთვის თვალის დევნების საშუალება გვქონდა.

**— თურქეთში თუ არიან სპეციალისტები, რომლებისგანაც რაიმეს სწავლა შეიძლება?**

— რა თქმა უნდა. შორს რომ არ წავიდეთ, თურქეთის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, გუს ჰიდინკს დავასახელებ. საუცხოო მწვრთნელია.

■

მოამზადა ლაშა თაბაგარმა

# „ბურატინოს თავგადასავლით“ დაწყებული ცხოვრება და რას გადაურჩა ცნობილი მედიაექსპერტი

**ჟურნალისტები მას მედიაექსპერტს ვეძახით, თავად ამბობს, რომ მხოლოდ ჟურნალისტია. ზვიად ქორიძესთან ჩემი კოლეგების უმრავლესობას ურთიერთობა სიამოვნებს. განათლება, კომპეტენტურობა, ობიექტურობა, თავმდაბლობა, — ეს მცირე ჩამონათვალია იმ ღირსებებისა, რომლებიც მას აქვს. პროფესიული არჩევანი ჯერ კიდევ მეექვსეკლასელმა გააკეთა — თანამშრომლობა საბავშვო გაზეთ „გაზაფხულთან“ დაიწყო და ჟურნალისტიკის ანბანაც სწორედ მაშინ ასწავლეს... კითხულობს ყველა ჟანრის კარგ ლიტერატურას. დღემდე ახსოვს წიგნი, რომელიც პირველად წაიკითხა და მის წაკითხვას სხვებსაც ურჩევს. უფრო მეტიც, მისი აზრით, ეს წიგნი ადამიანმა მხოლოდ ერთხელ კი არა, ცხოვრებაში რამდენჯერმე უნდა წაიკითხოს...**



*ხათუნა ბახტურიძე*

## პრეამბულის მაგიერ

— **ბატონო ზვიად, მაინც რა წიგნი წაიკითხეთ პირველად?**

— ეს „ბურატინოს თავგადასავალი“ იყო. მან ჩემზე უზარმაზარი გავლენა იქონია. იქიდან მერე პატარ-პატარა სცენების დადგმაც კი დავიწყე. ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ გადავხედე ამ ნამუშევარს და დავრწმუნდი, უსერიოზულესი, დრამატურგიული ნაწარმოებია. ჩემი აზრით, „ბურატინოს თავგადასავალს“ ყველა ბავშვი უნდა კითხულობდეს. ასევე ძალიან მიყვარდა ჯანი როდარის — „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“. ბავშვობიდან პოეზიის კითხვაც მიყვარდა...

— **ყველაზე ხშირად ვის ლექსებს კითხულობთ?**

— ეს ხასიათსა და განწყობილებაზეა დამოკიდებული. ძალიან მიყვარს ილიას, ვაჟას, გალაკტიონისა და ბროცკის პოეზია...

— **საუბრის დროს ლექსებიდან ციტატებს თუ იყენებთ?**

— ხშირად. მაგრამ ვფიქრობ, რომ საზეპიროების დაზუთხვა საჭირო სულაც არ არის. ცუდია, რომ ამის გამო ბავშვებს პოეზიას აჯავრებენ. პედაგოგებს რატომღაც ჰქონიათ, რომ თუ მოსწავლეებს ლექსებს ძალით დააზეპირებენ, პოეზიას შეაყვარებენ. გარწმუნებთ, ეს ასე არ არის. ბავშვებს დღეს თუ არა, ხვალ თავად გაუჩნდებათ რაღაც-რაღაცების დამახსოვრების სურვილი... მაგალითად, ბევრ ქართველს სკოლაში შეაჯავრეს რუსთაველი. ეს დანაშაულის ტოლფასია.

— **თქვენ საზეპიროების სწავლას არ გაიძულებდნენ, რუსთაველი რომ არ შეგძულდათ?**

— გამიმართლა, კარგი ლიტერატურის მასწავლებელი მყავდა. ნამდვილად არაფერს მაძალებდა — არასდროს უთქვამს, გინდა თუ არა, „ავთანდილის ანდერძი“ დაიზეპირეო. ისე მიხსნიდა გაკვეთილებს, ისეთი კუთხიდან მაჩვენებდა ამა თუ იმ მწერალსა თუ პოეტს, რომ სწავლის სურვილი თავად მიჩნდებოდა.

— **იქნებ ახლა გაიხსენოთ კიდეც „ვეფხისტყაოსნიდან“ რომელიმე ტაეპი?**

— კი, ბატონო: „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერჩავაკარაბაკე,/ ყრმასა ფერხთით მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკნე“. უნიკალური ფრაზაა, ფაქტობრივად, ლინგვისტური თამაშია.

— **რომელი ავტორის ლექსიდან არის ეს სტროფი: „ეგრე მტრისა არ მეშინის/ რადგან ცხადად მაწყინარობს;/ მოყვარესა-მტერსა ვუფრთხი,/ მემოყვრება, მოცინარობს“.**

— გინდათ, რომ დამაბნიოთ? ეს ხომ რუსთაველია?

— **ვეცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა.**

— იცით, ჩვენ რა გვჭირს? ლიტერატურას ვაფეტიშებთ და ვცდილობთ, არ შევეხოთ. ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხეს და მის შემოქმედებას ტაბუ დაადეს — წმინდანის განხილვა არ შეიძლებაო. არადა, მის შემოქმედებაში ზღვა მასალაა განსახილველი და სამსჯელო. იშვიათი მოვლენაა, საოცრებაა მისი მსგავსი მრავალმხრივ განათლებული ადამიანი... ახლა ვიღაცას აკაკი წერეთლის წმინდანად შერაცხვა მოუვიდა აზრად; ადგებიან და მის შემოქმედებასაც ხელშეუხებლად გამოაცხადებენ...

— **ბატონო ზვიად, ხომ არ გახსოვთ, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ რა საქმიანობას ეწეოდა რუსი გენერალი დილაობით, ჩაის დალევის შემდეგ?**

— ბუზებს საშაქრეში ამწყვევდა.

— **დაასახელეთ პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, რომელიც 1866 წელს დაარსდა.**

— „დროება“.

— **ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის გარდა, კიდევ რომელი პუბლიცისტი, მწერალი და ჟურნალისტი რედაქტორობდა ამ გაზეთს?**

— სერგეი მესხი.

— **ხომ არ შეგიძლიათ, გაიხსენოთ ქართველი ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, რომელიც ერთ დროს „თბილისის უწყებანის“ რედაქტორიც იყო. ის 1832 წელს რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეთქმულების გამო ვიატკაში გადაასახლეს.**

— სოლომონ დოდაშვილი. სხვათა შორის, ის ერთადერ-

თი იყო, ვინც ამ შეთქმულებას რეალურად შეეწირა, სხვებს ჩინები ჩამოურიგეს; მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძეს დიდი თანხაც კი მისცეს. სწორედ იმ ფულით ააშენა წინანდლის სასახლე, რომლითაც ქართველები დღემდე ვტრაბახობთ...

— **რომელ გაზეთში დაიბეჭდა სტალინის პირველი ლექსი — „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“?**

— „ივერიაში“, სოსელოს ფსევდონიმით.

— **რუსთაველი სტალინსაც ძალიან ჰყვარებია. მან ერთ-ერთ სიკვდილმისჯილ ქართველ პოლიტიკოსს (რომელიც სტალინს ქართველი ერის მტერს ხმამაღლა უწოდებდა) სიცოცხლე იმიტომ შეუნარჩუნა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა.**

— შალვა ნუცუბიძე. სხვათა შორის, ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, პროლოგი თავად სტალინმა თარგმნა და შალვა ნუცუბიძეს საპატიმროში მერე შეუგზავნა.

— **რა გვარის იყო რუსი გენერალი, რომელმაც ერეკლე მეფესთან დადებული ფიცი გატეხა და ოსმალებთან ბრძოლაში მიხმარების სანაცვლოდ ქართული სოფლები ააწიოკა?**

— ტოტლებენი.

— **რომელი ქართველი მეფის ქანდაკება იდგა რომში, მარსის მოედანზე?**

— ფარსმან ქველის.

— **ჰომეროსის „ილიადის“ მიხედვით, რა ერქვა ტროელ უფლისწულს — ჰარისის ძმას?**

— მგონი, ჰექტორი.

— **ერთ-ერთი პირველი ჩასაყვინთი მოწყობილობა ასურეთში გამოიგონეს. ეს იყო ჰაერით სავსე ცხოველის ტყავი, რომელსაც მიერთებული ჰქონდა მილი. რომელი ცხოველის იყო ის — თხის, აქლემის, ცხვრის თუ კამეჩის?**

— თხის.

— **მართალი ხართ. ბუნების ეს საოცრება 1855 წელს აღმოაჩინეს, ადგილობრივები მას „მგრგვინავ ბოლს“ ეძახდნენ. რომელ ჩანჩქერზეა ლაპარაკი?**

— ეს ვიქტორიაა.

— **ვინ არის რეჟისორი ფილმებისა: „ნიუნბერგის პროცესი“, „ქედმოუხრელნი“, „შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო“.**

— კრამერი.

— **ეს ლათინური სიტყვაა და „უაზროს“, „უთავბოლოს“ ნიშნავს. ის მიღებული ინფორმაციის უნდობლობის გამოსახატავად გამოიყენება.**

— ვერ ვიხსენებ.

— **ეს აბსურდია. რა ჰქვია გაეროს სპეციალიზებულ სააგენტოს, რომლის მიზანიც მსოფლიოში განათლების, კულტურისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობაა?**

— იუნესკო.

— **ვის ეკუთვნის გამოთქმა — „პარტია არის მრავალთა სიგიჟე ერთეულების სასარგებლოდ“...**

— ჯონათან სვიფტის.

— **რომელმა პოლიტიკოსმა თქვა: „იყო ძლიერი, დაახლოებით იგივეა, რომ იყო ქალი და თუ შენ მუდმივად ამის მტკიცება გჭირდება, ესე იგი, არ ხარ ასეთი“.**

— მარგარეტ ტეთჩერს.

— **ისიც ხომ არ გახსოვთ, რა გვარის იყო ტეთჩერი ქორწინებამდე?**

— არა.

— **რობერტსი გახლდათ. რა არის სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტი?**

— კანონი.

— **ამერიკელი სენატორის — დიკ ლონგის აზრით, ვინ წერს კანონებს?**

— ის, ვისაც ოქრო აქვს.

— **რა ჰქვია სამხედრო კავშირს, რომელიც 1949 წელს, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში შეიქმნა?**

— ნატო.

— **რომელ ქვეყანაშია ქალაქი კატმანდუ?**

— ნეპალში.

— **რომელი ქვეყნები ესაზღვრება გერმანიას?**

— პოლონეთი, შვეიცარია, დანია, ჩეხეთი, ავსტრია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ბელგია და ნიდერლანდები.

— **როგორია ამ ქვეყნის პოლიტიკური სისტემა?**

— გერმანიის?

— **დიახ.**

— ფედერალური რესპუბლიკა.

— **რომელ ქვეყანას აქვს მთლიანად მწვანე ფერის დროშა?**

— ვერ ვიხსენებ.

— **ლიბიას.**

— ევროპა, სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, აზია — ამ კონტინენტებიდან სად არ არის უდაბნო?

— **ევროპაში.**

— ბირმელმა ასტროლოგმა 1989 წელს განაცხადა, რომ მისი აზრით, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი — მიხეილ გორბაჩოვი წარსულ ცხოვრებაში ბირმელი იყო. ადვილი შესაძლებელია, ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია არ გქონდეთ; თუმცა თუ ლოგიკურად იმსჯელებთ, ვფიქრობ, არ გაგიჭირდებათ, გამოიცნოთ, რითი დაასაბუთა ასტროლოგმა თავისი განცხადება...

— **მის სხეულზე გამოსახული ნიშნების გამო ხომ, არა?**

— სწორედ ასე იყო. პიგმენტური ლაქა გორბაჩოვის შუბლზე წააგავს ბირმის კონტურს რუკაზე.

— XVIII **საუკუნის უდიდეს პიროვნებათა შორის, ამ ორ ადამიანს გამორჩეული ადგილი უკავია. ორივეს მიმართ არის გამოყენებული ეპითეტი „მამა“. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იმ დროისთვის ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ქვეყნებში ცხოვრობდნენ, საერთო ბევრი რამ ჰქონდათ. მათი ძირითადი ნაშრომები ერთი და იმავე წლით თარიღდება და ერთი და იმავე ენაზეა დაწერილი. დაასახელეთ ეს ორი პიროვნება.**

— (*ფიქრობს*) ერთი, ალბათ, ვოლტერია.

— **მისი ეპითეტი „მამა“ არასოდეს ყოფილა.**

— ერთი ამერიკელი იქნება, კი, კი, ვიცი, ტომას ჯეფერსონი და ადამ სმიტი.

— **დიახ. XIX საუკუნეში მოღვაწე ესპანელი დედოფალი სიამაყით ამბობდა, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ორჯერ იბანავა, ერთხელ — დაბადებისას, მეორედ — ქორწინებისას. რა ერქვა მას?**

— ვიქტორია?

— **სისუფთავის მოტრფიალე არც ის იქნებოდა, მაგრამ დედოფალი რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ესპანელი იყო.**

— იზაბელა?

— **დიახ. ისტორიასა და გეოგრაფიაში რომ კარგად ერკვევით, ცხადია; გეომეტრია როგორ იცით?**

— მგონი, ნორმალურად.

— **რა ფიგურაში აისახება წრეწირი წრეწირული ინვერსიით?**

— წრფეში.

— **რა გვარის იყო ინგლისელი ქიმიკოსი და ფიზიკოსი, რომელსაც მხედველობის თანდაყოლილი დეფექტი ჰქონდა?**

— კიდევ რით არის ის ცნობილი?

— **დღეს მის გვარს უწოდებენ ადამიანებს, რომლებიც ფერებს ვერ არჩევენ.**

— დალტონი?

— **მართალი ხართ.**

■

## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

**„პასუხების" სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. ამ კომპოზიტორის ქალიშვილი თბილისიდან მოსკოვში უნდა გაფრენილიყო, მაგრამ დაგვიანების გამო მოსკოვის რეისზე თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა. კომპოზიტორი აეროპორტის უფროსს დაუკავშირდა, რომლის უშუალო განკარგულებითაც ქუთაისიდან მოსკოვში მიმავალი თვითმფრინავი სპეციალურად თბილისში დაჯდა და მანამ არ აფრენილა, სანამ კომპოზიტორის ქალიშვილი მეგობრებთან ერთად ბორტზე არ ავიდა. დაასახელეთ იგი.

2. დაასრულეთ იგორ გუბერმანის სიტყვები: „პუსტეეტ ვ პოლე ბარაზდა, ნაგლეეტ ვ გოროდე დელეც, ჟელტეეტ კრასნაია ზვეზდა, უ ნეი რასტიოტ..."

3. დაასახელეთ მთები, სადაც ანსამბლ „ერისიონის" კლიპი „შატილის ასული" არის გადაღებული.

4. დაასახელეთ კორეის ომის დროს კომუნისტების მიერ გამწარებული ამერიკელი გენერალი, რომელმაც საკუთარი მთავრობისაგან ატომური იარაღის გამოყენების უფლება ითხოვა.

5. რა არის „კაკნატელა"?

6. დაასახელეთ ხე, რომლის ძირზეც ქართლში ატამს ამყნობენ.

7. რა არის „ბოზა"?

8. ზაპოროჟიელი კაზაკების მიერ თურქეთის სულთნისადმი გაგზავნილი წერილი უხამსი გამოთქმებისა და ბილწსიტყვაობის უბადლო ნიმუშია. დაასახელეთ მხატვარი, რომლის ტილოც ამ წერილის დაწერის მომენტს ასახავს.

9. ერთხელ ნიაზ დიასამიძეს ჰკითხეს, ეს ორვაგონიანი ტრამვაი როგორ მოგწონსო. რა უპასუხა ნიაზმა?

10. რომის იმპერატორმა ადრიანემ (117-138 წლები ჩვენი წელთაღრიცხვით) ათენი მრავალი ახალი ნაგებობით დაამშვენა და ქალაქის ახალსა და ძველ ნაწილს შორის აღმართა სვეტი, რომლის ერთ მხარეზე ეწერა: „აქ არის ათენი, თეზევსის ძველი ქალაქი". რა ეწერა სვეტის მეორე მხარეზე?

11. რა არის „თუიული"?

12. ვისი ქანდაკებაა მსოფლიოში ყველაზე დიდი რაოდენობით გაკეთებული?

13. ენციკლოპედია ბერძნული სიტყვაა. როგორ ითარგმნება იგი ქართულად?

# ანეკდოტები



* * *

ექიმი პაციენტის სმენას ამოწმებს:

— აბა, გაიმეორეთ: თორმეტი!..

— დებილი თავი გაბია!..

* * *

სვანმა მამა მოკლა.

— რატომ მოკალი? — გადაირივნენ მეზობლები.

— ვაა, აღდგომა მოდის, ყველა სასაფლაოზე გავა და მარტო მე ხომ არ ვიჯდები სახლში.

* * *

— ბებია, ეს პრედნიზოლონის მალამოა — რევმატიული და ქრონიკული პოლიართრიტის, სკონდილართრიტის და რევმატიული კარდალიტის ანდრენოგენიტალური წამალი.

— თუ არ მიშველა, შვილო?

— მაშინ თხის ქონი წაისვი, ბებია.

* * *

რეკლამა ბენზინგასამართ სადგურზე. „ავზის მთლიანად გავსების შემთხვევაში პრიზი — უფასო სექსი!"

ორმა სვანმა ავზი გაავსებინა და პრიზი მოითხოვა.

— პრიზი რომ მიიღოთ, დამატებით უნდა გამოიცნოთ, თუ რა რიცხვი ჩავიფიქრე, — უხსნის მეპატრონე.

— სამი!

— არა, მე ჩავიფიქრე ხუთი. სხვა დროს სცადეთ.

წამოვიდნენ სვანები გულდაწყვეტილები:

— აფერისტია, ეგ მეპატრონე, მოგვატყუა ასპროცენტიანი, — ამბობს ერთი.

— არა, რას ამბობ, წინა კვირას ჩემმა ცოლმა ორჯერ მოიგო!

* * *

მამედას დღიური:

ორშაბათი: პატარა გოგოს ჩვენს სოფელში გზა აებნა. მთელმა სოფელმა გადავუარეთ.

სამშაბათი: პატარა ბიჭს ჩვენს სოფელში გზა აებნა. მთელმა სოფელმა გადავუარეთ.

ოთხშაბათი: უცხოელ ტურისტებს ჩვენს სოფელში გზა აებნათ. მთელმა სოფელმა გადავუარეთ.

ხუთშაბათი: აუჰ, რა ჯანდაბამ დამკარგა საკუთარ სოფელში?!

* * *

სვანი მეგრელთან არის სტუმრად. მეგრელმა აქეიფა და ცალკე ოთახში დააწვინა. დილით ეუბნება:

— ერთით ნული!

— რა ერთით ნული? — გაუკვირდა სვანს.

— ღამით გიხმარე.

სვანი გაბრაზდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მეორე დღეს მეგრელს ეუბნება:

— ერთით ერთი!

— რა ერით ერთი?

— ღამე გიხმარე!

— შენ ხომ არ გაგიჟდი, — გადაირია მეგრელი, — გუშინ გეხუმრე. შენ რა, მართალი გეგონა?

— მაშინ ერთით ნული! — გაუხარდა სვანს.

* * *

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

— მარტო ათამდე რომ იცი თვლა, რა გინდა, მომავალში გამოხვიდე?!

— მსაჯი ვიქნები კრივში!



* * *

— ვაიმე, მუცელი, ვკვდები! — კვნესის ავადმყოფი.

— ხომ ხართ მოწმეები, ჯერ ხელიც არ მიხლია! — აყვირდა ექიმი.

* * *

— ააა! ექიმო, ერთი ნახეთ, რა მჭირს?!.

— ააა! მართლაც, რა გჭირთ?!.

* * *

პაციენტი ქირურგს ეჩხუბება, რომელმაც ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაუკეთა:

— რა ამბავია, 5-6 ნაკერში რვაას ლარს რომ მახდევინებ?! ავლაბარში 100 ლარად რაფიკამ პალტო შემიკერა.

* * *

— როგორ უნდა მოვიშოროთ ქერტლი ინტიმური ადგილებიდან?

— პირველ რიგში უნდა დარწმუნდეთ, რომ ქერტლი თქვენია.

* * *

სვანთან სახლში სტუმარი მივიდა. სვანმა აივანზე გაუშალა სუფრა. სტუმარი ეკითხება:

— შენი ძმა სად არის?

სვანმა მთა დაანახვა, სადაც ადამიანები წერტილებივით მოჩანდნენ:

— აგერ, იქ თიბავს.

— ვერ ვხედავ, რომელია? — შუბლი მოიჩრდილა სტუმარმა.

სვანმა სახლიდან კარაბინი გამოიტანა, ისროლა და სტუმარს ეუბნება:

— აგერ ისაა, ფერდობზე რომ მოგორავს.

* * *

ჩინელს ჰკითხეს:

— მოგწონთ ნიუ-იორკი?

— ძალიან! სისუფთავეა, სიწყნარეა და ცოტა ხალხია!

* * *

სომეხს დაესიზმრა, რომ რესტორანში იყო. ვახშამი გემრიელად მიირთვა, უძვირფასესი ღვინო დააყოლა და სასწრაფოდ გაიღვიძა, სანამ ანგარიშს მოუტანდნენ.

* * *

მძიმე ავადმყოფების პალატა. ერთ-ერთი ავადმყოფის თავთან მისი ნათესავი ზის, კროსვორდს ავსებს და დროდადრო რჩევას ავადმყოფს ეკითხება:

— წყვდიადით მოსილი, ცელით ხელში, რვა ასო...

* * *

— როდის გაიცანით ჩემი ცოლი?

— ასე ცხრა თვით ადრე, სანამ მეორე ბავშვი გაგიჩნდებოდათ.



* * *

ექიმთან მუნჯი მიიყვანეს, ლაპარაკი ასწავლეო. ექიმმა სკამზე დასვა, ნიკაპში ხელი მოჰკიდა, თავი ოდნავ გვერდზე შეუტრიალა და ყბაში მუშტი მოსდო:

— ა-ა-ა!..

— მშვენიერია! — შესძახა ექიმმა, — ხვალ მოდი და „ბ“-ს გასწავლი!

* * *

საიუველირო მაღაზიაზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა. რამდენიმე წუთში მოწმეებმა დაინახეს მაღაზიიდან გამოსული ჩინელი, რამაც ძალზე გაზარდა ეჭვმიტანილთა რიცხვი.

* * *

დილით ქმარმა წვერი გაიპარსა და სააბაზანოდან კმაყოფილი გამოვიდა.

— უჰ, რა კარგია, თითქმის 10 წლით გავახალგაზრდავდი!

— დალოცვილო, თუ კი ეგ გშველის, ძილის წინ გაიპარსე ხოლმე! — ეუბნება ცოლი.

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. რევაზ ლაღიძე.
2. „შესტოი კანეც“.
3. ალპები (კლიპი 3800 მეტრის სიმაღლეზეა გადაღებული).
4. გენერალი მაკ არტური. მისი გეგმა სხვადასხვა ქალაქში 26 ბომბის ჩამოგდებას ისახავდა მიზნად. ფხენიანისა და პეკინის გარდა ამ სიაში ქალაქი არხანგელსკიც შედიოდა.
5. „ხრტილი“ და „კაკანატელა“ სინონიმებია.
6. ნუში.
7. ფეტვის ბურახი.
8. ილია რეპინი.
9. „მესამე ვაგონად ვაგონ-რესტორანიც რომ ებას, კარგი იქნებოდა!“ (ეს ხუმრობა მოგვიანებით სომხებმა პრაქტიკულად განახორციელეს და ერევანში მოსიარულე ერთ-ერთ ტრამვაის ვაგონ-რესტორანი გამოაბეს).
10. „აქ არის ადრიანეს ქალაქი და არა თეზევსისა“.
11. თურქული კლასიკური ლექსის ფორმა.
12. ბუდასი.
13. „ცოდნის წრე“.

## ჩვენი ფოტო გალერეა



# ჰოროსკოპი

## 21-27 ოქტომბერი

### ვერძი
წარმატება გარანტირებული გექნებათ, თუ იმიჯს შეიცვლით. სიახლეებს არ შეუშინდეთ.

### კურო
დამატებითი საქმიანობა მატერიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ, მაგრამ ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. ძალების აღსადგენად ივარჯიშეთ.

### ტყუპები
ამ პერიოდში გრანდიოზული საქმეების შესრულებას ნუ ეცდებით. წარმატებას მოგიტანთ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა.

### კირჩხიბი
თქვენს სასიკეთოდ გადაწყდება მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები. უცნობები შესაძლოა, გამორჩენის მიზნით დაგიმეგობრდნენ.

### ლომი
მნიშვნელოვანი მიზნების შესრულებისას უმნიშვნელო დაბრკოლება ნუ შეგაფერხებთ. კომპეტენტური პირები დაიხმარეთ და საწადელს მიაღწევთ. წარმატება გელით.

### ქალწული
დაღლილობასა და მოთენთილობას დილის ვარჯიში მოგიხსნით. ჭორების გმირი რომ არ გახდეთ, ეცადეთ, ზედმეტი არ ილაპარაკოთ. ახალი იდეები მომავალი კვირიდან განახორციელეთ.

### სასწორი
სამსახურებრივი და საოჯახო საქმეების შუალედში დასვენებისთვისაც გამონახეთ დრო. კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის, მეგობრების შესაძენად.

### მორიელი
სამსახურის საქმეების პარალელურად, მთელი კვირის მანძილზე, საოჯახო საქმეებით იქნებით დაკავებული. სიმშვიდესა და ბედნიერებას კვირის ბოლოს, ოჯახის წევრების გარემოცვაში მოიპოვებთ.

### მშვილდოსანი
თუ გარშემო მყოფების მიმართ თავაზიანი და ზრდილობიანი იქნებით, მეტ მეგობარს შეიძენთ. კვირის ბოლოს საკუთარ თავს განტვირთვის საშუალება მიეცით.

### თხის რქა
ამ პერიოდში ნუ გარისკავთ. ნებისმიერი ნაბიჯი გათვალეთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ ელექტროხელსაწყოებთან. წვეულებაზე გაიცნობთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს დაიკავებთ.

### მერწყული
კვირის დასაწყისში კარგია მგზავრობა. წარმატებას მოგიტანთ სამეცნიერო სამუშაო. საყვარელ ადამიანთან კონფლიქტს მოერიდეთ.

### თევზები
ნებისმიერ საქმეს ადვილად გაართმევთ თავს. ხელმძღვანელობა დააფასებს თქვენს ერთგულებას და დაგაწინაურებთ. დასაქორწინებელ თევზებს რომანტიკული თავგადასავლები ელით.

# მატყუარა და მოღალატე მამაკაცები

### ჭირვეული ბავშვი
ქალებთან ურთიერთობისას „შვილიკოს“ როლს სჯერდება. უყვარს კომპიუტერული თამაშები. თუ ქალი დედიკოსავით მოექცევა, ორივეს გაუმართლებს. მისგან დახმარებას და შველას ნუ დაელოდებით. საკუთარი თავის გასამართლებლად ყოველთვის ჭირვეული ბავშვივით იქცევა: „რაც მინდა, იმას გავაკეთებ!“. თუ ქალი თავისუფლებას შეუზღუდავს, უღალატებს.

### ბებერი გულთამპყრობელი
ასეთი ტიპის მამაკაცი, როგორც წესი, ახალგაზრდა ქორწინდება. ეშინია, მოწონებული გოგონა სხვას არ მისთხოვდეს. ჭაღარაშეპარული კი ხვდება, რომ ახალგაზრდობაში ქალებთან გართობა ვერ მოასწრო და ცოლს ყველა ახალგაზრდა გოგონასთან ღალატობს.

### ცეცხლთან მოთამაშე
თავგადასავლებისა და ავანტიურის მოყვარული მამაკაცია. შესაძლებელია, რომანი უფროსის ცოლთან, ცოლის ბიძაშვილთან ან მეგობრის დასთან გააბას. მუდამ ცეცხლს ეთამაშება და ეს უფრო მეტად ახალისებს.

### თავისუფალი
მიაჩნია, რომ მამაკაცი მეფე და მბრძანებელია. ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც თავად სურს და სხვის აზრს ყურადღებას არ აქცევს. ცოლს თავის საკუთრებად მიიჩნევს. არასდროს მალავს საყვარლების არსებობას. პირიქით, ამაყობს კიდეც.

### ანგარიშიანი
ცოლად ისეთ ქალზე დაქორწინდება, რომლისგანაც სარგებელს მიიღებს (თანამდებობას, მატერიალურ კეთილდღეობას). ნათესავებში მზრუნველი ქმრის როლს იფერებს, რათა მათ თვალში ავტორიტეტი აიმაღლოს. სინამდვილეში, ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობს და იცის, რომ თუ ცოლს გაშორდება, ყველაფერს დაკარგავს.



### გულთამპყრობელი
ბუნებით მონადირეა. სურს, ყველა ქალი მასზე იყოს შეყვარებული. ზოგჯერ, ერთდროულად, რამდენიმე ქალთან აქვს რომანი. თუ ქალი მოეწონა, მისი ყურადღების მისაქცევად ყველაფერზეა წამსვლელი.

### ცბიერი
სახლში მზრუნველი და განათლებული ცოლი უნდა ჰყავდეს, რომელიც მემკვიდრეებს გაუზრდის. თავად კი საყვარლებში გაერთოს. ცოლს თავად არასდროს გასცილდება. თუ სხვა ქალის შერთვას გადაწყვეტს, ღალატს არ დამალავს, ცოლი მიატოვებს და თავად „იძულებული გახდება“, სხვაზე იქორწინოს.

### ცოლის მსხვერპლი
ქორწინების დასაწყისში, მოსიყვარულე და ერთგული მეუღლეა, მაგრამ თუ ცოლისგან უყურადღებობას ან გადამეტებულ მზრუნველობას იგრძნობს, გაექცევა.

■



1. ტკბილეულის დამზადების სპეციალისტი
2. ზნე, ხასიათი
3. ერთი და იმავეს დაჟინებითი ლაპარაკი
4. ძველრომაელთა სამოსი
5. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
6. სპილბერგის ფილმი
7. აჩრდილი
8. იგივეა, რაც გაზი
9. კუბის დედაქალაქი
10. ყაიმი
11. სუფრის ხელმძღვანელი
12. იგივეა, რაც მეტსახელი
13. დინამიტის გამომგონებელი
14. ნაბიჯი ბალეტში
15. გემის კიბე
16. ვიეტნამის დედაქალაქი
17. ქართველი მომღერალი
18. ქვეყანა აფრიკაში
19. ამერიკის შტატი
20. სამაგიდო თამაში
21. სურათი წმინდანის გამოსახულებით
22. მუსიკალური მიმდინარეობა
23. ყვავის ნაშიერი
24. ნივრის აცმა
25. სკანდინავიური თქმულება
26. აზიური ველური ცხვარი
27. ექსკურსიამძღოლი
28. ბუნებრივი უნარი შემოქმედებისა
29. თმაში შერეული თეთრი
30. ... ნიორაძე
31. იგივეა, რაც ფეხმძიმე
32. ნოუტბუკი
33. ღარიბული სახლი
34. ცაგარელის პიესა
35. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია
36. დიდი შალაშინი
37. სუსტი, უმწეო, უღონო
38. ავტომობილი
39. რისამე სიდიდე
40. იგივეა, რაც ქვეწარმავალი
41. უგუმბათო ეკლესია



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. ჰემინგუეი; 2. იადონი; 3. ნაშიერი; 4. ყულფი; 5. ლანდშაფტი; 6. თონე; 7. ნამი; 8. ზანგი; 9. პორტიე; 10. ლიბია; 11. პა; 12. გოია; 13. გრაცია; 14. ზიგზაგი; 15. იუანი; 16. კორსანტია; 17. ნადირი; 18. აუდი; 19. ტარანტული; 20. ცურვა; 21. კასაცია; 22. ფასი; 23. ტრიო; 24. ავლაბარი; 25. ვოლვო; 26. ჰავანა; 27. სტიქია; 28. კირი; 29. ცრუ; 30. კვიცი; 31. იო; 32. კილტი; 33. ფხა; 34. ნიაგარა; 35. მარტი; 36. ნეტარება; 37. სურინამი; 38. ლატარია; 39. დინამიტი.
**სურათებზე:** 1. ჰილარი სუონკი; 2. კიანუ რივზი.



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**ჩ**. პატარა ჩიტი; **ვ**. ადვოკატი; **ე**. რა ეროვნების იყო ჩარლი ჩაპლინი; **ნ**. ქართული ხალხური ანტიბიოტიკი; **ს**. ქალის მაღალი სასიმღერო ხმა; **ჟ**. საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი; **უ**. გილმორი, რაიტი, მეისონი. ვინ აკლია?; **რ**. ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ნ**. ბუდისტების სამოთხე; **ა**. შოთა, ილია, ..., ვაჟა და გალაკტიონი. ჩაწერეთ გამოტოვებული სახელი; **ლ**. რა მდინარე ჩამოედინება ცხინვალსა და გორში? **თ**. მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც ერთ ხელში სასწორი უჭირავს, მეორე ხელში — მახვილი; **ა**. სამცხის მმართველთა ტიტული; **ნ**. კუკარაჩას ტაბელური იარაღი; **ე**. უძველესი ქართული სახელმწიფო; **რ**. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **თ**. იგივეა, რაც ტოლუმბაში; **ა**. გემის ნაწილი, რომელზეც მეკობრეებს ახრჩობდნენ; **დ**. ბიბლიური პერსონაჟი, რომელმაც შურდულით დაამარცხა გოლიათი; **ა**. შუააზიელი ფილოსოფოსისა და მეცნიერის აბუ ალი იბნ სინას ლათინიზებული სახელი; **რ**. განვითარებული მრეწველობით განთქმული მხარე გერმანიაში; **მ**. ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ პერსონაჟი ქალი; **ო**. სხვადასხვა ხარისხისა და სახელწოდების ნიშანი, რომლითაც ხელისუფლება სამხედრო ან სამოქალაქო დამსახურებისათვის აჯილდოებს საკუთარ მოქალაქეებს; **ი**. „თორმეტი სკამის“ ერთ-ერთი ავტორი; **წ**. ის, რისიც ეშინიათ ცოფით დაავადებულებს; **ყ**. საქონლის დამკვლელი, ხორცით მოვაჭრე; **ე**. ძველი ბერძენი მეიგავე; **ნ**. დინამიტის გამომგონებლის გვარი; **თ**. წვრილი ღვედი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**ჩ**. ჩაროზი; **ვ**. ვუალი; **ე**. ეუსებიო; **ნ**. ნიაგარა; **ს**. საცივი; **ჟ**. ჟივჟივი; **უ**. ურემი; **რ**. რურუა; **ნ**. ნეშტი; **ა**. ამერიკა; **ლ**. ლუწი; **თ**. თავადი; **ა**. აზდაკი; **ნ**. ნოე; **ე**. ელბა; **რ**. რეიგანი; **თ**. თუნგი; **ა**. ამური; **დ**. დუშანბე; **ა**. აპენინი; **რ**. როენა; **მ**. მუხუდო; **ო**. ონასისი; **ი**. იორდანე; **წ**. წაბლი; **ყ**. ყაენი; **ე**. ერბო; **ნ**. ნაიკი; **თ**. თაობა.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**
**რასაც ვერ შეწვდები, ნუ შეეხარბებიო**

## იაპონური სენსაცია
## სუდოკუ

**„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 3 | 5 | 4 | 6 | 1 | 9 | 8 |
| 4 | 9 | 5 | 8 | 1 | 2 | 7 | 6 | 3 |
| 1 | 8 | 6 | 9 | 7 | 3 | 2 | 4 | 5 |
| 9 | 5 | 8 | 1 | 6 | 7 | 4 | 3 | 2 |
| 6 | 3 | 4 | 2 | 5 | 9 | 8 | 1 | 7 |
| 7 | 2 | 1 | 3 | 8 | 4 | 6 | 5 | 9 |
| 3 | 1 | 7 | 4 | 2 | 5 | 9 | 8 | 6 |
| 5 | 4 | 2 | 6 | 9 | 8 | 3 | 7 | 1 |
| 8 | 6 | 9 | 7 | 3 | 1 | 5 | 2 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9 | 4 | 3 | 6 | 1 | 7 | 8 | 5 |
| 3 | 6 | 8 | 5 | 2 | 7 | 4 | 1 | 9 |
| 1 | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 2 | 6 | 3 |
| 5 | 8 | 7 | 9 | 1 | 6 | 3 | 2 | 4 |
| 9 | 3 | 1 | 8 | 4 | 2 | 6 | 5 | 7 |
| 4 | 2 | 6 | 7 | 3 | 5 | 8 | 9 | 1 |
| 6 | 4 | 3 | 1 | 5 | 8 | 9 | 7 | 2 |
| 8 | 1 | 9 | 2 | 7 | 3 | 5 | 4 | 6 |
| 7 | 5 | 2 | 6 | 9 | 4 | 1 | 3 | 8 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 6 | 1 | 9 | 3 | 8 | 4 | 5 |
| 3 | 4 | 1 | 7 | 5 | 8 | 6 | 2 | 9 |
| 9 | 8 | 5 | 2 | 4 | 6 | 7 | 1 | 3 |
| 4 | 5 | 7 | 8 | 3 | 9 | 2 | 6 | 1 |
| 6 | 1 | 2 | 4 | 7 | 5 | 3 | 9 | 8 |
| 8 | 3 | 9 | 6 | 2 | 1 | 5 | 7 | 4 |
| 2 | 9 | 3 | 5 | 6 | 4 | 1 | 8 | 7 |
| 5 | 6 | 8 | 9 | 1 | 7 | 4 | 3 | 2 |
| 1 | 7 | 4 | 3 | 8 | 2 | 9 | 5 | 6 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 8 | | | 7 | | |
| | | 4 | | | 9 | | | 2 |
| | 3 | | | 4 | | 6 | 9 | |
| 4 | | | | 6 | | 3 | | |
| | | 7 | | 5 | 2 | 8 | | |
| | | 2 | | | 8 | | | 4 |
| | 2 | 3 | | 8 | | | 1 | |
| 9 | | | 7 | | | 2 | | |
| | | 1 | | | 3 | | | 6 |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | 1 | | | 7 | | |
| | | 5 | | | 3 | 4 | 8 | |
| | 8 | | | | 5 | | 1 | |
| | | 4 | 5 | | | | 2 | |
| 5 | | | | | 6 | | | 3 |
| | 7 | | 4 | | 9 | 1 | | |
| | 5 | | 9 | | | | 7 | |
| | 1 | 2 | 6 | | | 8 | | |
| | | 6 | | | 2 | | | 1 |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | | 7 | | 1 | | |
| | | 3 | 8 | 9 | | | | 4 |
| | 5 | | 6 | | | | 2 | |
| | 3 | 2 | | 6 | | | 7 | |
| | 6 | | | 4 | | | 1 | |
| | 7 | | | | | 4 | 9 | |
| | 9 | | | | 1 | | 3 | |
| 3 | | | | 8 | 2 | 9 | | |
| | | 5 | | 3 | | | | 1 |

# მკითხველთა თხოვნით!

ხალხური მედიცინის მოყვარულებს!




ფასი:15.99

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

ამჯერად მაგარყდიანი და ილუსტრირებული!



# სასწრაფოდ!!!

იყიდება ახალაშენებული 2 სართულიანი სახლი წყნეთში საუკეთესო ადგილას, 160 კვ.მ , ეზო 400 კვ.მ (სახლიანად), ულამაზესი ხეივნით, ულამაზესი ხედით, ბრონირებული კარ-ფანჯრებით , გერმანული ხით დამუშავებული, ფანტასტიური დიზაინით.

ფასი : 140000$

საკონტაქტო ტელეფონები:

877 22 03 22 / 899 28 30 40

# ჩემი საყვარელი ზღაპრები



ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო კარუსელთან" ერთად პატარების საყვარელი ზღაპრების თითო წიგნი!



გაახარეთ პატარები საყვარელი ზღაპრებით!




წიგნის ფასი 4 ლარი
(ჟურნალთან ერთად 5 ლარი)

22 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრამდე

უკვე გამოსული წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

ყურადღება! ყურადღება! ყურადღება! ყურადღება! ყურადღება! ყურადღება! ყურადღება!







პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ,, ელვა.ჯი " გთავაზობთ

გამოიწერეთ ჟურნალი „გზა“ „ქართული პროზის საგანძურთან“ ერთად და შეიძინეთ უკვე გამოსული წიგნები, თითოეული მხოლოდ 3 ლარად!

**ასევე –**

გამოიწერეთ ჟურნალი “საბავშვო კარუსელი” „ჩემს საყვარელ ზღაპრებთან“ ერთად და შეიძინეთ უკვე გამოსული ზღაპრების წიგნები თითოეული მხოლოდ 4 ლარად!

გამოიწერეთ ჟურნალი “რეიტინგი” „მსოფლიოს დეტექტივების სეიფთან“ ერთად და შეიძინეთ უკვე გამოსული დეტექტივების წიგნები თითოეული მხოლოდ 2 ლარად!

,, ელვა.ჯი " ტელ: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

# ფოტოკურიოზები



























ხ141/38


# ანტიბიოტიკები

## დისბაქტერიოზი „საჩუქრად“?

შემოდგომა–ზამთრის პერიოდში, როცა განსაკუთრებით მატულობს რესპირატორული ინფექციები, ხშირად აუცილებელი ხდება ანტიბიოტიკების მიღება. ანტიბიოტიკები, თავის მხრივ პათოლოგიურ ბაქტერიებთან ერთად სასარგებლო მიკროფლორასაც ანადგურებენ და ნაწლავებში ბუნებრივი ბაქტერიული ბალანსის დარღვევას იწვევენ, ამას სამედიცინო ენაზე დისბაქტერიოზი ეწოდება. დისბაქტერიოზი გამოვლინდება შემდეგი კლინიკური ნიშნებით: კუჭის აშლილობა, მუცლის შებერილობა, შეკრულობა, გულისრევა, ღებინება, მონელების პროცესის დარღვევა.

## რა საფრთხეს წარმოადგენს დისბაქტერიოზი ადამიანის ჯანმრთელობისათვის?

ჩვენ, ხშირ შემთხვევაში, არ ვუფიქრდებით ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზებს და გვინდა სწრაფად გავთავისუფლდეთ არასასიამოვნო სიმპტომებისგან. ეს შეიძლება სახიფათოც იყოს, რადგან თუ ნაწლავებში არის სასარგებლო ბაქტერიების დეფიციტი ის აუცილებლად უნდა აღდგეს. არასრულად ნამკურნალევი დისბაქტერიოზის დროს კი ბაქტერიული დისბალანსი კიდევ უფრო ღრმავდება, ფერხდება სიცოცხლისთვის აუცილებელი ვიტამინებისა და მიკროელემენტების კუჭ-ნაწლავიდან ათვისება, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება მთელი ორგანიზმის ჯანმრთელობაზე.

## როგორ მოვიქცეთ?

პრობლემების თავიდან აცილების მიზნით უნდა ვიზრუნოთ დარღვეული ბაქტერიული ბალანსის აღდგენაზე. ამაში დაგვეხმარება შვეიცარული კომპანია „ნოვარტისის“ მედიკამენტი ლინექსი.
ლინექსში შემავალი ბაქტერიული შტამების ოპტიმალური შემცველობა უზრუნველყოფს დარღვეული მიკროფლორის აღდგენას ნაწლავის მთელს სიგრძეზე და საფუძვლიანად კურნავს დისბაქტერიოზს.
ლინექსის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი ბაქტერიული შტამების შემცველობა. რაც საშუალებას იძლევა ლინექსი მივიღოთ ანტიბიოტიკებთან ერთად (ანტიბიოტიკების გამოყენების პირველივე დღიდან). და მაქსიმალურად შევამციროთ დისბაქტერიოზის განვითარების რისკი ანტიბიოტიკებით მკურნალობისას.

## პასუხისმგებლობით მოეკიდეთ საკუთარ ჯანმრთელობას

## გაიარეთ მკურნალობის სრული კურსი ლინექსით




# ლინექსი

Bifidobacterium infantis, Lactobacillus acidophilus, Enterococcus feacium

## იზრუნებს თქვენი კუჭ-ნაწლავის ნორმალურ ფუნქციონირებაზე

SANDOZ

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

NOVARTIS
ნოვარტისი, შვეიცარია
გ. ტაბიძის ქ. №18; ტელ.: 98 27 30; 98 27 50